

საბა მეტრეველი





ნეირა აცლიდა პირველობის გულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

---

საბა-ფირუზ მეტრეველი

# კომუნისტური აგიოგრაფია

|

თბილისი  
2014

წიგნში შესწავლილია საბჭოთა ტოტალიტარიზმის ლიტერატურული პანორამა, კერძოდ, — პოლიტიკურ-ლიტერატურული ტერორი და ანტირელიგიური დისკურსი. კომუნისტური იდეოლოგია, დოგმატური მარქსიზმი განხილულია, როგორც პარტიული // პოლიტიკური მწერლობის, „კომუნისტური აგიოგრაფიის“ მსოფლმხედველობრივი ბირთვი, წარმოჩენილია მისი ძირითადი ტენდენციები, „სოვეტური“ კონცეპტები, პარადიგმული მოდელები და სტრუქტურა.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლების, სპეციალისტებისა და ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი

მანანა კვაჭანტირაძე

რეცენზირები:

ინგა მილორავა

ლია კარიჭაშვილი

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2014

ISBN 978-9941-450-66-2

## **შინაარსი**

1.შესავალი .....4

## **პირველი ნაწილი**

2.წითელი ტერორი - ანტირელიგიური დისკურსი .....	16
3.სასულიერო წოდების დისკრედიტაციიდან განადგურებამდე .....	41
4.ბრძოლა ეკლესის საიდუმლოებათა წინააღმდეგ ...	94
. დაკრძალვა კომუნისტურად .....	94
. კომუნისტური ნათლობა და წითელი ქორწინება .....	104
. კომკავშირული შობა .....	114
. ანტისააღდგომო კამპანია .....	119
5.მეპრძოლი უღმერთოები .....	127

## **მეორე ნაწილი**

6.ახალი რელიგიის ფორმირება - დოგმატური მარქსიზმი .....	137
7. კომუნისტური რელიგიის რიტუალური სტრუქტურა .....	147
8. კომუნისტური ანთროპოლოგია .....	166
9. კომუნისტური აგიოგრაფია .....	188
10.ბელადის კონცეპტები პოლიტიკურ ლირიკაში .....	257
11.დასკვნები .....	292
12.Коммунистическая агиография - Резюме .....	298
13.Communistic Hagoigraphy - SUMMARY .....	320
14. დამოწმებანი .....	325

## შესავალი

აგიოგრაფია სხვადასხვა გამოცემაში განმარტებულია, როგორც საეკლესიო ისტორიისა და ლიტერატურის დარგი (პოლონსკი 2007: 3); ერთ-ერთი ძირითადი დარგი საეკლესიო მწერლობისა (ენციკლოპედია:); ნაირსახეობა ასკეტიკური (საეკლესიო-დიდაქტიკური) ლიტერატურისა (ჟივოვი 1994: 3); სახე ღვთისმოსავი თხრობითი პროზისა (პალიაკოვა 1995: 1). აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ აგიოგრაფია, ლიტურგიულ ფუნქციასთან ერთად, გარკვეულ ლიტერატურულ კანონსაც ემორჩილება. მას აქვს სპეციფიკური შინაარსი, გამოირჩევა განსაკუთრებული შემოქმედებითი ფსიქოლოგიითა და აზროვნების სტილის თავისებურებით. „აგიოგრაფია არის დამოუკიდებელი, მტკიცე ლიტერატურული კანონით განპირობებული, რომლის იდეური შინაარსი ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა განსაზღვრული და, რომელიც მიზნად ისახავს სახარებაში გამოკვეთილი ქრისტეს სახის მიბაძვით წმინდანის თავგანწირვისა და სულიერი ამაღლების გზის წარმოსახვას. ამ ძირითად მიზანს ემსახურება როგორც კომპოზიციური სტრუქტურა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი, ისე ნანარმოებში ჩაქსოვილი იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია. ეს არის მონოპერსონალური ჟანრი, რომლის არსია წმინდანის სახის გააზრება, მისი ზეაღმავალი გზის ჩვენება და ამ მიზანს ემსახურება ყველა პერსონაჟი და ყველა კომპონენტი“ (ბარამიძე 1996: 15).

საქართველოს ეკლესიას, ჯერ კიდევ I საუკუნეში წმიდა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის დასაძირკვლებულსა და IV საუკუნეში წმიდა ნინოს სიტყვით დამტკიცებულს, სამწყსოდ უძველესი ისტორიისა და კულტურის ერი ჰყავდა. წმიდა მეფე და ნინასწარმეტყველი დავითი ბრძანებს: „განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102, 5) — სწორედ ამ განახლებას ჩაუდგა სათ-

ავეში მართლმადიდებელი აღმსარებლობა და მთელ ქველ ქართულ სიბრძნესა და ხელოვნებას ახალი გზა და მიმართულება მისცა — ყველაფერი ღვთის სადიდებლად და მისი სიტყვის შესაცნობად წარიმართა. ასეთი იყო შუა საუკუნეების კულტურისა და ხელოვნების უმთავრესი იდეა.

წმინდანთა ცხოვრება იწერება გარკვეული ლიტერატურული ნორმებისა და კანონების გათვალისწინებით, რომელიც იცვლება დროისა და სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით. ნებისმიერი ინტერპრეტაცია აგიოგრაფიისა მოითხოვს წინასწარ გადაიხედოს ის, რაც განეკუთვნება ე. წ. ლიტერატურული ეტიკეტის სფეროს. ეს კი გულისხმობს წმინდანთა ცხოვრებათა ჟანრების, ტიპობრივი სქემების აღნაგობის, სტრუქტურის, სტანდარტული მოტივებისა და გამოსახვის ხერხების შესწავლას. მაგალითად, ისეთ აგიოგრაფიულ ჟანრს, როგორიც წმინდანთა „ცხოვრებაა“, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ცხოვრებათა ტიპს, ისე — ქადაგებათა ხასიათს, ახასიათებს საკმაოდ მკვეთრი კომპოზიციური სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და ეპილოგი. თემატური სქემა ძირითადი ნაწილისა, ზოგადად, ასეთია: წმინდანის წარმოშობა (მშობლები, კეთილმორწმუნე ოჯახი), დაბადება (დედის მუცლიდანვე ღვთივგამორჩეულობა), აღზრდა, საქმიანობა და სასწაულთქმედების ნიჭი, გარდაცვალება (მართალი აღსასრული) და მისი ღვანლის შედარება სხვა ღვთისმოსავებთან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ასეთი ხასიათი აგიოგრაფიული მწერლობისა მომდინარეობს „გვიანდელი ხანის ანტიკური ენკომიებიდან, რომელთა სხვადასხვაგვარი რეალიზაცია აგიოგრაფიის განვითარების პროცესში იძლევა ხელშესახებ მასალას როგორც ისტორიულ-ლიტერატურული, ისე ისტორიულ-კულტურული დასკვნების გამოტანისათვის“ (ჟივოვი 1994:).

აგიოგრაფიულ მწერლობას ახასიათებს სტანდარტული მოტივები, მაგ.: წმინდანის დაბადება ღვთისმოსავი მშო-

ბლებისაგან, გულგრილობა საბავშვო თამაშობებისადმი, სიმღერა-ლხენისადმი, განსაკუთრებული თავშეკავება, განმარტოებისაკენ მიდრეკილება და ა. შ. მსგავსი კლიშეები გამოიყოფა სხვადასხვა ტიპისა და ეპოქის აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, მაგ.: მოწამეთა აქტებში, მათს უძველეს ნიმუშებში, წარმოდგენილია მარტვილის განსაკუთრებული ლოცვა აღსასრულის წინ და მოთხოვობილია მისი წამების დროს უფლის განსაკუთრებული შემწეობის შესახებ. მოწამე იმეორებს ქრისტეს გამარჯვებას სიკვდილზე, ამოწმებს ქრისტეს საკუთარი სისხლით და ხდება „მეგობარი უფლისა“. ასეთი საღვთისმეტყველო საფუძველი წამებანისა აისახება მოწამეთა აქტების სტრუქტურულ ხასიათზე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წმინდანთა ცხოვრება არ არის მათი ბიოგრაფიის აღწერა. ეს არის წმინდანის გზა სულის ხსნის, გადარჩენისკენ, ეს არის ხარისხი წმინდანობისა — როგორ უნდა იცხოვრო, რომ გახდე ღმერთს მიმსგავსებული, მეგობარი უფლისა. ამიტომ, სტანდარტული მოტივების ნაკრები, უპირველესად, გამოხატავს არა ბიოგრაფიის ე. წ. ლიტერატურული ხერხებით აგებულებას, არამედ სულის გადარჩენის, სულის ხსნის დინამიკას, გზას ზეციური სასუფევლისაკენ. რადგანაც აგიოგრაფია განასახოვნებს სულის ხსნის ამ სქემას, ამიტომ ცხოვრებათა აღწერა აქ განზოგადებულ ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება შესიტყვება კომუნისტურ აგიოგრაფიას, აქ სიტყვა „კომუნისტურს“ აქვს აზრობრივი დატვირთვა, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ასპექტით. ჯერ ერთი, ჩვენ ვსაუბრობთ არა წმინდანთა ცხოვრების ქრისტიანული ტრადიციების გაგრძელებაზე, არამედ აგიოგრაფიის თავისებურ ორეულზე ან გნებავთ ფსევდოაგიოგრაფიაზე, რომელიც, როგორც იდეოლოგიური ლიტერატურა, ჩამოყალიბდა საქართველოს გასაბჭოებისთანავე. კომუნისტური აგიოგრაფიას, როგორც მეტაუანრს, მკაცრად დოგმატიზებ-

ული პარტიული იდეოლოგიის ფონზე დასჭირდა ქრისტიანული აგიოგრაფიის არქეტიპის გამოყენება-ალორძინება, თუმცა, უპირველესად, როგორც ათეიისტურმა სახელმწიფომ, ღმერთთან მებრძოლმა დოქტრინამ სასწრაფოდ შეცვალა მისი ქრისტიანულ-მსოფლმხედველობრივი ბირთვი. ე. წ. დოგმატურმა მარქსიზმმა შექმნა კომუნისტური აგიოგრაფია, როგორც ახალი რელიგიის (კომუნისტური რელიგიის) იდეოლოგია და აქცია იგი ახალი ადამიანის (საბჭოთა ადამიანის) ფორმირების (თუ ზომბირების) იარაღად.

ქრისტიანულმა აგიოგრაფიამ ქართულ ლიტერატურაში XVIII საუკუნის ჩათვლით იარსება. ზოგადად, ლიტერატურის თანდათანობითმა სეკულარიზაციამ, როგორც დესაკრალიზაციამ (მ. ვებერი, გ. თევზაძე), ადამიანის გაუცხოებამ ღმერთთან და საკუთარ თავთან, მეცნიერული ცოდნისა და რაციონალური აზროვნების განვითარებამ მაინც ვერ აღმოფხვრა წმინდანთა ცხოვრებათა აღწერის ტრადიციები. ჩვენგან განსხვავებით, „რუსული ქრისტიანული კულტურის წიაღში კვლავაც იქმნებოდა აგიოგრაფიული ტექსტები XIX და XX სს.-ის დასაწყისში. ამ პერიოდის საერო ლიტერატურა მიმართავდა აგიოგრაფიულ კანონს (ნოველა „მამა სერგი“ ლ. ტოლსტოისა, თავი ბერ ზოსიმეზე ფ. დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვების“ „მიხედვით, ნ. ლესკოვის 1860-1870 წწ.-ის ნოველები, ლ. ანდრეევის „ცხოვრება ვასილი ფივეილისა“ და ბ. ზაიცევის „ლირსი სერგი რადონეჟელი“ და ა. შ.)“ (პოდლუბნოვა 2006:). ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა ხელი შეუწყო საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურაში რიტუალისტური სტრუქტურის მქონე ნარატივების ჩამოყალიბებას (კლარკი). ამგვარი ლიტერატურის არქეტიპად ოფიციალურად იყო დასახელებული მაქსიმ გორკის „დედა“ (1906) და შემდგომ — სოცრეალიზმის კლასიკური ნიმუში — ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (1932). როგორც ლიტერატურათმოდნები ფიქრობენ, ამ ორ რომანში აშკარად ჩანს რელიგი-

ური ტიპის ჰაგიოგრაფიული უანრის ერთგვარი სახესხვაობა. მათში შექმნილია გმირის ისეთი სახე, რომელიც წარმოადგენდა მოქალაქეობრივი ზნეობის იდეალურ და ყველასათვის მისაბაძ მაგალითს. „ასეთივე დანიშნულება ჰქონდა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში წმინდანის სახეს, რომელიც ამ უანრის კანონის მიხედვით მეტ-ნაკლები სიზუსტით ქრისტეს უნდა დამსგავსებოდა“ (კიზირია 2010: 378).

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ კარგად აითვისა აგიოგრაფიული კანონი, როგორც მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული გამოცდილება, აქტუალური გახადა ცხოვრებათა უანრი და შექმნა მთელი ციკლი ლენინიადა-სტალინიადა-ბერიადასი, გააიდეალა რევოლუციონერ-ბოლშევიკთა ღვაწლი და თავდადება, „ჰეროიკულ-რომატიკული“ ესთეტიკის ფონზე გამოიკვეთა ახალი „გმირის“ კონცეპტი. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა კომუნისტური ანთროპოლოგიაც. აგიოგრაფიული კანონის მიხედვით შეიქმნა პარტიისადმი თავდადებული გმირის სახე. ჰიმნები უძლვენეს კოლექტივიზაციას, კომკავშირს, დიად პარტიას, ბელადებს და ა. შ. მარქსიზმ-ლენინიზმმა შექმნა უღმერთო რელიგია, რომლის მსახურმა მასებმა განადიდეს თავიანთი მხსნელები, როგორც ყველა გამარჯვების სიმბოლო, გადარჩენის იმედი და, სინამდვილები, ტირანი აქციეს მესიად. ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ ახალი ცხოვრება და, შესაბამისად, ახალი „რელიგია“ (კომუნიზმი) მხოლოდ თეორიულ მოძლვრებად ან მხოლოდ ცხოვრების ფილოსოფიად კი არ დარჩენილიყო, არამედ ყოველდღიურობად, არსებობის გარკვეულ ტიპად ქცეულიყო. ამისათვის მათ სჭირდებოდათ ქართული მწერლობა თავისი წარსულითა და აწმყოთი, მთლიანი არსენალით, ოღონდ მკაცრად დამორჩილებული პარტიის გენერალურ ხაზს.

საბჭოთა ლიტერატურამ გამოიმუშავა საკუთარი რიტუალისტურად განმეორებადი და მყარი სტრუქტურა, რომელიც

აგიოგრაფიული უანრის თითქმის ყველა მოტივს შეიცავდა, თუმცა ის მარქსისტული იდეოლოგიის ტრანსფორმირებული სახით იყო გამოხატული. აგიოგრაფიისაგან განსხვავებით, სასწაულებრივი დაბადების ადგილი დაკავა კლასობრივი წარმოშობის ფაქტორმა. გმირი იბადება ღარიბი გლეხის ან მუშის ოჯახში, რაც უკვე წინასწარ ითვალისწინებს მის ლირ-სეულ ცხოვრებას (ქართულ სინამდვილეშიც, ძირითადად, სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი ნარატივი შეიქმნა (საკმარისია გავიხსენოთ კ. გამსახურდიას „ბელადი“ და გ. ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“). ჯერ ახალგაზრდულ წლებში იგი ეზიარება მარქსიზმს, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას, ემსახურება რევოლუციის ან საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს და, ბოლოს, ზედმინევნით ასრულებს რაიმე საზოგადოებრივ დავალებას, რომელიც, თავისთავად, სასწაულებრივი ხასიათისაა, ვინაიდან ამ დავალების შესრულება მოითხოვს ადამიანური შესაძლებლობის თითქმის ზებუნებრივ მობილიზაციას. „ზოგჯერ გმირი ძალადობრივი სიკვდილით კვდება, რაც წმინდანის მოწამეობრივი დასასრულის ეკვივალენტია და, ჯვარცმის მსგავსად, წარმოადგენს ერთგვარ ოპტიმისტურ ტრაგედიას. ეს პარადიგმა მცირეოდენი ვარიაციებით მეორდება 20-ანი, 30-იანი და 40-იანი წლების ლიტერატურაში და ნაწილობრივ უფრო გვიანაც“ (კიზირია 2010: 378).

1944 წელს, გაგანია ომის დროს, დაიბეჭდა დ. კასრაძის მოგონებათა წიგნი „პატარა სოსო“, რომელშიც მხატვრულადაა გადმოცემული სტალინის ბავშვობის ამბები. ნაშრომის სტურქტურა თავისთავად მიანიშნებს იმას, თუ როგორ იდეალიზდება ბელადის ცხოვრების ყოველი ეტაპი და ნაბიჯი. წიგნი თავებადაა დაყოფილი: „მშობლები; დედა; ცხენოსნობა; იწილო-ბიწილო; ჩიტო-ჩიტოლა; სოსოს გიშერა; პატარა ფალავანი; თოფობანა; სოსოს ამხანაგები გენერლად ირჩევენ; მამის სახელოსნოში; გზა დედა-ენისკენ“. ავტორი ეპო-

ქისთვის შესაფერი ყალბი პათეტიკით მოგვითხრობს ათას ტყულ-მართალს იმისთვის, რომ შექმნას ყოვლადმოწყალე, ერთგული, ძლიერი, ფენომენალური ბავშვის მითოსური სახე.

1945 წელს გამოვიდა პ. კაპანაძის „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ (მოგონებანი). თითქოს ქართული მწერლობა (მხატვრული თუ დოკუმენტური) ვერ გასცდა ბელადის ბავშვობის პერიოდს, ჩარჩა „პატარა გორსა“ და თბილისის სასულიერო სემინარიის კედლებში. სხვათა შორის, ამ წიგნში დიდი სიამაყითაა გადმოცემული ჯუღაშვილის დაპირისპირება სემინარიის მასწავლებლებთან: „ხშირ შეტაკებას ჰქონდა ადგილი სემინარიაში ყოფნის უკანასკნელ წლებში სულიერ მამებსა და ო. ჯუღაშვილს შორის. მარქსისტულ მოძღვრებას დაწაფებული, გათვითცნობიერებული ახალგაზრდა არ იჩოქებდა მათ წინაშე“ (კაპანაძე 1945: 51). ამ განაცხადით იმთავითვე მინიშნებულია რელიგიური ბუნტის ნიშნები სემინარიელში, მარქსისტული მოძღვრების, როგორც სულის შხამისა და საწამლავის, დამანგრეველი ნიშნები.

კომუნისტური აგიოგრაფია ჩამოყალიბდა რუსულ ლიტერატურულ სივრცეში, მოგვიანებით, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იგი აღმოცენდა ქართულ ნიადაგზეც. როგორც ვთქვით, შეიქმნა ბელადზე სადიდებელ-სავედრებლები. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, ნეპსით თუ უნებლიერ, არ დაეწეროს, არ განედიდებინოს მზრუნველი პარტია და მისი ბელადი, მიუხედავად იმისა, სჯეროდათ და სწამდათ თუ არა იმისი, რასაც და როგორც წერდნენ. პროზასა და დრამატურგიაში ფეხი მოიკიდა კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპებმა, კლიშეებმა და ამ იდეალებისადმი ერთგულებამ, ბელადის წრეგადასულმა ხოტბამ და სიყვარულმა, საბჭოეთის დიდებამ.

სრულად ვაცნობიერებთ, რომ „კომუნისტურ აგიოგრაფიას“ შესაძლოა ჰქონდეს სხვა სახელიც, მაგალითად „კომუნისტური ჰიმნოგრაფია“, მით უფრო, რომ ჩვენში, ძირითადად,

ლირიკაში გაშუქდა და დამუშავდა კომუნისტური რელიგიის ძირითადი კონცეპტები (ბელადთა ჰიპერბოლიზებული სახის წარმოსაჩენადაც „განსაკუთრებით მორგებული პოეზია აღმოჩნდა, როგორც, ერთი მხრივ, ყველაზე მობილური, მეორე მხრივ, უფრო ეფექტური საშუალება მითოლოგიზებისათვის“ (ცხადაია, ციციშვილი 2013: 268), მაგრამ, მაინც საგანგებოდ ვიყენებთ „კომუნისტურ აგიოგრაფიას“, რადგან, ჯერ ერთი, ჰიმნოგრაფიის სპეციფიკა სადიდებელ-სავედრებელს უფრო გამოხატავს და მასში ვერგანივთდება იდეოლოგია ისეთი დოზით, როგორსაც პარტიული ცხოვრება, მისი ყოველდღიურობა ითხოვდა. მართალია, ჰიმნოგრაფიული ტექსტი განადიდებს ცისა და ქვეყნის შემოქმედს, როგორც არსთა გამრიგესა და ყოველივეს მიზეზს, დასაპამს; განსაკუთრებულ დიდებას სწირავს ყოველადწმინდა ღვთისმშობელს, ანგელოზთა დასს, წმინდანებს... თუმცა, აქვე იკვეთება ცოდვით დაცემული მონანიე ადამიანის სახეც. კომუნიზმში სინანულისთვის არავის ეცალა, უფრო სწორედ, სევდის ადგილი არ იყო, რადგანაც მუშათა და გლეხთა კლასზე ზრუნავდა მშობლიური (თუ მშობელი) პარტია და ისიც ადიდებდა მას. ამიტომ, ამ ტიპის მწერლობისათვის უფრო შესაფერისია ტერმინი „აგიოგრაფია“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიტერატურაში უკვე შექმნილია არაერთი ნაშრომი კომუნისტური აგიოგრაფიის შესახებ და ქართულ ლიტერატურულ სივრცეშიც უაღრესად საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული აკაკი ბაქრაძეს („მწერლობის მოთვინიერება“). ამდენად, ვეყრდნობით წარსულის ლიტერატურულ გამოცდილებასა და თანამედროვე კვლევებს.

როგორც შენიშნულია, „კომუნისტური აგიოგრაფიის გენეზისი უკავშირდება 1920-იანი წლების ლენინიანას (ორი ფუძემდებლური ტექსტი ლენინიანისა — პოემა ვ. მაიაკოვსკისა და ნარკვევი მ. გორკისა, რომლებიც წარმოგვიდგენენ „ლენინურ“ ბირთვს მოცემული უანრისას). შემდგომი

ლენინიანა, ასევე, შეიცავს აგიოგრაფიულ ელემენტებს: ეს-ენია: მ. ზოშჩენკოს მოთხრობები ბავშვებისათვის და მ. შაგინიანის „ბილეთი ისტორიაში“; ბ. პოლევოისა და ნ. უუკოვის წიგნი „ჩვენი ლენინი“; სერგეი ალექსეევის მოთხრობები და ა. შ. არც ლენინიანის მექავიდრე სტალინაში ვხედავთ არსებით ცვლილებებს. ერთადერთი ნოვაცია არის თხრობის ობიექტის შეცვლა. ლენინს ცვლის სტალინი“ (პოდლუბნოვა 2006:). ასევეა ქართულ სინამდვილეშიც. სტალინისადმი მიძღვნილ კრებულებში გვხვდება ლექსები ლენინზე და პირიქით. ქართველი მწერლებიც, „დიდი რუსი ძმების“ მხარდამხარ ქმნიდნენ ჯერ პროლეტმწერლობის ესთეტიკით შთაგონებულ „შედევრებს“ და შემდეგ — სოციალისტური რეალიზმის მეთოდით „გაბრწყინებულ“ ნაწარმოებებს. ასეთი იყო ტოტალიტარიზმის ლიტერატურული კანონი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელია ამ პერიოდის პოლიტიკური მხატვრული ლიტერატურა განვიხლოთ როგორც კარნავალური. ბახტინისეული კარნავალი და კარნავალიზაცია კარგად მიესადაგება იმას, რასაც და როგორც წერდნენ ბოლშევიკური სულისკვეთებით აღტკინებულნი. იმ გროტესკულ რელობას, რომელიც უღმერთო და უსულო პროფილით იმზირებოდა, მართლაც, თან ახლდა კარნავალური ლიტერატურის მახასიათებლები — კოლექტიურობის პათოსი და საკრალურის პაროდირება. საბჭოთა ხელოვნება ასეთი ესთეტიკით ყალიბდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბახტინისეული კარნავალურობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი და აკრძალული/დაშვებულის დიალექტიკა (გ.ზედანია), ეხებოდა შუა საუკუნეებს, მაგრამ ის, მართლაც, უფრო მეტს ამბობდა სტალინური რეჟიმისა და კომუნისტური ტოტალიტარიზმის შესახებ. კომუნისტური აგიოგრაფიის კვლევისას ჩვენ ვეყრდნობით სწორედ ბახტინისეულ კარნავალურობასაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ „კარნავალიზაციის“ ბახტინისეული კონცეფცია იმთავითვე

გააზრებულ იქნა, როგორც საბჭოთა სისტემის უარყოფის ესთეტიკური მცდელობა (თუმცა, ბოლო დროს მ. ბახტინის ეს მოძღვრება მიიჩნიეს თავად სტალინური ტოტალიტარიზმის თეორიულ-მხატვრულ დამკვიდრებად).

პოსტრევოლუციური საბჭოთა ხელოვნება რელიგიის ხალხის მტრად გამოცხადების პირობებში პირდაპირ ვერ მიმართავდა აგიოგრაფიულ ჟანრს, თუმცა კოლექტიური გაუცნობიერებლობის დონეზე „ცხოვრებათა“ ჟანრი მაინც აქტუალური იყო. „არამხატვრული სინამდვილე XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში ლიტერატურას სთავაზობდა მოღვაწის ახალ ტიპს — რევოლუციონერს, ბოლშევიკს, შემდეგში — კომუნისტს, რომელსაც ლრმად სწამდა სოციალური სამართლიანობისა „მიწიერ“ სამყაროში და თავს ზვარაკად სწირავდა მის დამყარებას. სხვათა შორის, თურმე მ. გორკი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია დაიწეროს „ცხოვრება ლირსი ნიკოლოზ ჩერნიშევსკისა“ (ბარახოვი 1976: 52). უკვე XIX ს.-ის მეორე ნახევარში გაჩნდა „რევოლუციური“ ტექსტები, რომლებიც თავისი არსით ახლოს იყვნენ აგიოგრაფიასთან (იხ. „რახმეტოური“ ეპიზოდები 6. ჩერნიშევსკის რომანში „რა ვაკეთოთ!“, ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკის „ანდრეი კოუხოვი“, 1900 წლის რუსი რევოლუციონერების პოპულარული ბიოგრაფიები). „ცხოვრებათა“ არქეტიპის აქტივობა 1920 წ.-დან განაპირობა, აგრეთვე, კომუნიზმის ძლიერება მიზანდასახულობამ „პერიოკული სინამდვილისა“ და მისი გმირების საკრალურობისაკენ. „საბჭოთა კულტურაში შემოიჭრა მითის საჭიროება. ახალი სინამდვილის იერის მოდელირებისათვის და გმირთა სახეების „განმინდანებისათვის“ ფართოდ მიმართავენ ქრისტიანულ ანალოგიებს. პოსტრევოლუციურ რიტორიკაში გაიბა პარალელი ლენინისა ქრისტესთან, ხოლო 1918 წელს ბელადზე ხელის აღმართვამ „აიძულათ დაენახათ ლენინში ვნებათდამთმენი“, მსგავსად წმინდა ბორისისა და გლებისა და მთავრის, ანდრეი ბოგოლუბსკისა“ (პოდლუბნოვა 2006:).

ქართულ მწერლობაში გორმა შეიძინა რაღაც ბეთლემისე-ბური, მისტიკური ნიშნები; დიდი ბელადის, სტალინის, ბავშვობა და ყრმობა ათასგვარი ლეგენდის სახით წარმოაჩინეს. საგულდაგულოდ დამუშავდა მგზნებარე რევოლუციონერის, ხალხისათვის თავდადებულის, მათს ბედზე ჩაფიქრებული და მათი თავისუფლებისათვის მებრძოლის მხატვრული სახე, შესაბამისად, — დადებითი გმირის ზოგადი მოდელი.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ კომუნისტური აგიოგრაფია, როგორც ქართული საბჭოთა ლიტერატურის მეტაუანრი. სისტემაში გავიაზროთ, დავინახოთ და შევაფასოთ ე. წ. პარტიული ლიტერატურა, როგორც ახალი დროის ულმერთო რელიგია და ამ იდეოლოგიის აგიოგრაფიული კანონით წარმოდგენის მცდელობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოეტური თუ პროზაული ტექსტები ბელადზე „არა მხოლოდ საბჭოთა სივრცეში იქმნება, როგორიცაა: რუსეთი, მოლდავეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო და ყველა დანარჩენი... არამედ ისეთ სახელმწიფოებშიც, როგორებიცაა: ჩინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, კორეა, ესპანეთი, ჩილე, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, კუნძული ჰაიტი და სხვ. წერენ: ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექს სურკოვი, ანატოლი სოფრონოვი, მაქსიმ რილსკი, ნიკოლა ბაჟანი, მაქსიმ ტანკი, უუმაგალი საინი, სამედ ვურგუნი, სულეიმან რუსტამი, სალომეა ნერისი, მარტ რაუდი, ანდრიას ვეიანი, ავეტიკ ისააკიანი, რასულ გამზატოვი, ემი სიაო, ჩუუ ცზი-ძი, იოანეს ბეხერი, ერის ვაინერტი, ფრანტიშეკ გრუბინი, ლაზარ სილიჩი, სე-მან-ირი, კიმ-დე-გიუ, პედრო გარფიასი, პაბლო ნერუდა, უორუ ამადუ, რაულ გონსალეს ტუნიონი, კარლოს აუგუსტო ლეონი, რენე დე-პეტრი. სწორედ თემატიკა და ზემოხსენებული პოეტური გეოგრაფია გვაიძულებს, ეს ტექსტები ერთმ-

ნიშვნელოვანი „საბჭოური“ შეფასებებით (ტირანია, შიში) არ ავხსნათ“ (ნიშნიანიძე 2010: 391-392).

1951 წელს გამოსცეს „სტალინის სახე უცხოეთის მოწინავე პოეზიაში“. ძნელი სათქმელია, რამდენად მოწინავე იყო ის ქვეყნები მაშინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით, მაგრამ ერთ ნიმუშს მაინც მოვიყვანთ: „ლათინური ამერიკის პოეტი რაულ გონსალეს ტუნიონი მიმართავს სტალინს: „მომავალ დღეთა ხარ დარაჯი, შენზე ოცნებობს ყველა, / ვინც გულით არის წმინდა, არის ალალი. / ...მეხში გრიგალში ალიმართე გმირი ტიტანი / და ეს ქვეყანა დალუპვისგან შენ იხსენ, სტალინ“ (აბაშიძე 1951: 6).

როგორც რევაზ სირაძე ფიქრობდა, აგიოგრაფია ქრისტიანული თარგმანებაა სინამდვილისა. ამის კვალობაზე თუ ვიტყვით, ოქსიუმორონი „კომუნისტური აგიოგრაფია“ ზუსტი განმარტებაა საბჭოთა ეპოქის პოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალური გაუგებრობისა, იმ დიდი პარადოქსისა, თითქმის 70 წელი რომ იბოგინა დედამიწაზე და სამყაროს საზრისს ნახევარი ნაბიჯითაც არ მიახლოებია. მეტიც, არც უცდია ეს, რადგან სხვა უფრო ვერაგი გეგმა ჰქონდა განსახორციელებელი. ზუსტი დეფინიცია მისცა ამ ტრაგიკულ დროს ჩვენმა გამორჩეულმა პროზაიკოსმა: „დღევანდელ ეპოქას სული არა აქვს და, თუ აქვს, მძულვარებაა მისი სახელი — მიხეილ ჯავახიშვილი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „საბჭოთა პოლიტიკური დისკურსის სივრცეში მართლმადიდებლური რწმენა შეცვალა დოგმატიზებულმა მარქსიზმა, რამაც მესიანური, ესქატოლოგიური რელიგიის ყველა ატრიბუტი შეიძინა“ (კიზირია 2010: 377). ოღონდ, ეს ცვლილება ძველის ნგრევით, ეკლესიასთან დაპირისპირებით იკაფავდა გზას. უფრო კონკრეტულად კი იმას, თუ როგორ დაიწყო და ნარიმართა ათეიისტური პროცესები საქართველოში, დაწვრილებით ქვემოთ შევეხოთ.

# ნაცილი პირველი

## ცითალი ტერორი — ანტირელიგიური დისკურსი

1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის დიდი თავსატეხი გაუჩინა კაცობრიობას. პლანეტა დედამიწა ნელ-ნელა და აგრესიული მიზანსწრაფულობით ათეიზმის ეპოქაში შევიდა. ახალმა პოლიტიკურმა ფორმაციამ, - პროლეტარიატის დიქტატურამ, - დაინყო მიზანმიმართული კამპანია რწმენისა და, შესაბამისად, ადამიანის ნინააღმდეგ. საბჭოთა სივრცეში საგანგებოდ იწერებოდა ნაშრომები თემაზე კომუნიზმი და რელიგია. ჯერ კიდევ 1920 წელს ქუთაისში ქართულ ენაზე გამოსცეს ს. მინინის „რელიგია და კომუნიზმი“. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ეს ხდება თავისუფალ საქართველოში, დამოუკიდებელი მთავრობის პირობებში, უკვე მიუთითებს იმასაც, თუ ჯერ კიდევ როდიდანაა დაწყებული ანტირელიგიური პროპაგანდა. მაშინ, როცა ნაშრომი ითარგმნა და დაიბჭედა, საქართველო არ იყო ანექსირებული რუსეთის მიერ, თუმცა არღამდგარი შედეგი ულმერთობისა ამ წიგნითაც ნათლად ვლინდება: „კომუნიზმი ეს არის დაპყრობა სახელმწიფოს ძალაუფლებისა პროლეტარიატისა-გან და მის მხარის დამჭერ რევოლუციონურ გლეხობისაგან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით“. გარდა ამისა, წიგნში დასმულია შეკითხვა: „სდევნის კომუნიზმი რწმენის თავისუფლებას თუ არა? - არა, არ სდევნის! - გვამშვიდებდა წიგნის ავტორი. ს. მინინის აზრით, ამბობენ, კომუნისტები

სულ ამქვეყანაზე ფიქრობენ და აზროვნებენ, ზეცა კი დაავინებათო ... ჩვენ უამისოთაც ცაზე ვცხოვრობთ“ - ასეთი ირონიული იყო პასუხიც (მინინი 1920: 8-9). „კომუნიზმი და რელიგია ერთი მეორის მოწინააღმდეგე იდეებია. კომუნიზმი ნიშნავს განათლებას, რელიგია - სიბნელეს; კომუნიზმი ნიშნავს განთავისუფლებას, რელიგია - დამორჩილებას“<sup>1</sup> - წერდა გაზეთი „სპარტაკი“ (№69, 6 იანვარი, 1924 წ.). სისხლიან 1937 წელს დაიბეჭდა ე. იაროსლავსკის „კომუნიზმი და რელიგია“, რომელშიც საბჭოთა კავშირის მთავარი უღმერთო ასე მსჯელობს: „ყველა რელიგიური ორგანიზაციის მოძღვრება საზოგადოების შესახებ ეწინააღმდეგება კომუნიზმს. ყოველგვარი რელიგია ადამიანებს უნერგავს აზრს, თითქოს სადღაც არსებობს ღმერთი, რომელიც ვითომ განაგებს ადამიანთა ბედს და მთელ მსოფლიოს ბედ-ილბალს... ღმერთი თავადების, ბატონების უმაღლესი წარმომადგენელია... ღვთის სახელით ეკლესია მიუწოდებს (ადამიანებს - ს.მ.) მოთმინებისაკენ, ექსპლოატატორებისადმი დამორჩილებისაკენ. ეკლესია დასტურს აძლევს ქალთა უთანასწორობასა და დამონებას“ (იაროსლავსკი 1937: 14-16).

როგორც ვხედავთ, რელიგია გაბატონებული კლასების იდეოლოგიად გამოცხადდა, კაპიტალიზმის დასაყრდენად: „კაპიტალიზმის ყველაზე ცხოველ ნაშთს ადამიანის შეგნებაში რელიგია წარმოადგენს. რელიგიური ნაშთების დაძლევა მოითხოვს დაუინებულ და სისტემურ ანტირელიგიურ პროპაგანდას, აგიტაციას, მოსახლეობაში დიდი აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას (მეთოდური წერილი... 1941: 3). განსხვავებული მიდგომა აქვს თეიმურაზ ფანჯიკიძეს. მისი აზრით, „კითხვაზე, თუ რატომ დევნიდა კომუნისტური იდეოლოგია ეკლესიას, რატომ ვერ იგუა მან რელიგია, პასუხი ნათელია - მათი შერიგება არასეზით არ შეიძლებოდა, რადგან კომუნის-

1. გამუქება აქაც და სხვაგანაც ჩვენია — (ს.მ.).

ტური მოძღვრება თვითონ მოგვევლინა რელიგიის როლში და მას, ცხადია, სხვა რელიგიის აღიარება არ შეეძლო. ხოლო საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად და დასანერგად სხვა რწმენის განადგურება იყო საჭირო“ (ფანჯიკიძე 2003:). იყო მცდელობა კომუნიზმისა და რელიგიის მორიგებისა. შვეციის კომუნისტური პარტიის წევრმა, ხეგლუნდმა, სცადა ეს შერიგება, მაგრამ მაშინვე თავს დაესხნენ საბჭოთა კომუნისტები, მაშინვე უწოდეს მოღალატე (როგორც სჩვეოდათ), რომელმაც „უღალატა პროლეტარულ დროშას და გადავიდა კომუნიზმის მოღალატეთა ბანაკში“ (იაროსლავსკი 1937: 20).

კარლ მარქსი წერდა: „რელიგია რეალური სამყაროს რეფლექსია. ის ბანგია, რომლითაც გაბატონებული კლასები სწამლავდნენ ხალხის შეგნებას“. მისი ეს დებულება ასე გაახმიანა ლენინმა: „თანამედროვე რელიგია და ეკლესია ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოა, რომელიც მუშათა კლასის ექსპლოატაციას ემსახურება“. როდესაც ასეთია სახელმწიფოს პოლიტიკა, მაშინ ყველაფერი კეთდება ბელადთა „შეგონებების“ ხორცესხმისათვის. ამიტომაც, აღარაა გასაკვირი დასკვნები: „ეკლესია ყოველთვის და ყოველმხრივ ამართლებდა ადამიანთა ჩაგვრას და ექსპლოატაციას“ (სააღდგომო ანტირელიგიური... 1929: 4); „მარქსი გვასწავლის, რომ რელიგია მხოლოდ მოჩვენებითი მზეა, რომელიც ადამიანის გარშემო მოძრაობს მანამდე, სანამ იგი თავის თავის გარშემო დაიწყებდეს მოძრაობას (ჩაფიძე 1962: 97); ყველა რელიგია მიბაძვა და პლაგიატია წინანდელი რელიგიისა (საბჭოთა აფხაზეთი, №97, 1940: 2).

**რით არის უარყოფითი რელიგია და რისთვის ვებრძვით მას? -** ასეთი შეკითხვა დასვა გაზეთმა „სპარტაკმა“ 1924 წლის 6 იანვრის (№69) ნომერში და ასე უპასუხა: „რელიგია კლასობრივი ჩაგვრის იარაღია... ფეოდალები ამაგრებდნენ თავის ბატონობას სარწმუნოებით“. ამ თემაზე ფიქრს ვერ ამთავრებს გაზეთი და 25 აპრილის 88-ე ნომერში ბეჭდავს ემელიანე იაროსლავსკის ასეთ სიტყვებს: „რელიგია არის სული-

ერთ ჩაგვრის ერთი სახეთაგანი, რომელიც შედეგია მდაბიო ხალხის უიმედობისა, რომელთაც სული ამოსდით მუდმივათ სხვის მორჩილებაში და სამსახურში (ლენინი). ჩვენ, მისი (ლენინის - ს.მ.) მოწაფეები... ვიქადაგებთ მებრძოლ მატერიალიზმს, ერთ-ერთ აუცილებელ გამოხატულებათაგანს, რომელიც არის ათეოზმი - ულმერთობა“.

დანაპირები პირნათლად შეასრულეს!!!

საბჭოეთმა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანულ რელიგიას, ეკლესიას, ზოგადად — რწმენას. როგორც თავის დროზე სიამაყით წერდნენ: „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის თვისობრივად ახალი ეტაპი... ეკლესია-მონასტრებისათვის მიწების ჩამორთმევა, სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლების გამოყოფა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვა, რელიგიის გამოცხადება მოქალაქეთა პირად საქმედ, რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ პროპაგანდის თავისუფლების აღიარება რელიგიას სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს აცლიდნენ“ (კვესელავა 1979: 73).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბოლშევიკების მიერ წამოწყებული ტოტალური ტერორი ეკლესიის მიმართ გაგრძელება იყო ჯერ მეფის რუსეთისა და შემდეგ ნოე ჟორდანიას ანტისაეკლესიო პოლიტიკისა. შუა საუკუნეების ეპოქა თავისი სიმშვიდითა და დაურღვეველი ფსიქიკით ისტორიის კუთვნილება გახდა. სამყარო მოიცვა სულიერმა შფოთმა და წუხილმა, ადამიანი დაიბნა, დაშორდა ღმერთს, ერთმანეთს მიჰყვნენ კრიზისული ეპოქები. ამას ისიც დაერთო, რომ საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. მე-19 საუკუნე შავად გაუთენდა ქართველ ერს: დაპყრობილი, სახელმწიფოებრიობა დაკარგული, რუსის ჩექმით გათელილი ქვეყანა; საქართველოს ეკლესია ავტოკეფალია დაკარგული, გაუქმებ-

ული ტახტი კათალიკოს-პატრიარქისა, ჩამორთმეული ქონება და ეკონომიკურად წელში გატეხილი ქართული ეკლესია, გაუქმებული ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებანი, რუსის ეგზარქოსი დანიშნული ეკლესიის მწყემსმთვარად („ეგზარხოსებად განგებ ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებსაც სძულდათ ქართველი ხალხი, ქართული ენა, ქართველი ერის კეთილდღეობა“ (ნიკოლაძე 1918: 210).

რუსიფიკაციონული პოლიტიკა დანერგილი იყო თავად რუსების მიერვე გაძარცულ ქართულ ეკლესიაში (უფრო ვრცლად იხ. 24-გვერდიანი უნიკალური ნაშრომი „**საქართველოს ეკლესიის აკლება**“, ტფილისი: ბაქოს წიგნების გამომცემელ ამხ. „კალამი“-ს გამოცემა 7, 1907 („იდეალი“-ს სტ.), დანერილი რუსი ავტორის მიერ, რომლის ვინაობაც უცნობია): „ავტოკეფალიის გაუქმების დროისათვის ქართლ-კახეთში იყო 13 ეპარქია (თბილისის, მცხეთის, სამთავროს, რუსისის, ურბნისის, წილკნის, სამთავისის, ნიქოზის, ალავერდის, ნინოწმიდის, რუსთავის, ნეკრესის, ბოდბის). მთავარმმართებელ ტორმასოვის ცნობით, იყო 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკვანი და სხვა დანარჩენი 661 სასულიერო პირი. არქეპისკოპოს ვარლამ ერისთავის პროექტით, კახეთის 5 საეპისკოპოსო უნდა გაერთიანებულიყო ერთ – ალავერდის ეპარქიად, ხოლო ქართლის 8 საეპისკოპოსო ერთ – მცხეთის ეპარქიად. მისი შემოსავალი დაახლოებით ტოლი იყო 16 960 მანეთისა, კახეთის ეპარქიისა კი – 9 500 მანეთის. არსებული 9 საარქიმანდრიტოს ნაცვლად, ვარლამის პროექტით, უნდა დარჩენილიყო 5 (ბოდბის, ქვათახევმღვიმის, კახეთის, დავითგარეჯას და იოანე ნათლისმცემლის). „ეს პროექტი წმ. სინოდმა დაამტკიცა და დაადგინა:

1. გაუქმდეს 13 ეპარქია და დარჩეს 2, ხოლო 9 არქიმანდრიტის ნაცვლად — 5;

2. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს მცხეთა-ქართლის მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი და მიენიჭოს მას

მუდმივი ეგზარქოსის წოდება. ამავე დროს, იგი იყოს წმიდა სინოდის წევრი;

3. საქართველოში გაუქმდეს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს წმიდა სინოდის განყოფილება – დიკასტერია, რომელიც ყველაფერში დაემორჩილება წმიდა სინოდის გადაწყვეტილებებს.

ეს დადგენილება წმიდა სინოდმა განიხილა 1811 წლის 24 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 30 ივნისს. ესაა დღე, როდესაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაჰკარგა ავტოკეფალობა და დაიწყო უმძიმესი პერიოდი მის შემდგომ მოღვაწეობაში. ეპარქიების შემცირებას რუსული ხელისუფლება ადრეც მიმართავდა. ციციანოვმა (1802-1806) ქართლში 6 ეპარქიიდან დატოვა 3. ეს ხდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პირების კათედრიდან ჩამოსაშორებლად“ (ჯაფარიძე 2009: 1095).

1811 წელს გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. „სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძე ჯარისკაცებმა გატყიპეს და ანაფორა ზედ შემოახიეს და მარტყოფში დააპატიმრეს, ბატონიშვილის იულონის ერთგული რათა ხარო. კათალიკოზის დეკანოზს, სოლომონს, ჯარი ჩაუყენეს სახლში და შეურაცხყოფა მიაყენეს. ყველასგან პატივცემული მეცნიერი მღვდელმოლაზონი იოატის ანდრონიკაშვილი შეურაცხყვეს ცემა-ტყეპით და ციხეში ჩასვეს.

1814 წელს დაიხურა სასულიერო დიკასტერია (სასამართლო). მოიშალა ქართველი სემინარია. ქართული გალობისა და ენის ხსენებაც კი არ იყო“ (ჯვარი ვაზისა 1906: 11).

ასეთი კატასტროფის პირობებში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნებოდა გაუკულმართებული, შეცვლილი და შერყვნილიც. ამიტომ წუხდა ილიას ლელთ ღუნია. მან იცოდა მიზეზი ქართველთა უბედურებისა: „ერი დავარდნილ, გალახულ არნ. ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა

სახელი, ქართველთა წესონაბაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ...“

როდესაც ქართველ ერს 1918 წელს ნანატრი დღე დაუდგა და, ერთ დროს რუსეთის გუბერნიად ქცეული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპადებას ზემობდა, ქართული ეკლესიაც იმედით შესცეროდა მომავალს, მაგრამ იმედი არ გამართლდა: მძიმე დღეში იყო ცარიზმისდროინდელი სარწმუნოებრივი პოლიტიკის შედეგად, ფაქტობრივად, ხერხემალში გადატეხილი საქართველოს ეკლესია. რუსის ჩექმით გათელილი ქართველი ერი გმინავდა და ეს კვნესა „ქართვლის ძილშია“ ისმოდა. თუმცა, ბევრი არაფერი შეცვლილა. **რუსიფიკა-ტორული პოლიტიკა ეროვნული ანტისაეკლესიო კამპა-ნიით შეიცვალა:** „სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კანონპროექტმა, საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ, საეკლე-სიო-სამონასტრო მიწების დეკრეტმა, ქართულ ქრისტიანობასთან საქართველოს ყველას აღმსარებლის გათანაბრებამ, ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემისათვის მრევ-ლში გაწეულმა მუშაობამ და სხვ. საქართველოს საეკლესიო ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია გამოიწვია. ქვეყანაში მიმდინარე ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად დაინგრა და განადგურდა მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო კათედრები, გაუქმდა მათი ფუნქციონირება, დაცარიელდა ეკლესია-მონასტრები, დაიხურა მონასტრებთან არსებული სასწავ-ლო-საგანმანათლებლო ცენტრები. ასეთი ვითარების ფონზე აშკარა იყო, რომ საქართველოს ეკლესიას გადაგვარების ახალი საფრთხე შეექმნა, რომელიც ამ ეტაპზე ქვეყნის შიდა ეროვნული პოლიტიკური ძალებიდან მომდინარეობდა (პავ-ლიაშვილი 2000: 180).

დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი მენშევიკები არ ღალატობდნენ თავიანთ მარქსისტულ

შეხედულებებს რელიგიასა და ეკლესიაზე, ამიტომაც, საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 25 ნოემბრის კანონით მათ საღვთო სჯულის სწავლება გააუქმეს:

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში, — ნათქვამი იყო კანონში, — გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირი-სათვის.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით.

4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავისი ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას.

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რაც შემდეგში ბოლშევიკებმა თავს დაგვატეხეს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მხრიდან ქართული ეკლესია უკიდურესად შევიწროებული აღმოჩნდა. სასულიერო წოდების პროტესტი და აღშფოთება პიკს აღწევდა. პირწავარდნილ მარქსისტს, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, ეპისკოპოსმა ლეონიდემ ოფიციალური წერილით მიმართა: „მონასტრებში, ეკლესიებში ხალხი ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ, თუ მიწა არ ექნებათ? რომელის სახელმწიფოებრივი საქმე უნდა მორიგდეს მშრომელი ბერების შიმშლისაგან განყვეტით დაჩინი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?“ (იქვე: 196). პროცესები ერთობ დაიძაბა და გამწვავდა. გულხ-

ელდაკრეფილი არც ქართველი ინტელიგენცია ყოფილა. ის შეშფოთებას გამოთქვამდა რესპუბლიკის ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამო, ამ ფაქტს ეროვნულ უსამართლობად აცხადებდა და ქართულ ეკლესიას აგრძესითა საგან დაცვას ჰპირდებოდა. ამის ერთი ნათელი მაგალითია 1920 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის წერილი კათოლიკოს-პატრიარქისადმი: „მე და ჩემი ოჯახი უკიდურესად აღშფოთებული ვართ იმ უმაგალითო უსამართლობით, რომელიც მიაყენეს საქართველოს ეკლესიას და მის მამახელმძღვანელს - თქვენს უნმინდესობას! ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ღვთის შეწევნით ჩვენი მოთმინება-მოკრძალებაც და სხვა კადნიერებაც, ადრე თუ გვიან, დაფასდება ქართველი ხალხის მიერ და ყველას თავისი ხვედრი მიეძღვნება. ეს დრო შორს არ არის“ (პავლიაშვილი 2000: 198).

1918-19 წლებში სიტემატური ხასიათი მიეცა სასულიერო წოდების სხვადახვა ფენის წარმომადგენლების გაფიცვებს; ღვთისმახურება შეწყვიტა ბანდის, სუჯუნის, საჩილაოსა და აბაშის სამღვდელოებამ. გაფიცულები თავიანთი პროტესტის საბუთად მთავრობის მხრიდან სამღვდელოებისადმი უყურადღებობას ასახელებენ. დეკანოზი ნ. ნათიძე ეპისკოპოს ლეონიდეს სწერდა: „ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ გამოუცხადა სამშობლო ეკლესიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი (პავლიაშვილი 2000: 200). ამას დაემატა ისიც, რომ სიღარიბე-სიღატაკეს ებრძოდა ქვეყანა. რელიგიური გულგრილობისა და ნიჭილიზმის სიონ ძლიერ ქარიშხალში იყო გადასული. სასულიერო წოდება კატასტროფის პირისპირ დადგა: „მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამღვდელოება, როგორც წოდება, რომ გადარჩენილიყო, საამისოდ აუცილებელი იყო, მას ჰქონიდა ელემენტარული საარსებო სახსარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იძულებული გახდებოდა, მიეტოვებინა საეკლესიო სამ-

სახური და სამუშაოდ სამოქალაქო დაწესებულებაში გადა-სულიყო, რაც ეროვნული ეკლესიის საბოლოო განადგურებას გამოიწვევდა” (იქვე: 187). სოციალ-დემოკრატიული მუშათა პატია სამღვდელოებაში შეჭრილი თავისი აგენტურის მეშვე-ობით ყველაფერს აკეთებდა, რათა საბოლოოდ გაენადგურე-ბინა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი, პატივი და ღირსება.

ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რაც შემდეგში ბოლშევიკებმა თავს დაგვატეხეს. საქართველოს ეკლესიის ხელისუფლება დე-მოკრატიული საქართველოს მთავრობას ეროვნული ეკლე-სიის გაძარცვაში სდებდა ბრალს. ახალციხიდან მღვდელი გრიგოლ ფერაძე კათალიკოს-პატრიარქს გულისწუხილით უსამძიმრებდა გელათის მონასტრიდან სიწმინდეთა გატანის გამო: „ვგრძნობ, აგრეთვე, ამით არ შეჩერდება მთავრობის „მოღვაწეობა“ და დაერევიან დამშეულ-გაძარცული, გონე-ბა-ტვინ გალაყებული მენშევიკები მთელს საქართველოს სი-წმინდეთა შესამუსრავად“ (პავლიაშვილი 2000: 197-198).

რაც მენშევიკებმა დაგვაკლეს, სრულად აგვინაზღაურეს ბოლშევიკებმა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ამ განსაცდელისთვისაც უნდა გაეძლო!

\*\*\*

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21-ე დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლე-სიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. მოგვი-ანებით სტალინი იტყვის: „როცა ჩვენ ეკლესია გამოვყავით სახელმწიფოსაგან და გამოვაცხადეთ სარწმუნოების თავი-სუფლება, ჩვენ მასთან ერთად ყველა მოქალაქეს დავუტოვეთ იმის უფლება, რომ დაჯერების, პროპაგანდისა და აგიტაციის გზით იბრძოლოს ამა თუ იმ რელიგიის, ყოველგვარი რელი-გიის წინააღმდეგ“.

ნათელი იყო ის მზაკვრული გეგმა, რომელიც პარტიას ჰქონდა ჩაფიქრებული რწმენის ამოსაძირკვად.

საქართველოს ცეკასთან არსებულმა აგიტაცია-პროპა-განდის განყოფილებამ მოსახლეობის ფართო მასებში ან-ტირელიგიური კამპანიის წარმოების გეგმა შეიმუშავა. 1923 წლის 23 თებერვალს საქართველოში გამომავალმა ყველა გაზეთის რედაქტორმა საქართველოს კომპარტიის მდივნის, მიხეილ კახიანის, ხელმოწერით მიიღო **საიდუმლო ცირკუ-ლარი:** პარტია ავალებს გაზეთებს, გამოყონ სპეციალური რუბრიკა, რომელშიც სისტემატურად დაიბეჭდება ანტირე-ლიგიური მასალები და კარიკატურები.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომის მიერ გა-მოცემული სპეციალური დეკრეტით, საქართველოს მარ-თლმადიდებელი ეკლესია, ფაქტობრივად, კანონგარეშედ გამოცხადდა: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება. საქართველოში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებათ“.

1922 წლის 23 თებერვალს რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი საეკლესიო განძეულობის ამოღების შესახებ. საქა-რთველოში 10 აპრილს გამოვიდა მსგავსი დეკრეტი, რომ-ლის ძალით საქართველოს ეკლესიის სიმდიდრე ამოიღეს ქვეყანაში არსებული ეკლესიის თითქმის მესამედიდან, — 600-მდე ეკლესია-მონასტრიდან. ამოღებული საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მი-იღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად, დახუ-რული ეკლესიების ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, გადაეცა სამუზეუმო დაწესებულებებს, დანარჩენი კი (ოქრო-ვერ-ცხლი, ძვირფასი თვლები) - ხელისუფლების ადგილობრივ

ორგანოებს სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთა დასახმარებლად და, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოსაყენებლად (ბასილაძე 2010:).

მასობრივი ხასიათი მიიღო სასულიერო პირების დევნამ. მღვდლებს აშინებდნენ, სცემდნენ, ძალით კრეჭდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. გასაბჭოებამდე საქართველოში 1600-მდე სასულიერო პირი მოღვაწობდა. 1923 წლის აპრილში მათი რიცხვი 500-მდე შემცირდა. საინტერესოა ერთი ფაქტიც: **მაზრებს შორის ეკლესიების დახურვაში სოციალ-ისტური შეჯიბრებები ეწყობოდა.** საქართველოს ანექსიამდე 1450 ეკლესია და მონასტერი არსებობდა. 1923 წელს კომუნისტური საქართველოს მმართველი ბესარიონ (ბესო) ლომინაძე მოსკოვს ატყობინებდა: ჩვენ ამ წელს 1500-ზე მეტი ეკლესია დავკეტეთო, მათ შორის მაზრების მიხედვით: თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისის მაზრაში - 160, შორაპნის მაზრაში - 148, ოზურგეთის მაზრაში - 130, რაჭა-ლეჩხუმში - 255, გორის მაზრაში - 78, ზუგდიდის მაზრაში - 75, სიღნაღის მაზრაში - 65, ცხინვალის ზონაში - 60 ეკლესია-მონასტერი (კვესელავა 1979: 76). სენაკის მაზრაში დაიხურა ყველა ეკლესია (როგორც იტყობინებოდნენ, ეკლესიის დახურვას წინ უსწრებდა გრანდიოზული მიტინგი, ხალხი „ვაშას“ ძახილით დაიძრა ეკლესიისაკენ, სახურავიდან ჩამოსხნეს ჯვარი, გუმბათზე ჯვრის ადგილზე ვარსკვლავი აღმართეს); დაიკეტა გელათის მონასტერიც. დაანგრიეს ქუთაისის საკათედრო ტაძარი. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით, „**დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო), მასალა გამოყენებულ იქნას ძმათა სასაფლაოს შემოსალობად.** იმ ადგილას კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილას დაიდგას ამხანაგ ლენინის ძეგლი“. აღმფოთებული წერდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი: „**მე არ ვენინააღმდეგები არამორწმუნეთა მიერ მორწმუნეებთან იდეურ ბრძოლას, მაგრამ ჩემი არსება ვერ**



შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის კანონების წინააღმდეგ არასრულწლოვანმა ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი” (ვარდოსანიძე 2001:).

ცოტა მოგვიანებით ქუთაისის ბედს გაიზიარებს „თბილისის სობოროვ“, იგივე ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (Тифлисский Александро-Невский военный собор)

— აგებული რუსეთის იმპერიული მმართველობის მიერ 1870-90-იან წლებში (კათედრალის მშენებლობა 1871 წლის 16 აპრილს დაიწყეს მეფისნაცვლის, დიდი მთავრის – მიხეილ ნიკოლოზის ძის თანდასწრებით. ტაძარი ააგეს „ალექსანდროვის“ ბალის ზემო ნაწილში გუნიბსკის (ლუნიბის) მოედანზე<sup>1</sup>.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ნოე ჟორდანიას სამშობლოდან გაძევების შემდეგ, წალენჯიხის რაიკომისა და ჩეკას დადგენილებით, კომუნისტებს სოფელ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია დაუნგრევიათ. ამ ვანდალური აქტით აღშფოთებულ ტერენტი გრანელს

---

1. (მოგვიანებით „სობორნი მოედანი“, დაერქვა, ამჟამად რუსთაველის გამზირის ნაწილი). ტაძარს განაგებდა საქართველოს ეგზარქატი 1917 წლამდე, რის შემდეგაც იგი გადაეცა ავტოკეფალია მინიჭებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის საპატრიარქოს. 1921 წლის თებერვალში ტაძრის ეზოში დასააფლავეს საქართველოს სამხედრო სკოლის სტუდენტები (იუნკრები), რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მე-11 არმიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930 წელს კომუნისტურმა მთავრობამ დაანგრია ტაძარი, რომლის ადგილას აშენდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლე (ახლანდელი პარლამენტის შენობა). სასახლის ეზოს ტერიტორიაზე შემორჩენილ სასულიერო პირთა კელიებში 2007 წლის 26 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხარების სახელობის სამლოცველო გაიხსნა).

თავისი პროტესტი ასე ქრისტიანულად გამოუხატავს: „რას შვრებიან ეს ცოდვილი შვილები, / ღმერთო შეუნდე, ღმერთო, უშველე ამ ცოდვილებს. / ეს ტაძარი ჩვენი მამაპაპათა ოფლით ნაგები სიწმინდეა, / ღმერთო, შეუნდე, ამ ცოდვილებს“ (სორდია 2009: 54).

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რუსული იმპერიალისტურ-შოვინისტური პოლიტიკის გაგრძელება იყო. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართული ეკლესიის იმდროინდელი მეთაურის, ეგზარქოს ევგენი ბაჟენოვის ბრძანებით სვტიცხოვლის ფრესკები შეუთეთრებიათ, კირის რამდენიმე ფენით დაუფარავთ. ამ ვანდალიზმს რუსული საეკლესიო ხელისუფლება „რესტავრაციას“ უწოდებდა. გამართლებაც მოუძებნეს, თითქოსდა იმიტომ მოიქცნენ ასე, რომ ცუდ მდგომარეობაში მყოფი ქართული ფრესკები არ უნდა ენახა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, რომლის ჩამოსვლასაც ელოდნენ საქართველოში 1837 წელს. როგორც ხელოვნებათმცოდნები ამბობენ, XIX ს-ისთვის სვეტიცხოვლის ფრესკებს, მართლაც, სჭირდებოდა რესტავრაცია. მათი გადარჩენისათვის ფრთხილი და ფაქიზი სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო, მაგრამ ყველაფერი უხეშად და უგულოდ გააკეთეს, რის გამოც ბევრი ფრესკა დაიღუპა. ამ რესტავრაციას ორ დიდ ეტაპად უნდა ჩაევლო. პირველი იყო 1837-1844 წლებში, საქართველოს ეგზარქოს არქიეპისკოპოს ევგენის მიერ, რომლის დროსაც „პოდრიადჩიკმა“ ხეჩო დარჩილოვმა ააფეთქა ტაძრის გარეშემო სტოები, ხოლო ჩამოცვენილი ქვები ახალი, მცირე ზომის კვადრებით შეუცვლია.

დამპურობელი პოლიტიკას არც მე-20 საუკუნეში ცვლიდა, ოღონდ უკვე - ქართველის ხელით!

1923 წლის გაზეთ „კომუნისტები“ (№62, 20 მარტი) დაიბეჭდა წერილი „რელიგია და მასთან ხალხის დამოკიდებულება“. გარდა იმ დეზინფორმაციისა, რომ თითქოს მოსახლეობა

სრულიად აღფრთოვანებულია „ბნელეთის ტაძრების“ დახურვით, მკვიდრდება ახალი ესთეტიკური ფორმები: ეკლესიის დაძველებული კედლები, დამპალი და ჩამონგრეული სახურავი, მოხსნილი ზარები... როგორც გამოფხიზლებული ერის სიამაყე: „ხალხი უკვე გამოფხიზლების გზაზეა დამდგარი, - ვკითხულობთ გაზეთში, - დღეს მან უკვე იცის, თუ რა ფასი და მნიშვნელობა აქვს რელიგიას და შესაფერისად ეპყრობა მას. ხის დაძველებული კედლები, დამპალი და ჩამონგრეული სახურავი, ზარები მოხსნილი და სკოლების ეზოში გადატანილი - აი, მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება უმრავლესობა აქაური ეკლესია-ტაძრებისა“.

მორწმუნების თვალწინ იარაღს ესროდნენ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვრებს, მირონით ინმენდნენ ჩექმებს, ამტვრევდნენ ხატებს. ლეჩეუმში, აღდგომის ღამეს, მორწმუნეთათვის ხელის შეშლის მიზნით, კომუნისტიმა აქტივისტებმა ლაილაშის ეკლესია დაწვეს. ჭიათურის რაიონის სოფელ ჩხიროულში პარტკომის ინსტრუქტორმა შუკაკიძემ რელიგიის უძლურების დასამტკიცებლად ხალხის თვალწინ ეკლესიის ეზოში მაუზერით დახვრიტა ხატები (ბასილაძე 2010:).

მიუხედავად ასეთი გაუგონარი აგრესიისა, ქართველობას არ ეთმობოდა მამაპაპისეული რწმენა, შესაბამისად, იზრდებოდა დაძაბულობა და წინააღმდეგობა, მაგალითად: დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პატარა ირაგაში, სადაც მოსახლეობა წინ აღუდგა აქტივისტების მცდელობას ეკლესიის დახურვასა და კლუბად გადაკეთებაში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხალხის დასამინებლად დააპატიმრა რამდენიმე აქტიური მორწმუნე. აღშფოთებულმა თანასოფლელებმა დეპეშა გაუგზავნეს თბილისში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს, და მოითხოვეს უკანონობის აღკვეთა. 1923 წლის ნოემბერში თეთრიწყაროს (აღბულალის)

თემალმაკომს ასეთი საიდუმლო მითითება მიუვიდა: „საქართველოს ცაკის საქმეთა მმართველობა გთხოვთ, საჩქაროდ მიაწოდოთ ცნობები სოფ. პატარა ირაგაში ეკლესის დახურვისა და მორწმუნეთა დაპატიმრების შესახებ“ (ვარდოსანიძე 2010:). ხელისუფლება თურმე იძულებული გახდა დაეტუქსა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირელი აქტივისტები. 1923 წლის 28 თებერვალს საქ. კპ/ბ/ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შესახებ მიიღო საგანგებო ცირკულარი, რომელიც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს ავალებდა, მეტი სიფრთხილე და თავშეკავება გამოეჩინათ ადგილებზე, რათა არ გამოეწვიათ მოსახლეობის ნაწილის ამხედრება ხელისუფლების წინააღმდეგ: „უდიდესი სიფრთხილით, უდიდესი წინდახედულებით, გამოცდილების გამოყენებით, ჩადენილი შეცდომების არდავიწყებით პარტია განაგრძობს თავის ბრძოლას ყოველგვარი ღმერთების, ეკლესიების, მღვდლების, დღესასწაულების... წინააღმდეგ — მიზანშეწონილ, დაუზოგავ ბრძოლას“ (სოფლის კომუნისტი 1925: 19). შესაძლებელია ითქვას, რომ 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილება, რომელმაც გააუქმა რელიგიური მსახურების შეზღუდვა (და უფრო ადრე, 1923 წლის მაისის თათბირი, რომელმაც დაგმო ადმინისტრაციული წესებით ეკლესიების დახურვა და ძალადობა, ანტირელიგიური მუშაობის ტემპის დაჩქარება და პარტიის სწორი ხაზის გამრუდება) უფრო ფორმალური დოკუმენტი იყო. მართალია, დანანებით წერდა გაზეთი „სპარტაკი“: ზოგან გლეხობის ფართო მასების თვალში ჩვენმა ანტირელიგიურმა მეთოდმა დაკარგა კავშირის ავტორიტეტიო... წამოაყენეს ახალი ლოზუნგიც: ანტირელიგიური ბრძოლის, პროპაგანდის ფართო ნიადაგზე დაყენება ძველი, ზედაპირული კამპანიების ნაცვლად! (სპარტაკი 1924:). მაგრამ, ეს ყოველივე მაინც ფიქცია იყო,

რადგან, ფაქტობრივად, ბოლშევკური სისწრაფე შეიცვალა ბოლშევკური სიფხიზლითა და სიმტკიცით. აღვირახსნილ ანტირელიგიურ კამპანიასა და ქმედებას უკვე ვერანაირი ძალა ვეღარ შეაფერხებდა. აისპერგი დაძრული იყო და არც მისი დაფარული მხარის ამოცნობა გაუძნელდებოდა ვინმეს. ცოტა მოგვიანებით შემზარავი დანაშაული მოხდა შიომღვიმეში, ბეთანიაში, კაბენის მონასტერში — უცნობმა პირებმა გაძარცვეს მონასტრები და დახოცეს ბერები.

1923 წელს გიორგი ლეონიძე წერილს სწერს სიძველეთა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს: „გარე კახეთში, სხვა ეკლესიებთან ერთად, დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის საკათედრო ტაძარი, საიდანაც, სხვა ნივთებთან ერთად, საგარეჯოს რევკომმა გაიტანა ორი უძველესი ხატი: წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატი შენირული არჩილ მეფისაგან და წმინდა ნინოს ვერცხლით მოჭედილი და განახლებული XVIII საუკუნეში ნინოწმინდელ მიტროპოლიტ საბა ტუსიშვილის მიერ. ორივე ხატი წარმოადგენს დიდ ისტორიულ საუნჯეს და ვშიშობ, რომ, უცოდინარობის გამო, შეიძლება საგარეჯოს რევკომმა მოხსნას ამ ხატებს სამკაულები და ჩუქურთმები. გთხოვთ, მიიღოთ ზომები მათ გადასარჩენად. გარდა ამისა, ენისელში არსებობს 20 პატარა ეკლესია, რომელიც სავსეა ისტორიული ფრესკებით. დღეს ამ ეკლესიებში დამდგარან სომეხი ლტოლვილები, რომელიც შიგ ცეცხლს ანთებენ და ანადგურებენ ყველაფერს“. რა თქმა უნდა, მსგავსი პოლშევიკური ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო.

განსაკუთრებულ აგრესიას წმინდანთა ნეშტების მიმართ იჩენდნენ. კომუნისტები ასრულებდნენ ლენინის მითითებას, რომელიც საძვალეების გახსნას და მათს საჯარო გამოფენას მოითხოვდა: „ვაჩვენოთ, თუ რით იყო გატენილი მღვდლების მიერ ეს ფიტულები, ვაჩვენოთ, თუ რა განისვენებდა, რანაირ

წმინდანები იყო ამ მდიდარ სანაწილეებში, რასაც ასე მრავალი საუკუნე მოწინებით ეთაყვანებოდა ხალხი და რისთვისაც ატყავებდნენ უპრალო ხალხს ეკლესის მსახურნი. მარტო ეს იქნება საკმარისი იმისთვის, რომ რელიგიას ჩამოვაშოროთ მრავალი ათასი ადამიანი“.

ლენინის ანტირელიგიური კონცეფცია მატერიალისტურ ფილოსოფიას ეფუძნებოდა: „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას – ეს მთელი მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია. მაგრამ, მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის, მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა, მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო (მშვენიერაძე 1971: 168).

თავის დროზე ფრანგ მატერიალისტებსა და განმანათლებლებს რელიგიური ცნობიერება ესმოდათ, როგორც შემთხვევითი მოვლენა: „ყოველი ცნობიერება რაღაცის გაცნობიერებაა ე. ი. „ცნობიერებას“, თუ უნდა მას იყოს რაღაცის ცნობიერება, უნდა ჰქონდეს თავისი ობიექტი. რელიგიურ ცნობიერებას ასეთი ობიექტი არ გააჩნია /ლმერთი, ანგელოზი, ეშმაკი და ა. შ. რეალურად არ არსებობენ/, ამიტომ ის ადამიანის ცნობიერებაში არის შემთხვევითი მოვლენა, ილუზია, შეცდომა. აქედან გამომდინარე, რელიგიას არ აქვს უფლება არსებობისა. ის უარყოფილი უნდა იქნეს. საკმაოდ გავრცელებული იყო რელიგიის, როგორც მატყუარების მიერ შექმნილი მოძღვრების თეორიაც მაგ. ჟ. მელიენერს: „ყოველივე ეს /ლაპარაკია რელიგიაზე/ გამოგონილია... ეშმაკი და დახვეწილი პოლიტიკოსების მიერ, შემდეგ გადამუშავებული და გავრცელებულია ცრუნინასწარმეტყველების, მატყუარებისა და შარლატანების მიერ. შემდეგ ბრმად არის მიღებული რწმენად და, ბოლოს, განმტკიცებულია სახელმწიფოს კანონებითა და ძლიერთა ამაქვეყნისა მიერ“ (მიქაუტაძე 2008: 104).

ჯერ კიდევ 1920 წელს ქუთაისში გამოცემულ ს. მინინის ნაშრომში „რელიგია და კომუნიზმი“ საგანგებო თავი ეთ-მობოდა წმინდანთა უხრწელ ნაწილებს. ავტორი ასეთი სარკაზმით წერდა: „უხრწელი ნეშტები და უსინდისოთ დატყუილება“ (მინინი 1920: 59). მუშებს, გლეხებსა და წი-თელარმიელებს მ. კალინინის მეთაურობით უჩვენებდნენ „ტროიც-სერგიევსკის“ მონასტერში კინოფირზე გადაღე-ბული წმინდანთა ნეშტების გახსნას.

1923 წლის 23 იანვარს ქუთაისში რელიგიის მორიგი გასამართლება შედგა. დაადგინეს, რომ გაეხსნათ მოწამე-თის მონასტერში დაცული წმინდანების, კონსტანტინესა და დავითის, წმინდა ნაწილები. ეს გადაწყვეტილება ბოლ-შევიკებმა 18 თებერვალს აასრულეს. ადგილობრივი პარ-ტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვ. ბახ-ტაძის, ინიციატვით წმინდა კონსტანტინესა და დავითის ნეშტები მონასტრიდან ეზოში შეკრებილი ხალხის თვალ-წინ გამოიტანეს. ამ მოვლენას გაზეთმა „კომუნისტმა“ 1923 წლის 23 და 27 თებერვალს ორი წერილი დაუთმო: „ყველას შეუძლია დაინახოს ის „უხრწელი“ გვამები, რომლითაც გარყვნილი სამღვდელოება საუკუნოების განმავლობაში ჩვენს მამა-პაპათ შეუბრალებლად ატყუებდა და სცარც-ვავდა ხალხს. რას ვხედავთ „უხრწელი“ ნეშტის მაგივრად — ცარიელი ძვლები, რომელსაც ხორცის ნატამალიც არა აქვს“. წმინდანთა ნაწილები კომუნისტებმა მოწამეთის მონ-ასტრიდან ქუთაისში ჩამოიტანეს და ქალაქის ქუჩებში ორი კვირის განმავლობაში ურმით დაატარებდნენ. 1923 წლის 11 მარტის გაზეთ „სპარტაკში“ ფსევდონიმით „დ-ა“ დაიბეჭდა ლექსი „უხენწელი ნეშტები“, რომელიც ესმაურება ამ გაუგ-ონარ მკრეხელობას და დაცინვისა და ირონიის შხამნარევი გესლით ქირქილებს:

„იყო რაღაც საიდუმლო  
მოწამეთის მონასტრეს:  
რომლითაც ატყუებდნენ  
გონება-ჩლუნგ ყველა მტერს.  
ამბობენ, იქ ნეშტი ორი,  
იდო კუბოს უხრწნელიო  
და მათ ვერ მიუწვდებოდა  
უბრალო ხალხის ხელიო.  
...ამ დღეებში გახსნა ხალხმა  
ეს ნეშტები, - და რა ნახეს,  
სასაცილო იყო თურმე  
მღვდელთ ნაგები „წმინდა  
მახე“.

უხრწნელ ნეშტების მაგიერ  
ეწყო ნაგავი და ძვლები!  
მორწმუნეთ კი აჯერებდნენ  
ეს უძლები სვავნი, მგლები.  
უფლის მსახურთ ოინები  
გამოირკვე ეხლა ყველა!  
ხალხი მისდევს იმათ ქვებით  
რომელთაც აღარ აქვთ  
შველა.  
...ბნელი სჯულისა მაგიერ  
ფრთებსა შლის მეცნიერება  
და ახალ სარწმუნოებით  
ზეიმობს ქვეყნიერება“

ნიკორწმინდაში თემის კრებაზე გადაწყვიტეს და ტაძ-  
რიდან გამოტანილი წმინდა ნიკოლოზის მკლავი საჯაროდ  
დაწვეს. ნიკორწმინდის თემის საერთო კრების რეზოლუ-  
ციაში ვკითხულობთ: „ნიკორწმინდაში შედგა ნიკორწმინდის  
თემის მცხოვრებთა კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარედ  
გაბო კაციტაძე, მდივნად შალიკო გურგენიძე. დღიურ წეს-  
რიგში იყო საკითხად ანტირელიგიური მოხსენება. მოხსენება  
წაიკითხა ამს. ალექსანდრე ჭელიძემ. მან თქვა, რომ ქრის-  
ტიანულ სარწმუნოებას არავითარი კეთილი არ შეუძლია რომ  
მოუტანოს ხალხს, დაასურათა მღვდლებისა და ბერების სპე-  
კულაცია ხალხის წინაშე. ამავე დროს, გამოიტანა ნიკორწ-  
მინდის ეკლესიდან წმინდა ნიკოლოზის მკლავი და ექიმების  
შემოწმებით ნათლად დაანახა ხალხს, რომ ის იყო არამცთუ  
წმინდა ნიკოლოზის მკლავი, ჩასვენებული, არამედ უბრალო  
ძვალი გარშემო სანთლით შემოზღუდული, ღრუბლით და  
ბინძური ბაზრით და მეტი არაფერი. ამის შემდეგ კრებამ  
დაადგინა: **ძირს ქრისტეს სახელით მოვაჭრენი მცარცველ-**

მგლეჯელი მუქთახორა მღვდლები და მათი მოგონილი აბდა-უბდა ნაშთები. გაუმარჯოს კულტურულ და შემეც-ნებით კაცობრიობას!” (ბასილაძე 2010:).

წმინდა ნაწილები გაიხსნა სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდ-ბისხევში, ხარაგაულის მაზრის სოფელ მელისკარსა და კახ-ორაში, ზუგდიდის მაზრის სოფელ ყულისკარში. ამიტომაც, 1923 წლის ანტირელიგიური კამპანიის შედეგების შეჯამების შედეგად გამოიყო ორი ძირითადი წარმატებული ნაბიჯი, რომელთა შესახებ სიხარულით წერდა გაზეთი „სპარტაკი“, რომ „დახურულ იქნა ბნელეთის ტაძრები და გაიხსნა ე.წ. „წმინდანთა“ ნეშთები (№69, 6 იანვარი, 1924 წ.).

ცნობილია ის ფაქტი, რომ 1918 წელს ტროცკი რუსეთში დაატარებდა იუდას ქანდაკებებს, რომელთაც სპეციალურად კრემლში ამზადებდნენ. ერთ-ერთი მათგანი საზეიმოდ დადგეს ქ. სვიაჟსკში. „ეს იყო მთავარი დარტყმა მართლ-მადიდებლური, პატრიარქალური რუსეთის წინააღმდეგ. იუდას ქანდაკება, ეკლესიების დანგრევა, წმიდა ნაწილების ამოღება და განადგურება — ეს ყველაფერი ტროცკის ერთ მიზანს ემსახურებოდა. ბოლშევიკები ანადგურებენ რუსეთის ქრისტიანულ სიმბოლოებს, მაგრამ ღმერთი დუმს და არ სჯის წითელ ულმერთოებს. ეს კი ნიშნავს, რომ ღმერთი ან არ არის, ან კიდევ უძლურია და უსუსური იმ ძალის წინაშე, რომელიც დგას ბოლშევიკების უკან. ასეთი იყო ბოლშევიკების ლოგიკა და მინიშნება მასებისადმი“ (მასონბა... 2014:).

ქართველი ერისთვის გაუგონარი მკრეხელობა და სიწ-მინდეების წაბილწვა ისტორიისთვის არ იყო უცხო. ასე ხდება მაშინ, როცა რევოლუციის სახელით მოდიან პოლიტიკაში. „ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბება-გან-ვრცელებამ სათავე XIX საუკუნის ევროპაში ჰპოვა. ევროპის ხალხებში დომინანტი რომის კათოლიკური ეკლესიისათვის ქრისტიანობის პროტესტანტულ განშტოებასთან თანაარსე-

ბობა უკიდურესად გაუსაძლისი შეიქმნა. კონფესიებს შორის ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგია ევროპის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე რადიკალურად მძიმე ასახვას ჰქოვებდა, რაც მათი ზოგადად რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულებით გამოიხატებოდა. მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობისა, ევროპის არც ერთი ქვეყანა ათეისტურ სახელმწიფოდ არ გარდაქმნილა. ევროპის საზოგადოების ერთი ნაწილის ანტირელიგიურმა განწყობამ ოფიციალურ ხელისუფლებაში ვერ ჰქოვა მხარდაჭერა და ათეისტური იდეოლოგის პროპაგანდამ სრული კრახი განიცადა. სამაგიეროდ, ის ათვისა ფსევდო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობით გატაცებულმა სოციალ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ“ (პავლიაშვილი 2009: 275).

ჯერ კიდევ პარიზის კომუნის წლებში წარმოუდგენელი სისასტიკითა და სივერაგით ებრძოდნენ ეკლესიასა და სასულიერო პირებს. უურნალი „მწყემსი“ 1907 წლის (№5) 15 მარტის ნომერში ბეჭდავს ვრცელ სტატიას იმის შესახებ, თუ რას ჩადიოდნენ საფრანგეთის მამულიშვილები 1871 წელს: „საფრანგეთის კომუნა სდევნიდა სამღვდელოებას... იმათი ზიზლი მიმართული იყო უსულო საგნებზედაც, აუნმინდურებდნენ ეკლესიებს, სპობდნენ ჯვრებს, სამღთო ნიგნებს, ქანდაკებათ, ხატებს, შესამოსელს... ეკლესიებს კეტავდნენ, მღვდლებს სდევნიდნენ, ეკლესიების ქონებას სპობდნენ და იტაცებდენ. ეს მტაცებლობა იწდებოდა „კონფისკაციად“... კომუნის დელეგატები, დე-მუსსიე და ფროსარი, რომლებიც წარმოადგენდა თანამედროვე უკიდურეს ხულიგანთა წრეს, ათრევდნენ ქუჩა-ქუჩა ძვირფას საეკლესიო ნივთებს.

წმინდა ევგენის ეკლესიაში მოხუცმა მღვდელმა წავლოხელი ნაწილებიან ბარძიმ-ფეშუმს და დამალვა მოინდომა, მაგრამ დაიჭირეს იგი, წაართვეს ბარძიმ-ფეშუმი და ჩააფურთხეს შიდ.

ყაჩალთა ბრძომ ეკლესიები გადააქცია საჯინიბოებად... წმ. პავლე კისნეტის ეკლესიაში მიულერმა შეიტანა ბოჩკით არაყი საკურთხეველში, შევიდა გასვრილი ფეხებით ტრაპეზზე, ჩაასხა სანანილები და რიგრიგობით უწოდებდა მილიციონერებს და ასმევდა. წმ. ლევის ეკლესიაში ვიღაც კობოსკო შეიმოსა მღვდლის შესამოსით, დაიწყო ღვთის მსახურება თავისებურათ, გათავებისას აქრობს სანთელს და აძლევს ნებას ორთავე სქესის პირთ უწესობის ჩადენისას.

იღებენ ეკლესიებიდან დამარხულ თავის ქალას... არწმუნებენ კომუნარებს, რომ ეს თავის ქალა ეკუთვნის ქალებს, რომლებიც ბერებს სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ გამოუსალმებიათ წუთისოფელს და ცოცხლათ ჩაუმარხავთ მიწაში.

ზოგან შეუდგნენ ეკლესიების დანგრევას. ეკლესიებში, რომელიც გადააკეთეს კლუბებად, ისმოდა ყვირილი: მოსპერატ სამღვდელო პირნი, ვინც საპყრობილები ან ქალაქში იმყოფებიანო.

ქალთა კომუნის წევრები მოითხოვდნენ, ცოცხლად დაეწვათ ეპისკოპოსი ღვთისმშობლის სობორის წინ; მოითხოვეს გაეკეთებინათ ბარიკადები ტომრებისა ბერებისაგან და მონოზნებისაგან.

დაანგრიეთ ეკლესიები! - უბრძანებენ კომუნარები

დაუშინეთ ტყვიები ეკლესიებს! - ბრძანებს არტილერიის გენერალი...

ცეცხლის მქრობელ კომანდას არ უშვებდნენ ალით მოცულ ეკლესიების ჩასქრობათ” (მწყემსი 1907: 9-10). ამდენი სისასტიკის შემდეგ, ბუნებრივია, აღარაა უცხო პარიზის კომუნის დღეებში პარიკმახერ რაულ რიგოს სიტყვების მოსმენა: „რევოლუციის მიზანი არის მოსპოს ღმერთი, სარწმუნოება და ხუცები ისთე, რომ ერთი ნასახიც არ უნდა დარჩეს მათი“. ამავე სულისკვეთებას ადასტურებს პარიზის კომუნის მეხოტეთა თეზაც: „რევოლუცია სდევნის სარწმუ-

**ნოებას, ჩვენ არ გვსურს ბუტბუტი, რომელსაც ხუცები უწოდებენ ლოცვას!"**

მე-19 საუკუნიდანვე ეკლესია ცდილობდა ანტიკომუნიზ-მის დანერგვას მორწმუნებში. ამის შესახებ შეშფოთებული იყვნენ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგები. 1878 წელს პაპმა ლევ მეცამეტემ გამოსცა სპეციალური ენციკ-ლიკა, რომელიც მიმართული იყო სოციალიზმისა და კომუ-ნიზმის წინააღმდეგ. კათოლიკური სამყაროს პონტიფიკოსმა ასე განსაზღვრა ეკლესის როლი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში: „ქრისტეს ეკლესია ფლობს გაცილებით მეტ ძა-ლებს სოციალისტური შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად, ვიდრე ყველა ადამიანური კანონი, ხელისუფალთა ბრძანებები და ჯარისკაცთა იარაღი“. საბჭოთა იდეოლო-გისაათვის ძნელი იყო ასეთ დასკვნასთან შეგუება, ამიტომაც წერდა ერთი ქართველი კომუნისტი: „ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ვერც ქრისტეს ეკლესიამ, ვერც ხელისუფალთა ბრძანე-ბებმა და ვერც ჯარისკაცთა იარაღმა ვერ შეაჩერეს ისტორი-ული მოძრაობა სოციალისტური პროგრესის მიმართულებით. ვაფასებთ რა იმდროინდელ პონტიფიკალურ დოკუმენტებს, ენციკლიკებს: „პაპობა“ - 1878 წლის აპრილი; „სოციალიზმი“ - 1878 წლის დეკემბერი; „მეცნიერება“ - 1879 წლის აგვისტო; „მუშათა საკითხი“ - 1891 წლის მაისი, რომლებშიც ეკლესია აშკარად აფრთხილებს კაპიტალისტთა კლასს სოციალისტუ-რი მოძრაობის საშიშროების შესახებ და გადმოსცემს მუშათა პარტიების, როგორც „დანაშაულებრივი კავშირების“, წი-ნააღმდეგ ბრძოლის გაშლილ ანტიკომუნისტურ პროგრამას, ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ აქ საქმე ეხება ანტიკომუნიზმის სპეციფიკურ გამოვლინებას, კერძოდ, ოე-ოლოგიურ ანტიკომუნიზმს“ (მშვენიერაძე 1971: 171-172).

## სასულიერო წოდების დისკრედიტაციიდან განადგურებამდე

ცალკე თემაა სასულიერო პირების, მღვდლების კრიტიკა. აი, აქ კი უკიდეგანო სივრცე გადაიშლება ჩვენ თვალწინ. ისე, ერთი რამ საკითხავია: ვის უკვირს ეს თემა დღეს, ახალია რამე?! როცა სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა იგავი „მელი მოძღვრად“, გასაგებად გვითხრა, რომ ეკლესიას ჰყავს ულირსი მოძღვრებიც და დაგმო ასეთთა საქციელი, მაგრამ ამით ეკლესიას არ ებრძოდა!

უფრო ადრე კი, „სამშობლოში ჩამობრძანებულმა გიორგი ათონელმა „ცხადნი და დაფარულნი უწესობანი განპმართნა“ და „პირველად ყოვლისა აღლესა მახვლი მხილებისად მეფეთა მიმართ... რამთა არა ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა“; ან იმის გამო, რომ მან ბაგრატ IV-ს მოუწოდა: „რამთა არა მისდრეკ-დეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ, გინა მცირისა“; რომ მღვდელმთავარი „თუაღ-ღებით ჰელთ-დასხმასა არა ჰყოფდენ და უღირსთა მღდელთა არა აკურთხევდნენ, და რამთა ამცნებდენ... უღირსთა არა ზიარებად, და რამთა არა შეჰკრებდენ ოქროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახავთა და უღონოთა“; ხოლო მღვდლებსა და დიაკონებს ასწავლიდა „მორჩილებასა ეპისკოპოსთა“ და „არა ვისა თუაღთ-ღებით მიცემად“ ზიარებისა.

... მეფეთა მამხილებლობა ეკლესიაში ყოველთვის იყო, გიორგი ათონელამდეც და მას შემდეგაც. „ისევე, როგორც სული წმიდის მადლით ვაჭრობის ყოველგვარი გამოვლინება (მათ შორის სიმონია) ყოველთვის იგმობოდა ეკლესიაში. არც უღირს სასულიეროთა გონივრული მხილება არის რეფორმაცია. ან განა სწავლება ზიარების სინანულით მიღებისათვის,

უვერცხლობისა, მოწყალებისა და მორჩილებისათვის რეფორმაციაა? ეს ყოველივე გიორგი ათონელამდეც იყო ეკლესიაში და მას „შემდეგაც არის“ (მაჭარაშვილი 2003: ).

გიორგი მთანმინდელის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ „მხილებისა და კრიტიკის მახვილი, პირველ ყოვლისა, ხელისუფალსა და ხელისუფლებას შეეხო, რომელთა გავლენით თურმე ეპისკოპოსის თანამდებობებს სრულიად შეუფერებელი ადამიანები იკავებდნენ. ასეთივე უსამართლობა სუფევდა სასამართლოში და უმაღლეს საეკლესიო იერარქიაში, სადაც მღვდლებს „თვალღებით“ ანუ მიკერძოებით და პირად-პირადი სიმპათიის საფუძველზე აკურთხებდნენ. ეს დაუშვებელიაო, რადგან ეწინააღმდეგება მოციქულის სიტყვებს, რომლის თანახმად სამღვდელო კანდიდატი გულმოდგინედ უნდა გამოიცადოს და თანამდებობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინიშნოს, თუკი დადასტურდება, რომ უბინოა (1 ტიმ. 3,10). მხილების ისარი მდიდრებისა და ჩინოვნიკების მიმართაც წარიმართა, რათა დაეცვათ სოციალური სამართლიანობა და ლარიბები უნუგეშოდ არ დაეტოვებინათ. წმ. მამის დაკვირვებით, ყველაზე სავალალოდ მაინც სამღვდელოთა შორის ქრისტიანული ეთიკისა და აზროვნების დეფიციტი გამოიყურებოდა. ბევრი ლოთობისაკენ ყოფილა მიდრეკილი, ბევრი — ფუფუნებისა და განცხრომისაკენ, ბევრიც — ცრუდა და ყალბი ღვთისმოსაობისაკენ. იგი ერთ ისეთ ეპისკოპოსს შეხვედრია, რომელიც მდიდარიც ყოფილა და გავლენიანიც, მაგრამ მას თურმე ეშმაკი მარჯვნიდან ეპრძოდა („მარჯულ ჰპრძოდა ეშმაკი“), რაც ნიშნავს: ეშმაკი ისეთ საქმეებს აკეთებინებდა, რომ მასაც და სხვასაც ღვთის მოსაწონი და საამაყო საქმეები ეგონათ. იგი მთელ ქონებას და შესაძლებლობას ეკლესიების მორთვა-მოხატვასა და გამშვენებას ახმარდა; ბევრ ფულს სწირავდა მონასტრებს, რათა ბერებს მისი სულისათვის წესისა და რიგის მიხედვით ელოცათ. აი, ამ მიზნით აგროვებდა და აგროვებდა იგი სიმდიდრეს, მაგრამ ლარიბებს

ზედაც არ უყურებდა. ლირსმა გიორგიმ მას პირდაპირ უთხრა: რასაც აკეთებ, ეშმაკის საქმეს აკეთებ! ქრისტე იმას კი არ გვეკითხება, შევამკეთ თუ არა ეკლესიები, არამედ გვეუბნება: „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი!”, და შეახსენა კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი (†407), რომელმაც მეფეს და დედოფალს შესძახა: ასეთი გაჭირვების დროს, რა სინდისით აძლევთ თავს უფლებას, ასეთი ეკლესიები, ასეთი სრა-სასახლები ააგოთ და ასეთი ბანკეტები გადაიხადოთ?! (პროტესტის ნიშნად იგი არ მივიდა სამეფო წვეულებაზე, რაც მისთვის საბედისნერო აღმოჩნდა). ათონელი ბერის სიტყვამ და იოანე ოქროპირის დამოწმებამ ეპისკოპოსზე ისე-თი ზეგავლენა მოახდინა, რომ ზნეობრივად გამოიცვალა და შეუდარებელი ქველმოქმედი გახდა (პაპუაშვილი 2010:).

მინდა გიორგი მთაწმინდელის ღვანლი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ასეა შეფასებული, რომ მან: „ქართული ეკლესიის წოდებრიობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეებში უარჲყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დე-მოკრატიული მიმართულება მიეცა“ (ჯავახიშვილი 1983: 191); „მაშინდელი ქართული ეკლესიის იერარქიის არისტოკრატიული წეს-წყობილების დემოკრატიულად შეცვლა სცადა“ (თორაძე... 2006: 193).

გიორგი მთაწმინდელის ღვანლზე ვრცლად მსჯელობს აკადემიკოსი როინ მეტრეველი. ის დაწვრილებით განმარტავს იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჯერ გიორგი მთაწმინდელის ათონიდან საქართველოში ჩამოსვლასა და შემდეგ კი - რუის-ურბნისის საეკლეიო კრების გამართვას: „XII ს-ის საქართველოს ეკლესიაში წოდებრიობა მთელი სივრძე-სიგანით იყო გაბატონებული, მრავალ საეკლესიო თანამდებობებზე როგორც საერთოდ ყველა ფეოდალურ ქვეყანაში მხოლოდ დიდგვაროვნებს ნიშნავდნენ. რაკი ღირსებას ყურადღება არ ექცეოდა მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე

ხშირად არაკეთილსინდისიერი შემთხვევევითი პირები ხვდებოდნენ, უფრო მეტიც ბევრჯერ ეკლესია ყოველგვარი უმსგავსობის წამომწყები ხდებოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებსაც, დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ «წმინდანი ეკლესიანი სახლი ღვთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ და უღირსთა და უწესოთა უფროს ვიდრე ღირსებით დაეყყრნეს უფროსნი საეპისკოპოსნი ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს, რომელი მართლაც სჯულთა სახლისა უსჯულოებათა აწურთიდეს მათ ქუეშესა ყოველთა და თვით სახლიც უფლისაც და მღვდელთაგან გამოვიდიოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა». დავითის ისტორიკოსი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით იყვნენ დაწინაურებულნი სასულიერო თანამდებობებზე. იგივეს ადასტურებს დავითის თაოსნობით მოწვეული დიდი საეკლესიო კრება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში რუის-ურბნისის კრების სახელწოდებითაა ცნობილი... სამღვდელოები გადაგვარების გზაზე მხოლოდ XII ს I მეოთხედში არ დამდგარან, ეს პროცესი გაერთიანებული საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა. საეკლესიო თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა იმდენად ძლიერი იყო XI ს შუა ნლების საქართველოში, რომ მას პროგრესულ საეკლესიო მოღვაწეთა განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია. სამღვდელოების გადაგვარებაში თვით ბაგრატ IV-საც მიუძღვიდა ბრალი, რადგან ზოგ შემთხვევაში სასულიერო თანამდებობებზე უღირსი პირების დანიშვნას თურმე თვითონაც ხელს უწყობდა. XI ს 60-ან ნლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა ეკლესიის სწორ გზაზე დაყენება, იგი ბაგრატ IV-ს მოწვევით ათონის ივერთა მონასტრიდან 1060 წ ჩამოვიდა საქართველოში. როგორც გიორგის ცხოვრებიდან ჩანს ბაგრატ IV-ს მიუმართავს მისთვის: იმიტომ შეგანუხეთ, რათა წაკლულოვანება და სქემა უწესო აღმოფხვრა სრული-

ად სულთაგან ჩვენთა, დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თვალუხვად განგვიმარტოო... გიორგიმ აღმო-აჩინა სათავე ქართული ეკლესის დაცემისა და ბაგრატ მეო-თხისათვის სრულიად მოულოდნელად პირველად ყოვლისა „აღლესა მახვილი მხილებისა“ მეფეთა მიმართ, რომლებიც ხელს კი არ უნდა უწყობდნენ უმსგავსოებას ეკლესიაში, არ-ამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და მათ ნიშნავდეს თანამ-დებობებზე... გიორგის მხილება მეფეს სწორედ მიუჩნევია და მისი წამოწყებისათვის მხარი დაუჭერია. მიუხედავად ამისა, ბაგრატმა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება საეკლესიო სფეროში მაინც ვერ მოახერხა, სამეფო ხელისუ-ფლებას იმ დროისათვის საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა გართულების გამო. ამგვარად, გიორგი მთაწმინდელმა ვერ შეძლო ეკლესიაში არსებული უნესობანი მოესპო.

დიდი საეკლესიო კრება გაიმართა შიდა ქართლში, რუსი-სა და ურბნისის მიდამოებში 1104 წ. იმავე წელს მოხდა ერ-წუხის ბრძოლა და კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

„სრულიად საქართველოს დიდი საეკლესიო კრების მოწვე-ვას ბევრი მიზეზი ედო საფუძვლად, გარდა იმისა, რომ კრე-ბას ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე დან-იშვნის საკითხი უნდა განეხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა საქმეებიც, კერძოდ: ირლვეოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, ადგილი ჰქონდა ჩვილთა ქალ-ყრმათა გვირგვინის კურთხევას, მონასტრებში იმართე-ბოდა ვაჭრობა, რაც პირვანდელი ქრისტიანული დოგმატე-ბით შეუფერებელი იყო წმინდა დაწესებულებისათვის და სხვა. „წმინდანი ეკლესიანი სახლნი ღვთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ“ - გულისტკივილით აღნიშნავს დავითის ისტო-რიკოსი. საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიც არაერთხელაა აღნიშნული, რომ ეკლესია-მონასტრები თავს იჩენდნენ სა-

ლოცველთა მათ ადგილთა ქვაბ-ავაზაკთა შექმნითა. ვახუშტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «სახლნი ლვთისნი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ, მწყემსნი არამწყემსნი არამედ მგელნი».

კრებამ განიხილა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, პირველი რიგის ამოცანად დაისახა უღირს თანამდებობის პირთა გადაყენება: „ვინ იყვნენ ეს ვერ ღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა ვისაც საეპისკოპოსოები დაპყრობილი ჰქონდათ ვითარცა ავაზაკთა“, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი არიან ყოველგვარი ნორმების დამრღვევი მექრთამე სასულიერონი, ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ხელში დიდაღი მამულებია სხვადასხვა გზით თავმოყრილი და მსხვილ ფეოდალებად გვევლინებიან.

დავითის ისტორიკოსისა და ძეგლისწერის მიერ ასე მწარე ეპითეტებით მოხსენიება ზემოაღნიშნული პირებისა იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს საეკლესიო პირები (ფეო-დალები) სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენიც არიან. მხოლოდ ეს ფაქტორი უნდა განსაზღვრავდეს და განაპირობებდეს ძირითადად საქართველოს სამეფო კარის მიერ საეკლესიო სფეროში გატარებული მკვეთრი ღონისძიებების მკაცრ ხასიათს“ (მეტრეველი 1990:).

რუის-ურბნისის კრების დადგენილება, რომელსაც ეწოდება „ძეგლისწერა წმიდისა და ლვთივშეკრებულისა კრებისა“, კ. კეკელიძის თვალსაზრისით, შეიცავს სამ ნაწილს: 1. პროლოგს ან შესავალს, რომელშიც გათვალისწინებულია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოშიც, კერძოდ, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად ამ რუის-ურბნისის კრების მოწვევა; 2. რუის-ურბნისის კრების კანონმდებლობას და 3. სინოდიკონს, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე-დედოფლებს, კათალიკოს-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეებს) „მრავალუამიერს“, ხოლ

მიცვალებულებს — „საუკუნო ხსენებას“. „ძეგლისწერა“ კ. კეკელიძეს თვალსაზრისით, შედგენილია არსენ ბერის მიერ. კრებას „დაუსხამს“ და დაუდგენია 15 კანონი:

1. ულირს მღვდელმთავართა განკვეთის აუცილებლობა;

### **კანონი 1**

„პირველ რიგში, განვკვეთეთ და მღვდლობის პატივი ჩამოვართვით ისეთ ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და ულირსნი არიან პირველი მწყემსმთავრის ქრისტესი, რადგან სიწმინდის შეხება არაწმინდისგან არ შეიძლება“...

2. ასაკი ხელდასხმათა და დრო მათი ხელდასხმისა;

### **კანონი 2**

„ამასთანავე, ხელთდასხმის დროს სულმოკლეობა და აჩქარება, როგორც უნესო და უკანონო საქციელი, ავკრძალეთ. ვადგენთ, რომ ამიერიდან აღარავინ გაბედოს არაფრის ქმნა, გარდა იმისა, რასაც კანონი განაწესებს: ეპისკოპოსი ხელთდასხმულ უნდა იქნეს ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი — ოცდაათი წლისა, დიაკონი — ოცდახუთი წლისა, წიგნისმკითხველი — რვა წლისა“.

1. გიორგი მთაწმიდელის „კურთხევანის“ სანქცია;
2. ე.ნ. სიმონია, ან ხელდასხმისათვის ქრთამის მიცემა;
3. სამღვდელოთა ჭურჭელთა და ეკლესიისადმი შეწირულთა სიწმიდეთა, თვინიერ მათი დანიშნულებისა მოხმარების დაუშვებლობა;

### **კანონი 5**

„ქრთამის და საფასურის შესახებ, რომელსაც ხელთდამსხმელნი მიიღებენ ხელთდასხმადთაგან, წმინდა მოციქულთა და მამათა მიერ ადრე დადგენილისამებრ ჩვენც განვსაზ-

ლვრავთ, რომ ასეთი უნდა ჩამოშორდეს ეკლესიას და მას უნდა აეკრძალოს მღვდლობა თავის მაკურთხეველთან ერთად. ამიერიდან ასეთი რამის ჩადენა არავინ გაბედოს. ვინც გაბედავს, შეჩვენებულ იქნეს ისე, როგორც სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულისგან (შდრ. საქმე მოციქ. 8, 9-20). ნუ მი-იღებენ ნურაფერს ნურასოდეს, ნურც ხელთდასხმამდე, ნურც ხელთდასხმის დროს, ნურც ხელთდასხმის შემდეგ, ნურც ქრთამს, ნურც ძლვენს, ნურც ევლოგიას; კათალიკოსი — ეპისკოპოსებისა, დიაკვნებისა, ქორეპისკოპოსებისაგან, ეპისკოპოსები — დიაკვნებისა, მღვდლებისა, ქორეპისკოპოსებისა, სამღვდელო დასის სხვა წარმომადგენელთა და ეკლესიის მნეთაგან“.

1. გვირგვინის კურთხევა;
2. ასაკი დასაქორნინებელთა;
3. იერარქიულ პირთა ჯეროვანი მომზადება;
4. მონასტრების მოძღვრებისათვის, მათი რიცხვი და ხარისხი;
5. მონასტრებში ვაჭრობის უადგილობა;
6. სად, როგორ და როდის უნდა სრულდებოდეს მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებელი ჟამისწირვა და ლოცვა;

## კანონი 11

ქორეპისკოპოსად კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა აირჩიონ სჯულისა და საღმრთო წიგნთა მცოდნე მღვდელი ან დიაკონი და ღმრთის შიშით ემცნოს მას ყველა ქრისტიანული წესის უბინოდ დაცვა. მან არაფერი არ უნდა გასცეს ქრთამად, არაფრი გაყიდოს ვერცხლზე, როგორც იუდამ უფალი, რათა მისი ჩამოსახრჩობი თოკი არ მიიღოს მემკვიდრეობით.

1. მართლმადიდებელებად მომავალნი სომეხნი უნდა ნა-  
თელლებულ იქნენ, ვითარცა წარმართნი;
2. მართლმადიდებელთა და წარმართთა შეუღლება  
აკრძალულია;
3. კიდისკიდე არა ერთგან კურთხევა გვირგვინისა დაუშ-  
ვებელია;
4. სოდომის ცოდვის შესახებ (ჯაფარიძე 2011: 23).

## **კანონი 15**

„არ ვიცით, თუ საიდან შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში: „რამ ზიარებად იყო ბელიარისი ქრისტეს თანა?“ (II კორ. 6,15), რომ უცხო ტომთა ხელში ჩავარდნით და მათი მახვილის მოქმედებით ისრაელის ნეტტილა დაგვრჩია. თუ დავრჩით იმავე უკეთურებაზე, ვაი ჩემდა, თუ დავდუმდი და აღარ ვთქვი ეს ძნელი სათქმე-ლი, ყველასთვის რომ ცხადია. ჩვენც ხომ უნდა მოვერიდოთ მას. ამისთვის ვამცნებთ ყველას - დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობას, დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს - განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილნეს და ასე განვამტკიცებთ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს სახელით: ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არათუ მარტო არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილნეს და საქმით არ მოიმოქმედებს ამას, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთოოში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა, გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსავსად. ხოლო იმქვეყნად ამ ცოდვის ჩამდენს მიიღებს იგი,

ვინც დადის უფლის წინაშე და სწვავს ირგვლივ ღმერთის მტრებს. ხორცის სიყვარული ღმრთის მტრობაა და ვინც გახრნის ღმრთის ტაძარს, მას ღმერთი გახრნის. ამასთან ერთად ჩვენგან, საღმრთო მონობის ღირსექმნილი უღირსი მონებისაგან, ვაი ჩვენდა, ისინი დაიმკვიდრებენ არა კურთხევას, არამედ საუკუნო შერცხვენასა და მხილებას“ (სჯულის კანონი 2009:).

ამრიგად, თუ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიიღეს:

### **1. სასულიერო იერარქიის ორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონები:**

- ა) ეპისკოპოსთა გადაყენება და ახლების დანიშვნა;
- ბ) სასულიერო თანამდებობისათვის შესაფერისი ასაკის დადგენა;
- გ) იერარქიული თანამდებობის გასვლის დრო;
- დ) ქორეპისკოსებისადმი წაყენებული მოთხოვნები;
- ე) მოძღვრის მოღვაწეობის რეგლამენტი მონასტერში.

### **2. ლიტურგიის დისციპლინური საკითხები:**

- ა) ხელდასხმის წესის შესრულება „კურთხევანის“ მიხედვით;
- ბ) საეკლესიო საიდუმლოებების მხოლოდ საკურთხეველში შესრულება;
- გ) საკურთხეველში მრავალი ხუცესის მიერ მრავალი სულისთვის წირვის აკრძალვა;
- დ) მწვალებლების მიღების წესი.

### **3. საეკლესიო მორალი:**

- ა) ქრთამის წინააღმდეგ;
- ბ) საეკლესიო ჭურჭლის მითვისების ან გაცემის აკრძალვა;
- გ) მეორედ დაქორწინებულთა წვეულებაზე ხუცესის დასწრების აკრძალვა;

დ) ეკლესია-მონასტრებში ლხინის გამართვის აკრძალვა;  
ე) განჩინება სოდომის ცოდვის შესახებ.

#### **4. საერო პირთა ქორწინების საკითხი:**

- ა) გვირგვინის კურთხევის შემდეგ ზიარების აუცილებლობა;
- ბ) ქორწინების ასაკის განსაზღვრა;
- გ) მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელს შორის ქორწინების აკრძალვა;
- დ) წარმომადგენლობითი ქორწინების აკრძალვა.

#### **5. მწვალებელთა წინააღმდეგ**

- ა) ხატმებრძოლეობის აკრძალვა (შდრ. თორაძე... 2006: 200-201).

რუსი-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცი წლის წინათ ჰქადაგებდა ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი (ჯავახიშვილი 1983: 212-213; (რატიანი 1989: 79).

გასათვალისწინებელია „აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ მიღებული კანონები“ (XVI ს.). „საკათალიკოსო კრება შეებრძოლა ადგილებზე ეპისკოპოსისაგან საეკლესიო წესების დარღვევებს, როგორიც იყო ულირსი მღვდლის და დიაკონის ხელდასხმა, ამისათვის ქრთამის აღება; რომ ეპისკოპოსები თავიანთ სამწყსოში დროდადრო არ დადიან რჯულის საქმეების მოსაწესრიგებლად, საყდარს არ უვლიან, არ ზრუნავენ მისთვის მამულების შემატებისათვის; საყდრის „შეკაზმისათვის“ საჭირო ინვენტარით; ზოგიერთ საეპისკოპოსოში ზიარებას საერო კაცის ხელით აგზავნიან ან საერო პირები აზიარებენ. ყველა ამ დანაშაულისათვის „სამართალი“ აწესებს ეპისკოპოსის „შეჩვენებას“ (მუხლები: 7, 8, 9, 10, 11); ეპისკოპოსი, რომელიც არ გაიგონებს კათალიკოსის მხილებას მის დანაშაულში და არ გამოსწორდება, მეფის მიერ გაიძევება საყდრიდან (მუხლი 15). (აქედან ჩანს, რომ საეპის-

კოპოსო კათედრას მღვდელმთავარს აძლევს მეფე და არა კათალიკოსი). ქორეპისკოპოსები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, სასჯელად იმსახურებენ შეჩვენებას (მუხლი 12). „სამართალში“ განმარტებულია, რომ, თუ საერო პირი ეპისკოპოსსა და ქორეპისკოპოსს ხელს შეუშლის სამწყსო საქმეების განგებაში, „სასჯელის“ (გადასახადის) აღებაში „შეჩვენებულ არს“ (მუხლი 13, 14); „ვინც კათოლიკოზა და ეპისკოპოსს აგინოს და უპატიურობა ჰყადროს, რარიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიუროს“ (მუხლი 17) (ძეგლები 1963: 391).

\*\*\*

საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა დასცინოდა და ეპრძოდა სამღვდელოებას, აშარქებდნენ, სახელმწიფოს მტრებად გამო-ჰყავდათ, იყო მათი ლიკვიდაციის მოწოდებები, დაუსრულებელი საუბრები მათს მავნე საქმიანობაზე და ა. შ. ოლონდ ეს არ დაწყებულა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

კერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა არაერთ წერილს აქვეყნებს როგორც რელიგიური გულგრილობის, გადაგვარებული ადათ-წესების, ისე სასულიერო პირთა უმსგავსობების შესახებ, მაგრამ განსხვავებით საბჭოთა კრიტიკისაგან, ყველაფერი იწერება დიდი გულისტკივილითა და ეკლესიის ავტორიტეტის, ერის ქრისტიანული ცნობიერების ამაღლების სურვილით. სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ 1664 წელს იმერეთში ჩავიდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (იქ დაჲყო ორი წელი). მისი ჩანაწერების მიხედვით, „სასულიერო პირებს ქართველები ძალიან მორიდებით ეპყრობიან, მათს ძვირს ვერაფრით ვერ ათქმევინებთ... ვერ გაიგონებ მათგან სალანდლავ სიტყვებს არც სარწმუნოებისა და არც პიროვნების ნინააღმდეგ მიმართულს“ (თორაძე... 2006: 271). აქ მე-17 საუკუნის მდგომარეობაა ასახული. გავიდა დრო, ბევრი რამ შეიცვა-

ლა ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალურ სარბიელზე. დღესაც გაიგონებთ იმის შესახებ, რომ ერთგვარი „სტავკები“ ადევს და, ფაქტობრივად, იყიდება საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულება მოძღვართა მხრიდან: „ყველაფერზე ტარიფებია დაწესებული, სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა ტარიფი მოქმედებს. რაც უფრო პრესტიულია ეკლესია, ან ესა თუ ის სამღვდელო პირი, მით უფრო მეტი ფული უნდა გადაუხადო. ეს არის სრული დეკადენისი, სრული აღვირახსნილობა სამღვდელოების მხრიდან, ლტოლვა გამდიდრებისა და მომხვეჭელობისაკენ“ (მაისურაძე 2013:).

1887 წელსაა შედგენილი ცნობა, რომელიც ასახავს საეკლესიო გადასახადს საქართველოში:

აღსარება - 10 კაპ.,

სახლის კურთხევა - 30 კაპ.

მარილის კურთხევა - 20 კაპიკიდან

პარაკლისი ყანაში - 50 კაპ.

მღვდელს ნათლობისათვის - 40 კაპ.

დიაკონს ნათლობისათვის - 20 კაპ.

ქორწინების ოქმის შედგენა - 40 კაპ.

ნათლობის მოწმობა - 1 მან.

ქორწინება - 7მან. და სხვ. (გიორგაძე 1928: 66).

არსებული გადასახადების გამო მღვდელსა და მრევლს შეორის დაპირისპირება დიდი განხეთქილებამდე მიდიოდა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „მოთმინებიდან გამოსულნი მღვდლის უკანონო მოქმედებით ყველა ბელოითელები, როგორც ერთი კაცი, გაიფიცნენ, აღარ შემოვუშვათ მღვდელი ჩვენს სამრევლოშიო. თავისი სიტყვა კიდევაც შეასრულეს“ (ივერია, 37, 1895:). ასეთი დაბრკოლებები ხალხში რელიგიური გრძნობის შესუსტებას იწვევდა. ამ საშიშროებას ხედავდნენ ერის გულშემატკივარი ადამიანები და წუხილით წერდნენ: „რამდენჯერემე იყო ჩვენს გაზეთში თქმული, რომ ზოგიერთი მღვდლებისაგან ერთობ შევიწროებულია ხალხი იმის გამო,

რომ ჯვრის წერისა, დასაფლავებისა, ზიარებისა, ნათლობისა და სხვა საიდუმლოებების შესრულებისათვის მღვდლები ერთობ ბევრს სთხოვენ ხალხს, რომ ამის თაობაზე მღვდელსა და მრევლს შუა მუდამ განხეთქილება და ჩხუბი ხდება, რომელსაც ერთობ ცუდი ზემოქმედება აქვს თვით ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობაზე“ (დროება, 1881, №186:). ამ წერილში თვალშისაცემია თავად კორესპონდენციის ავტორის განათლება. ერთგვარად, ეს დარგობრივი უურნალისტიკის მაღალი დონის ნიმუშიცაა, რადგან, თანამედროვე უურნალისტებისაგან განსხვავებით, საეკლესიო საიდუმლოებებს რიტუალებს არ უწოდებს. დღეს ხომ პარაკლისი და პანაშვიდი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან და თავი კი მოაქვთ ყოვლისმცოდნე ექსპერტებად!

სასულიერო პირთა მიერ მღვდელმსახურების პატივისა და ღირსების შელახვის გამო შემფოთებული იყო აკაკი წერეთელიც, რომელიც გაზეთ „დროებაში“ გულისტკივილით აცხადებდა: „დღევანდელ სამღვდელოებას თავისი მოძღვრება, ეს ზეგარდმო მადლი, საზრდოს შესაძენ ხელობად გადაუქცევია და ჭირში თუ ლხინში შეჰყურებს ხალხს, ეგებ რამეს გამოვრჩეო. ყოველთვინ და ყოველგან მისი გაუმაძღრობის შესაჯერებელი სასყიდელია საჭირო და, თუ არა, ვაი გაჭირვებულთ! იმათ აღარ ეღირსებათ აღარც ნათვლა, აღარც ზიარება და აღარც საფლავის კურთხევა... განა ცოტანი დამარხულან ჩვენში საფლავ გაუნათლებელნი, რამდენი კვდება უნათლავი და უზიარებელი? და რამდენს მოჰყავს ცოლი ჯვარდაუწერელი და ისე სცხოვრობს“ (დროება, №211, 1882:). იმავე დროებაში დაიბეჭდა წერილი, რომლის სათაურიც უკვე ერის ერთ-ერთი მთავარი სატკივრის მანიშნებელი სტატუსია — „მღვდლები ჩარჩებად“. ანონიმი ავტორი წერს: „როდესაც მოკვდება ვინმე, პატრონებმა ხშირად უკანასკნელი ავეჯი უნდა გაჰყიდონ, თუ არ უნდათ, რომ მკვდარი ზეზე ააყროლონ“ (დროება, №140, 1880:).

ალექსანდრე ყაზბეგი თავის ეთნოგრაფიულ წერილში „მოხევეები და იმათი ცხოვრება“ განაწყენებული წერს თავისი დროის მღვდელ-ბლალოჩინების შესახებ: „იქამდე მიიყვანეს ხალხი ამ ზნეობის დამცველებმა, რომ ეს ხალხი ზიზღით უყურებს იმათ ყოფა-ცხოვრებას... კვირიდან კვირობამდინ ზარის ხმას ვერ გაიგონებთ და ლოცვას ვერ მოისმენთ. ერთი მაშინ თუ ნახავთ მღვდლებს შემოსილს, როდესაც ფულის მისაღები წესი სრულდება სადმე, მაგალითად: ნათლობაში, ჯვრისწერაში, დასაფლავებაში და სხვ.“ (დროება, №164, 1880: 1).

ზოგადად, სასულიერო ვაჭრობის მიზეზებს სამართლიანად ეძებდნენ მაშინდელ „სასულიერო მთავრობაში“. დღეს კი ხელს საპატრიარქოსკენ იშვერენ. ბუნებრივია, ალბათ, ასეც უნდა იყოს. მე-19 საუკუნის სასულიერო მთავრობა რუსეთისგან დანიშნული და მართული იყო და ისედაც უკვე სეკულარულ მსოფლიოში აღარავინ დაგიდევდათ სარწმუნოების მიმართ თავდადებას (მით უფრო დღეს!). ვაი-ლიბერალები დღევანდელ საპატრიარქოსაც რუსული ინტერესების გამომხატველსა და დასაყრდენს უწოდებენ აშკარად და დაუფარავად. თითქოს რიტორიკა არც შეცვლილა.

გაზეთ „დროების“ 1882 წლის 204-ე ნომერში გულისტკივილით აღსავსე წერილი იბეჭდება იმის თაობაზე, რომ: „ჩვენი სამღვდელოება ქრისტეს სჯულს, ქრისტეს მცნებას მხოლოდ ტაძარში ჰქადაგებს, ტაძრის გარეთ კი ავიწყდება ქრისტეს მცნება!“ პუბლიკაციები ეხება სამღვდელოების გაუნათლებლობას, მათს მოუმზადებლობას. სერგი მესხი სამღვდელოების ისტორიული როლის გათვალისწინებით შემთხოთებული წერს, რომ: „ყველა ხალხის ცხოვრებაში სამღვდელოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ჩვენი ხალხის საერო ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საეკლესიო ისტორიასთან. სამღვდელო პირნი იყვნენ ჩვენში ძველად უბედურების დროს ხალხის მანუგეშებელნი, ლიტერატურის გამამდი-

**დრებელნი და ხშირად ომში წინამძღოლნი... ამ სარწმუნოების დასაცველად ხალხი თავის სამშობლოს იცავდა...**

უბედურება ის არის, რომ ამჟამად თვითონ ჩვენს სამღვდელოებაზე ვერ იტყვის კაცი, რომ განათლებული და გონიერაგახსნილი სამღვდელოება არისო... რა თქმა უნდა, ამისთანა მღვდლებს ბევრი არა მოეთხოვებათ რა; იმათ ვერ დააყვედრის კაცი, რატომ ხალხის განათლებას, ზნეობით ამაღლებას და საზოგადო საქმეებს არ თანაუგრძნობთო“ (დროება, №38, 1875:). ამავე თემაზე მოგვიანებით იგივე „დროება“ დაბეჭდავს ს. ტანიხეველის საინტერესო სტატიას: „სასულიერო წოდებას თავი შეწირული ჰქონდა ქართველი ხალხის სარწმუნოებისა და თავისუფლების დასაცავად. ის ჰყენდა თავის ერში განათლების სხივს, აძლიერებდა ქართულ ენას, დამოუკიდებლობას, ავრცელებდა მწიგნობრობას და, თუკი საჭიროება მოითხოვდა, თავგანწირვით იბრძოდა სიტყვითა და ხმლითაც... ახლა კი რამდენი მღვდელი გსურთ ჩამოგითვალოთ, რომელთაც წერა-კითხვის მეტი არა იციან რა, სწირავენ, ილოცვენ და აღასრულებენ ფორმალურად მღვდელმოქმედებას“ (დროება, №264, 1882:).

ისეთი დინჯი და გულისხმიერი მწერალი, თავადვე დეკანოზის ოჯახში აღზრდილი და უმაღლესი სასულიერო აკადემიური განათლების მქონე, როგორიც ვასილ ბარნოვი იყო, არ ივინყებდა სამღვდელოების ისტორიულ როლს ერისა და ქვეყნის წინაშე და დასძენდა: „ვისაც ჭეშმარიტად სურს ხალხის განათლება, მან უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სამღვდელოების გონებით და ზნეობით მდგომარეობას“ (დროება, №162, 1880:). რეალობა, როგორც ირკვევა, მართლაც, სავალალო იყო. ამიტომაც წუხდნენ და ითხოვდნენ არსებულის შეცვლას: „ჩვენი სამღვდელოება მართლა და მეტად განუვითარებელი და გაუნათლებელია... ვინ იტყვის, რომ ჩვენშიაც არ იყვნენ იმისთანა ლირსნი გვამნი, რომელთაც თვამოწონებით და პატივის-ცემით არ იხსენებდეს ჩვენი

ერი და საზოგადოება. მაგრამ ამისთანანი ორი თუ სამია, უმრავლესობა კი... ჩვენდა საუბედუროდ, ზნეობითს ღირსებას მოკლებულნი არიან“ (ივერია 1882: 134-135). ზოგადად, წიგნიერებისა და განათლების დონის დაცემამ სულიერი სიბნელეც წარმოშვა, ერთმანეთში აირია ცოდვა-მადლი: „სამლელოების დიდს უმრავლესობას მწერლობა და ჟურნალ-გაზეთობა წარმოუდგენია წასაწყმედ, გამრყვნელ და ავ საქმედ. უმეტესობას ბოსლის ხვეტა მეტად ეხალისება, ვიდრე წიგნის კითხვა“ (შინაური საქმეები, №31, 1909: 4).

როდესაც მაღალია საზოგადოების აქტივობა და ჩართულობა ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში, როცა ეკლესიას კი არ ებრძვიან, სასულიერო წოდების განადგურებას კი არ ითხოვენ, არამედ ამ ინსტიტუციის გაჯანსაღებისათვის ზრუნავენ; როდესაც კი არ განიკითხავენ, არამედ ამხელენ, მაშინ, შესაძლოა, შედეგიც გაცილებით მაღე დადგეს, ვიდრე — გაუნელებელი ზიზღისა და დაპირისპირების ფონზე. მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა ყურადღებას არ ადუნებს, ფხიზელი თვალით აკვირდება პროცესებს და სავალალო შედეგებს გვაცნობს:

„ჩვენი უწინდელი სამლელოება, მაშინდელის ცოდნითა და განათლებით უფრო მაღალს ხარისხზედ იდგა, ვიდრე ზოგიერთაგან სხვაგან. მეცნიერებამ, მწიგნობრობამ მათის მეოხებით გაიდგა ფესვი ჩვენს ქვეყანაში... სამლელოებამ მოახდინა ის სასწაული, რომ მთელი სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე ერისა მარტო სარწმუნოებაზედ მიაქცია. ბუნებრივი სიყვარული სამშობლოსი, მამულისა, გვარ-ტომობისა - ყოველივე ეს სარწმუნოების ქვეშ დააყენა“ (ივერია 1882: 137).

„სასულიერო მთავრობა მართავდა, განაგებდა არა მარტო იმ საქმეებს, რომელიც მხოლოდ მათ სფეროს შეეხებოდა, არამედ განაგებდა საქვეყნო საზოგადო საქმეებსაც კი სიმართლით, ჭეშმარიტებით და მიუდგომლად... ხალხიც თა-

ვის პირითვე აღიარებდა: „ჯერ მღვდელთა, მერე მეფეთაო“. დღეს მღვდელს ხალხი თავის სულიერ მამად და წინამძღვრად კი არა სთვლის, არამედ თთქოს მცარცველად და შემავინროებლად... ჩვენი თანამოძმე ინგილოები მღვდელს ისეთ-სავე „ხარბს და გაუმაძლარს“ უწოდებენ, როგორც ჩვენში“ (ივერია, №134, 1903: 2).

„ეს ამოდენა მღვდლები და მედავითნები მხოლოდ სჭამენ, სმენ, სძინავთ და ცდილობენ, რაც ძალი და ღონე შესწევთ, სავსებით აღასრულონ მცნება აღორძინებისა და ჩამომავლობის შესახებ... სისხლი გვეთოშება ძარღვებში, როდესაც სინამდვილის აღმბეჭდველი ცხოვრების სარკე ქართლის მღვდელს გვიხატავს უფრო ცხოველად, ვიდრე ღვთის ხატად და მსგავსებად, მაგრამ რას იზამ, სინამდვილეს სად გაექცევი... (შინაური საქმეები, 31, 1909: 4).

„ვინ იყო ხალხის აღმზრდელი, კეთილი ზნეობისა და სარწმუნოების სწავლის გამავრცელებელი ხალხში თუ არა ქრისტეს სწავლის მოძღვარნი? ვინ ამხნევებდა ხალხს სხვადასხვა ბარბაროსთ მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად თუ არა ქრისტეს სწავლის მოძღვარნი?“ (მწყემსი, №6, 1885: 1).

ადვილი იყო კრიტიკა, თანაც ისე, რომ ამით მთლიანად შეურაცხყოფა მიეყენებინათ ქრისტიანული რელიგიისადმი. მღვდლების გაკიცხვა ეკლესიის უარყოფამდე მიდიოდა. ამიტომ ედგა დარაჯად ქართულ სულიერობას ჟურნალი „მწყემსი“, რომელიც დარღვეულ ეროვნულ ცნობიერებაზე აკეთებდა აქცენტებს: „სამღვდელოებამ შესძრა ჩვენი სულიერი ძალ-ღონე და შეაქმნევინა ერს ის სახელოვანი ნაშთნი სარწმუნოებისა, რომელთაც დღეს ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვქადულობთ. ჩვენი ერი მღვდელს უყურებს არა ისე, როგორც თავის ხელთმძღვანელს მოძღვარს ჭირსა და ლხინში, არა ისე, როგორც თავის მწვრთნელს და დამრიგებელს, ცოდვის გამდევნელს, ქრისტიანულის ცხოვრების გზის მაჩვენებელს, არამედ როგორც უსარგებლო და მცონარე არ-

სებასა... გაქრა პატივისცემა და დაირღვა კავშირი სამღვდელოსა და მრევლთა შორის. მრევლი მღვდელს და მღვდელი მრევლსა სიყვარულით, ნდობით კი არ უყურებს, არამედ ბლვერით და მიუნდობლობით“ (იქვე: 139).

ამავე თემაზე ვრცლად წერდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“: „ქრისტიანობის პირველი საუკუნოებიდგანვე სამღვდელოებამ იწყო საღმრთო წერილის თარგმანა... საერო მატეანეთა აღნერა, შექმნა უმდიდრესი სასულერო წერა-მწიგნობრობა, ყრმათა სასწავლო ბინადრობად გადააქცია მონასტრები და ტაძრები, შექმნა საკუთარი სამართალი, სასულიერო-სამოძღვრო-სამხატვრო და სხვა ხელოვნება, შეამუშავა ფრიად შესანიშნავი სამწერლ-მწიგნობრო ენა... ითხზვებოდნენ საგალობელნი და სამშობლო კილოზედ იმართებოდნენ; შეიმუშავეს გაღობის კილოები... სამღვდელოების სრული მეოხებით საქართველოს ეკლესია გარდაიქცა ქართველთა ეროვნების ბურჯად.

ქართველი ერი დღემდე ორ ცეცხლს შუაა: ძველი ეროვნული წესწყობილება ვერ დაუვიწყნია და თავზედ ძალად მოხვეული უცხო წესები ვერ შეუთვისებია.

ჩენი უძველესის მატიანენის მწერალნი იყვნენ აბიათარ და იაკობ მღვდლები, სამუელ დიაკონი, სამოელ მთავარეპიტკოპოზი, ევაგრი მთავარი, მიქელ ბერმონაზონი, ანტონ მროველი, იოანე დეკანოზი, მღვდელი იოანე საბანისძე, სტეფანე მტბევარი, კათალიკოზი — ბასილ, არსენ, ნიკოლოზ და სხვ.

სამღვდელოება იყო აღმზრდელი სამეფო ოჯახის შვილთა, დარბაზის ერთა, თავადთა და გლეხთა. ხშირათ თვით სამღვდელო პირნი წინ უძღოდნენ ჯვარით ხელში თავის საწყსოს მტრებთან საბრძოლველად. სამღვდელოების მეოხებით გაერთდა პატარ-პატარა სამთავროებად დანაწილებული საქართველო.

ახლა სამღვდელოებას გაუტკბა ზარმაცობა, დაეკარგა ძველებური უნარი თვითმოქმედებისა... სრულად დაემორ-

ჩილა სხვის ბრძანებლობას და ნელ-ნელა ჩინოვნიკად გადაიცა. სასულიერიო მთვარობამ პოლიტიკას მიჰყო ხელი.

მოვიგონოთ ტრიფილე, იოანე ოსეს ძე, მარიამ მოლაზანი, დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გელათელი, მღვდლები მაისურაძეები, ჩახტურები, ბესარიონ ბერი, ფილადელფი კიკნაძე, იონა ხელაშვილი, გრიგოლ და ტარასი არქიმან-დრიტები... მათი თავგადასავალი ქვას აატირებს“ (ჯვარი ვა-ზისა, №6, 1906: 6-7,11).

მ. კელენჯერიძის თვალსაზრისით, „ეკლესია ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია იყო და დიდ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დაცვის საქმეში... ომში მიღიოდნენ კათალიკოსიც, ეპისკოპოსიც და საეკლესიო უმებიც. საბა მტბევარი ეპისკოპოსი ომშია ლაშქრით, მალაქია გურიელი ჯიქეთში გაჰყვა მთავრებს საომრად, მაქსიმე ჯუმათელმა აფხაზები დაამარცხა ერკეთში, ჭყონდიდელს ხმალი ეკიდა, თუმცა „რიდებითა მონაზონებისაითა არა იხადა ხრმალი“. მროველი ეპისკოპოსი ავალიშვილი 1624 წლის მარაბდის ბრძოლაში მონაწილეობდა თავისი დროშითა და ლაშქრით. ბრძოლის წინ ეპისკოპოსმა მიუგო ჯარს: „დღეს ბრძოლა არის სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა, ამისთვის არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან“, სასპასპეტო დროშა პქონდა ბოდბელსა და ნეკრესელსაც. ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო როლი რუსთველს ენიჭებოდა; ეპისკოპოსებში ზოგი მთავარსარდლობდა, ზოგიც მთავარსარდლის დროშის ქვეშ იდგა. ასე რომ, ზოგ ეპისკოპოსს სხვა ეპისკოპოსები თავის დროშის ქვეშ ჰყავდა, როგორც გენერალს — ოფიცრები. რუსთველი მთავარსარდლობდა. მას საოლქო დროშა პქონდა, იგი ქიზიყის მოურავის ტოლი იყო, ისეთივე დროშა პქონდა (კელენჯერიძე 1993: 31).

თანდათან გააქტიურდა მსჯელობა მრევლისა და მოძღვრის ურთიერთობის შესახებ. როგორ ექცევა დღეს მღვდელი თავის მრევლს? - სკამს შეკითხვას მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი და ასე უპასუხებს: „გადაჭარბება, ანუ უკიდურესობა, არასოდეს არაფერში არ ვარგა. პირ იქეთ, ძლიერ მავნებელიც არის იგი. არც მღვდელის მრევლისადმი გარდა-მეტი მოფერებაა სასარგებლო და სასურველი. მღვდელი ისე უნდა მოექცეს და იმდენად ასიამოვნოს თავის მრევლს, როგორც შეესაბამება მის ხარისხის უაღრესობას, მის მწყემსურ სიდიადეს და მიზანს. ნივთიერი უზრუნველყოფა მღვდლისა სოფლად თუ ქალაქად დღეს ისეა მოწყობილი და დაყენებული, რომ ის უნებლიერ ეჩვევა ვერცხლის მოყვარეობას და ანგარებას“ (იქვე: 10).

აღნიშნულ თემატიკას არაერთგზის გამოეხმაურა „შინაური საქმეებიც“: „ზოგჯერ მღვდელი ისე უახლოვდება ზოგიერთ მრევლთაგანს, რომ მეგობრულ და მოყვრულ კავშირსაც კი იჭერს მასთან... ამგვარ დაახლოვების დროს მღვდელი ხშირათ ივიწყებს, რომ ის მღვდელია. თავის პირად ინტერესების გამო მღვდელიც მზადა არის, ყველაფრთათ ასიამოვნოს თავის მფარველს, გადაუშლის თავის სულსა და გულს, ზედმეტს სიტყვიერობს, სალაპარაკო საგანი და შინაარსი ხომ სულ შეუფერებელია, იცინის, მღერის, თამაშობს... თავს ვეღარ იჭერს და ზრდილობის კანონსაც გადადის.

ღირსეული მოძღვარი მისაღებიც არის და პატივსაცემი, მაგრამ ეს მიღება და პატივისცემა წრეგადასული არ უნდა იქნეს... მღვდელი თავისი მოვალეობის ასრულების დროს უნდა იყოს ყოველთვის ერთნაირი, სწორი, მიუდგომელი და დაუზარებელი... უნდა იქცეოდეს, როგორც კეთილი მწყემსი... მრევლთან დაახლოებას და კავშირს ანგაარებით და ეგოისტურ მიზნისთვის არ უნდა ხმარობდეს მღვდელი, რაიცა არ შეეფერება ეკლესიის მოსამსახურეს, არამედ უნდა გამოიყენოს როგორც საშუალება მაღალი და წმინდა მიზნის მისაღწევათ.

სილარიბე, ათასგვარი მოთხოვნილება და მატერიალურად უზრუნველყოფა აიძულებს მღვდელს, ჩაიდინოს ყოველი ესე. მღვდელიცა ცდილობს, დააკმაყოფილოს მდიდარი და გავლენიანი მრევლის ხანდახან უკანონო მოთხოვნილებანიც, ეფერიბა და ადიდებს მათ.

მღვდელი ისეთს პირობებშია ჩაყენებული, რომ საჭიროება აიძულებს ეგრე მოეფეროს ისეთ მრევლს, რომელიც გამორჩენის მხრით სასარგებლოა მისთვის. მატერიალური ნაკლულოვანება აიძულებს მღვდელს ეცადოს, გავლენიანი მრევლის გული მოიგოს, აიძულებს ჩაიდინოს უსამართლობა“ (შინაური საქმეები, №3, 1910: 11-13).

ერთად რომ ავკინძოთ ყველაფერი, რაც ითქვა და დაიწერა სამღვდელოების წინააღმდეგ, დავინახავთ, რომ „ერთი და იგივეა ათასნაირათ გადაღეჭილი და რაღაც ზიზღის კილოთი (ხშირათ უზრდელადაც) გამოთქმული. დედააზრი ამ ბრალდებისა ისაა, რომ სამღვდელო პირები ქვეყნიურ ინტერესებით გატაცებული არიან, ზნეობაზე არ ზრუნავენ, ცუდი ყოფაქცევისა არიან, ხალხის ნაშოვარით და ნაოფლარით იკვებებიან, სუქდებიან, მთავრობის სურვილებს ემსახურებიან და ხალხის განათლებას და უფლებათა გაფართოებას წინ ელობებიან“ (შინაური საქმეები, №30, 1910: 4). **თუ სამღვდელოება არ ვარგა და ვერ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესია, სადაც იგი მსახურებს, არ ვარგა. ექიმი რომ ცუდი კაცი იყოს და თავისი ხელობა კარგათ არ ესმოდეს, განა ამის გამო ექიმობა უნდა უარვყოთ? (იქვე: 5).**

„დროება“ და „ივერია“ ბევრს უტრიალებდა ამ თემას. ამდენად, პრესის ფურცლებზე ხშრად შეხვდებოდით ისეთ მამხილებელ პუბლიკაციებს, რომლებშიც წერდნენ:

სამღვდელოება დაეცა ისე, როგორც ჩვენებურ დროში — მართლმსაჯულება;

დღეს ჩენი ხალხი დაჩვეულია პატიოსან ლაპარაკს და უპატიოსნო ქცევის ცქერას;

მღვდელი ჰქადაგებს ძმისა და მოყვასის სიყვარულს და თვითონ ამის წინააღმდეგ ჩადის; ჰქადაგებს საწყლის შემნეობას და შებრალებას და თვითონ ამის წინააღმდეგ ატყავებს ხალხს; ჰქადაგებს კეთილ ყოფაქცევას და თვითონ კი სულიერი მამა ჩადის სამარცხვინო საქმეებს...

„1883 წელში ვაფრთხილებდით ჩვენს სამღვდელოებას, რომ მომზადებულიყვნენ საბრძოლველად კალმებით მებრძოლთა წინააღმდეგ. კარგა ხანია დადგა დრო, როცა სოციალიზმი იბრძვის კალმით სარწმუნოების წინააღმდეგ“ (მწყემსი, №14-15-16, 1883: 2).

სულის შემძვრელ წერილს წერს ვაუა-ფშაველა. მისი მკაცრი და მამხილებელი პათოსი მიმართულია ე.ნ. სოციალისტი მღვდლებისაკენ: „გაიძროთ ანაფორები, შეიკრიჭოთ თმები და გამოეწყოთ „პინჯაკებში“, „შტაცკურად“, მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას მივცემთ თქვენს რევოლუციონერობას. დღეს კი თუმცა ყველაფერს კარგს, უკეთესს, სასარგებლოს ბრძანებთ, მაგრამ ბოლოს ჩვენთვის სამავნებლო იქნება. თქვენს წოდებას პროგრესიული აზრების ქადაგებით მკვიდრად ბოძებს უდგამთ და მომავალ ცხოვრებას ეგ არ შეჰვერის, არც შეჰვენის; ახალმა ცხოვრებამ სრულიად სხვა გზა და დანიშნულება უნდა მისცეს თქვენს წოდებას, მშობლიური მამობრივი მზრუნველობა უნდა ჩამოგყაროსთ, თქვენ აღზდის საქმეში, სკოლებში ადგილი აღარ გექნებათ, რათა უკუღმა არ მომართოთ თქვენი ყოვლად შემძლებელი ენა. მომავალი ცხოვრება თქვენ პროგრესიულ ელემენტად ვერ ჩაგთვლისთ. დიალ, ვერ ჩაგთვლისთ, ვიდრე სამღვთო წერილის მცნებათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიშლით მეჭურჭლის ხელობას, რომელიც ქოთანს საითაც პნებავს, ყურს იქ მოაბამს ვსტყუი? მაშ რატომ აქამდის, ვიდრე ბიუროკრატიის ბაგაზე იყავით

დაბმულები და იმის დალაპანდზე სთამაშობდით, არა ჰქად-აგებდით მაგას, რასაც დღეს ამბობთ? თუ დროთა ვითარებას დააბრალებთ, ცენზურას და სხვა?

მღვდლებო-სოციალისტებო! ჩემში თქვენის მოღვაწეობის წყალობით ალძრული გრძნობა ეს არის, იქნება თქვენც გენუინოსთ, თქვენს წოდების გარეშე ბევრს სხვასაც, მე პირადად მწყინს, როცა ჰმვლდლობთ, ანაფორები გაცვიათ და ჰრევოლუციონერობთ გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბლალავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეველმა. არც არაფერი იმით დაშავდება თქვენი გავლენა ხალხზე გეუბნებით გამოცხადებით, აშკარად, საბოლოოდ მავნებელი გამოდგება, არ არი მოსაწონი თქვენი გავლენა, ვინაიდგან იგი სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს და მხოლოდ მონებს ალუზრდის ქვეყანას და არა ნამდვილს მამულიშვილებს და მოქალაქეებს საწყინო იყო, თუმცა ბევრს სოციალისტ-რევოლუციონერს არ სწყინდა, არამედ ესახელებოდა კიდევაც, მამა გაპონი რომ მუშებს გაუძლვა წინ, შარშან იანვარს სასახლისაკე. ამით გაპონმა რუსეთის სოციალისტებს რამდენიმე ჩანახი ლაფი დაასხა თავზე, თუმცა უკანასკნელებმა ვერც კი იგრძნეს. კიდევ კარგი, რომ გაპონიც ყალბი სოციალისტი გამოდგა.

დღეს კი თქვენი მოღვაწეობა ნაყოფიერია და უფრო ნაყოფიერი იქნება თუ იქადაგებთ მაგ მოწინავე აზრებს, როგორც მოქალაქენი და არა როგორც მღვდლები.

...ეს ერთიჯურა მღვდლების ვინაობა ვიცით, ხოლო არიან სხვა მღვდლები, რომელნიც არ ვიცი, რომელ პარტიას ეკუთნიან. მე ვამბობ ხევსურეთის მღვდლებზე. ამ რამდენიმე წლის წინად ქრისტ. აღმად. საზოგადოებამ ააშენა, საცაარა მგონია, ხევსურეთში საყდრები და დანიშნა მღვდლები. საკმაო ჯამაგირებიც გაუჩინა, თითო მათგანი იღებს

წელიწადში (600 მ.). და ერთხელ თუ დაენახვება წლის განმავლობაში თავის მრევლს, დანარჩენი დრო თავ-თავიანთ სახლებში სხედან (ნუ დაივიწყებთ, რომ ეს მღვდლები სულ ბარელები არიან გარდა ს. ახიელისა) და იღებენ პენსიებს. აი ესეც ნიმუში ბიუროკრატის კეთილგონიერებისა. სად არიან ეს მამანი? რას ფიქრობენ? ნუ თუ არაფერს მოვალეობას არა ჰერძნობენ წინაშე ერისა თუ სამღლო წესების ასრულებას არავინ სთხოვს, მაინც ამით მართლულობენ მუდამ მღვდლები თავსა, საპოლიტიკო მოღვაწეობა ხომ ფართოა. მთაში პროვოკაცია იკიდებს ფეხს და ბიუროკრატია აბამს თავის აბლაბუდას, ამ შემთხვევაში მაინც თვალს აუხელენ ხალხს და გააფრთხილებენ. თქვენვე ბრძანეთ, რომელ პარტიას უნდა ეკუთნოდენ ეს მღვდლები. ვგონებ, ჩემთან ერთად თქვენც იტყვით, რომ სულიერი მამები არიან „მიიღე ჯამაგირის“ პარტიისა (ვაუა-ფშაველა 1906:).

მე-20 საუკუნის დასაწყისი, ფაქტობრივად, დიდი რელიგიური გულგრილობის ამოხეთქვის ახალი ტალღით დაიწყო. ეკლესიის წინააღმდეგ წამოწყებულ მიზანმიმართულ კამპანიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის ფურცლებზე ხშირად აშუქებდა უურნალი „მწყემსი“, რომელსაც უფრო ღვთის პირიდან გადავარდნილთა მოგერიება უხდებოდა. საილუსტრაციოდ ეს რამდენიმე ამონარიდიც გამოდგება:

„ძლიერ ცუდი დრო დადგა. დაბერა სხვა ქარიშხალმა, რომელმაც ლამის მთლად შეარყიოს ჩვენი არსება და ძირფესვიანად ამოსთხაროს ჩვენ გულში სარწმუნოება, ღვთის მსახურება, ეკლესიისა და მის მსახურთა სიყვარული“ (მწყემსი, №23-24, 1904: 2); ნუ დაემონებით მამონასა, ნუ წარგიტაცებსთ სიამენი ამა სოფლისა, გახსოვდეთ, რისთვის ხართ მოვლენილი და დადგენილი ამა ქვეყნად; სახედ ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სვლითა, სულითა, სარწმუნოებითა და სიწმიდითა (იქვე: 5).

„მოუმზადებელნი, საქმის უცოდინარნი და გაუგებელნი ორიოდე კალმის მოსმით სწყვეტენ ისეთ კითხვებს, რომელზედაც ჯერეთ არც ერთ ბრძენს და ღრმად ნასწავლს ვერ გაუბედნია უკანასკნელი მსჯავრის დადება და საბოლოოდ გადაწყვეტა. გაზეთ „ისარში“ წერენ: „თანამედროვე ეკლესია ბუდეა ყოველგვარი სიბნელისა და გახრწნილებისა და ბრძოლა იმის წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. ქრისტეანობა პირველად პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ იგი მალე გარყვნა სამღვდელოებამ, რომელმაც ეკლესია გახადა ქრისტეს წმინდა მოძღვრების დასაგმობ და შესაბორკავ იარაღად... ეკლესია დიდანს იყო და კიდეც არის ადამიანის სულის შემბორკავი... ვინმემ რომ დასწეროს ჩვენი სამღვდელოების ისტორია ბოლო საუკუნისა, ეს იქმნებოდა საზიზღარი ისტორია ჯაშუშობის, დაბეზღების, ღალატის, ზნედაცემულობის, მონობისა და გარყვნილებისა.

ახლა უფრო გამომჟღავნდა ჩვენი სამღვდელოების დაცემულობა. გამომჟღავნდა, რომ ის ჩვენს ცხოვრებაში ბოროტებაა, ბოროტება, რომელიც უნდა მოისპოს, ალიგავოს... სამწუხაროდ, ხშირად სამღვდელოებას ისე მტრულად არ ვეპყრობოდით, როგორც საჭირო იყო“ (მწყემსი, №5, 1907: 1-2).

„გავრცელდნენ ბოროტი თესლის მთესავნი, უკუღმართი მოქადაგენი; ქადაგებენ უვიცნი ბალები, ნასწავლნი, მაგრამ საღმრთო წერილის და ღვთის მეტყველების უმეცარნი და უვიცნი“ (მწყემსი, №12, 1907:3)

საყურადღებოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, უურნალ „მნათობის“ დამაარსებლის ნიკო ავალიშვილის შეფასება, რომელიც ზუსტი ანალიზია რუსეთის „მარადმნვანე“ იმპერიალისტური პოლიტიკისა და მისი შედეგებისა: „ქართველი ერი ამისთანა ზეგავლენის ქვეშ რუსეთის მაზედ გაბატონების დღიდგან მოჰყვა, ესე იგი მას აქეთ ას წელიწადზედ მეტია. ამ ხნის განმავლობაში მღვდლებმა, რასაკვირველია

უფრო სოფლებისამ, მეტად მცირედი გამონაკლისით, ხალხისთვის ყოველივე მნიშვნელობა დაჲკარგეს, მათ მოვალეობად მღვდელმსახურების ავტომატიური ალსრულებადა დარჩა; მაგრამ ბევრი წილი მრევლისთვის ამისი მნიშვნელობაც შესუსტდა. მღვდლებმა უმთავრესი თვისი მოვალეობა — ერის გულმოდგინე მწყემსად, მოძღვრად ყოფნა, მრევლის ზნეობრივი აღზრდა, მის მანუგეშებლად, ცხოვრების გზის მაჩვენებლად ყოფნა უარჲყვეს, — ან იმიტომ, რომ არც მრევლისგან, არც მთავრობისგან უზრუნველყოფილი ცხოვრება არა ჰქონდა, მაგრამ კი უფრო იმიტომ, რომ ამისთვის შესაფერისად მომზადებული არ იყო. არც სასულიერო სასწავლებელი და არც სემინარია ამ მხრივ მათს მომზადებაზედ არა ზრუნავდა. მაში თვითონ რომ არაფერი იცოდა, სხვას რას ასწავლიდა? ეკლესია დაცარიელდა, მღვდელსა და ერს შორის კავშირი დაირღვა. ერმა სარწმუნოებაზედ ხელი აიღო, ღმერთი დაჲკარგა და გაველურდა, გამხეცდა, კეთილისა და ბოროტის გარჩევა დაავიწყდა, გაცხოველდა და, რაკი ცხოველურ ცხოვრებაში ბოროტის ქმნა უფრო არის გამეფებული — ხარბი, მტაცებელი სუსტის დამჩაგვრავი და სათავისო სურვილების დამაკმაყოფილებელი შეიქმნა და იქამდისაც მივიდა ქართველი ერი, დიალ, ძველად ადამიანური საქციელით ქებული ქართველი ერი, რომ ეკლესიებს ნგრევა დაუწყო. საქართველოს ცხოვრების სიმბოლოს — ქრისტეს ჯვარს ფეხით ჰქელავდა; ღმერთიც უარჲყვეს — ვინ? — იდიოტობამდის უგუნურმა ბიჭჭუჭჭებმა, ის ღმერთი, რომლის მხოლოდ ხსენებაზედ, დიდად მეცნიერი, მეცნიერების მეფედ მიჩნეული, ნიუტონი, სადაც უნდა ყოფილიყო მჯდარად ფიცხლავ ფეხზედ წამოდგებოდა... ერთმა ჩემმა იდიოტმა, 17 წლის ბიჭმა, გოლაშვილმა, კი გორდის კვანძი ერთი დაკვრით გახსნა და ღმერთის უარყოფას და ეკლესიების ნგრევას ჰქადაგებდა. მაგრამ საოცარი კიდევ ის არის, რომ ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი მონაფეებს ასწავლიდა: ქრისტე არ არსებობ-

და, მოქორილიაო. მე კი რომის არქივში ნაპოვნი პილატეს ოქმის პირი მაქვს მისი ჯვარზედ გაკვრით დასჯისა. მაგრამ ამაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ დროის გამეფების გავლენით ამ საზიზღარს ფერხულში სათავისოდ მომართული ხნიერებიც ჩაებნენ, ეგრეთვე უმაღლესი სწავლით აღჭურვილნი, რომელთაც ყველაზე მეტად უნდა სცოდნოდათ თუ სარწმუნოება ერის წესიერი ცხოვრებისთვის რამდენად საჭიროა და მისი წესიერი განვითარებისთვის იგი რაგვარ ძალას წარმოადგენს“ (ავალიშვილი 2014: 36-37).

ჯერ კიდევ 1904 წელს გაზეთმა „ივერიამ“ შემაშფოთებელი დასკვნა დადო: „ჩვენმა ხალხმა (განურჩევლად წოდებისა) გონება-ქონებასთან სარწმუნოებაც დაჰკარგა“ (ივერია №79, 1904:). შექმნილი მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თავად ამ ეპოქის სასულიერო პირებს. კერძოდ, გორის მაზრის ბლალორჩინი ამის თაობაზე წერდა: „სამწუხაროდ, ახალგაზრდა თაობაში აღარ შემჩნევა ის მიმართულება, რაც ადრე იყო. რელიგიური გრძნობები მასში გაცივდა. **სარწმუნოებისა და წესების მოთხოვნები ირლვევა დაწყნარებული სინდისით**“ (ჩხარტიშვილი 1982: 52).

„სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მღვდელები თითონ აძლევენ ხალხს სარწმუნოებაზე გულგრილობის საბუთს.. ერთობ გულგრილათ და დაუდევრათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ეკლესიაში... ბევრგან მღვდლები ღამეს ატარებენ სმაში, ქალალდის და ნარდის თამაშობაში, პაპიროსის ბოლებაში და დილით კი გონება აბნეული და დაღლილი მიდიან ეკლესიაში წირვის შესასრულებლათ... მღვდელი დუქანში ითრობა, დუქანში საჯაროთ მარხვასა სჭამს, ეკლესიის კარების წინ გადააგდებს ხელიდან პაპიროსის ნამწვს. მღვდელს თავისი გარეგნობისა სცხვენია, იკრჭავს თმას და წვერს, ჩოხაზე გრძელ ანაფორას აღარ იცვამს“ (შინაური საქმეები, №10, 1910: 3-4).

1910 წელს თბილისის სამღვდელოებას საგანგებო წერილს უძღვნის ჟურნალი „შინაური საქმეები“ და დანანებით წერს, რომ: „თბილისის სამღვდელოება ცნობილია თავისი უდებობით, ბოლოდაშვებულობით, სამსახურის უგულოდ და გარეგნულად შესრულებით... ხალხმა გული აიყარა თავის საღოცავ ტაძრებზე და შეიძულა ურგები სამღვდელოება... თბილისის სამღვდელოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, თუ სრულებით არ მოიშორა უსაქმურობისაგან მოკიდებული ობი და უანგი, თუ თავი არ დააღწია დღევანდელს თავის უდებობას და ნელთბილობას, თუ ეხლა მაინც არის არ იწყო თავისი საღმრთო მოვალეობის განხორციელება სრული შეგნებით და ქრისტიანული სიწრფელით, გათავებულია მისი საქმე, წასულია ქართველობის ქრისტიანობა“ (შინაური საქმეები, №17, 1910: 12).

რა თქმა უნდა, სამღვდელოების დეგრადაციაზე საუბარი იმ საზოგადოების რეალურ სახესაც აჩვენებს, რომელშიც საეკლესიო პირებს უხდებოდათ თავიანთი მისიის აღსრულება. მათი „უღირსად მსახურებაა“, თავისთვად, სერიოზული პრობლემა იყო, თუმცა არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან არც მრევლს. რაც ერი — ის ბერიო. ამისი დასტურია პრესაში გამოთქმული ეს მოსაზრებებიც: „ჩვენი საზოგადოება, ასრე ადვილად მკიცხველი „უძღები და ხარბი მღვდლებისა“, ერთი წამით მაინც რა არის, არ ითვალისწინებს სხვების, რომლებიც მდიდრებს სამათხოვროდ ხელს უწვდიან, სულისკვეთებას! (შინაური საქმეები, №31, 1909: 6).

„სამღვდელოების უვარგისობის მიზეზი თვით საზოგადო ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. სამღვდელოების კურნვა-განახლება საზოგადოებიდან უნდა დაიწყოს და არა მარტო სამღვდელოების საყვედურებით“ (მწყემსი, №18, 1920: 6).

\*\*\*

ნოე ჟორდანიას მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკით შეწუხებული სასულიერო პირები კარგად ხედავდნენ სამ-ლვდელოების დეგრადირებას, მრევლის გულგრილობას სარწმუნოების მიმართ, ამიტომაც გახშირდა ადგილობრივი კრებები ეპარქიებში: „საჭიროა სამღვდელოების ფენა განიწ-მინდოს უგვანთაგან, თუ არ გვინდა საბოლოდ უარი არ ითქ-ვას და ზურგი არ შეაქციოს გამწარებულმა და მოთმიწებიდან გამოსულმა ერმა მამა-პაპათა ეკლესიას“ — აღინიშნებოდა ეპარქიალურ კრებებზე. მღვდელი მ. დაქიშვილი კი გულისტ-კივილით წერდა: „პირველ რიგში, დამნაშავეა თვით მრევლი, თვით ხალხი და დრო! მაგრამ არც ჩვენ ვაკეთებთ, არც ჩვენ ვიქცევით, როგორც შეგვფერის, არ ვდგავართ იმ საფეხურზე, რა საფეხურზეაც უნდა ვიდგეთ (პავლიაშვილი 2000: 194).

როგორც ვხედავთ, სასულიერო პირთა მიმართ გამოთქმუ-ლი ბრალდებები და საყვედურები არახალია! ამის საილუს-ტრაციოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუ-ნის პუბლიცისტიკის ის ნიმუშებიც (მრავალთაგან მცირედი) კმარა, ჩვენ რომ მოვიხმეთ.

ნეგატიური განწყობა გადავიდა ზეპირსიტყვიერებაში. სა-სულიერო წოდების ზედაცემულობასა და ათასგვარ მანკი-ერებაზე ითხზვებოდა ფოლკლორის ნიმუშები: „ეს ხუცესი ჩვენს კისერზედ, / მაინც ქეა დასკუპული, / დიაკვანიც იმას ბაძავს, / უნამუსო, დალუპული!“ (ხათაბალა, №1, 1920: 12). რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაზვიადებული იყო, მაგრამ ზუსტად ასახავდა იმ შედეგს, რომელიც ცარისტული ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად დადგა. საბჭოთა საქართველოში ჯერ 1928 წელს დაიბეჭდა გ. ლომთათიძის „სამღვდელოება ქარ-თულ ზეპირსიტყვიერებაში“ (მეორე შევსებული გამოცემა - 1933 წ.), რამდენიმე წლის შემდეგ კი გამოსცეს სოლომონ ყუბანეიშვილის „სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში“.

ამ წიგნებში თავმოყრილი მასალა, რა თქმა უნდა, ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ შეკრებილი და მოძიებული არ არის. მა-შინდელი ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი იყო, ბოლომდე გაეთახსირებინა და დაეცა სასულიერო წოდების ავტორიტეტი ხალხში. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, გაკიცეულია მღვდლისა და დიაკვნის გაუმაძღვრობა, სიხარბე, მათი კამათის ძირითადი საგანი წილების გაყოფა იყო: „დიაკონმა უთხრა მღვდელსა: / შენ რათ იღებ ჩემზედ მეტსა? / შენ რომ ტრაპეზში შედიხარ, / მე გარედან გინყობ ხელსა“, მაგრამ ეს უკანასკნელი თავს იმართლებს: შენ წილი აღრ გერგება, / რომ არ იკიდებ ბევრსაო“ (ყუბანეიშვილი 1932: 10). რა თქმა უნდა, ეს წიგნები კონიუქტურის ნაყოფი იყო, ამიტომაც აქცენტები ასეთი სიმზვავით დასმევინეს ავტორებს: „იმდენად ზნედაცემულადაა გამოყვანილი მღვდელი, რომ ის არათუ სხვის ქალებს, არამედ თავის შვილსაც კი არ ზოგავს ამ მხრივ. ეს გარემოება ნათლად აქვს ასახული ხალხს ზღაპარი „მღვდლისა და იმის ქალის შესახებ“-ში, სადაც მღვდელი პირდაპირ ძალას ატანს შვილს, რათა თავისი სქესობრივი ჟინიანობა დაიკმაყოფილოს“ (იქვე: 12). წიგნში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, მრუშობენ უმაღესი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლები: ეპისკოპოსელი და კათოლიკოსები; ამ ცოდვაშია ჩაძირული ბერმონაზვნობაც: „ბერო, სული გირჩევნია / თუ ლამაზი ქალებია? — შენი სული შენა გქონდეს, / მე ლამაზი ქალებიო, „ანდა“ საიქიოს სული მინდა, / აქ ლამაზი ქალებიო“ (იქვე: 21). გაქილიკებულია სამღვდელოების ჩამორჩენილობა და გაუნათლებლობა: „მღვდელი ჰკითხავდა ერთ კაცსა: / ახლა აღდგომა როს არი?“ ან „მღვდელს დიაკვნად მივებარე, / ვერ მასწავლა ანა-ბანა“ (იქვე: 14). ქრთამისა და მრუშობისათვის მღვდელი კაცის მკვლელობაშიც კი მონაწილეობს (მზეთუნახავი ქალი და მისი ბიძა). მღვდლები გამოყვანილი არიან მოსახლეობაში ეპიდემიური

დაავდებების გამავრცელებლადაც. დასცინიან მის წვერებს (ბებერ თხას უგავს წვერია; ციკანს მიუგავს წვერია...). გ. ლომთათიძის წიგნის სულისკვეთება ავტორისეულ ანტი-რელიგიურ დასკვნებშია განფენილი: „ძველად, უხსოვარ დროში ხალხმა შექმნა ღმერთები, შექმნა სარწმუნოება და მისი მფარველი ჯგუფი — სამღვდელოება. და საინტერესო ხალხთა ცხოვრებაში არის ის, რომ ყველაზე მეტი დრო სამღვდელოებამ მოსჭამა, მაგრამ ქვეყნად მუდმივი არაფერი არ არის. ყველაფერი იცვლება და ყველაფერს ბოლო, დასასრული აქვს და, აი, ღმერთებსაც, სარწმუნოებასა და მის ქურუმთ — სამღვდელოებასაც ბოლო და დასასრული ჰქონია“ (ლომთათიძე 1933: 30).

ნაადრევი აღმოჩნდა გ. ლომთათიძისა და მისთა მოძმეთა ინტერნაციონალური ოცნება — მაშინ რას წარმოიდგენდა გ. ლომთათიძე, რომ მის მიერვე გაკიცხული სამღვდელოება მალე მოესწრებოდა კომუნისტური პარტიის აღსასრულსა და გაუბზარავი ხმით უგალობებდა „სულთა თანას“!



\*\*\*

რადგან საბჭოეთში გააფთრებული ებრძოდნენ ქრისტიანულ რელიგიას, ზოგადად — რწმენას: „მართლმადიდებლობა ეწინააღმდეგება პროლეტარიატის სწორად გაგებულინტერესებს“ — ამბობდა სტალინი (სტალინი რელიგიისა... 1933: 10), პროპაგანდამ სასულიერო წოდების ლიკვიდაციის აუცილებლობა განსაზღვრა: „პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ, რომელიც სწამლავს მშრომელი მასების შეგნებას. **დავთრგუნეთ თუ არა რეაქციული სამღვდელოება? - დიახ, დავთრგუნეთ, ოლონდ უბედურება იმაშია, რომ იგი ჯერ კიდევ სავსებით არ არის ლიკვიდირებული (სტალინი რელიგიისა... 1933: 14).** როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ 1921 წლის საქართველოს ანექსიისთანავე, 15 აპრილის 21-ე დეკრეტის ძალით, ბოლშევიკებმა საქართველოს სამოციქული მართლმადიდებელ ეკლესიას მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვეს, სასულიერო პირებისაგან წვერის გაპარსვა და ანაფორის გახდა მოითხოვეს. მათივე მითითებით შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“.

დაინტყო გაუგონარი, ჯერ არნახული მკრეხელობა და გააფთრებული ბრძოლა. 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. „იმავე დღეს დააპატიმრეს: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ქაშუეთის ეკლესიის წინამდღვარი დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი), ქაშუეთის ეკლესიის დიაკვანი დიმიტრი (ლაზარიშვილი), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამდღვარი არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), ვერის ეკლესიის

წინამძღვარი ანტონი (თოთიბაძე), სიონის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მარკოზი (ტყემალაძე), ნიკოლოზი (არჯევანიძე), საკათალიკოსო საბჭოს წევრი ნიკოლოზი (თავდგირიძე) (ვერა და ვერ მოინელა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის პროტესტი. 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც, ევროპის სახელმწიფოების გარდა, მიწვეული იყო ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა სოციალისტური რუსეთის მთავრობის დელეგაცია. უნმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ კონფერენციის მონაწილეებს წერილით (მემორანდუმით) მიმართა, რამაც კონფერენციის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მემორანდუმში უნმიდესი ამბროსი მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ძირითად ეტაპებს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანას 1918-21 წწ. და ბოლშევიკური ხელისუფლების მტკიცების საწინააღმდეგოდ ახალ ხელისუფლებას უწოდებდა საოკუპაციო რეჟიმს: „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება”. პატრიარქი სინანულით დასძენდა, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ახლა სოციალიზმის დროშით ნათლავენ ქართველ ერს ფიზიკურ გადაშენებამდე და გახრნამდე მიიყვანდა, რომ იდევნებოდა ჩვენი დიდებული წარსული, ეკლესია, სამღვდელოება იყო უკიდურესად დევნილი და უფლებააყრილი. უნმიდესი ამბროსი საერთაშორისო

საზოგადოებისგან მოითხოვდა, დახმარებოდნენ საქართველოს": დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ და დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძღავრობა — მოტაცებისაგან" (ვარდოს-ანიძე 2011:).

ზესტაფონში წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის დეკანოზ გიორგი ფერაძეს კომკავშირელი აქტივისტები სახლში შეუცვივდნენ და მრევლის წინაშე ღვთის მგმობელი სიტყვით გამოსვლა მოსთხოვეს. დეკანოზი დასთანხმდა. როდესაც აქტივისტებმა მრევლი მოიყვანეს, გიორგი ფერაძემ ქრისტეს მოძღვრების ქადაგება დაიწყო. ამის საპასუხოდ კომუნისტებმა დეკანოზი სიშტების კვრით მდინარე ყვირილაში ჩააგდეს და თოფებით ჩაცხრილეს.

სასტიკი და დაუნდობელი ძალადობა გამოიჩინეს ბოლშევიკებმა. ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმსახურს, ერმალო ჩიმაკაძეს, ძალით გაპარსვა დაუპირეს. როდესაც მაკრატელი მიადეს, სასულიერო პირს თურმე გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ხობში კომუნისტებმა მამათა მონასტერში შეკრებილ ხალხს დაჩოქება და პარტიის ერთგულებაზე დაფიცება მოსთხოვეს. მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა შიომ, მრევლს მიმართა, არ შეესრულებინა ათეისტების მოთხოვნა. ამის გამო, კომკავშირლებმა იგი ხალხის თვალწინ ძალდატანებით გაკრიფეს.

გაბშირდა რელიგიის საზოგადოებრივი გასამართლება. 1923 წლის 9 თებერვალს ქ. ონის საზოგადოებრივმა სასამართლომ განიხილა მოქალაქეთა ჯგუფის მიერ აღძრული საქმე. ეკლესიის მსახურებს დაუმტკიცდათ ყველა წაყენებული ბრალდება. **სასამართლომ დაგმო რელიგია და ეკლესია, როგორც მშრომელი ხალხისა და მოზარდი თაობის მტერი.** კულტის მსახურთ მიესაჯათ ანაფორის ნებაყოფლობითი

გახდა, გაკრეფა და მშრომელი ხალხის სამსახურში ჩადგომა (კვესელავა 1979: 76). 1923 წლის გაზეთი „სპარტაკი“ (№33) აქვეყნებს ასეთ ცნობას:

## ელვდლუში აქაც გაიპრიჭინენ

ამაშის რაიონში „წმინდა გამებბა“ სისრულეში მოიყვანა რამოდენიმე ამ ბნელეთის მოციქულ ხუცებში ღინად კომუნისტური ახალგა- უკვე დიდი ხანია დაკარგებს ხალხში ზრდობის ინიციატიურობით. ელვ- ნდობა. ჯერ კიდევ სანამდი დაიხუ- სიების დახურვის წინა დღებში რებოლა ეკლესიები რამოდენიმე მოეწყო რაიონის ყავლა თვეებში შევდებოდა გაძირო ანაფორა. ხალხი ანტირელიგიური მიტრი გადა- გებზე ფართოთ გაეცნო შშრომელ გასაბჭოების ღლიდა უცდიდა იმ მასა მოციქულ ხუცებ-ბერების სა- ბეჭდიერ ღლეს, როცა ყველა ეკლე- ზიზღარ მოქმედებას. შშრომელმა სიები გადაკეთდებოდა სხვა და სხვა ხალხში შეგნებულიდ ერთხმათ მოით კულტურულ დაწესებულებათ, რო- ხოვა, რათა საჩეროდ გაუქმდებულ ცალტერი და სასულიერო მოძღვოდა ყველა ხუცების გა- რები. თავის გულის წალილი აბა- კრება, თავის გულის წალილი აბა- შის რაიონის შშრომელ გლეხხმაში, შებში დახურულ იქნა საყდრები.

ენცობოდა დისპუტები, რომლებსაც ათეისტები მარ- თავდნენ სასულიერო პირებთან. ამ ტიპის საუბრებს უამრა- ვი ხალხი ესწრებოდა და საათობით გრძელდებოდა. ძალიან ხშირად რელიგიურად გაუცნობიერებელი უღმერთოები ვერ უძლებდნენ მღვდლების ლოგიკას, როგორც შემდეგში „პარ- ტია დაინუნუნებს“, არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული და ამიტომაც შენწყიტეს სამღვდელოებასთან დისპუტები სათა- ნადო მეცნიერულ-საგანმანათლებლო მომზადების გარეშე. თუმცა, მოიძებნა გამოსავალი — მოძღვართა თვითმხილების ფორმა. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ქუთაისში რელიგიის წინააღმდეგ ბრალმდებლად გამოვიდნენ მეცნიერები, მუშე- ბი, გლეხები. პროცესის დასასრულს თვითმხილებით გამოვი- და ადგილობრივი მღვდელი, რომელმაც გაილაშქრა რელიგი-

ის მატყუარობის წინააღმდეგ. ამ გასამართლებამ საფუძველი ჩაუყარა ფართო ანტირელიგიურ კამპანიას“ (კომუნისტი, 20 თებერვალი, 1923).

მებრძოლი უღმერთოები ხალხს არწმუნებდნენ, რომ „კულტის მსახურები“ საჯაროდ გმობენ რელიგიას, რომ სისტემატურად ვიღებთ წერილებს რაიონებიდან, მღვდლები გვთხოვენ მშრომელი გლეხობის რიგებში მიღებასო, მაგრამ ეს იყო ბინძური ტყუილი. აიძულებდნენ, ყველანაირ პირობებს უქმნიდნენ სოფლებში სასულიერო პირებს, ასე ეთქვათ: „დავრწმუნდი რა, რომ სარწმუნოება ყოფილა სიცრუე და სიყალბე, ვტოვებ ამ სამარცხვინო ხელობას, ვუბრუნდები პატიოსან მშრომელ გლეხობას და მასთან ერთად მსურს ვიცხოვრო ჩემი პატიოსანი შრომით. იმედი მაქვს მშომელი გლეხობა მაპატიებს ამ დანაშაულს და მიმიღებს“ (კომუნისტი, 24 აპრილი, 1923). წერდნენ იმასაც, რომ ზოგიერთ რაიონში გაიმართა სამღვდელოების კონფერენცია, რომელზეც მღვდლებმა თვითკრიტიკის შემდეგ გაიხადეს ანაფორა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ითხოვეს სამუშაოზე მოწყობა (კომუნიზმის დროშა 1923: 104). ვინც თავისი ნებით ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ, წამოსულიყვნენ ეკლესიიდან. საკათალიკოზო არქივში არის ასეთი შინაარსის განცხადებებიც:

„ახალციხე-ახალქალაქის მთავარხუცესს, მ. სალარიძეს ზედა თმოგვის ეკლესიის მღვდლის, ანტონ ავალიანის

## განცხადება

რადგან ნათლად დავინახე, რომ ჩემი მღვდლობით ვერაფერი სარგებლობას ვერ მოვუტან საზოგადოებას, გადავწყვიტე გავიძრო ჩემი ტანიდან ანაფორა, ჩავიცვა საერო

ტანისამოსი და დღეიდან მეც შევიდე ისეთ საერო სამსახურში, რომელიც საზოგადოებას რაიმე სარგებლობას მოუტანს. გთხოვთ, მოპრძანდეთ ჩემდამი კუთვნილ ეკლესიაში და ჩაიბაროთ იგი თავისი ქონებით”.

თავის მხრივ, მთავარხუცესი მ. სალარიძე საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს ატყობინებდა: ქონება კი ჩავიბარე, მაგრამ, თუ იქ ვინმე არ გაგზავნეთ, უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია გაიძარცვებაო (ვარდოსანიძე 2011:).

პარტია ცხოვრების ვერცერთ ეტაპზე ვერ ეგუებოდა სამღვდელოების არსებობას — მუდმივად გაისმოდა მუქარა, სიძულვილის ენით საუბარი. ვითარება იმდენად საგანგაშო გახდა, რომ 1928 წლის 22-23 მაისს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა საქართველოში მოქმედ რელიგიურ საზოგადოებათა და ღვთისმსახურთა მდგომარეობის შესახებ: „უკანასკნელ ხანში მორწმუნეთა და ღვთისმსახურთა დევნამ მიიღო მწვავე ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ იდეურ ანტირელიგიურ პროპაგანდაში, არამედ და უმთავრესად ადმინისტრაციულ დევნაში და ფიზიკურ შევიწროებაში ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა მიმართ. ზოგიერთ სოფელში ადმინისტრაცია არ უშვებდა მღვდელს და არ აძლევდა ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას, ართმევდნენ მინის ნორმას და ხელწერილის საშუალებით პირობას ადგინებდნენ სასულიერო პირებს, უარი ეთქვათ ღვთისმსახურებაზე, თვითნებურად და გადამეტებით ბეგრავდნენ სამღვდელოებასა და ეკლესიებში მოსიარულეთ, სასულიერო პირთა შვილებს უარს ეუბნებოდნენ საერო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებაზე. საკათალიკოსო სინოდის სხდომაზე დასახელებულ იქნა არაერთი დევნა-შევიწროების ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ, მაგალითად: სილნალის მაზრის სოფ. აფენის თემალმასკომის თავმჯდომარებ

ალექსანდრე ლალიევმა მღვდელი დემეტრაშვილი სოფლი-დან გამოაძევა; რაჭის მაზრის სოფ. კვაცხუეთის მცხოვრებ მღვდელ მელიტონ გოგობერიშვილს ჩამოართვეს მიწის ნორმა; სოფ. წესის აღმასკომის თავმჯდომარემ სოფლის მღვდელს, გიორგი გოცირიძეს, მოსთხოვა ხელწერილი დაე-წერა, რომ ამიერიდან უარს ამბობდა მღვდლობაზე; ცეცხლს მისცეს გუდაუთის, ცხუკვეთის, ლაილაშის ეკლესიები; დიდ ხარჯებს აწერდნენ ცხინვალის, სიღნაღის, თბილისის სამ-ღვდელოებას (ვარდოსანიძე 2011:).

1923 წლის 3 მაისს ქართველი სამღვდელოების ერთმა ნაწილმა სპეციალური განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას: „საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქა-რთველი სამღვდელოება მენშევიკების მომხრე „აგენტებად“ ჩათვალა. სარწმუნოება, სამღვდელოება და მთელი ეკლესია ჩვენში თითქოს მებრძოლ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებ დასახულ იქნა... ქართველი სამღვდელოება არც მენშევიზმის „აგენტი“ არაა და ყოფილა და არც რომელიმე სხვა პარტიისა“ (როგავა 1994: 26-27).

1922 წელს, როცა მასობრივი შიმშლობა დაიწყო რუსეთში (თუმცა, უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოში იყო). გაჩინდა ლოზუნგი: ეკლესიის განძეულობა დამშეულთ! მოს-კოვში გამძაფრდა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის პრო-ცესი. 1922 წლის გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს სტატიას, რომელშიც პირდაპირ სასულიერო პირთა ლიკვიდაციის მოთხოვნა გაისმის (უამრავი რეზოლუციიდან, რომლებიც გამოაქვთ მუშებს გადამჭრელი ზომების მიღების შესახებ საეკლესიო განძეულობის მოსახმარად და წინაამდევობის გზაზე შემდგარი სამღვდელოების ასალაგმავად): „მუშათა კლასი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ სამღვდელოებამ მოი-სურვა განსაცდელის წამს მისი სიმშილით დახრჩობა და სა-თანადოდ გაუსწორდება მას“ (კომუნისტი, №79, 1922: 1).

სამღვდელოებას ეჭვის თვალით უყურებდნენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც: „სულიერი მამები“ თუ უანაფორო ფილოსოფოს-იდეალისტები, მეორე მსოფლიო ომის მათვის სავალალო შედეგებით შეშფოთებულები, ამჟამად მთელ იმედს, მდგომარეობის გამოსწორებას მესამე მსოფლიო ომზე ამყარებენ“ (სახაროვი 1953: 14).

\*\*\*

1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაკეტილი ეკლესიების საყოფაცხოვრებო ობიექტებად გადაკეთებისათვის 5 მილიარდი მანეთი გამოყო. ყველაზე ხშირად ტაძარს კლუბად, საწყობად და თეატრად იყენებდნენ. თბილისში ნაძალადევის რაიონის ეკლესიაში აპანო მოაწყვეს; დაბა წყნეთში პურის საცხობი გახსნეს; აფხაზეთში ახალი ათონის მონასტერი არასრულწლოვანთა კოლონიად გადააკეთეს; დიღმის ეკლესია კი სასაკლაოდ აქციეს. აქ პირუტყვს პირდაპირ საკურთხეველთან ატყავებდნენ.

ქალაქებში გაიხსნა ანტირელიგიური მუზეუმები, ხოლო დაწესებულებებში აამოქმედეს ულმერთოთა უჯრედი, რომელსაც მშრომელებს შორის ანტირელიგიურ აგიტაცია დაევალა. უჯრედთან გაიხსნა ანტირელიგიური სწავლების კურსები, რომლებზეც დამწყებ ულმერთოებს „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნოლოგიებს“ აცნობდნენ. ზუგდიდის მაზრაში ანტირელიგიური კამპანიის შესახებ 1923 წელს ასეთი ცნობა დაიბეჭდა: „ანტირელიგიური კამპანია ჩვენ ქალაქიდან დავიწყეთ, მოეწყო მრავალკაციანი მიტინგები. მოსახლეობამ მტკიცნეულად განიცადა ეკლესიების დახურვა. ექსცესები იყო მღვდლების პროვოკაციების შედეგად. სოფელ ობუთში მოსახლეობამ თავად გაკრიჭა მღვდლები. მაზრაში 100 ეკლესიამდე დაიხურა“.

1921-24 წლებში ანტირელიგიური ისტერიის პირველი ეტაპი იმით დასრულდა, რომ საქართველოში მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიხურა ანქოხ-სამკითხველობად, კლუბებად გადაკეთდა. ანტირელიგიური ჟინით შეპყრობილი ადამიანები ანგრევდნენ ისტორიული ღირებულების ტაძრებს, რომელთა ქვებს იყენებდნენ როგორც სამშენებლო მასალას (გარდოსანიდე 2011:). წარმოუდგენელი ზიზლი და სიძულვილი სუფევდა ქვეყანაში. განსაკუთრებული სისასტიკითა და აგრესით გამოირჩეოდა კომკავშირული თაობა. 1923 წლის გაზეთი „სპარტაკი“ (№37) ბეჭდავს ა. მაშაშვილის ლექსს, რომელშიც ასეთი მუხტია ჩადებული:

## აჩალგაზრდათა სიმღერა!

ეს ქვეყანა გახრწნილი  
გვეზიზღება პირივით,  
არ ვცწამს მისი მცველები,  
ძირს იმათი უფლება!

ჩვენ მომავლის შეგირდებს  
სულ სხვა არე გვვირია,  
სულ სხვა თქმას მოითხოვს  
ჩვენი მიმართულება!

დავგმეთ შიში ზატყბის,  
რასაც პეტრი აღმერთებს,  
ზიზლით პირი ვარიდეთ,  
ცბიერ ბუდდას და ქრისტეს!

მათ ალამი პირველად  
გაჯ ყვნილების აღმართეს,  
მათი კალბი მარდვრება  
ზოგ ქვეყნებშიც დაჭრის დღეს!

ჩვენი იდეალია  
ურმა, სწავლა ახალი,  
ჩვენს დროში სწერია;  
ძმობა — სალიდარობა

ჩვენი საბინადროა  
აღთქმის მხარე მაღალი,  
დროს ჩვენც გვიყვარს ქეიფი,  
დროს თოფების ტარება!

ჩვენ მშრომელთა ქვეყანას,  
მუდამ მცველად უდექით,  
ებლაც ბრძოლის რიგებში  
მხათ ვართ ჩავდგეთ ეხლავე,

რომ ვაცნოთ სოფელს  
ჩვენი ძალა უდრევი,  
ეჭ ბეჭერი ქვეყნავე,  
აცი როდის გმარხავენ!

ალიოშა შიშაშეგილი.

ანტირელიგიური პროპაგანდის ქსელში საიმედოდ მუშაობდა **ათეიისტური თეატრი**, რომელიც სპექტაკლებს მთელი საქართველოს მასშტაბით ატარებდა. პირველი ასეთი წარმოდგენა ხაშურის რაიონის სოფელ მოხისში მოეწყო. მაყურებელს სპექტაკლი „ჯორდანო ბრუნო“ უჩვენეს. აგიტაციისთვის იყენებდნენ კინოხელოვნებასაც. საქაინმრენვს პირდაპირი დირექტივა ჰქონდა ეკლესიის დისკრედიტაციისა. აუცილებელი გახდა, მხატვრულ ფილმებში გაემასხარავებინათ სასულიერო პირები, დამახინჯებულად წარმოედგინათ ეკლესიის საიდუმლოებები. სოციალისტური მენტალობა დაუპირისპირდა ღმერთს. დადგა ათეიზმის ეპოქა. პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელი სილიბისტრო (სილია) თოდრია წერდა: „**ღმერთისავით მავნე კიდევ პიროვნება ქვეყნად მეორე არ იპოვება**“ (კვერენჩილაძე 2012: 96).

მძვინვარებდა პროპაგანადა.

რელიგიასთან ბრძოლა ხანდახან აბსურდამდე მიდიოდა, მაგალითად: ზღაპრების დასაწყისებიდან ამოიღეს: „იყო და არა იყო რა, **ღვთის უკეთესი რა იქნებოდა**“, რადგან საბჭოთა ზღაპარში ღმერთს ადგილი არ შეიძლებოდა ჰქონოდა. სამაგიეროდ, გაჩნდა ასეთი ალტერნატივა: „იყო და არა იყო რა, **მშრომელ ხალხზე უძლიერესი რა იქნებოდა?**“ (ლომთაძე 1933: 31). სერიოზულად განიხილავდნენ ახალი წელთაღრიცხვის დაწესების საკითხსაც. ულმერთოთა ხელმძღვანელის, იაროსლავ (ისაავ) გუბელმანის, აზრით, წელთაღრიცხვა 1917 წლიდან, ანუ რევოლუციიდან, უნდა დაწყებულიყო: „ჩვენ უკვე დღეიდან უნდა დავიწყოთ საკუთარი წელთაღრიცხვის გამოყენება. ასე რომ, ამჟამად 1929 წელი კი არ არის, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ ახალი ერის 12 წელია. მე ვხმარობ ტერმინს „ახალი ერა“ იმისთვის, რომ არ ვახსენო ქრისტიანთა ერა“.

ქართული პოლიტიკური ლირიკა ამ იდეას ასე ეხმაურებოდა: მართალია, ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან იწყება, მაგრამ ახალი ერა ან ლენინის დაბადების დღიდან, ან პროლეტარული რევოლუციიდან უნდა დაიწყოს: „მე წელთაღრიცხვას დავიწყებდი იმ დიდი დღიდან, / როცა ამქვეყნად დაიბადა ბრძენი ლენინი“ ან : 1917 წლის რევოლუცია დაუვიწყარია, რადგან „იქიდან მოდის ქვეყნის ნათელი / და მეც ცხოვრებას იქიდან ვიწყებ“.

1929 წლიდან სამუშაო კალენდარიდან ამოიღეს კვირა. საბჭოთა კავშირში სამუშაო კვირა 5-დღიანი იყო, მეექვსე დღეს მშრომელები ისვენებდნენ, შემდეგ კი ისევ 5-დღიანი კვირა იწყებოდა. ამ ფორმით კომუნისტებმა უარყვეს კვირა, ქრისტეს აღდგომის დღე, რომელიც მორწმუნეთათვის დასვენების დღედ ითვლებოდა. ასეთი სისტემა 1940 წლის ივნისამდე მოქმედებდა.

„სახარების ცრუ ზღაპრებს არარსებული იესო ქრისტეს დაბადების შესახებ ფართოდ იყენებენ კლასობრივი მშვიდობიანობის ქადაგებისათვის. ეს ზღაპარი ხელს უწყობს კაპიტალისტებს, მოატყუონ და დასჩაგრონ მუშები. წინააღმდეგ შობისა, წინააღმდეგ რელიგიისა და ხუცების ბოდვისა, გავმალოთ სოციალისტური მშენებლობა. **ლითონზე დარტყმულ** ჩაქუჩებისა და დაზგების ხმაურმა უნდა ჩაახშოს ხუცების ზარების გუგუნი და რელიგიური გალობანი. ამით ჩვენ გამანადგურებელ ლახვარს ვცემთ რელიგიურ ჩვეულებებს, ძველ ყოფა-ცხოვრებას. ეკლესიის მსახურების იერიშს ერთსულოვანი პასუხი უნდა გასცენ უღმერთოებმა, თითოეულმა შეგნებულმა მუშამ“ — წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 1929 წლის 23 დეკემბერს.

ანტირელიგიურ კამპანიაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა პრესასა და, ზოგადად, ბეჭდურ მედიას. სტალინი ამბობდა: ბეჭდური გამოცემები ჩვენი პარტიის უმახვილესი და

უძლიერესი იარაღიაო. შევეცადეთ, რამდენადმე მთლიანი სურათის წარმოსაჩენად წარმოგვედგინა ბეჭდური ისტერია, რომელიც საბჭოთა საქართველოში სუფევდა ანტირელიგიური კამპანიის სახით. ბეჭდავდნენ რუსულიდან თარგმნილსა თუ ორიგინალურს — ანტიეკლესიურ, ანტიქრისტიანულ, ანტიმართლმადიდებლურსა და, ზოგადად, — ანტიადამიანურს:

- წავკელი, კოჯორი : **მიტინგი ეკლესიისა და ცრუმორნებულის წინააღმდეგ // კომუნისტი.** - თბილისი, 1921. - 21 მაისი.
- გვაზავა დ. (გ-ვა დ.), ანტირელიგიური კამპანიის დასაწყისი და კომკავშირის შობა // კომუნისტი. - 1922. - 31 დეკემბერი.
- გ. კ. (კვარაცხელია გ.), სამლელოება დამშეულთა წინააღმდეგ // კომუნისტი. - თბილისი, 1922. - 9 აპრილი.
- შაფირი ი., ქრისტიანობა და კომუნიზმი // კომუნისტი. - თბილისი, 1922. - 7 იანვარი.
- მამულია ს., შეტევა რელიგიის წინააღმდეგ სენაკის მაზრაში // კომუნისტი. - თბილისი, 1923. - 15 მარტი.
- მაღრაძე ტ., ლეღვან-მარელისის თემი : **მიტინგი ცრუმორნებულის წინააღმდეგ // კომუნისტი.** - თბილისი, 1923. - 27 აპრილი.
- მეგრელი გ., ანტირელიგიური კამპანია ზუგდიდის მაზრაში // კომუნისტი. - თბილისი, 1923. - 12 მაისი.
- ნადაყიმვილი ვ., ძირს რელიგია და სამლელოება. გაუმარჯოს კომუნიზმს! : სენაკის მაზრის მუშებისა და გლეხების ხმა : [ახალსენაკის ეკლესიის კლუბად გამოცხადების შესახებ] // კომუნისტი. - თბილისი, 1923. ხარაგოულელი, დ., ხარაგოული : საეკლესიო ცრუმორნებულისაგან განთავისუფლება // კომუნისტი. - თბილისი, 1923. - 10 მაისი.

- ცაპაძე ა., სარწმუნოება და გლეხობა : **მკითხველის წერილები** // კომუნისტი. - თბილისი, 1923. - 20 თებერვალი.
- წმინდა გიორგის აფეთქება შორაპნის მაზრაში : ხარაგოულის რაიონი : **ანტირელიგიური კამპანიის შესახებ** // კომუნისტი. - თბილისი, 1923. - 4 მაისი.
- რუმიანცევი, ნ.ვ., **ქრისტეს შობა. შედარებითი მითოლოგიის ნარკვევი** / საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევკიებისა). - ტფ. : ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, 1923
- კომკავშირი შობის დღესასწაულის წესრიგი თბილისში // კომუნისტი. - 1923. - 7 იანვარი.
- კომუნისტური ახალგაზრდობის აღდგომა : [ანტისარწმუნოებრივი პროცესები] // კომუნისტი. - 1923. - 7 აპრილი.
- ს.მ., კომუნისტური ახალგაზრდობის შობის დღესასწაული : [მთაბეჭდილებანი] // კომუნისტი. - 1923. - 10 იანვარი.
- პროვინციაში : [წერილები] // კომუნისტი. - 1923. - 20 მარტი. შინაარსი: უპარტიო ქალთა კონფერენცია და 8 მარტი შორაპნის მაზრაში / მ. დონდუა; 8 მარტის დღესასწაული ბორჯომში / უან-ფანი; ნიგვზიანის თემი. წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა და გამგეობის მუშაობა / ჯურყვეთელი; ბანდა. მიტინგი სამლოდელოების წინააღმდეგ /
- პროვინციაში : [წერილები] // კომუნისტი. - 1923. - 19 ივნისი. შინაარსი: **გელათის მონასტერი. მისი გაუქმება;**
- ანტისარწმუნოებრივი კამპანია : [მოწინავე სტატია სარწმუნოების საჯარო გასამართლების მოწყობის ეფექტურობაზე რელიგიასთან ბრძოლის მიზნით] //

კომუნისტი. - 1923. - 21 თებერვალი (სტატიაში საუბარ-ია რელიგიასთან ბრძოლის ისეთ მეთოდზე, როგორიც არის სარწმუნოების გასამართლება. მაგალითისთვის მოყვანილია ქუთაისის თეატრში შემდგარი კრება, სა-დაც სარწმუნოების ბრალმდებლებად გამოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადოების სხვა ფენები. გაზეთს მიაჩნია, რომ სამღვდელოება ხელს უწყობს მენშევიკებს მუშებისა და გლეხების დევნაში).

- ორაგველიძე კ., **რელიგია და მარქსიზმი** // კომუნისტი. - 1923. - 21 ნოემბერი.
- ბუაჩიძე ა., **ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ** : [ეკლესიების დახურვასა და ანტირელიგიური პროპა-განდის საშუალებით მშრომელი მასების გამარჯვების შესახებ რელიგიაზე] // კომუნისტი. - 1923. - 4 ივლისი.
- კეკელია შ., **კომკავშირის შობა** // კომუნისტი. - 1924. - 20 დეკემბერი.
- საქართველოს ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტის გეგმა **კომკავშირის შობის დღესასწაულის ჩასატარებლად** // კომუნისტი. - 1924. - 21 დეკემბერი.
- ობორიელი გ., ჯიხაისკარის თემი : ზუგდიდის მაზრა : [მოსავლიანობა. ეკლესიის დანგრევა] : [წერილები] // კომუნისტი. - 1924. - 29 ივლისი.
- მუშიშვილი გ., სარწმუნოება და ზნეობა : ნაწყვეტი შრომიდან: **რელიგია და ლენინიზმი** // კომუნისტი. - თბილისი, 1924. - 27 აპრილი.
- უწმინდესი კონტრრევოლუცია : [საქართველოს სამ-ღვდელოების კონტრრევოლუციური მოღვაწეობის შესახებ] // კომუნისტი. - თბილისი, 1924. - 1 თებერ-ვალი.
- **კომკავშირის მეორე შობა** / საქართველოს ახალგაზ-რდათა კომუნისტური კავშირი. - ტფ. : საქ. ახ. კომკავ-შირის ცეკას გამ. 1924.

- ბრძოლა ხალხის საპნელესთან : [ცრუმორწმუნეობ-სთან] // კომუნისტი. - თბილისი, 1924. - 8 აგვისტო.
- ლან-ძე, საეკლესიო უქმეების შეცვლა რევოლუ-ციონური უქმეებით : ჩვენი მოსკოველი კორესპონ-დენტისაგან // კომუნისტი. - თბილისი, 1924. - 1 აპრი-ლი.
- მგელაძე-ვარდინ ი., რეაქცია და სარწმუნოება // კო-მუნისტი. - თბილისი, 1925. - 19 აპრილი.
- გულიაშვილი ნ., მღვდელი ს. გოროდცევი და მისი შავი საქმენი : [კონტრრევოლუციური მიტინგები და ხულიგანური მოქმედებანი] // ახალგზელი 7 : კომუნის-ტის დამატება. - თბილისი, 1926. - 24 იანვარი.
- აგვრისელი ა., ვებრძოლოთ ძველ ადათ-ჩვეულებებს : [წერილი ქუთაისის მაზრიდან] // კომუნისტი. - 1926. - 30 იანვარი.
- ბ-ლი ა.. ქრისტეშობის მახარობელნი : [საშობაო მილოცვა “ალილო” და მიმღოცველთა თავხედობის შესახებ გურია-სამეგრელოს სოფლებში] // კომუნის-ტი. - 1926. - 15 იანვარი.
- ხადელი ბ., მთიულეთს შველა უნდა : [წერილი დუშე-თის მაზრიდან ძველი ადათ-ჩვეულებების დაუგმობ-ლობის შედეგების შესახებ] // კომუნისტი. - 1926. - 25 აპრილი.
- ლ.თ., მოვიშორეთ ულელი; სოფელი დიდი კვათანა : [საეკლესიო დღესასწაულების უარყოფა მოსახლეობის მიერ] // კომუნისტი. - 1927. - 28 აპრილი.
- ლეჩეუმელი, მისაპაპი მაგალითი : [ძველი საეკლე-სიო დღესასწაულების აკრძალვა დღნორისის თემის გლეხების მიერ] // კომუნისტი. - 1928. - 29 იანვარი.
- ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ; გამოფხ-იზლების გზაზე (მშრომელი გლეხობა უარყოფს საეკლესიო დღესასწაულებს), გაზ. „კომუნისტი“, 1928;

- ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ : [წერილე-ბი და შენიშვნები] // კომუნისტი. - 1929. - 23 აპრილი.
- ლუნარარსკი ა., პოლიტიკა და რელიგია : [საუკუნოე-ბრივ სნეულებისაგან სახალხო მასების განკურ-ნების გამო] // კომუნისტი. - 1929. - 19 ივნისი. - 138.
- მდივანი ა., გავაძლიეროთ პარტხელმძღვანელობა ანტირელიგიურ მუშაობაზე // კომუნისტი. - 1929. - 21 აპრილი.
- “შობის” წინააღმდეგ საქართველოს უღმერთოთა კავ-შირის მოწოდება // კომუნისტი. - 1929. - 12 დეკემბერი.
- ცხაკაია მ., ანტირელიგიური კამპანია და მუშათა კლასის ამოცანები : [მოხსენება ამიერკავკასიის რეი-ნიგზების დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრე-ბაზე] // კომუნისტი. - 1930. - 7 იანვარი.
- ხონელი ნ., ბნელეთის მოციქულები არ ისვენებენ : [საეკლესიო პროპაგანდის რამოდენიმე ფაქტი] // კო-მუნისტი. - 1930. - 5 იანვარი.
- უღმერთო ბავშთა აღზრდისათვის. - ტფ. : საკ. მუკ-ის ცენტრ. საბჭო, 1930 (ზარია ვოსტოკა).
- საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი. ცენ-ტრალური საბჭო, თეზისები მოხსენებისათვის ანტი-საშობაო კამპანიის ჩასატარებლად. - ტფ. : საქ. მებრძ. უღმერ. კავ. ცენტრ. საბ. გა-მა, 1931.
- საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი. ცენ-ტრალური საბჭო, თეზისები მოხსენებისათვის ანტი-სააღდგომო კამპანიის ჩასატარებლად : [ლოზუნე-ბითურთ]. - ტფ. : საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს გა-მა, 1932.
- შახოვი, ს., შობა და მისი კლასიური როლი : მეთოდ-დამუშავება / შედგენილია შახოვის მიერ ; საქ. კპ(ბ) ცეკას მეთოდიურო. - [ტფ.] : სახელგამი პარტსექტო-რის გა-მა, 1933.

- ვისი დღესასწაულია შობა : მასალები მომხსენებელთათვის / რედ.: დ. ორაგველიძე. - ტფ. : საქ. მ.უ.კ.ც. საბჭო, 1935.
- დავნერგოთ მებრძოლი ათეიზმი! : [ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ. მოწინავე სტატია] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1936. - აპრილი.
- საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა კავშირი. ცენტრალური საბჭო, ქრისტიანობა : ანტისაშობაო კამპანიის მასალები მომხსენებელთათვის / საქ. მებრძოლ ულმერთოთა კავშირის ცენტრ. საბჭო და საქ. სსრ განსახკომის კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამართველო. - თბილისი: საქ. მუკის ცენტრალური საბჭო, 1936.
- მავზარაშვილი კ., ანტირელიგიური პროპაგანდა მივიწყებულია: [მონათვლის ფაქტები სოხუმის რაიონებში] // კომუნისტი. - 1937.
- ჭელიძე გ., აღვკვეთოთ რელიგიური კულტის მსახურთა მტრული საქმიანობა // კომუნისტი. - 1938. - 5 იანვარი.
- საქართველოს განსახკომში : [სკოლებში ანტისაალდგომო აგიტაციის ჩატარების შესახებ] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1938. - 18 აპრილი.
- საქართველოს განსახკომში : [სკოლებში ანტისაალდგომო აგიტაციის ჩატარების შესახებ] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1938. - 18 აპრილი.
- ყოველდღიურად ვაწარმოოთ ანტირელიგიური პროპაგანდა: [“კომსომოლსკი პროპაგანდისტი აგიტატორ”] // საბჭოთა აჭარა. - 1938. - 27 სექტემბერი.
- აღდგომა მშრომელთა მტერია, საბჭოთა აფხაზეთი, 1938;
- ს. სახაროვი, ქრისტიანული აღდგომის დღესასწაული და მისი რეაქციული როლი, გაზეთი „კომუნისტი“, 93, 23 აპრილი, 1938;

- ანტირელიგიური პროპაგანდა - ჩვენი ღვიძლი საქმეა, საბჭოთა აჭარა, 86, 15 აპრილი, 1938;
- ოლეშჩუკი ფ., რელიგიასთან ბრძოლა-კომუნიზმისათვის ბრძოლაა // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1939. - 10 იანვარი.
- კასრაძე შ., ბოლშევიკურ სიმაღლეზე ავიყვანოთ ათეიზმის პროპაგანდა : [სამხრეთ-ოსეთი] // საბჭოთა ოსეთი. - ცხინვალი, 1939. - 21 ნოემბერი.
- აღდგომის წარმოშობა და მისი რეაქციული როლი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1939. - 9 აპრილი.
- “ქრისტეს შობის” დღესასწაულის წარმოშობა და რეაქციული როლი // საბჭოთა ოსეთი. - 1940. - 1 იანვარი. - 1. - 1940. - 3 იანვარი.
- მახარაძე, ი., ანტისააღდგომო კამპანია და კომკავშირი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1940. - 21 აპრილი.
- სახელმძღვანელო მასალების კრებული : 1. საზამთრო არდადეგების შესახებ. 2. ანტისაშობაო კამპანიის ჩატარების შესახებ, 3. საახალწლო ნაძვის ხის მოწყობის შესახებ / საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი. - თბ. : სახელგამი, 1940.
- რუმიანცევი ნ., ხუცების გამონაგონი დღესასწაულის, ჯვართამაღლების შესახებ : ანტირელიგიური საუბარი // კოლექტიური შრომა. - ხულო, 1940. - 22 სექტემბერი.
- ფედოსეევი პ., ბურუჟაზიული და პროლეტარული ათეიზმი // საბჭოთა აფხაზეთი. - 1941. - 2, 5 თებერვალი.
- ოლეშჩუკი, ფ., მეცნიერება ცრუმორნმუნებასთან ბრძოლაში // კომუნისტი. - თბილისი, 1944. - 24 მაისი.
- რამაზანი და მისი მავნეობა // კოლექტიური შრომა. - ხულო, 1957. - 21 აპრილი

ეს მცირედი ჩამონათვალიც კი საკმარისია იმ ანტირელიგიური ფსიქოზის წარმოსადგენად, იმის აღსანუსხავად, თუ რა

ხდებოდა საბჭოეთში, როგორი გაშმაგებით უტევდნენ და ან-გრევდნენ რწმენას, შესაბამისად - ადამიანის სულს.

აქვე, შესაძლოა, ცალკე გამოვყოთ ანტირელიგიური ლო-ზუნგები (მრავალთაგან მცირედი), რომლებიც დროდადრო იხვეწებოდა და ვითარდებოდა:

- **რელიგია ხალხის მტერია!**
- **რელიგია ოპიუმია ხალხისათვის! // სარწმუნოება ხალხის ოპიუმია!**
- **დავიხსნათ სარწმუნოების ჭაობიდან პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა!**
- **ძირს რელიგია! გაუმარჯოს მეცნიერებას!**
- **რელიგია და მეცნიერება ორი მოპირდაპირე ბანაკია!**
- **გავაძლიეროთ ანტირელიგიური აღზრდა სკოლებში!**
- **გადავაქციოთ სკოლები კომუნისტურ ულმერთოთა აღზრდის კერად!**
- **დავრაზმოთ პიონერები რელიგიის წინააღმდეგ!**
- **ჩავცეთ ლახვარი სარწმუნოებასა და ცრუმორწმუნეობას საყოველთაო სწავლით!**
- **სოციალისტური შეჯიბრება რელიგიასთან ბრძოლის კლასობრივი იარაღია!**
- **ძირს რელიგიური ცრუმორწმუნეობა, გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!**
- **არცერთი ეკლესიის მსახური საბჭოებში!**
- **მღვდლების ზღაპრები ვერ გააბრუებს მუშებსა და მშრომელ გლეხობას!**
- **დავცხოთ ანტირელიგიურ მუშაობის შეუფასებლობას!**
- **არ გვინდა სარწმუნოებრივი დღესასწაულები!**
- **შორს ეკლესიიდან!**
- **ეკლესიის მაგივრად კლუბი!**
- **ძირს სარწმუნოება-სიბნელე!**
- **ადამიანმა შეჰქმნა ლმერთი და არა - ლმერთმა ადამიანი!**

- შორს სარწმუნოება!
- რელიგია ველური ადამიანის მსოფლმხედველობაა

იწერებოდა, იბეჭდებოდა, ვრცელდებოდა ანტირელიგიური გამოცემები, რომლებშიც, ზემომოყვანილი ლოზუნების გვერდით, გვხვდება ახალ მესიად მოვლენილი კომუნისტური იდეოლოგის აპოლოგია — „ოქტომბრის რევოლუცია და ლენინიზმი მხსნელია მშრომელი ხალხისა!“ (რელიგიის წინააღმდეგ 1930:); კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა; კომუნისტური პარტია — პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი; კომუნისტური პარტია მუშათა კლასის დიქტატურის იარაღია; კომუნისტური პარტია კომუნიზმის მშენებელი ხალხის აღმზრდელი, ხელმძღვანელი და ორგანიზატორია (ბურჭულაძე 1954: 23).

1939 წელს გამოვიდა სამეცნიერო-მეთოდური და მხატვრული უურნალი „მებრძოლი ათეიისტი“ (საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ყოველთვიური ორგანო), რომელმაც გამოაქვეყნა „ამონაწერები ლენინის სტატიებიდან რელიგიის წინააღმდეგ“. ფაქტობრივად, ეს იყო ძირითადი დოკუმენტი, სახელმძღვანელო ოქტომბრის რევოლუციის ბელადის მიერ შექმნილ ულმერთო ქვეყანაში რელიგიასთან ბრძოლისა. ჩენ მხოლოდ ფრაგმენტებს წარმოვადგენთ ამ „ამონაწერებიდან“:

„რელიგია სულიერი ჩაგვრის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ლოდად აწევს ყველგან და ყოველ ადგილას სხვებისათვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნვილ ხალხის მასებს (მასებს და არა ადამიანებს (!) - ს. მ.). რელიგია ხალხისთვის ოპიუმია. რელიგია — სულიერი მათრობელას ერთ-ერთი სახეა, რომელშიც ახრჩობენ კაპიტალის მონები თავის ადამიანურ სახეს, ადამიანისათვის ოდნავ მაინც შესაფერი ცხოვრების მოთხოვნებს. ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიათა ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას

მარქსიზმი ყოველთვის განიხილავდა, როგორც ბურჟუაზიული რექციის ორგანოებს, რომლებიც ემსახურებიან ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაპრუებას“ (რელიგიის წინააღმდეგ 1939: 1-3). საბჭოეთში ამიტომაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა ათეისტურ პროპაგანდას, რომელიც უნდა ყოფილიყო „პოლიტიკურად მახვილი, შემტევი ხასიათის მქონე; მეცნიერული, ე. ი. ლრმა, ყოველმხრივ დასაბუთებული; ცხოვრებასთან, სოციალისტური საზოგადოების ამოცანებთან ახლოს მდგომი, კონკრეტული სინამდვილის ამსახველი; პოპულარული და სისტემატური“ (სახაძე 1966: 37).

ყოფიერებიდან, ცხოვრებიდან, ადამიანის სულიდან ლმერთის განდევნა, ადამიანის ცნობიერებიდან ლმერთის გაქრობა, ფაქტობრივად, უტოპია აღმოჩნდა. მართალია, ტოტალიტარიზმის ეპოქამ ადამიანის ღვთის ხატობის იდეის დესტრუირება მოახდინა, აქცია იგი კოლექტივის წევრად და არა — პიროვნებად (სახელმწიფოებრივი ცდა პიროვნების გაუქმებისა — ირაკლი აბაშიძე), წაშალა მასში ინდივიდუალიზმის გამონათებაც კი, მაგრამ ვერ შეძლო ღვთაებრივის დამარცხება, ვერ ჩაკლა თავისუფლების სული ანუ ის, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს. ბრძოლით, ყიუინით, დებოშებითა და გაუგონარი ნიჰილიზმით (გალაკტიონის თქმისა არ იყოს: „ყოველდღე მოდის ახალი ტალღა, / სუსტი, მყვირალა და დღევანდელი!“) უტევდნენ ხალხის მტრად გამოცხადებულ რელიგიას, სინმინდეებს, სასულიერო პირებს: „ჩვენ ამოვგლიჯეთ ეკლესიას შხამიანი ენა, ჩვენ ჩამოვართვით მას ძალადობითა და მატყუარობით დაგროვილი სიმდიდრე — აცხადებდა სამეცნიერო საზოგადოება „ათეისტი“ 1929 წელს (გარტვიგი 1929: 5). მაგრამ, „ავტორიტარული სინდისი“ (ე. ფრომი) ვერ მოერია ქართველი ადამიანის სულსა და სხეულში განივთებულ მართლმადიდებლობას, — მისი იდენტობისა და კულტურის უპირველეს ნიშანს.

# პრემია რელიგიური ცეს-ჩვეულებების წინააღმდეგ

## 1. დაკრძალვა კომუნისტურად

ჩვენი ერის ავტედითი ისტორიის გამო, დროთა განმავლობაში, ამდენ მონობასა და დამპყრობელთა წინაშე თვითგადარჩენის არტისტიზმში, ქართველის ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ დამახინჯდა, დაშორდა პირველ არსა და საფუძველს და მავნე ტრადიციად იქცა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში დაიწყო ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. ამ მხრივ საეტაპო წერილი დაბეჭდა სერგი მესხმა. თავისი აქტუალობითა და მნიშნელობით ეს ნააზრევი დღესაც განსაკუთრებულია და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოძახილი იყოს, როცა გლობალიზაციისა და ფსევდოლირებულებების ტოტალური ექსპანსიის პირობებში ვეღარ გაგვირკვევია საკუთარი ადგილი: „ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირთ, რომელნიც ყოველგვარ თავის ხალხის ჩვეულებას, ხასიათს და სხვ. რაც არ უნდა უგუნური, უაზრო და მავნებელი იყოს, მაინც და მაინც აქებენ, ადიდებენ და ცდილობენ, რომ ყველა ესენი უკუნით უკუნისამდე წმინდად და ხელუხლებლად დაცულნი იყვნენ... არც იმ პირთ ვეკუთვნით, რომელნიც თითქოს წარმატებისა და ცივილიზაციის სახელით უარყოფენ ყველაფერს თავის ხალხისას, უარყოფენ ამ ხალხის ყველა განსაკუთრებულ, ნაციონალურ ხასიათსა და ჩვეულებას და მიმზიდველობას“ (დროება 1876: 86).

უკვე ბევრი მავნე ჩვევა, რომლებიც ქართველ ხალხს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, გადასახედი ან უარსაყოფი იყო და მათი „გადაგდება ხალხს უანგარიშო სარგებლობას მოუტანსო“ — დასძენდა ს. მესხი. მას კარგად ესმოდა, რომ განათლებაა ქვეყნის საძირკველი და ბევრი რამ ქართველ ადამიანს სწორედ უცოდინრობით მოსდიოდა. ჯერ კიდევ 1874 წელს გაზეთ „დროებაში“ გულისტკივილით ამბობდა, რომ „ხალხი, რომელიც თავის განსაკუთრებულ ჩვეულებას, ცხოვრებას, ერთი სიტყვით, თავის ნაციონალურ ხასიათს იცვლის და სტოვებს, ის ხალხი დაღუპულია... **ცვლილება გვჭირდება,** მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფერულებას, ჩვენს გაქრობას მოიტანს“ (დროება 1874: 543). „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ წერს ილია ჭაჭაძეც 1887 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№270) და მოითხოვს, ამ ჩვეულებებს ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს. მოზომილად საუბრობს აკაკი წერეთელიც, რომ ამა თუ იმ წეს-ჩვეულების დაგმობა დიდი სითრთხილითა და „ბრძნული წინდახედულობით“ უნდა ხდებოდეს: „უცბად, სხარტად მათი გამოწვევა ან გაქრობა არც ბრძანებითა და არც ვედრებით არ მოხერხდება“ (ივერია 1901: 161). თავის მეორე წერილში კი, რომელსაც ისევ გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს, დიდი პოეტი წერს, რომ ეს ტრადიციები „ანდერძია და წმინდათა-წმინდა ქვეყნისათვის, რომ მისი ვაგლახად ხელის შეხება და წინდაუხედავად გადაგდება წარსულის უარის ყოფაა და, მაშასადამე, სასიკვდილოდაც თავის გადადება“ (ივერია 1901: 57). თერგდალულებს კარგად ესმოდათ, რომ ერმა დროისა და ცხოვრების გამოწვევებს უნდა უპასუხოს, რომ საუკუნეები ერთმანეთს არ ჰქონება და ზოგი რამ, რაც ძველად სასარგებლო იყო, ახლა გამოუსადეგარია. ამიტომაც, დაბეჭითებით ითხოვდნენ არა უპირობო უარყოფას, არამედ სწორ შეფასებას, გამოკვლევას, რომ „**რაც საჭირო და გამოსადევი აღარ არის, მოვიშოროთ და გაშალაშინებული მი-**

ვიღოთ. რასაც არ ეჭირვება შეცვლა, ის ისევ შეუცვლელად დავსტოვოთ და რაც სრულიად საჭირო აღარ არის, ის ისტორიას დავუტოვოთ“ (ივერია 1901: 57).

მავნე ჩეულებებზე გამოაქვეყნა „ივერიამ“ გრ. გველესიანის წერილიც (ივერია, №88, 1895), 1901 წელს კი ს. ქაჯაია „ივერიის“ რედაქციის სახელზე გამოგზავნილ კორესპონდენციაში წერდა: „დროა, გადავაგდოთ ძველი, საზოგადოებისათვის მავნებელი ჩვეულება: ზარი, ვალით ტირილი და საზოგადო სადილი მიცვალებულის დროს და მივიღოთ ისეთი წესები, როგორც სხვა განათლებულს ქვეყნებსა და ხალხებშია მიღებული“ (ივერია 1901: 177). მავნე თემაზე წერენ თერგის ხეობიდან გამოგზავნილ წერილში გ. ბედოშვილი, სვანეთიდან გამოგზავნილ კორესპონდეციის ავტორი, უურნალ „იმედის“ რედაქტორი მიხეილ გურგენიძე, გურიიდან გამოგზავნილი კორესპონდეციის ანონიმი ავტორი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და ა. შ. ყველა საუბრობს ნათლობის, ქორწილების, ჯვრისწერის, „უთავბოლო, უზომო, შეუსაბამო, ტყუილ ხარჯზე“, დღეობებსა თუ მიცვალებულთა ქელებ-აღაპებსა და „წაბურვა-შესანირავ-გადასაფენთან“ დაკავშირებულ სიმახინჯეზე. შეწუხებული წერდა ს. მესხი: „არა გვგონია, რომ ან ღვთისა და ან კაცისათვის სასიამოვნო იყოს, როდესაც ურდო ხალხი, რომელიც ჭირისუფლის სახლში თავს იყრის, თვრება, უზომოდ ქეიფობს, ჩხეუბობს და ხშირად ნაღვინევი ლეკურ-ხანჯლით დაერევა ერთმანეთს. ნამდვილი მწუხარება ქეიფისა და ღვინის სმით არ გამოცხადდება. ის არა სჯობიან, რომ ეს უანგარიშო ხარჯი მოისპოს... და მის მაგივრად, მიცვალებულის სულის სახსოვრად რაიმე მართლა ნამდვილად სახსოვარი, კეთილი საქმე ჰქმნას ჭირისუფალმა“ (დროება 1876: 86). დაკრძალვის დამახინჯებულ წეს-ჩვეულებას აკრიტიკებდა ალექსანდრე ყაზბეგიც. იგი დაწვრილებით განიხილავდა ყველა დეტალსა და ხარჯებს და სინანულს გამოთქვამდა,

რომ „ამ წეს-ჩვეულებების გადაგდება ვერა ღონისძიებით ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ყველა აშკარათა ხედავს იმის მა-ვნებელს ხალხზედ მოქმედებას და უსაფუძვლობას“ (დროება 1880: 74). მსგავსი ხასიათის წერილები მრავლად იბეჭდებოდა „ივერიაში“, „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“, „კვალში“... პრობლემა იმდენად სერიოზული იყო, რომ სტეფანწმინდის მცხოვრებლებს 1876 წელს „სოფლის აღმორჩეულ პირთ“ კრებაზე შეუდგენიათ ექვსი პუნქტისაგან შემდგარი „გან-ჩინება“, რომელიც მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავ-შირებული ხარჯების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა. გაზეთმა „დროებაში“ (1876, №86) დაბეჭდა ეს ტექსტი:

1. როგორც მიცვალებულის დამარხვის დღეს, აგრეთვე იმ დღის შემდეგ, რაც მთელი წლის განმავლობაში ხარჯები ვი-ცოდით, სულ ერთიანად უნდა მოისპოს... ჩვენებური საფლა-ვის კურთხება მიწვევნითა და დიდის ხარჯებით.

2. ვინც მიცვალებულის საიქიობისათვის რაიმე სახ-არჯო მოინდომოს, იმან უნდა შემოიტანოს ფული ან შკოლისათვის, ან ბანკისათვის, ან სხვა რისთვისმე, რაზე-დაც შემდეგ თვითონ ქვემორე ხელის მომწერელნი ამ ფუ-ლის მოხმარებას მოინდომებენ. შენირული ფული ერთ თუ-მანს არ უნდა გარდასჭარბდეს;

3. მიცვალებულის საიქიობისათვის შენირული ფული უნდა ჩაპბარდეს ქვემორე ხელის მომწერელთაგან აღმორ-ჩეულთა პირთა, რომელთაც აღებული ფული იმედიანსა და სარგებლიანს ალაგს უნდა შეიტანონ;

4. ჩვეულებრივი მიცვალებულის ვაჟკაცის თოფის სრო-ლით მოხსენება საკუთენოთ<sup>1</sup> მიგვიღია, შესანდობრად დასაყ-ენებლად ორი მანეთი დაგვინიშნავს;

1. ეს სიტყვა გვხვდება ფშაურ ტექსტებში „საკუთნო“ ფორმით და, კონტექსტის მიხედვით, მიცვალებულის წილს, კუთვნილს ნიშ-ნავს: საკუთ[გ]ნო - კუთვნილი - წილხვედრი - (ს.მ.)

5. რადგანაც ამ პირობის აღსრულება აუცილებელს საჭიროებათ მიგვაჩინია, ამის გამო, პირობის გამტეხზედ ურთიერთის სრულის თანხმობით დაგვიდია ათი თუმანი გარდასახადად...

6. საჩივარი ამ პირობის გატეხის შესახებ არსად არ შეგეძლოს სასოფლო საზოგადოების მოსამართლეთ იქით (ტექსტი მოვიყვანეთ მცირეოდენი შემოკლებით - ს.მ.).

თუმცა, ამ „განჩინებას“ ხელს არ აწერდა მღვდელი მ. მელანაიძე თავისი ცოლისძმებითა და, ამასთანავე, მღვდლის ჩაგონებით — რამდენიმე პირი. უფრო მეტიც, ამ გადაწყვეტილებაში მღვდელს რჯულის წინააღმდეგ ბუნტიც კი დაუნახავს.

იმდენად დიდი იყო საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის პროტესტი გადაგვარებული და შინაარსდაკარგული ტრადიციის მიმართ, რომ მთელი 30 წლის განმავლობაში ქართულ პრესაში მუდმივად ქვეყნდებოდა პუბლიკაციები. უფრო მეტიც, 1894 წელს გაზეთ ივერიაში “დაიბეჭდა თელავში უდროოდ გარდაცვლილი 25 წლის მელქისედევ ჭავჭავაძის ანდერძი, როგორც პროტესტი არსებული წესის წინააღმდეგ: „მე რაც შეიძლება უბრალოდ დამმარხეთ, ისე დამმარხეთ, როგორც დამარხავენ საწყალ გლეხსა. ჩემს დამარხვაზედ ნურვინ დაესწრება და ის ფული, რაც ჩემი დამარხვისთვის გადიდებოდა, „ივერიის“ რედაქციას გაუგზავნეთ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ“ (ივერია 1894: 206). 500 მანეთი „ივერიის“ რედაქციისთვის, მართლაც, გადაუგზავნიათ.

თუ მე-19 საუკუნის პრესა ებრძოდა ცრურწმენასა და ტრადიციის დამახინჯებას, ბოლშევიკებმა კი, საერთოდ, ყოველგვარი რელიგიურის დასამარება მოინდომეს. „მარქსიზმი რუსეთში და ზოგ ქვეყანაში მოვიდა, როგორც ახალი რელიგია, როგორც დოგმატური მარქსიზმი. შესაბამისად, მას უნდა მოჰყოლოდა ცხოვრების ახალი წესიც. ამიტომ, იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ძველის უარყოფით,

მხოლოდ წარსულის დაგმობით და აკრძალვით, არამედ მას საკუთარი პრინციპები, იდეალები და ღირებულებები უნდა მოეტანა. იმისათვის, რომ ხალხის მასებში აღმოეფხვრა ძველი რწმენა და ცხოვრების წესი, მას საკუთარი მსოფლმხედველობისათვის ადგილი უნდა გაეთავისუფლებინა. სხვაგვარად, ადამიანთა ცხოვრებიდან უნდა წაეშალა ყოველივე ის, რაც რელიგიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ეს შეეხებოდა ადამიანთა რწმენას, ყოფას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და ა. შ.“ (თ. ფანჯიკიძე).

სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ბოლშევიკური პარტია დაიწყებდა რელიგიური დღესასწაულების ჩანაცვლებას კომუნისტურით. ახალ დროში (როგორც უმღეროდნენ: „ჩვენო ახალო დროებავ, შენ კი გენაცვალე“) დაისვა საკითხი მოსახლეობის საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და სამხედრო-პატრიოტულ ტრადიციებზე აღზრდის შესახებ. საბჭოეთში დიდი ზარ-ზემით აღინიშნებოდა:

**7 ნოემბერი - დიდი ოქტომბრის სოციალისტური**

**რევოლუციის დღესასწაული;**

**1 მაისი - მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის**

**დღე;**

**22 აპრილი - პროლეტარიატის ბელადის, ლენინის,**

**სსოვნის (დაბადების) დღე;**

**18 მარტი - პარიზის კომუნის დღე;**

**5 დეკემბერი - კონსტიტუციის დღე;**

**5 მაისი - ბეჭდვითი სიტყვის დღე;**

**19 მაისი - პიონერული ორგანიზაციის დღე;**

**29 ოქტომბერი - კომკავშირული ორგანიზაციის დღე;**

**1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე;**

**24 აპრილი - ახალგაზრდობის საერთაშორისო**

**სოლიდარობის დღე;**

**17 ნოემბერი - სტუდენტთა საერთაშორისო დღე;**

- 25 მაისი - აფრიკის გათავისუფლების დღე;
- 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე;
- 23 თებერვალი - საბჭოთა არმიისა და სამხედრო-  
საზღვაო ფლოტის დღე;
- 18 აგვისტო - საპატიო ფლოტის დღე;
- 19 ნოემბერი - სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის  
დღე;
- 12 აპრილი - კოსმონავტიკის დღე;
- 28 მაისი - მესაზღვრის დღე;
- 9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე;
- სექტემბრის მეორე კვირა - ტანკისტის დღე.

1929 წელს გამოცემული წიგნი „მეცნიერება და რელიგია“ ასე მთავრდებოდა: „პოლიტიკურად გამარჯვებულმა პროლეტარიატმა იდეოლოგიურადაც უნდა გაიმარჯვოს და რელიგიის უკანასკნელი ნაშთები გაანადგუროს“ (გოგიძე 1929: 74). ეს გამარჯვება გულისხმობდა საეკლესიო დღესანაულების ჩანაცვლებას, შეცვლას, ტრადიციებზე უარის თქმას, ადამიანის ფესვებიდან, საკუთარი ძირებიდან მოგლეჯას. პარტიას ყველაფერი ხელს უშლიდა დიადი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მეცნიერული და მეთოდური საფუძველიც ადვილად მოინახა: „რელიგიური და ზოგიერთი სხვა მოძველებული წეს-ჩვეულებანი, რომელთაც დღეს მისდევს ახალგაზრდობა, თავიანთი ბუნებით ემსახურებიან ექსპლოატატორთა ინტერესებს, ხოტბას ასხამდნენ სიმდიდრეს, შთამომავლობით უპირატესობას, განამტკიცებდნენ პატრიარქალურ ურთიერთობებს, ახალგაზრდების მატერიალურ დამოკიდებულებას უფროსებზე, ხელს უწყობდნენ ეროვნულ კარჩაკეტილობას, აღვივებდნენ რასობრივ და ეროვნულ შუღლს (ჩუტკერაშვილი 1981: 24).

1924 წლის 16 აპრილს თბილისის აღმასკომის უჯრედში განიხილეს საკითხი „ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ“.

უკვე 20-იანი წლებიდანვე მნიშვნელოვანი ყურადღება დაე-  
თმო ქრისტიანული დღესასწაულებისა და საიდუმლოებების  
ჩანაცვლებას ახალი სამოქალაქო-პარტიული რიტუალებით.  
იდევნებოდა ეკლესიაში ჯვრისწერა, დაბადების რეგის-  
ტრაცია და მიცვალებულის წესის აგება. სენაკის რაიონის  
სოფელ სალხინოში ერთ-ერთმა ბოლშევიკიმა ქრისტიანული  
წესით დაკრძალული საკუთარი მამა ამოთხარა და წითელი  
დროშებითა და სასულე ორკესტრის თანხლებით „კომუნის-  
ტურად“ დაკრძალა.

ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოს-  
ცა დადგენილება ძველ სასაფლაოებზე (ეკლესიის ეზოში)  
მიცვალებულების დამარხვის აკრძალვის შესახებ. ამიტომ,  
ამავე რაიონის სოფელ ჟინოთაში დაკრძალული მიცვალე-  
ბული ძალით ამოთხარეს და ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს.  
მიცვალებულის საეკლესიო დაკრძალვის წესში პარტია ხე-  
დავდა სიკვდილ-სიცოცხლის არსის რელიგიურ მსოფლ-  
გაგებას, რომელიც ემყარება ადამიანის სულის უკვდავებას,  
საიქიო ცხოვრების მარადიულობას. ამის გამო, დაკრძალვის  
რელიგიური რიტუალი შეცვალეს კომუნისტურით: მიცვა-  
ლებულს მიაცილებდნენ წითელი დროშებითა და რევოლუ-  
ციური სიმღერებით. სასაფლაოზე რევოლუციური პათოსით  
აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამნდნენ. კომუნისტური წესით  
დაკრძალვის შემთხვევებს პრესაც გამოეხმაურა: „3 მარტს,  
— წერდა გაზეთი „სპარტაკი“, — ქ. ბორჯომის მახლობლად  
მდებარე სოფელ ლიკნის მცხოვრები გარდაცვლილი ახ-  
ალგაზრდა მუშა იქნა დასაფლავებული სარწმუნოებრივი  
(ქრისტიანული) ცერემონიების გარეშე... წითელი დროშე-  
ბითა და რევოლუციური სიმღერებით მიცვალებული იქნა  
გამოსვენებული გორაკზე ფიჭვ-ნაძვნარში. სასაფლაოსთან  
შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს... ბევრი მოხუცებულთა-  
განაც გაიგონებდით ისეთ სიტყვებს: „რათ გინდა ის მატყუ-

არა მღვდელ-დიაკვანი, — ცრუმორნმუნეობა, ქელეხი და აღაპი“ (გაზეთი „სპარტაკი“, 1 აპრილი, 1923). მასობრივი ისტერიკის ფონზე იქმნება იმისი ილუზია, რომ სოფლად თუ ქალაქად — ყველგან შეაღწია სამოქალაქო წესით დაკრძალვამ. 1923 წლის 20 მარტის გაზეთი „კომუნისტი“ ასეთი ცნობით გვახარებს: „ამაღლების თემში ამას წინედ ყოფილა რამოდენიმე შემთხვევა, რომ უპარტიო გლეხებს უმღვდელოთ, სამოქალაქო წესით გაესვენებიათ თავიანთი მიცვალებულები“.

ეკლსიის ნაცვლად, მიცვალებულის კლუბებიდან, კულტურის სახლებიდან, იმ დაწესებულებიდან გამოსვენება დაიწყეს, სადაც მუშაობდა. მგალობლების მაგიერ იწვევდნენ მომღერალთა გუნდებს ან ინსტრუმენტულ ანსამბლებს (ან ისმოდა ფირზე ჩაწერილი სამგლოვიარო კლასიკური მუსიკა). კუბოში ჩასვენებულს ხელებს გულზე არ გადაუჯვარედინებდნენ. ბელადები (ლენინი და სტალინი), პარტიის გენერალური მდივნები ხელებჩამოშვებულები არიან ჩასვენებული სასახლეში. პარტიული ნომენკლატურა გლოვის ნიშნად წითელ სამკლავებს იკეთებდა მარცხენა მკლავზე (დავით დადიანი რომ გარდაიცვალა (1853 წ.) მამაკაცებს მკლავზე შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებულიო — წერდა ს. ჭილაია თავის წიგნში „ეკატერინე ჭავჭავაძე“), კუბოსაც წითელ დორშას გადააფარებდნენ ჩაქუჩისა და ნაგლის გამოსახულებით. ფსალმუნების კითხვისა და ღამისთევის ნაცვლად შემოიღეს საპატიო ყარაულში დგომა. თუ ადრე მიცვალებულს ფეხით მიაცილებლდნენ სასაფლაომდე, ახლა მანქანებითა და სპეციალური ავტობუსებით მიჰყვებოდნენ მოქელეხეები. დაახლოებით მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან საქართველოში შემოვიდა უზომოდ დიდ ქელებების გამართვის წესი. „ხშირია ქელეხის გამო სამუშაოს მასობრივი გაცდენის შემთხვევებიც. 1965 წლის 16 ივნისს

ხობის რაიონის სოფელ საქირიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მეზობელ სოფელში მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით ჩაშალეს დღიური გეგმის შესრულება: რვა ტონა ჩაის ნაცვლად მოკრიფეს ორი ტონა“ (გუგუტიშვილი 1976: 129). ახალმა საბჭოთა ცხოვრებამ მოითხოვა, რომ საეკლესიო დაკრძალვის წესები სამოქალაქო-სამგლოვიარო ცერემონიებით შეეცვალათ. ისე კი, ზოგადად, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო ტრადიციების წინააღმდეგ მეცნიერული ბრძოლის ახალი ტალღა. დაკრძალვის სამოქალაქო ცერემონიის ორგანიზებული ხელმძღვანელობის ცდებიც საბჭოთა კავშირში 1958-59 წლებში დაიწყეს ლატვიასა და ესტონეთში.



## 2. კომუნისტური ნათლობა და წითელი ქორწინება

ქრისტიანული ნათლობის ნაცვლად, ბოლშევიკებმა კომუნისტური ნათლობა შემოიღეს. კომკავშირელთა თაოსნობით დაიწყო ე.ნ. „ოქტომბრინების“ დანერგვისათვის ბრძოლა. გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ნათლობის მოწყობა ნიშნავს ფიცის დადებას, აღზარდო ბავშვი ხუცების ღმრთისადმი მორჩილების სულისკვეთებით... „ოქტომბრინების“ მოწყობა კი ნიშნავს ფიცის დადებას, აღზარდო არა მონები ბურუჟუაზისათვის, არამედ — მის წინააღმდეგ მებრძოლნი“. 1923 წელს ურალის ქ. სეროვეში ერთ-ერთი მუშის გოგონასათვის სახელის დარქმევა სახალხო ზეიმად გადაიქცა. ნათლიებმა ერთსულოვნად შეადგინეს ოქმი, რომელშიც წერდნენ: „ჩვენ გნათლავთ შენ არა ჯვრით, წყლითა და ლოცვებით, არამედ ბრძოლისა და შრომის წითელი ალმით, რომელიც დაცხრილულია ტყვიებით, დაფლეთილია ხიშტებით... როცა შენი გონება განმტკიცდება, წაიკითხე ეს სტრიქონები, ჩადექი მებრძოლთა რიგებში, დაამსხვრი კაცობრიობის საუკუნოვანი წყურვილი - მონობისა და ტანჯვის უკანასკნელი ნაშთები“ (მეფისაშვილი 1967: 13).

ბავშვის ახალი წესით მონათვლა პირველად თბილისში თამბაქოს ფაბრიკაში ჩატარდა. 1924 წლის 22 მაისს ტყავ-ტრესტის წარმოებებთან არსებულ ლენინის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა კომუნისტური ნათლობა, ახალი წესით მოინათლა 12 ბავშვი.

„3 იანვარს კომკავშირის კლუბში, ყოფილ ეკლესიაში, წარმოდგენის წინ მოეწყო კომუნისტური ნათლობა... ახლად მონათლულ ბავშვს სახელად კარლო დაარქვეს და დამსწრეებს ფართოდ გააცნეს, თუ ვინ იყო კარლოს ლიბკნეხტი. ნათლობით დამსწრე მოქალაქეები აღტაცებაში მოვიდნენ და ერთი მეორეს პირობას აძლევდნენ, რომ ჩვენც ასე მოვნათლოთ ჩენი ბავშვებიო“ (გუგუტიშვილი 1976: 34).

1924 წლის 28 მაისის გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „კვირას, 25 მაისს, კარლ მარქსის სახელობის კლუბში შესდგა ნათლობა მუშკოპის პურის საცხობის მუშების შვილების. მოინათლა შვიდი ბავშვი ქალ-ვაჟები, რომლებსაც ხმის გადაწყვეტილებით შემდეგი სახელები დაარქვეს: როზა ლუქსემბურგი, ლენინგრადი, კამო. ერთმა ბავშვმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა იქ დამსწრეებზე. მან თავის სახელად თვითონ ამოირჩია „ლენინი“. ნათლიებად ამხანაგი მუშები იყვნენ. მონათლულები დაასაჩუქრეს ფართლეულობით“.

ამ სამარცხვინო მასკარადმა, აბსურდის თეატრის მსგავსმა, „უაღრესი პრიმიტიულობის გამო, დაკარგა თავისი პირვანდელი მიმზიდველობა და გაქრა საზოგადოების ყოფიდანო“ — შენიშნავდნენ გულისწყვეტით.

სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამოც, რომ „ჩვენს რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ არა გვაქვს ბავშვის დაბადების აღსანიშნავი ახალი საზეიმო ცერემონიალი, რის გამო მშობლები, რომლებიც გვერდს უვლიან ნათლობის საეკლესიო რიტუალს, იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ მმაჩის რეგისტრაციის საკანცელარიო აქტით“ (გუგუტიშვილი 1976: 110). ახალშობილთა საზეიმო რიტუალის ნიმუშად მოჰყავდათ ლენინგრადელთა მაგალითი: დანიშნულ დღესა და საათს მშობლები ბავშვითა და ნათესავმეგობრების თანხლებით მიდიან სპეციალუარად განკუთვნილ „პანაზინას“ სასახლეში. მმაჩის განყოფილების მუშაკი ავსებს მოწმობას ბავშვის დაბადების შესახებ. შემდეგ იწყება საზეიმო ცერემონიალი, მშობლებსა და სტუმრებს იწვევენ სარიტუალო დარბაზში, გაისმის სადღესასწაულო მუსიკა. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი ან სხვა საპატიო მოქალაქე (სოციალისტური შრომის გმირი, ძველი ბოლშევიკი, დამსახურებული მასწავლებელი და სხვ.) მშობლებს გადასცემს ბავშვის დაბადების მოწმობას, სამახსოვრო მედალსა და ქალაქის აღმასკომის წერილს. დაბადების მოწმობა დაბეჭდილ-

ია ვარდისფერ (გოგონასათვის) და ცისფერ (ვაჟებისათვის) მუყაოზე. მედლის ერთ მხარეს გამოსახულია ლენინის ძეგლი, მეორეზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი მზის სხივებითა და წარწერებით. მედალზე ამოკვეთილია ახალშობილის სახელი და დაბადების თარიღი (იქვე: 111).

ბევრს ფიქრობდნენ ნათლობის ინსტიტუტის ახალი ფორმების დანერგვაზე. უნდოდათ, მთლიანად ჩაენაცვლებინათ, შეეცვალათ ქრისტიანული ნათლობის საიდუმლო და მოიგონეს „საბჭოთა ნათლიების“ ან საპატიო მშობლების ინსტიტუცია. ლატვიაში ახალი მოქალაქის საპატიო საზეიმო რიტუალს „ბავშვის დღესასწაული დაარქვეს და დაბადების მოწმობაში ნათლიების სახელსაც წერდნენ. მაინც ვერ შეარყიეს ქრისტიანული მირონცხების საიდუმლო. შეშფოთებულები იყვნენ იმის გამო, რომ „საეკლესიო წეს-ჩვეულებებიდან ჩვენში ყველაზე ინტენსიურად სრულდება ნათლობის რიტუალი. 1962 წელს რესპუბლიკის მოქმედ ეკლესიებში არასრული მონაცემებით მოინათლა 5. 678 ბავშვი, 1964 წელს კი — 5. 948“ — ასეთი მაღალი პროცენტი, რა თქმა უნდა, მათი შეშფოთების მიზეზი იყო! ამიტომაც ამოქმედდა ახალი ლოზუნგი: მეცნიერული ჩირალდნით რელიგიური ბურუსისა და ცრუმორწმუნების გაფანტვა - აი, ჩვენი ამოცანა (სპარტაკი, №69, 1924).

\*\*\*

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტით ჯვრისწერამ დაკარგა იურიდიული ძალა და შეიცვალა სამოქალაქო ქორწინებით. ამიტომ ჯვრისწერის საიდუმლოს დაუპირისპირეს „წითელი ქორწინების“ რიტუალი. რა თქმა უნდა, ეს იყო სრული იდეოლოგიური გამოთაყვანება, რომელიც მიმდინარეობდა „კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით“, პარტიული ლიდერების ქება-დიდების ფონზე.

პირველი კომუნისტური ქორწინება 1924 წლის 22 მაისს გამართეს. ცერემონიალს წინ უძლოდა საფაპრიკო-საქართველო პასუხისმგებელი მდივნის სიტყვა კომუნისტური ქორწინების შესახებ. „ამის შემდეგ გაიმართა ქორწინება და, როდესაც ნახეს, რომ ეს სულ უბრალოდ ხდება, არა ისე, როგორც ეს უნინ იყო, ხალხში მოისმოდა ხმები: რა კარგია კომუნისტური ქორწინება“ (გაზ. სპარტაკი, 3 ივნისი, 1924 წ.).

ახალი საქორწინო ფორმის ძიებამ პარტია 50-იანი წლების ბოლოს მიიყვანა ე.წ. კომკავშირულ ქორწინებამდე, რომელსაც უწყობდნენ კომკავშირის აქტივისტებს, მაგრამ ისე როგორც 20-იან წლებში დაწყებული წითელი ქორწინებები, ესეც წარუმატებელი ღონისძიება აღმოჩნდა. კომკავშირის მე-13 ყრილობაზე საგანგებიდ იმსჯელეს ახალი საქორწინო რიტუალის შექმნის შესახებ. 1959 წლის 1 ნოემბერს ლენინ-გრადში გაიხსნა პირველი ქორწინების სასახლე. 1964 წლის 30 აგვისტოს ასეთივე სასახლე გახსნეს თბილისშიც. კრიტიკას ვერ უძლებს ის, რომ ეკლარის ქვით მოპირკეთებული შენობის გვერდითა კედელზე შესასვლელთან მეორე ბარელიეფს „წათლობა“ ეწოდება: ყურძნის მტევნებით დამშვენებულ ქალ-ვაჟს შუაში ყრმა უყენიათ, წათლიებს კი შრომისმოყვარების სიმბოლოები - ნამგალი და ხმალი უპყრიათ ხელში. ახალი საქორწინო რიტუალის შექმნასთან დაკავშირებით ქართულ პრესაში აღიძრა საკითხი ნიშნობის ძველი წესის აღდგენის შესახებ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 7 აგვისტო, 1970 წ.). ამ ტრადიციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო, თუმცა მთავარი იდეოლოგები აღნიშნავდნენ, რომ ნიშნობის ბეჭედში ჩვენი ახლაგაზრდობა ხედავს ქორწინების სიმტკიცის, ოჯახური კავშირის ურღვევობის სიმბოლოსო, ამოიტომაც იგი შეიტანეს ახალ საქორწინო რიტუალში.

ებრძოდნენ ჯვრებისა და სხვა რელიგიური დანიშნულების ნივთების ტარებასაც. მათ სანაცვლოდ გაჩნდა წმინდა სახის კომუნისტური შემოთავაზება: „ჩვენ გვაქვს ჩვენი ქვეყნის,

ჩვენი სამშობლოს, კომკავშირული ორგანიზაციის და სხვა საგმირო საქმეების ამსახველი ნიშნები. ეს ნიშნები აღნიშნავენ ადამიანთა გმირობას, მათ მამაცობას, გვაგონებენ გმირული შემართების დღეებს... ამიტომ, ამ ნიშნების ნაცვლად, რელიგიური რელიკვიების ტარება უნდა მოვიჩნიოთ უპატივცემულობად, ჩვენი ცხოვრების წესისთვის შეუფერბლად. ამიტომ, ასეთი ჩვეულება მთელი სიმკაცრით უნდა იქნას დაგმობილი“ (გეგეშიძე 1973: 28).

მიუხედავად ამდენი მცდელობისა, მიუხედავად პარტიის იდეოლოგიური სამსახურის ასეთი თავგანწირული ფანტაზიორობისა და მცდელობისა, მიუხედავად მთავრობის მრავალგვარი ღონისძებისა, „გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ტრადიციებისა და რიტუალების შეცვლას ყოფის ახალი ფორმებით განსაკუთრებული წარმატება არ მოჰყოლია“ — ასეთი იყო დეკლარირებული დასკვნა (გუგუტიშვილი 1976: 37). ხალხს ჩასჩიჩინებდნენ, რომ ადგილობრივმა ქრისტიანულმა დღესასწაულებმა დაკარგეს ძველი კლასიკური სახე, რომ ისინი აღარ წარმოადგენენ რელიგიური იდეოლოგიის გავრცელების საშუალებას. საუბრობდნენ იმ ზიანზე, რომელიც საეკლესიო დღესასწაულს მოაქვს საბჭოთა ხალხისათვის:

შრომის დისციპლინის ცალკეული რგოლების მოშლა, სამუშაო ძალის მოცდენა, შემოქმედებითი ინიციატივის შესუსტება;

აქცენტები კეთდებოდა იმაზეც, რომ ქვეითად, ზოგჯერ ფეხშიშველი ეკლესიამდე სიარული ასუსტებს და აუძლურებს ადამიანებს, ღამისთევა ღია ცის ქვეშ ჯანმრთელობისთვის საზიანოაო;

ამასთანავე, ხატებისაკენ მიისწრაფიან მძიმე, ზოგჯერ გადამდები სენით შეპყრობილი ადამიანები. არ ხდება ხატების დეზინფექცია, ამიტომ ზოგჯერ ჯანმრთელი ადამიანი ავადდება გადამდები სწეულებით. მარხვა უქვეითებს ადამიანს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარს;

რელიგია უარყოფს სამედიცინო მომსახურების აუცილებლობას;

რელიგიური დღესასწაულების დროს ხშირად ირღვევა სამართლის ნორმები, ღრეობა და სიმთვრალე იწვევს ჩხუბს, ხულიგნურ გამოხდომებსა და დებოშს;

და, ბოლოს, რელიგიური დღესასწაულები უარყოფით გავლენას ახდენენ მშრომელი მასების კომუნისტურ აღზრდაზე, რომ ისინი მასების შეცდომაში შეყვანისა და მოტყუების ფორმაა (ლუტიძე 1958: 18-22).

ტოტალიტარული სახელმწიფო კვლავ ბორგავდა, ეძებდა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. 1975 წლის ნოემბერში მიღებულ დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ“ აქცენტები დასმული იყო კონსერვატიულად, ანაქრონიზმად ქცეულ ზოგიერთ ადათზე, რომლებიც, კომუნისტების აზრით, შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამის გამო შეფასებაც ამგვარი იყო: „რელიგიური წეს-ჩვეულებები გადმონაშთის სახით აქა-იქ დღემდე არსებობენ. კომუნიზმის მშენებლობის პირობებში რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ისინი დიდ დაპრკოლებას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა ფართო მასები კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და მათ აღზრდას მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე საფუძველზე“ (ჩხარტიშვილი 1982: 69).

30-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკებმა ანტირელიგიური ხუთნლედი გამოაცხადეს. ამ გეგმის მიხედვით, 1937 წლისთვის საბჭოთა კავშირი მთლიანად უღმერთო ქვეყნად უნდა გადაქცეულიყო. სამოქმედო გეგმა ასე გამოიყურებოდა:

1933 წელს დაიკეტებოდა ყველა მოქმედი ეკლესია;

1934 წელს უნდა აღმოფხვრილიყო ყველა რელიგიური ტრადიცია;

1935 წელს გაჩაღდებოდა ტოტალური ანტირელიგიური პროპაგანდა;

1936 წელს ქვეყანაში არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი სა-სულიერო პირი;

1937 წელს კი საბჭოთა კავშირს რელიგიაზე გამარჯვება უნდა ეზეიმა.

გაზეთი „კომუნისტი“ (№115) 1937 წელს გაცხადებული სიძულვილით წერდა: „რელიგია მშრომელთა სულიერი და-მონებისა და დაბეჩავების ერთ-ერთი უსაზიზლრესი სახეა. ექსპლუატატორული კლასების ხელში იგი მშრომელი გონ-ების დახშობის იარაღს წარმოადგენს“.

პარტია მოითხოვდა რელიგიის წინააღმდეგ შეუნელე-ბელ და აქტიურ იდეურ ბრძოლას, თუმცა იდეური ხშირად ადმინისტრაციულსაც მოიცავდა. გაძლიერდა ათეისტური პროპაგანდა. ჯერ კიდევ 1929 წელს სკუპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „რელიგია-სთან ბრძოლის დარგში პარტიული ხაზის დამახინჯების დაუშვებლობის შესახებ“; 1944 წლის ოქტომბერში სკუპ ცკ-მა გამოიტანა დადგენილება „სამეცნიერო-საგანმანათლებ-ლო პროპაგანდის მოწყობის შესახებ“; დიდი სამამულო ომის დამთავების შემდეგ კი მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომ-ლებიც მიზნად ისახავდა რელიგიური იდეოლოგიის ყველა გამოვლენის სრულ აღმოფხვრას;

1954 წელს სკუპ ცკ-მა ორჯერ მიიღო დადგენილება მეც-ნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე; „რელიგიის წინააღმდეგ პარტიის იდეური ბრძოლის ახალი, მეოთხე და საბოლოო პერიოდის დასაწყისად შეიძლება მოვიჩნიოთ ჩვე-ნი ქვეყნის შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პე-რიოდში, როდესაც პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს პიროვნების გათავისუფლება წარსული მავნე

გადმონაშთებისაგან, მათ შორის, რელიგიური ცრურწმენებისაგან ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა“ (რელიგიური გადმონაშთების... 1973: 14-15).

ანტირელიგიური აღზრდა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ელემენტია - ასე ესმოდათ საბჭოეთში (ანტირელიგიური... 1940: 7), ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ბოლომდე ამოეძირკვათ რელიგია. ამ მიზნის მისაღწევად ერთი ყველაზე დიდი პრობლემა საეკლესიო დღესასწაულები იყო, ტრადიციაში გადასული, ცხოვრების ბუნებრივი ნაწილი. დაიწყო მიზანმიმართული პროპაგანდა იმისა, რომ მშრომელ გლეხობას აღარ უნდა სიბნელეში ყოფნა და თავისი ნებით გაემიჯნა ეკლესიას. 1928 წლის 15 აპრილის გაზეთი „კომუნისტი“ გვაუწყებდა:

**მშრომელი გლეხობა უარყოფს საეკლესიო დღესასწაულებს კიცხის თემი, შორაპნის მაზრა:** (ჩამოთვლილია სოფლები) თანახმად მათი დადგენილებისა, ამით აცხადებენ, რომ ძველი საეკლესიო დღესასწაულები, როგორიც არის: დედახვთისობა, გიორგობა, ღვთისმშობლობა, აღდგომის ორშაბათი და სხვ. გაუქმებულია ჩვენს მიერ და დღეიდან აღარ ვდღესასწაულობთ. ვსთხოვთ ყველა ნათესავებს, ამ დღესასწაულებზე მოსვლით ნულარ შეგვანუხებენ.

**სოფელი ახაშენი, სიღნაღის მაზრა:** ამ სოფელში დღემდის დღესასწაულობენ „სამებობას“. გლეხობამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება „სამებობის“ უარყოფის შესახებ, ხოლო აქედან გადარჩენილი თანხებით მათ სურთ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

**ქვიტირის თემი, ქუთაისის მაზრა:** „ახალკვირა“ და „ამაღლება“ უარყოფილია და ნურავინ ნუ შეიწუხებს თავს აღნიშნულ დღესასწაულებზე მოსვლით.

**წითელხევის თემი, ქუთაისის მაზრა:** აღდგომის ორშაბათი, გიორგობა და ღვთისმშობლობა უარყოფილია და ნუ შეიწუხებთ თავს სტუმრობით.

მსგავსი შინაარსის წერილებია რაჭის, გორის, მაზრები-დანაც. მაგალითად, **ტყვიავის თემიდან** (გორის მაზრა) იტყო-ბინებიან, რომ „სამებობის“ ნაცვლად იდლესასწაულებენ 7 ნოემბერს, ხოლო კვირაცხოვლობის ნაცლად — 1 მაისს...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი შინაარსის წერილები ქართულ პრესაში არ გამოჩენილა მხლოდ საბჭოთა საქართველოს გარიურაჟზე. ჯერ კიდევ 1902 წელს გაზეთ „კვალში“ კოლექტიური წერილი იძეჭდება: „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ს. ჯიქითუმაში მცხოვრებნი, დავრნ-მუნდით რა დღეობა „ელიობას“ მავნე და უვარგის მხარეებში, ერთხელ და სამუდამოდ ვუცხადებთ ჩვენს მოყვარე-ნათე-სავებ-მეზობლებს: დღეის შემდეგ არ ვიხადოთ ხსენებული დღესასწაული და ვთხოვთ, აგრეთვე, ნურვინ შეგვავინროებს თავიანთ დღესასწაულზე დაპატიჟებით“ (კვალი 1902:). გაცილებით ადრე კი ქართულ პრესაში იწერებოდა სახეშეცვლილი და ღრეობაში გადასული ტრადიციების შესახებ. პოლემიკაც კი გაიმართა: უურნალ „იმედის“ რედაქტორმა, მიხეილ გურგენიძემ, ოპონირება გაუწია „ივერიის“ კორესპონდენტს, რომელიც წერდა: „დღეობას, ანუ ჯვარობებს, თავდაპირველად სრულებით არა ჰქონიათ მხიარულების მნიშვნელობა. იმ გაჭირვების დროს, რომელიც გამოუვლია საქართველოს ხალხს, იმას ჰქონია დამყარებული იმედი უბედურებისაგან დახსნისა მხოლოდ ხატზედ და ჯვარზედ. სალოცავად წას-ვლა რომელიმე ეკლესიაზედ, ცოტაც არის შორს მყოფზეც, მარტოს ერთის ან ორის ოჯახისთვის მტრებისაგან შიშის გამო შეუძლებელი იყო. ამისთვის მთელი სოფლები შეიყრებოდნენ ხოლმე მლოცველები ეკლესიაზედ და დაწესდნენ ჯვარობები“ (იმედი 1881: 1). 1900 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა სერგი მესხის მშობლიური სოფლები შეიყრებოდნენ ხოლმე მლოცველები ეკლესიაზედ და დაწესდნენ საეკლესიო უქმეების დღესასწაულობა. დღესასწაულები ძალიან ძვირად უჯდება სოფელს. მაგალითად, რიონის საზოგა-

დოებაში, რომელსაც რამდენიმე სოფელი შეადგენს და სადაც ხუთას კომლამდე მცხოვრები ითვლება გლეხი და აზნაური, ყოველს სოფელს თავისი საეკლესიო დღესასწაული აქვს დადგენილი: ფერისცვალება, კვირიკობა, გიორგობა, ღვთი-შობლობა და სხვ. „ამ დღეობების გასაუქმებლად რიონელებს გამოუტანიათ გადაწყვეტილება, „თუ რომელიმე დაარღვევს პირობას, უნდა გადაიხადოს სამი თუმანი საზოგადოებაში დაარსებული სკოლების სასარგებლოდ. სასურველია, რომ ამ გონიერ გადაწყვეტილებას ბევრი სხვა სოფლებიც მიბაძავდნენ“ (ივერია 1900: 3). მსგავსი წერილები ქვეყნდებოდა უურნალ „კვალსა“ და „იმედში“, „ცნობის ფურცელში“, „სასოფლო გაზეთში“, „დროებასა“ თუ „ივერიაში“.

რა თქმა უნდა, ქართველი ერის სარწმუნოება შერყეული იყო. შესაბამისად, ცოდნა და ეკლესიური ცხოვრების წესებიც — გაუკულმართებული. მხოლოდ გარეგნული ფორმა ჰქონდა შერჩენილი საეკლესიო დღესაწაულისა მცხეთობასა (სვეტიცხოვლობა) თუ ალავერდობას, თელეთობასა თუ ლომისობას, მონამეთობასა თუ ლაშარობას... 1867 წლის „ცისკარში“ დაიბეჭდა ნიკო ავალიშვილის წერილი „მცხეთა, სვეტიცხოვლობა და რამდენიმე აზრი შესახებ დღეობებისა“, რომელშიც ავტორი გულისტკივილით საუბრობს გადაგვარებული ქართველების რწმენის შესახებ: „სვამდნენ და სვამდნენ იმდენს, მანამ ყელში ამოუვიდოდათ... ღარიბებს კი ზედაც არ უყურებდნენ... ეს გულქვა კაცსაც შეაშფოთებდა... წინ უყრიათ იმდენი საჭმელ-სასმელი, რომ ყველას ყელში ამოსდის, საჭმელს ერთმანეთს ესვრიან (ხუმრობა ამგვარია იმათში), სასმელს ზედ ასხამენ ერთმანეთს (სასჯელიც ამგვარია იმათში) და საწყალს გლახას რისხვითა და უპატიურად აგდებენ ცარიელსა“ (ცისკარი, №7, 1867:). ასეთ ღრეობებს ქრისტიანული შინაარსი დაკარგული ჰქონდა. ამ მწვავე რეალობის გამო, ბოლშევიკებს მიზეზი მიეცათ, ამიტომაც უწოდებდნენ საეკლესიო დღესასწაულებს „სატრაპეზო დღესასწაულებს“ (ლუტიძე 1958: 6).

### 3. კომკავშირული შობა

ანტირელიგიური კამპანიისა და პროპაგანდის სერიოზული საფიქრალ-სადარდელი იყო დიდ საეკლესიო დღესასწაულებთან ბრძოლა. ამ მხრივ განსაკუთრებულად გაიშალა ანტისაშობაო-სააღდეგომო კამპანია. ვიდრე დაიწყებოდა შობის დღესასწაულის საწინააღმდეგო ღონისძიებების მოწყობა, მანამ თეორიული ნიადაგი შეამზადეს და ასე დასვეს შეკითხვა: ვინ იყო ისეო ქრისტე? არსებობს თუ არა ღმერთი? შორს წაგვიყვანს იმ ბინძური კამპანიის სრულად გაშუქება, რაც ამ შეშლილ ეპოქაში ხდებოდა, თუმცა ზოგადი წარმოდგენისთვის რამდენიმე დამახასიათებელ ტიპობრივ პასუხებს მოვიხმობთ:

„ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა გულისხმობს ძველი საზოგადოების გადმონაშთებისაგან, მათ შორის რელიგიური ცრურნებისაგან ადამიანის შეგნების გათავისუფლებას. ისტორიულმა მეცნიერებამ ურღვევი ფაქტებით ნათელყო, რომ იესო ქრისტე ნამდვილად არასდროს ყოფილა რეალური ადამიანი, ისტორიული ფიგურა, მითურო, — ხორცშესხმული ღვთაება... ქრისტე მითიური პირია, რომელიც არასდროს არ ცხოვრობდა“ (გვაზავა 1973: 3).

„მეცნიერებამ დაასაბუთა, რომ ლეგენდარული ქრისტეს შესაქმნელად გამოყენებული იყო მითები (ზღაპრები) და თქმულებები. ცნობილია, რომ საქართველოში შობის დღესასწაულს ყველა ოჯახში ღორის დაკვლით ეგებებოდნენ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ აქ საქმე გვაქვს მითრაიზმის გადმონაშთან. ქრისტიანობის წარმოშობამდე 25 დეკემბერი იყო დღესასწაული მითრას შობისა. ღორი კი მითრას წმინდა ცხოველად ითვლებოდა და დაკავშირებული იყო მითრას კულტთან“ (ახალი ცხოვრება, №4, 1966:).

ქრისტეს დაბადებისა და მისი რეალური არსებობის ფაქტი... არ მტკიცდება. ასე რომ, მორნმუნებს შეუძლიათ გაიმეორონ მოციქულ პავლეს სიტყვები: „ცალიერ არს სარწმუნოება და განქარვებულ არიან აღთქმანი (რომ. IV, 4) ჩვენი“ (კეკელიძე 1954: 18) — ეს სიტყვები დიდ მეცნიერს, ყოფილ დეკანოზს ათქმევინეს. ზენოლა წარმოუდგენლად მძიმე იყო.

საბჭოთში „ქრისტეს შობის“ მთავარი მტერი, ნ. რუმიანცევი, დაბეჯითებით გვარნმუნებდა: „იუსო ქრისტეს, როგორც ისტორიულ მოღვაწეს, არასდროს არ უარსებია“ (რუმიანცევი 1923: 28).

1933 წელს დაიბეჭდა ს. შახოვის „შობა და მისი კლასიური როლი“, რომელიც მეთოდური სახელმძღვანელოა იმისა, თუ როგორ უნდა ესმოდეს შობის მნიშვნელობა პროლეტარიატს, რომ „მშვიდობის, მიტევებისა და მოყვასისადმი სიყვარულის სარწმუნოებრივი პროპაგანდა, რომელიც ქვეყნის მხსნელის შესახებ სახარებაშია მოთხოვილი, ზღაპრის მთავარ შინაარსს წარმოადგენს, საშუალებაა იმისათვის, რომ შეასუსტოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის აქტიობა კლასობრივ ბრძოლაში, შეარბილოს, მიაფურჩინოს მათი კლასობრივი მტრისადმი შეურიგებლობა“ (შახოვი 1933: 3). აქვე დასკვნის სახით ნათქვამია, რომ მრავალრიცხვანი სწავლულების გულდასმით ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ არ არსებულა არავითარი ისტორიული პიროვნება ქრისტეს სახელით“.

თუ ფართო მასების მიერ (როგორც თავად ამბობდნენ) მათი ეს მაქსიმები გაზიარებული იქნებოდა, მაშინ ადვილი გახდებოდა, ანტირელიგიურ პროპაგანდასთან ერთად, ანტირელიური კამპანიის წარმოებაც. 1922 წლის გაზეთი „კომუნისტი“ წერდა (№302), რომ რელიგია ერთი დიდი ბოროტებათაგანია, რომლის ნინააღმდეგ ბრძოლა მთელი სიმკაცრით უნდა სწარმოებდესო. ამ ბრძლის ერთ-ერთი სახეობა გახდა კომკავშირული შობა. თავის დროზე გაზეთ „პრავდაში“ კარ-

გად განიმარტა ამხანაგ სტეპანოვის მიერ კომკავშირული შობის არსი, დანიშნულება და მიზანი. ამიტომ, საქართველოშიც დაიწყო კომკავშირული შობის ნამდვილი ბუმი. 1924 წელს საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის ცეკას გამომცემლობამ დაბეჭდა „კომკავშირის მეორე შობა“, რომელშიც ამ ანტირელიგიური ბრძოლის დადებით მეთოდებზე აპელირებით გვამცნობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია უარყოფს ყოველგვარ სარწმუნოებას, რადგან რელიგია და კომუნიზმი სრულიად მონინაალმდეგე მოძღვრებაა. პირველი დამყარებულია სიყალბეზე, ცრუმორწმუნეობაზე, ფანტაზიაზე, მეორე კი — ცხოვრების უმნიკვლო სიმართლეა, მართლრწმენაა მშრომელი ხალხის და აშკარა სინამდვილეა. ამიტომ იყო, რომ 1923 წლის დეკემბრიდან კომკავშირის ენერგიული მონაწილეობით დაიწყო ანტირელიგიური ბრძოლა, როგორც თავად წერდნენ: „თავხედმა“ ახალგაზრდობამ გაილაშქრა იმ მავნე და საშიში ვეშაპის წინააღმდეგ, რომელსაც სარწმუნოება ეწოდება. უკეთ: გასულ წელს დაუმორჩილებელმა ატეისტურმა, ზეციერ და მიწიერ მამათა წინააღმდეგ ამხედრებულმა ახალგაზრდობამ ომი გამოუცხადა სარწმუნოებას, დაიწყო მის წინააღმდეგ აგიტაცია“ (კომკავშირის... 1924: 3).

პირველად სწორედ 1923 წელს მოეწყო კომკავშირის შობა. „ჩვენ გამოვედით ქუჩებზე დარაზმული და სიკვდილის ჰიმნი უგალობეთ დაავადებულ რელიგიას... ჩვენ ვაწარომებდით გააფთრებულ აგიტაციას ეკლესიების დასახურავათ, ე.წ. წმინდანთა ნეშთების გამოსამზეურებლად და სხვას... ჩვენ ვამზადებთ სარწმუნოებრივ ფანატიკოსების წინააღმდეგ მეცნიერულ „ფანატიკოსებს“, მივდივართ ნელა, მაგრამ გზადაგზა ვამსხვრევთ სარწმუნოების ციხე-სიმაგრეებს საბოლოოთ და ერთიანად... დავლრლნათ ახალგაზრდა კბილებით მეცნიერების სალი კლდე, გავხდეთ დარწმუნებული ატეისტები“ (იქვე: 3-4).

ასეთი პროპაგანდისა და მუქარის ფონზე მიმდინარეობდა ანტისაშობაო კამპანია. გაისმოდა თავბრუდამხვევი ანტირელიგიური ლოზუნები, ქვეყანა შეშლილ უღმერთოთა ნავსაყუდელს ემსგავსებოდა. გაზეთი „სპარტაკი“ (№1 (18), 4 იანვარი, 1923) აცხადებდა: „ჩვენ ვმართავთ კომკავშირის შობას, რათა ამ დღეს ავუხსნათ ყველას, რომ შობა ქრისტიანებს არ ეკუთნით, ის კერპთაყვანისმცემლების გამოგონილია და ამიტომ ზურგი უნდა შეაქციოთ. ქრისტეს შობის დღესასწაული — ეს კერპთაყვანისმცემლობის პირდაპირი ნაშთია“.

1924 წლის 1 იანვრის (№68) „სპარტაკში“ ასეთი მოწოდება დაიბეჭდა: „7 იანვარს (ძვ. სტილით 25 დეკემბერს) კომკავშირმა მეორე იერიში უნდა მიიტანოს ცრუმორნმუნეობის წინააღმდეგ. კომკავშირის შობამ უნდა შეარყიოს რელიგიის საფუძვლები. ამხანაგებო, ემზადეთ ამ დღისთვის!“. შობის წინა დღეს კი გაზეთმა ასე მიმართა მკითხველს: „ქრისტეს შობას ჩვენ ვუპირდაპირებთ კომკავშირის შობას, ცრუმორნმუნეობას — მეცნიერებას, ზღაპარს — სინამდვილეს, სახარების ბოდვას — ბუნებისმეტყველებას. არა ღმერთმა შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი. ჩვენ უნდა შევძლოთ რელიგიის ძირბუდიანად აღმოფხვრა. ეს კი შესაძლებელია მეცნიერების შესწავლით, რომელიც დაგვარნმუნებს, თუ საიდან წარმოიშვა მსოფლიო“ (გაზეთი „სპარტაკი“, №69, 6 იანვარი, 1924). კომუნისტური იდეოლოგია ებლაუჭებოდა მეცნიერებას, მისი სახელითა და ეგიდით ებრძოდა ცრურნმენებს. ამასაც თავისი ფილოსოფიური წანამძღვრები ჰქონდა. ჯერ კიდევ ფრანგმა მატერიალისტებმა პრობლემა მარტივად გადაწყვიტეს: „თუ რელიგია შემთხვევითია და შეცდომაა, ამიტომ თითქოს საკმარისია მას დავუპირისპიროთ მეცნიერების მონაცემები და ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების სიძნელეც გაძლეული იქნება (მიქაუტაძე 2008: 105).

1928 წლის 26 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ დ. ორაგველიძე გვთავაზობს თეზისებს, **როგორ ვებრძოლოთ საეკლესიო უქმეებს:**

„ძირს შობა, გაუმარჯოს ტრადიციულ ახალ წელს;

ალკოგოლი და რელიგია ორივე უსაშინლესი მტერია მუშა-თა კლასისა;

აიკრძალოს ავანსების გაცემა დაწესებულებებში უქმეების წინ;

**ბრძოლა „შობის ხის“ წინააღმდეგ;**

სასკოლო არდადეგები გადავიტანოთ 20 იანვრისთვის, რათა დღესასწაულის დროს არ გაიშვას მოსწავლეები; გააქ-ტიურდეს უღმერთოთა უჯრედების დაარსება და მუშაობა“.

1924 წელს ქართულ ენაზე დაიბჭდა გიორგი კრეიტნის პიესა „ქრისტეს შობა“. იქვე მოცემულია საგანგებო მეთოდოლოგიური მითითება სათაურით „როგორ უნდა დაიდგას „ქრისტეს შობა“. ძირითადი დირექტივები ასეთია: „იესო ქრისტეს შობა უნდა დაიდგას თითქმის როგორც სამასხარო სცენა; ღმერთი სავსეა კომიკური სიდარბაის-ლით, წმინდაა და, ასევე, კომიკურად არის შეშინებული. ფიგურა იწვევს სიცილს და შეცოდებას; ამ პიესის დადგმა კომკავშირელთა კლუბში უსათუოდ ითხოვს წინასწარ მოკლე მოხსენებას, რადგან ისე მას ვერ გაიგებს კომკავშირის მასა“ (კომკავშირის მეორე შობა 1924: 65-66). ასეთი იყო ანტისაშობაო პოლიტიკის ფორმები და შედეგები.

#### 4. ანტისაალდგომო კამპანია

შეკითხვა ასე დასვეს: ვისი დღესასწაულია „ალდგომა“? — ალდგომა ნამდვილი სიმახინჯეა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. სარწმუნოებრივ დღესასწაულებს, მეტადრე ალდგომას, მუდამ თან სდევს ლოთობა, გარყვნილება, სიბინძურე. საალდგომო დღესასწაულებზე ქვეითი და ლოთობა აუცილებლად იწვევს შემდგეგ დღეებში სამუშაოს გაცდენას და შრომის დისციპლინის დაცემას წარმოება-დაწესებულებებში. ალდგომა არის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტრების დღესასწაული — ვკითხულობთ გაზეთ „კომუნისტი“ (№91, 23 აპრილი, 1929).

გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ (№94, 24 აპრილი, 1938) აქვეყნებს სტატიას: „**ალდგომა მშრომელთა მტერია**“: „რელიგია მშრომელთა უბოროტესი მტერია. იგი მასებში ნერგავს მორჩილებისა და მოთმინების გრძნობას... რელიგიის მსახურები ასეული წლების განმავლობაში აჩლუნგებდნენ და ხრწნიდნენ მშრომელი მასების ცნობიერებას, ქადაგებდნენ შეთხზულ ლეგენდას ქრისტეზე და მის სასწაულებზე“. ეს ისტერია თავის პიკს აღწევდა, ანტისაალდგომო კამპანია პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ სახეს იღებდა.

1928 წლის 12 აპრილის „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ანტირელიგიური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის — დ. ორაგველიძის წერილი „**რისთვის გაისმის „ქრისტე ასლდგა?!**“ რომელშიც ალდგომა ძველი ქვეყნის დღესასწაულად და საბჭოთა სისტემის მტრადაა გამოცხადებული: „საალდგომოთ სამღვდელოება ანვითარებს თავის სარწმუნოებრივ აგიტაცია-პროპაგანდას. მას მისდევენ ყველა ბნელი ძალები... საალდგომო დღესასწაული ანგრევს გლეხისა და მუშის ოჯახს, უფრო აღარიბებს მათ და აგდებს ვალებში. ალდგომა ძვირად უჯდება ხალხს სხვა მხრივაც — იწყება

განუწყვეტელი ლოთობა, ღორმუცელობა, რასაც შედეგად მოსდევს მრავალი უბედური შემთხვევები, დანაშაულები და სხვა. აღდგომა ძველი ქვეყნის მომაკვდავი დღესასწაულია. ის ძირეულად ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილებას, სოციალ-ისტურ მშენებლობას, ეწინააღმდეგება კაცობრიობის გათავისუფლებას კაპიტალის ბრჭყალებისაგან, ეწინააღმდეგება შრომის ქვეყანას... ის გახშირებული ზარების რეკა, რომელიც ამ დღეებში გაისმის, ჩვენს ქვეყანას მოუხმობს ძველი ქვეყნისკენ, სიბრძლისა და მონობისაკენ“ (ორაგველიძე 1928: 2).

გაზეთმა „კომუნისტმა“ (№99) 1929 წლის 4 მაისს დაბეჭდა ნ. სემაშკოს უბინძურესი წერილი, სრული აბსურდი, რომელშიც ქრისტიანული აღდგომა ვენერიული დაავადებებისა და შესაძლო ეპიდემიების გამავრცელებლადა მიჩნეული: „აღდგომის დღესასწაული — ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიში დღესასწაულია, მას თან სდევს ღორმუცელობა და ლოთობა... ამ დღეს მიღებულია ურთიერთის კოცნა, მოლოცვა: ყველას აქვს უფლება ტუჩებში აკოცოს დიდსა და პატარას. რამდენი სენი ვრცელდება ამ გზით? საკმარისია მოვიგონოთ, რომ კაცობრიობის დაუძინებელი მტრები - სიფილისი, ჭლექი, დიფტიერიტი და სხვ. ვრცელდებიან სწორედ ტუჩებისა და ნერწყვის საშუალებით... აღდგომის დღსასწაული სიფილისის მთავარი გამავრცელებელია განსაკუთრებით სოფლად, სადაც ასე მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული... ასე რომ, აღდგომა დღესასწაულთა დღესასწაული კი არა, სენთა გამავრცელებელია“ (ამავე ნომერშია დაბეჭდილი წერილი „აღდგომა და პირველი მაისი“). აღდგომას უწოდებენ უკულტურობის გამომხატველ დღესასწაულსაც: „წლის განმავლობაში არასოდეს ლოთობის სურვილი ისე არ არის გაძლიერებული, როგორც აღდგომის „ბრწყინვალე“ დღესასწაულის დროს“ (იქვე).

1929 წელს გამოიცა ბროშურა „სააღდგომო ანტირელიგიური კამპანია და სკოლა“. რელიგიურ ცრუმორწმუნეობათა

გასაბათილებლად, სხვა საგნებთან ერთად, თურმე საუკეთესო ნიმუშებია ქართული ლიტერატურის პროგრამებით გათვალისწინებულ მასალაში, „რომელიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ერთი რიგი ნაწარმოებთა ანტირელიგიური აღზრდისთვის თვალსაჩინომასალებსიძლევა. ამგვარნაწარმოებში ცხადად ჩანს რელიგიის მესვეურთა და თვით რელიგიის „საქმენი საგმირონი“ ხალხის გონების დახშვაში, ჩაგრულთა დაბეჭავებაში“ (ანტისააღდგომო... 1929: 11). აქ სანიმუშოდ დასახელებულია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ჭოლა ლომთათიძის „პირველი მაისი“, გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“, რაფიელ ერისთავის „ღმერთი დიდია, ღარიბო“. ვერანაირ კრიტიკის ვერ უძლებს ეს ჩამონათვალი. გრიგოლ ორბელიანისა და რაფიელ ერისთავის რელიგიური ლირიკის გამოცხადება ანტირელიგიურად სრული სიბნელეა და სხვა არაფერი. ავტორი ამაზე შორსაც მიდის და გვიმტკიცებს, რომ: „ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოსადეგია „განდეგილი“ — ილია ჭავჭავაძისა, „შერისხვა“ — დავით კლდიაშვილისა, „ეკლესიის გარშემო“ — ან. ერისთავ-ხოშტარიასი და სხვ.“ (იქვე: 11).

სკოლა მთელი ძალ-ლონით უნდა შეეცადოს ამ (აღდგომის — ს.მ.) დღესასწაულთან დაკავშირებით გაატაროს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც სააღდგომო დღესასწაულს ბავშვებისა და მოზარდი ახალგაზრდობისათვის ნაკლებად შესამჩნევს გახდის. მეორეც, სკოლას დაევალა „რელიგიურ ჩვეულებებს დაუპირდაპიროს ისეთი კულტურული და საზოგადოებრივი მუშაობა, რომელსაც შეუძლია ბავშვის მიზიდვა-დაინტერესება“ (ანტისააღდგომო... 1929: 14).

აღდგომისთვის ყოველთვის საგანგებო რეჟიმი ცხად-დებოდა, რათა დღესასწაულს დაეკარგა თავისი დატვირთვა: საბავშვო ბაღები და სახლები, სკოლები, კლუბები, თეატრები... „გაცხოველებული ტემპით“ მუშაობდა: ანყ-

ობდნენ საღამო-წარმოდგენებს, ექსკურსიებს, კარნავალებს, კონფერენციებს, რგავდნენ ხეებს, წმენდნენ არხებს, ამუშავებდნენ ქვრივ-ობოლთა მამულებს, გაჰყავდათ გზები, მიმდინარეობდა ბოგირებისა და ღობეების შეკეთება... ერთი მიზნით, რომ ამ დღის საზეიმო განწყობა და სულიერი სიხარული ჩაეკლათ!

ანტირელიგიური მუშაობა კომუნისტური პარტიის სა-სიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, აუცილებელი მიზანი გახდა. ამიტომ, ბევრს საუბრობდნენ **აღდგომის პოლიტიკური მავნებლობის** შესახებ, რომ მოძღვრები მშრომელ მასებს „ჩასჩიჩინებენ მიტევებას, ძმურ სიყვარულს ყველას მიმართ, კლასობრივი მტრების სიყვარულსაც კი“; აღდგომა მიიჩნეოდა **ეკონომიკურადაც მავნე დღესასწაულად**. ნ. რუმიანცევს მოჰყავს ასეთი სტატისტიკა: „მარტო ღორის ხორცის ლორი და ძეხვი 1928 წელს მოსკოვის მაღაზიებში გაყიდულა ათ მილიონზე მეტი მანეთისა; არაყი (აქ არ შედის ღვინო და ლუდი) დალეულა 11 მილიონი მანეთისა... საზოგადოდ, საეკლესიო დღესასწაულებზე განეული ხარჯები რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს უდრის (რუმიანცევი 1931: 27). ავტორი საუბრობს აღდგომის მავნებლობაზე **კულტურული** მხრივაც, რომ იგი „მშრომელი ხალხის კულტურულ დონეს დიდათ აქვეითებს“. წიგნი მთავრდება მოწოდებით: „ქრისტეანული აღდგომა და ებრალების პასექი ექსპლოატატორების დღესასწაულია.... სამლოცველოები, სინაგოგები და ეკლესიები კულტურულ კერათა საჭიროებისათვის გადაეცით“ (იქვე: 28).

კერ კიდევ 1923 წლის 29 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ (№70) იბეჭდება თეზისები „ახალგაზრდა კომუნისტის აღდგომა“ და „რელიგია და მეცნიერება“: „არსებითად, ყველა რელიგიები ერთნაირად რეაქციონური და მავნე არიან, მაგრამ არცერთ რელიგიას ისე არ დაუმონავებია კაცობრიობა, როგორც ქრისტიანობას. ქრისტიანობა მონათა

**რელიგია არის...** მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია მცნიერების დახმარებით რეაქციის ამ ციხე-სიმაგრის დაწყევა, კაცობრიობის გათავისუფლება“. ამავე წლის 4 აპრილის ნომერში ა. მთიელი კორესპონდეციაში „**აღდგომა ახლოვდება**“ გახარებული გვაუწყებს: წელს დაიკეტა 450 ეკლესია და ადგილი აღარ ექნება გამათახსირებელ და დამარჩლუნგებელ ლოცვა-კურთხევას... არამედ აქ ადგილს დაიჭერს ნამდვილი სიტყვა კომუნიზმისა“.

გავიდა საკმაოდ დიდი დრო საქართველოს გასაბჭოებიდან და 1967 წელს გამოცემულ ერთ წიგნში ავტორი წუხილით წერდა: „მეცნიერებამ დაამტკიცა აღდგომის და მასთან დაკავშირებული დღესასწაულების ფანტასტიკურობა, ისტორიული უსუსურობა, გააცამტვერა ლეგენდა ქრისტეს შესახებ, მაგრამ, სამწეხაროდ, ხალხი აღდგომას ახლაც დღესასწაულობს“ (მეფისაშვილი 1967: 57-58). 1973 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში“ რელიგიურ გადმონაშთადაა მიჩნეული აღდგომა, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა კომუნისტურმა პარტიამ. ავტორის აზრით: „ერთმანეთს ვაპატიოთ ყველაფერი, გადავეხვიოთ და გადავკოცნით - აი, აღდგომის უმთავრესი რეაქციული აზრი... სააღდგომო წესები - ზარების რეკვა, თოფის სროლა (ოდესლაც ზარბაზნებსაც ისროდნენ), სანთლებისა და ჩირაღდნების ანთება, ეკლესიებში ილუმინაციების მოწყობა, საკმევლის დაკმევა, ქუჩებში ანთებული სანთლებით სიარული - დაკავშირებულია ხალხში შემორჩენილ ველურთა დროინდელ რწმენასთან, რომ დღესასწაულებზე ავი სულები განსაკუთრებით ემტერებიან ადამიანებს“ (რელიგიური გადმონაშთების... 1973: 72-73).

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გადასაფარად მასობრივად დაიწყეს „კომკავშირული აღდგომის“ აღნიშვნაც. 1924 წლის 10 აპრილს საკუცკის მოწოდებით აღდგომის

წინა ღამეს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტმა მოაწყო სპეციალური საკლუბო საღამო — რელიგიის გასამართლება ძველი პარტიული მუშაკების მონაწილეობით, რომლებიც მსაჯულთა როლს ასახიერებდნენ. კომკავშირის მოწოდების შესაბამისად, აღდგომას თბილისში მოეწყო ფართო ანტირელიგიური ყეენობა (კარნავალი). სამეგრელოდან იტყობინებოდნენ: „ქ. ახალსენაკში ეს დღე კარგათ ჩატარდა - საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“ ქალაქის ბაღში იქნა აფეთქებული - მოეწყო მიტინგი, წარმოდგენა-აპოთეოზი, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა“ (გუგუტიშვილი 1976: 30-31).

ამ ტიპის კამპანიებმა უკუშედეგი გამოიღო. ხალხის გაღიზიანება და უკმაყოფილება პიკს აღწევდა. მიხვდა ბოლშევიკური პარტია, რომ ასე ფონს ვერ გავიდოდა და შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა. გაზეთ „სპარტაკის“ (№69, 1924 წ. 6 იანვარი) მოწინავე აღიარებდა, რომ „უარყოფითი შედეგები ახლდა უცილობლივ ჩვენს ანტირელიგიურ კამპანიას. ეს იყო ის, რომ კარნავალური მეთოდებით და დემონსტრაციებით მორწმუნეთა შორის გამოწვეულ იქნა რეაქცია ანტირელიგიურ პროპაგანდის წინააღმდეგ. კამპანია უნდა შეიცვალოს პროპაგანდით! აი, ჩვენი ანტირელიგიური პროპაგანდის ახალი სიტყვა წელს. პროპაგანდას უნდა მიეცეს მეცნიერული, სერიოზული და არა მყვირალა ხასიათი“. ამ პროპაგანდის შედეგი იყო ისიც, რომ 1928 წლის უკრნალი „მშრომელი ქალი“ (№22-23, 1928: 27) გვამცნობდა: „რელიგიურ დღესასწაულებს ბრძოლა გამოუცხადეს მამათელმა ქალებმაც. აღდგომა დღეს ისინი სამუშაოდ გავიდნენ სათემო ჩაის პლანტაციაში და დასვეს საკითხი რელიგიური დღესასწაულების „სასარგებლო მუშაობის დღეებით“ შეცვლის შესახებ“.

\*\*\*

ბუნებრივად დაისმის შეკითხვა: რა იყო ასეთი გაშმაგებისა და ალვირახსნილი კამპანიის მიზეზი? რაში უშლიდა ბოლშე-ვიკურ იდეოლოგიას ხელს ყოვლისმომცველი სიყვარულის რელიგია, ქრისტიანული ეთიკა, მორალი და მარადიულ ფა-სეულობებზე ფიქრი?! კომუნიზმი, ზოგადად, სიძულვილს ქადაგებდა, ყველგან მტრები ელანდებოდა და ის ვერ შეი-წყნარებდა იმ მოძღვრებას, მტრის სიყვარულს რომ მოგვი-წოდებს. გარდა ამისა, ქრისტიანობა პერსონიფიცირებული რელიგიაა, ის არა მასის, არამედ კონკრეტული ინდივი-დის, ადამიანის სრულქმნისთვისაა მოწოდებული. საბჭოთა სისტემა ვერ ეგუებოდა, მისი იდეოლოგია ვერ დაუშვებდა პიროვნებად დაბადებას. მას მოზეიმე მასა, კოლექტივის წევრი სჭირდებოდა, მექანიკური არსება — დიადი კომუნიზ-მის იდეით შეპყრობილი, პარტიის მადლობელი და მონა.

კიდევ ერთი დეტალიც: როდესაც იური გაგარინი 1961 წლის 12 აპრილს მსოფლიოში პირველი გაფრინდა დედამიწის ახლო კოსმოსურ სივრცეში კოსმოსური ხომალდ-თანამგზა-ვრით “ვოსტროკ-1”, მიწაზე დაბრუნებისთანავე განაცხადა: ღმერთი არ არსებობს, რადგან იგი ზეცაში არ მინახავსო. მეორე ვერსიით, ამ სიტყვებს ნიკიტა ხრუშჩოვს მიაწერენ, — გაგარინმა ასე თქვაო. ფაქტი ერთია, ათეისტურ საბჭოთა კავშირში ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში ღმერთის არარსებობის სამხილად გამოიყენეს, გახარებულებმა გა-ნაცხადეს: „ღმერთის საბრძანებელი დაპყრობილია!“

ჩვენ თაღვის გარემო,  
და გულმავა ვ ვართ!

—

ვართ ძალა აღმართ,  
ვართ გორგა ცოდნა!..

—

ჩვენ გორგ კუნძო  
და უკავშირ დარწევა..

—

ვართ, ვართ და რაც,  
უკავშირ გარდა ტ ხელ!..

—

ჩვენ, როგორ და უხმა,  
აღმართ გორგა გარდა!

რათა ფეხ და ფუქ ვხდით,  
და საკლამო ვძლით...  
—

კვი । აფლავ ჩდიან  
ჩვენ გაუ არ გვშეძლება!

—

ჩვენ ვართ ვართ ვართ,  
ჩვენ მმართ ვართ...  
—

წითლი ვერა ვერა ვერა  
და ხავის მწვანე ერა...

—

ჩვენი გდებით ექვემდებარ  
გაუ გა-რა-ს კა-მო-ს.

## მეპრძოლი ულმერთოები

1922 წლიდან მოსკოვში გამოსვლას იწყებს გაზეთი „ულმერთო“. 1924 წელს დაარსდა გაზეთ „ულმერთოს“ მეგობართა საზოგადოება, 27 აგვისტოს კრებაზე გადაწყდა ანტირელიგიური ორგანიზაციის შექმნა. 1925 წელს შედგა ამ გაზეთის კორესპონდენტთა და მეგობართა საზოგადოების ყრილობა და დაარსდა „ულმერთოთა კავშირი“, რომელსაც ძველი ბოლშევკი ემელიან (მინეი) ისრაელის ძე გუბელმანი (იაროსლავსკი) ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფო ანტირელიგიურ გამომცემლობაში 1932 წელს 12,5 ათასი ტირაჟით გამოიცა სწორედ მებრძოლ ულმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის, ე. იაროსლავსკის, „ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ“ ხუთტომეულის პირველი ტომი (როგორც ამბობენ, ათეისტური ინტერნაციონალური მოძრაობის ამ ლიდერს სიკვდილის წინ უთქვამს: „გევედრებით! დაწვით ყველა ჩემი წიგნი. შეხედეთ წმინდანს! იგი დიდი ხანია მელოდება. ის აქ არის!“). ულმერთოების ძირითადი მიზანი იყო რელიგიის სრული მოსპობა, მშრომელების გათავისუფლებას რელიგიური ბორკილებისაგან: „იბრძვიან რა რელიგიური ცრუმორწმუნეობის მოსპობისათვის, სოფლისა და ქალაქის სოციალისტური გარდაქმნისათვის, ულმერთოები გზას კაფავენ ახალი ულმერთო საზოგადოებისა აშენებისათვის“.

მხოლოდ ორი წლით ჩამორჩა საქართველო ამ პროცესს. 1927 წლის 5 იანვარს, საქართველოს კომპარტიის ცეკას სპეციალური დადგენილებით, თბილისში მებრძოლი ულმერთოების ორგანიზაცია დაარსდა, რომელიც „ნებაყოფლობითი პროლეტარული საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო და

თავის ამოცანად ისახავდა საბჭოთა კავშირის „მშრომელთა ფართო მასების შეკავშირებას რელიგიის (ყოველი სახის და ყოველი ფორმის) როგორც სოციალისტური რევოლუციის შემაფერხებელი მოვლენის წინააღმდეგ აქტიურ, სისტემატიურ და თანამიმდევრობითი ბრძოლის საწარმოებლად“. საქართველოს „მუკში“ (მებრძოლ ულმერთოთა კავშირი) განევრება თოთხმეტი წლიდან შეიძლებოდა. სულ მალე „მუკის“ უჯრედის ჩამოყალიბება დაიწყო ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლო დაწესებულებებში. ანტირელიგიურ პროპაგანდაში ჩაერთო პრესა, მუზეუმები, სკოლები, კინოთეატრები და გამომცემლობები. 1930 წელს თბილისში ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი გაიხსნა, 1937 წელს კი ნორაშენის ეკლესიაში – ანტირელიგიური მუზეუმი. 1929 წლისთვის საქართველოში უკვე 19 ათასი ულმერთო გვყავდა. მარტო თბილისში ულმერთოთა 106 ჯგუფი მოქმედებდა. 1929 წლის 1 ივნისს საქართველოში ულმერთოთა 1 ყრილობა გაიხსნა. ქართველი ულმერთოები ოფიციალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ.

1930 წელს მუკმა საქართველოში თავისი პერიოდული ორგანოს გამოცემაც დაიწყო. უურნალს „მებრძოლი ულმერთ“ ერქვა და იგი ყოველ კვირას გამოდიოდა. უურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი სილიბისტრო თოდრია იყო.

თავად მებრძოლ ულმერთოთა კავშირმა არსებობა ოფიციალურად 1947 წელს შეწყვიტა. ლიკვიდაციის დროს ქართველ ულმერთოებში 75 ათას 401 წევრი ირიცხებოდა. ორგანიზაციის გაუქმება საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 29 აპრილის დადგენილებით გადაწყდა, რადგან უკვე დაარსდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც გადაეცა მუკის ფუნქცია მატერიალური და მეცნიერული პროპაგანდის საქმეში.

ოციანი წლების მიწურულის პრესაში დაუნდობლად ებრძვიან რელიგიურობის ყოველგვარ გადმონაშთს. მიყოლებით

ინერება წერილები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, მაგ-ალითად: „არ შევანელოთ ლაშქრობა რელიგიის წინააღმდეგ. სოფელ მათხოჯში სექტემბრის შუა რიცხვებში ასაფლა-ვებდნენ კომკავშირელს და მოლოზნებმა სასაფლაოსთან მიახლოების დროს შემოჰკრეს ზარი. იქვე, ქვევით, სახ-არებით იცდიდნენ მღვდლები“ (ახალგაზრდა კომუნისტი, №518, 1929 წ.).

„ხალხის ოპიუმის“ წინააღმდეგ ერთმანეთს ეჯიბრებოდ-ნენ პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლები. გაშ-მაგებული წერდა ფილიპე მახარაძე: „სარწმუნოება იცყრობს და ბოჭავს, ხელ-ფეხს უკრავს ადამიანს სავსებით, თავიდან ფეხებამდე. ის ბოჭავს ადამიანს წარსულის ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით და ცრუმორწმუნეობით“ (კომუნიზმის დროშა, №4-5, 1923: 17). ცოტა მოგვიანებით მისი რიტორი-კა კიდევ უფრო მკაცრი და სასტიკი გახდება: „სარწმუნოება — ესაა დამონავებულ — დაბეჩავებულ და გონებადახშულ ადამიანთა მსოფლმხედველობა, რასაც გაბატონებული კლასები იყენებდნენ ხალხის უმრავლესობის გასაულეტად და დასამორჩილებლად“ (მახარაძე 1929: 203).

შიზოიდურმა აკვიატებამ, ყველგან და ყველაფერში სო-ციალიზმის ძირები ეპოვათ, ასეთი აბსურდიც კი ათქმევინა ლუნაჩარსკის, რომ პირველი ქრისტიანობა ნაწილობრივ სო-ციალისტური მოძღვრება იყო, ხოლო დროთა განმავლობაში მან დაკარგა ყოველგვარი სოცლიალისტური სულკისკვეთე-ბა და ხალხის ჩაგვრის უდიდეს იარაღად გადაიქცაო. აქ ყუ-რადსალებია მთავარი აქცენტი, რატომ ებრძვიან რელიგიასა და ღმერთს, — ხალხის ჩაგვრის უდიდესი იარაღიაო. და ამას ამბობენ ისინი, ვინც თავად იყო ძალადობის, ტერორის, უს-ამართლობის, სისასტიკის, დაუნდობლობის, ადამიანთა ხოც-ვა-ჟლეტის „შემოქმედი“.

ალვირახსნილმა ანტირელიგიურმა პროპაგანდამ თავისი შედეგები გამოიღო. 1931 წელს საქართველოს მასშტაბით

უღმერთოების რიცხვმა 75 ათასს გადააჭარბა. 1937 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღნერის შედეგები კი თავზარდამცემი აღმოჩნდა ბოლშევიკებისთვის. წერა-კითხვის უცოდინართა შორის გამოკითხული 30 მილიონი მოქალაქიდან 84 პროცენტი მორნმუნე აღმოჩნდა, ხოლო 68,5 მილიონ განათლებულ მოქალაქეში ღმერთის არსებობის 45 პროცენტს სჯეროდა. ამის გამო, რელიგიის წინააღმდეგ კამპანია კიდევ უფრო გაძლიერდა. სწორედ 1937 წლის შემდეგ დაიწყო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ზრდა. ტოტალური რეპრესიების პერიოდში მორნმუნეთა და სასულიერო პირთა დაპატიმრებებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ 1938 წლის აღდგომის ღამეს სიონის ტაძარში მლოცველთა რაოდენობა 100 კაცს არ აღემატებოდა. 1938 წელს საქართველოში უღმერთოთა რიცხვი 150 ათასამდე გაიზარდა. ყველაზე დიდი რაოდენობა კი 1940 წელს დაფიქსირდა. ამ წელს საქართველოში თითქმის ყოველი მე-20 უღმერთო იყო. „უღმერთოების მანდატს“ 202 ათასზე მეტი ადამიანი ატარებდა.

1932 წლიდან გამოვიდა გაზეთი „მებრძოლი უღმერთო“, რომელიც საქართველოს მუკ-ის ცენტრალური და „ტფილისის საბჭოების დეკადური ორგანო“ იყო. გაზეთის დევიზი ზუსტად ასახავდა შექმნილ რეალობასა და პარტიის პოლიტიკას: „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა — სოციალიზმისთვის ბრძოლა!“ ბოლშევიკების მთავარი იდეური ბელადი, ლენინი, ბევრს წერდა „რელიგიის ექსპლოატატორული როლის“ შესახებ და სახავდა მისი საბოლოოდ აღმოფხვრის გზებს: „უნდა შეგვეძლოს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა უნდა დაუკავშირდეს კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას, რომელიც მიმართულია რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისათვის“. ლენინის ეს გეზი საბოლოოდ განავითარა და დაასრულა მეორე დიქტატორმა — სტალინმა: „ყველა რელიგია მეცნიერების საწინააღმდეგო მოვლენაა“. ამდენად, გაჩაღდა

აგიტაცია-პროპაგანდა. ამისი საუკეთესო მაგალითი იყო მებრძოლ უღმერთოთა კავშირისა და ნორჩი მებრძოლი უღმერთოების გაერთიანების ჩამოყალიბება და მათი სტრატეგიული გეგმების განხორციელება. 1933 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ე. ბედია და საქართველოს მუკის თავმჯდომარე გრ. გოგიბერიძე მოუწოდებენ „საქართველოს ყველა მეცნიერულ ძალებს, მიიღონ უფართოესი მონაწილეობა ყოველდღიურ ანტირელიგიურ მუშაობაში; ხელი შეუწყოთ ადგილებზე ანტირელიგიური უჯრედების ჩამოყალიბებას; მოაწყოთ სეზონური ანტირელიგიური კამპანიები; ჩაატაროთ პოპულარული ანტირელიგიური საუბრები გლეხთა და მუშათა შორის“ (მებრძოლი უღმერთო“, №12(18), 1933:) — ასე რომ, პარტიული დავალება ინტელიგენციას უკვე მიღებული ჰქონდა.

ანტირელიგიურმა მუშაობამ მოიცვა ყველაფერი — სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, ფაბრიკა-ქარხანა, სასოფლო კლუბი და კოლექტივი. ნელ-ნელა იხვეწებოდა და მუშავდებოდა ანტირელიგიური პროპაგანდის მეთოდიკა. რას აღარ გადასწვდა ათეისტური კამპანია. მან მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო და უბანი, შეაღწია ყოველ უჯრედში (როგორც თავად ამბობდნენ):

ანტირელიგიური მუშაობა კოლმეურნეობებში;

ანტირელიგიური აღზრდა ქიმიის სწავლებაში;

ანტირელიგიური პროპაგანდა ბიბლიოთეკაში;

ანტირელიგიური პროპაგანდა ქოხ-სამკითხველოში;

ანტირელიგიური აღზრდა საშუალო სკოლაში;

1930 წელს უურნალი „საქართველოს უღმერთო“ (№2-3) ახალ დევიზს აცხადებს: „ვებრძოლოთ მთავარ საფრთხეს — იმათ, ვინც ანტირელიგიურ მუშაობის მნიშვნელობას ვერ აფასებს“ (საქართველოს უღმერთო 1930: 30). ეს უკვე ნიშნავდა ბრძოლის გამოცხადებას იმათ ნინააღმდეგ, ვინც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და არ ერეოდა ამ მკრეხელობაში.

მებრძოლი უღმერთოები ითხოვენ ანტირელიგიურ სას-ნავლებლებს. შემფოთებული საუბრობდა დ. ორაგველიძე: „ჩვენ ანტირელიგიური სასწავლებლები არა გვაქვს, არც ან-ტირელიგიური კურსები გვქონდა, წრეები გახსნისთანავე წყვეტენ მუშაობას... თვით ცენტრალურ საბჭოშიაც არ არიან ანტირელიგიური კვალიფიკაციის მუშაკები... 10 წლის განმა-ვლობაში არა მარტო ეკლესიები უნდა გავაუქმოთ, არამედ უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი რელიგიური ნაშთები“ (მებრძოლი უღმერთო, №4, 1932:).

ის ჯოვანეთი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოდგა კარ-გა ხნით ადრე მსოფლიოში დაწყებული სეკულარიზაცია-ათ-ეიზმის კანონზომიერი გვირგვინი იყო. როგორც ცნობილია, „თანმიმდევრული ათეიზმი“, „თანმიმდევრული მატერიალიზ-მის“ პრინციპების შედეგია. მასში იგულისხმება ერთი მხრივ დიალექტიკისა და მატერიალიზმის შეერთება, ხოლო მეორე მხრივ, მატერიალიზმის თანმიმდევრული გატარება ე. ი. მისი გავრცელება ბუნებიდან საზოგადოების პრინციპებზე. „თან-მიმდევრული მატერიალიზმი“ „მარქსიზმის კლასიკოსებითა-ცაა“ ცნობილი. მასში ძირითადად იგულისხმება კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი, ი. სტალინი. ეს ორი უკანასკნელი ხშირ-ად თავს მარქსის მონაფებად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე „თანმიმდევრულ მატერიალიზმსა და „თანმიმ-დევრულ ათეისტებს“ ეკუთვნიან, მათი ზოგადმეთოდოლო-გიური პრინციპები ფილოსოფიური თვალსაზრისით განსხ-ვავებულია. მაგალითად, მარქსისათვის ამოსავალი ისეთი ფილოსოფიური რეალობაა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „საზოგადოების პრაქტიკულ-ისტორიული მოღვაწეობა“. ენგელსთან ამგვარი საწყისი თვითგანვითარებადი მატერი-ალური სუბსტანციაა, რომელიც ერთნაირად განსაზღვრავს, როგორც ბუნებას, ასევე, საზოგადოებას. ლენინისათვის ასე-თი „არხე“ რელატიურია, ის გნოსელოგიაში ობიექტივიზმის – გულუბრყვილო რეალიზმის, „საღი აზრის“ პოზიციაზე დგას,

ხოლო ისტორიის და პოლიტიკის საკითხებში სუბიექტივიზმისა. მასთან სუბიექტი ონტო-გნოსეოლოგიურ სფეროში პასიური და ინერტული ჩანს, ხოლო ისტორიაში და პოლიტიკაში აქტიურ საწყისად გვევლინება. ამ გარემოებათა გამო მათი / მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი / გაერთიანება „თანმიმდევრული მატერიალიზმის“ / „თანმიმდევრული ათეიზმის“ ან „მარქსისტულის“ ქვეშ პირობითა (მიქაუტაძე 2008: 108-109).

თავის დროზე ლენინმა „ღვთის შესახებ ყოველ იდეას ყოვლად წარმოუდგენელი სიბილნე“ უწოდა. ამის შემდეგ ამ „სიბილნეს“ უტევდნენ თავად ბილნი და გახრწნილი ადამიანები, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ეს შერკინება. ებრძოდნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას: ანგრევდნენ, ტაძრებს, ხურავდნენ სამონასტრო კერებს, დასცინოდნენ, ავინწროებდნენ, ხვრეტდნენ, ფიზიკურად სპობდნენ და ანადგურებდნენ სასულიერო პირებს. საბჭოთა სახელმწიფო — ახალი სტალინური რელიგიის შემქმნელი, თავად კერპმსახური, მაინც უძლური აღმოჩნდა ღმერთთან და რწმენასთან პირისპირ. „რელიგია კვდება, მაგრამ სიკვდილი არ უნდა“ (გეგეშიძე 1973: 7) — სულწასულად ჩასაფრებული უცდიდდნენ ამ დღეს.

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის დამყარებამდე „ფრანგულმა მატერიალიზმა რელიგია შემთხვევით მოვლენად გამოაცხადა, რაც მეთოდოლოგიურად მცდარია — გზას უკეტავს რელიგიის მეცნიერულ კვლევას. მატერიალიზმის შემდგომი წინსვლა ფორმაზე გადის. მისთვის რელიგია ადამიანის არსების გაუცხოებაა, ე. ი. ყურადღება მახვილდება ანთროპოლოგიურ პრინციპზე. თუ გინდა გაიგო რელიგია, უპირველესად, უნდა გაიგო რა არის ადამიანი. ნატურალისტურ-ანთროპოლოგიურმა მიდგომამ, რომელიც ფორმაზემა რელიგიის კვლევის მეთოდოლოგიად გადააქცია, აიძულა ის, გაეანალიზებინა რელიგიური ადამიანის მხლოდ ემოციურ-ფსიქოლოგიური სამყარო. ამით ის შედე-

გებს იკვლევდა და არა საფუძვლებს. მართალია, მასთან აშკარად ჩანს ათეისტი მატერიალისტი, მაგრამ შედეგად „ათეისტური რელიგია“ მიიღო /ადამიანი ადამიანის ღმერთია/. ეს „არათანმიმდევრულობა“ შემჩნეული იქნა და დაფიქსირდა „თანმიმდევრულ ათეიზმში“. მარქსთან და ენგელსთან მატერიალიზმი ბოლომდე იქნა გატარებული და რელიგია თითქოს დაძლეული. უფრო სწორად, დაძლეულ იქნება კომუნიზმი, მაგრამ კომუნიზმის მშენებლობის საწყის ეტაპზე ადამიანი გაუცხოებული აღმოჩნდა როგორც სულიერ, ასევე პრაქტიკულ სფეროებში. გაუცხოებამ მიიღო უნივერსალური, ტოტალური ხასიათი. რელიგიის პრობლემა ვერ იქნა დაძლეული ვერც ამ გზით“ (მიქაუტაძე 2008: 117).

რამდენი დევნა და განსაცდელი არ გადაუტანია ქრისტიანობას საუკუნეთა განმავლობაში. როგორც იტყვიან, ლენტი გაიჭრა იმპერატორ ნერონის დროს. იყენებდნენ ათასგვარ საშუალებას — დაპატიმრებას, გადასახლებას, წამებას, საჯაროდ აბუჩად აგდებასა და ღვთისმსახურების ხოცვა-ჟლეტას. მაგრამ, „ამ მხრივ, ალბათ, ვერაფერი შეედრება კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ მოწყობილ დევნა-შევიწროებას. ეკლესიის ეზოში შეყრილ მორწმუნებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს უგინებდნენ სიწმინდებს, რომელთაც ისინი ცხოვრების მანძილზე სასოობდნენ, ამსხვრევდნენ წმიდა ხატებსა და ჯვრებს, ბილწავდნენ წმიდათანმიდა საკურთხევლებს. წვერებით ათრევდნენ მოხუც მღვდლებს, გუმბათებსა და სამრეკლოებიდან ყრიდნენ ჯვრებს და ზარებს, ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ სასულიერო განძს. დიოდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, საგანგებოდ და მიზანმიმართულად ფეხქვეშ ითელებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა ღვთის მოსიყვარულე ადამიანებისა, მაგრამ იმის გამო, რომ ქრისტიანობა საქართველოში წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ მიმართულებას, არამედ ეროვნულ სარწ-

მუნიკაპას, ბოლშევიკ-კომუნისტები მასთან ერთად ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებსაც ბილწავდნენ... საქართველოს არც ერთი მტერი, არაბების შემდგომ, არ იყო ქართველი ხალხისათვის უფრო საშიში და ვერაგი, ვიდრე — რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლება. ვერც თურქ-სელჯუკებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც ოსმალ-სპარსელებმა ვერ შეძლეს ქართველი ხალხისათვის შეეგინებინათ წმიდა დავითის, წმიდა კონსტანტინეს, წმიდა შიოს, სხვა წმიდანების ნაწილები. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღვთისმსახურებს ანამებდნენ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ხალხის წინ აიძულებდნენ უარეყოთ წმიდა სარწმუნოება. ყველა ვერ უძლებდა ზენოლას. მოძღვართა ბედს მორწმუნებიც იზიარებდნენ იმით, რომ კომკავშირელები ზნეობრივად აბუჩად იგდებდნენ მათ გრძნობებს, ე.ნ. „კომკავშირული შობით“, „კომკავშირული აღდგომით“, „სამოქალაქო ქორწინებით და ნათლობით“ (ჯაფარიძე 2009: 1114).

ბევრს ოცნებობდნენ, ზოგადად, რელიგიური ცნობიერების გაქრობაზეც: „რელიგია ისტორიული კატეგორიაა. იყო დრო, როცა რელიგიური ცნობიერება, საერთოდ, არ არ-სებობდა; იყო დრო, როცა რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების გაბატონებული ფორმა გახდა და დადგება დრო, როცა რელიგიური ცნობიერება არ იარსებებს“ (მშვენიერაძე 1971: 166).

მიუხედავად ყველაფრისა, ვერ აისრულეს წადილი — ნანატრი დრო არ დადგა!

ჰიმნოგრაფიის ერთი ბრწყინვალე ნიმუშის კვალობაზე თუ ვიტყვით, ჩვენს ეკლესიას ეკვეთნეს ქარნი იგი საშინელნი განსაცდელთანი, ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცედ მისი, რამეთუ დამყარებულ იქნა არა ქვიშასა ზედა, არამედ კლდესა ზედა ქრისტედს მცნებათასა!



## ნაცილი მეორე

### ახალი რელიგიის ფორმირება — დოგმატური მარქსიზმი

**ღმერთმა შექმნა ადამიანის ნაცვლად დამკვიდრდა** ფრიდრიხ ენგელსისეული მახინჯი და გაუკულმართებული შეხედულება, რომელიც პირდაპირ მიესადაგებოდა და გამოხატავდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს იდეოლოგიას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მენტალობას: **შრომამ შექმნა ადამიანი,** მანვე დააგროვა აურაცხელი ქონება და იგივე არის მთავარი ფაქტორი საზოგადოებისა და კულტურის განვითარებისა (გოგიძერიძე 1930: 12). ამავე დროს, ამის გვერდით გაჩნდა სხვაგვარი მიდგომაც: „ღმერთს კი არ შეუქმნია ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი“ (რელიგიური გადმონაშთების... 1973: 218).

1929 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა თეოდორე გარტვიგის წიგნი „რელიგიის წინააღმდეგ“, რომლის წინასიტყვაობა იწყება ოპოზიციური წყვილით:

„იესო თუ კარლ მარქსი?! — ან ერთი ან მეორე; სხვა პასუხი არ არსებობს.

რწმენა იესოსადმი (მიუხედავად იმისა, ცხოვრობდა იესო დედამიწაზე თუ არა) — იმქვეყნიურ უკთესი მერმისის რწმენას ნიშნავს; კარლ მარქსის აღიარება კი აქ, დედამიწაზე, უკეთესი მერმისის მიღება და ცნობაა.

რწმენა იესოსადმი — იმედის ღმერთზე დამყარებაა; მარქსიზმი კი საკუთარ ძალებზე მინდობაა, თავის თავის იმედია.

ჭეშმარიტი ქრისტიანი ვალდებულია დაემორჩილოს მისთვის ბურუსით მოცულ ღვთის განგებას. თვითმოქმედება, მხოლოდ თავის თავზე დანდობა — ეს ღვთის გმობა და

მისდამი უნდობლობის გამოცხადებაა; ნამდვილი სოციალ-ისტი კრიტიკულათ უცქერის ყოველივე „ღვთაებრივს“ და ღმერთის დადგენილ წყობილებას. მას არ აშინებს სიკვდილი-სა და ეშმაკების არსებობა და ცდილობს, გაუმჯობესება შეი-ტანოს არსებულ წყობილებაში.

მორწმუნე ლოცულობს; კლასიურათ შეგნებული პროლე-ტარი კი მოქმედებს.

ქრისტიანული აზროვნება თავისთავის უარყოფასა და მორჩილებას გვასწავლის; სოციალიზმი კი მოთხოვნილებებს აყენებს. მისი სურვილია მოსპოს სოციალური უსამართლობა.

ქრისტიანობა მოყვასის სიყვარულს ქადაგებს და მოწყალე-ბით კმაყოფილდება; სოციალიზმი კი უარყოფს მოწყალებას და ყოველგვარი ქველმოქმედების წინააღმდეგია. ის ყველას-თვის თანასწორუფლებიანობას „ლალადებს“ (გარტვიგი 1929: 7-8). წიგნის ავტორი დიდი რუდუნებით ცდილობს გაარკვიოს არსებითი განსვავებანი ქრისტიანობასა და სოციალიზმს შო-რის და ასე სვამს შეკითხვას: „იესო თუ კარლ მარქსი? აქ აზ-როვნებისა და გრძნობების სფეროებში არა ორ დამოუკიდებ-ელ და განკერძოებულ მიმართულებებზეა ლაპარაკი, არამედ ორ სრულიად სხვადასხვა მსოფლმხედველობაზე. თ. გარტ-ვიგის დასკვნით, ვინც კარლ მარქსს მიეკედლა, მან თავის შინაგან რაობით უკვე ყოველგვარი კავშირი განყვიტა იესო-სთან, რადგან კლასიური შეგნებით აღჭურვილი პროლეტარი მხოლოდ ბრძოლისკენ მიისწრაფვის და აქედან ცხადია, რომ ის ვერ იქნება მშვიდი და მომთმენი“ (გარტვიგი 1929: 28). ასე ყალიბდებოდა დოგმატური მარქსიზმი და ასე იქმნებოდა ახა-ლი ტიპის ადამიანი — პროლეტარი, ბოლშევიკი.

1924 წელს კალე ფეოდოსიშვილი გაზეთ „სპარტაკში“ (№104) ბეჭდავს ლექსს „მარქსის სურათზე“, რომელშიც მარ-ქსი ქრისტესთან დაპირისპირებულად, მის უარმყოფელად, ქრისტეს „ნიადაგის გამომფიტველად“ გამოჰყავს. პოეტი ფრთაშესხმულია იმითაც, რომ ლენინმა, „სტიქიის მამამ“, მარქსის გზა განაგრძო:

## მარქსის სურათე.

— პროლეტარებო! მთელი ქვეყნის  
შეერთდითო.

სოჭი შენ პირველად

წ.ინდა ჰაერი ბაცილებით

უხვად მოშხამე...

და დღეს მსაფლონ ახალ ძალით

იმრძეის ისევა,

გამოეფიტო ნიადაგი ქრისტეს,

მაპამედს.

მიწას უჩვენე ტავეობიდან

გამოსავალი,

კაცობრიობს დაუსახე

სხვა პერსექტივა:

ერთ დიდ ჯახაზი შეაერთე

ტომი მრავალი.

სულის მაღამო დადგვი

ადგილებს მრეკიანს...

უარყავ ქრისტე, მაპამედი

მითი მოძღვრება;

თვითონ შექვენ: სხვა ყურანი,

სხვა სახარება,—

მას შრომის თული დაუდევი

რეინის ბოძებად

და ცეცხლში დაწერ ძელი

წესა და ანგარება...

შენ შემდეგ კოსმოსს მოეცლინა

მძღვრი ლენინი,—

ეს გენოსი და ძერა კუსი

მიმა სტრიქინი,

რომელმაც ქვეყნად შეიყვარა

უცელა დევნილი,

ბოლო მოულო ჩაგრულთ ზურგზე

უნდო მტრის ჯირით.

ფრთხები შეასხა შენს მოძღვრებას

რეინის მელავებით

და დიდ სივრცეზე გააჭინა

შეების მერანი...

ო, შრომის ცაჟე დღეს ბრწყინავენ

სხვა ვარსკვლევებიც,

ცეცხლის იდეს ვერ ჩაქრობს

ქვეყნად ვერავენ...

შენ აღარ ხარ... მიგვატოვა ჩვენმა

ლენინმაც,

მაგრამ მტკიცეა ხალხი თქვენი

მოწამეთ ალზირილი,—

შრომის სამყარო მზისკენ მიჰყავს

მოსკოვს, ლენინგრადს

და შრომის ლაშქრის ხელთ უპყრია

ქვეყნის აღვიწია.

გვწამს მომავლში დედამიწა

შეცელის სახეს.

მის ზედაპირზე ტარტაროზი ცელით

ვერ ვლის,

კაცობრიობა ალთემულ ქვეყნის

კარებს გაალებს,

გალუგენდღება სახელები:

მარქსი! ლენინი!

— პროლეტარებო! ყველა ქვეყნის

შეერთდითო.—

სოჭი შენ ჩა შალლა,

სუფთა ჰაერი ბაცილებით

უხვად მოშხამე...

ცეცხლის მაღამო დაადგევი ძველ

ქვეყნის ბალლაშს,

გამოუფიტე ნიადაგი ქრისტეს,

მაპამედს.

კალე ფეოდოსიშვილი.

თანდათან მკვიდრდება დოგმატური მარქსიზმი მთელი თავისი ატრიბუტიკით. პოეტები აცხადებენ, რომ მარქსი და ლენინია მათი ლმერთი, რომ სხვა ცრულმერთების უკვე აღარ სწამთ. ქრისტიანული ტაძრის ნაცვლად გაისმის „შრო-

მის ტაძარი“, ქრისტეს მოძღვრების ნაცვლად — მარქსის მოძღვანება, ბიბლიური მცნებების ნაცვლად — ლენინის შეგონებები. გიორგი ჩარხიშვილის „ჩვენი აღდგომა“ (გაზეთი „სპარტაკი“, №30, 1923) ამ დოგმატებით შექმნილი ლექსია:

## ჩვენი აღდგომა

ჩვენი აღდგომა არის მხოლოდ შრომის სიმბოლო,  
შრომის ქვეყნების შრომელ ხალხის თავისუფლება  
და ჩვენს ბრძოლასაც მოელება მყისავე ბოლო,  
როცა მსოფლიო მარქსის მცნებას შეუერთდება.

ქრისტე ჩვენ მხოლოდ მოთმინების ღმერთს მოგვავონებს,  
ჩვენ კი აგვევსო მოთმინების ცრემლია ფიალა,  
მარქსი ჩვენ გვაძლევ, შეერთებულ ბრძოლის კანონებს,  
რელიგიამ კი ჩვენ დაგვიარა, გაგვატიალა.

მარქსია, ლენინმ გაგვიყვლია ჩვენ ბენელი ხაესი,  
სხვა ცრუ ღმერთები აღარა სწამს არცერთ პროლეტარს,  
მუშება სწამს მხოლოდ თვის ბელადი ლენინი, მარქსი,  
შრომის ტაძარშიც მას დაუნთეს ელფარ კელეპტარს.

მშრომელი ხალხი შისდევს მხოლოდ მარქსის მოძღვრებას  
ასრულებს ბელად ლენინისა მცნებას სისწორით,  
კომუნისტები ვერცხებით შშრომელ ხალხთ კრებას,  
არ თანაუგრძნობთ რელიგიას შერყვნილ ამბორით...

ჩვენი აღდგომა არის მხოლოდ შრომის სიმბოლო,  
შრომის ქვეყნების, შშრომელ ხალხის თავისუფლება  
და ჩვენ ბრძოლასაც მოელება მყისავე ბოლო,  
როცა მსოფლიო მარქსის მცნებას შეუერთდება.

გიორგი ჩარხიშვილი.

უცნაურია ისიც, რომ მარქსის ღმერთად გამოცხადება არავისთვის აღარაა საჩოთირო. ეს იდეა გაიელვებს პოეზიაშიც. მარქსი, რეალურად, ჩაანაცვლებს ქრისტეს, სწამთ მისი მოძღვრებისა და უკვდავებისა. გაზეთ „სპარტაკში“ (134, 1924 წ.) აღფრთოვანებული წერს ფსევდოპოეტი „მუშა ჩარხის“ ფსევდონიმით, იგივე გიორგი ჩარხიშვილი:

## ԱՐՅՈՒԹԱԿԱՇՈՍ ԱՂՋՑՈՒԱ

Իցեն ալգողօթ տիկ հցյին Շհման և նոմուռ,  
Ցւութ և յըսնեցն ՑՑութըլլ եալեն ուզուցողնեա,  
Ցհմուռուս տիկ պյու քաւնին, տիկ պյու ծուռ  
հցյին Ցհմութըլլ եալեն թէ ելլ մբաւցուռու թահին ուզուցնեա.

ոյտ Ցեռլուց թուման նու ըմբուռունեն,  
և հցյին Պայունու թումանեն Կրյմլու ց ալո  
Ցհմուռու ըցալլուց Ցրյուղեցուլ Ցհմուռու Կ. Կոնցեն,  
Նահիմունունեն, թումանեն չազագիւռու.

Ճանդա Ցեռյինս, հցյնուուս տիկ տիկ նեց Ցուն Ցցայս,  
Իեց ոյտ յիւսուր ալուս Եթուս տիկ յիւս Ցունուցուս  
Ցուն Եթուս Ցեռլուց տոյս թումանու Շյուջու Ցուն,  
Ցուռուս Կուսուն թիւ Ծունուց ըլլար Կուսուրոս.

ՑՑութըլլ նուն Ցունուց Ցեռյինս թումանունեն,  
Ցեռյուցն ոմու Ծաւ լունշոնց Ցնցեն և նուրուսուտ,  
հցյին Ցընցաւընու Ցընութըլլ ՑՑութըլլ եալեն յիւնեն,  
տիկ տանաշիմուն հյուրուս Ցընցինու միւռուտ.

հցյին ալգողուց տիկ Ցեռլուց Ցեռյինս և նոմուռ,  
Ցհման յըսնեցն ՑՑութըլլ եալեն ուզուցողնեա,  
հցյին Ցուուս յոնեցուտ և ամ Ցհմուռու Ցուն տիկ ծուռ  
ցուռու Ցեռյուլ ու Ցեռյինս Ցնցեն Ցընցինունեա.

հցյին ոմու ցութուն, հցյին ցութունու գոյս Ցընցին տնյենս  
և ցուույ կոհու տիկ համունեցն ան թ և նեշլուցն  
Ցհմուռունեցն ըլլուս Եթուս, Ցուն Այսելուս նեյնեն  
ունցա Ցանինուու Ցանինուու յունուն, Ցուն Ցունուունուն!

Ցուն Ցուն.

յարտուլ პրեսամո յարլ մարյան սակելո პորվելաց ցա-  
մոհնդա 1870-ոան նլենիւդան. Տորոտագագ, մեսամյ դասո դա  
մուսո մտազարո նորտազո — նոյ շորճանուա յցուցո (1893-1898  
նն.) յարտուլ լեցալուր პրեսամո (յմտավրեսագ, ցանց յարտուլ լեցալուր պրեսամո) պատահաւագ, ցանց յարտուլ լեցալուր պրեսամո).

ლის“ ფურცლებზე) გაშმაგებით ქადაგებდა მარქსიზმს (შდრ. გუგუშვილი 1956: 56). უკვე ქართულ სინამდვილეში თანდათან შემოიჭრა ახალი მოძღვრება, რომელიც არაერთ სახითათო რისკს შეიცავდა. ილია ჭავჭავაძე, როგორც ახალი ქართული აზროვნების მესაფუძვლე (შდრ. თევზაძე 2010:), კარგად ხედავდა ამ საშიშროებას, სოციალ-დემოკრატების ანტიეროვნულ, ანტირელიგიურ პოლიტიკას. მარქსიზმი, თავისი თანამდევი ათეიზმით, ფაქტობრივად, უკვე ახალი რელიგია იყო, რომლის დებულებები იწერებოდა და, შესაბამისად, ცხოვრებაში მკვიდრდებოდა როგორც ბიბლიური შეგონება, მცნება, დოგმა. მართლაც, კომუნისტების დროს, „ათეიზმი წარმოგვიდგებოდა როგორც ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც თავისი მსოფლგაგებიდან სრულიად გამორიცხავდა რელიგიურ წარმოდგენებს, აცხადებდა მას დრომოქმულ, არამეცნიერულ შეხედულებად, რომლის აღმოფხვრაც დროთა განმავლობაში გარდუვალად უნდა მომხდარიყო“ (ფანჯიკიძე 2003:).

„რა მოგვიტანა მე-20 საუკუნემ? — წერს თანამედროვე ათეისტი „კაცომოყვარეს“ ფსევდონიმით — ბევრი სასიკეთო არაფერი; ახალი მატერიალისტური რელიგია „კომუნიზმი“, რომელსაც ჰყავდა თავისი წინასწარმეტყველები — მარქსი, ენგელსი, ლენინი; ჰქონდა თავისი წმინდა წიგნი — „კაპიტალი“; ქადაგებდა უტოპიურ სამოთხეს — „კომუნიზმს“ და სარგებლობდა რელიგიისაგან ნასესხები სხვა ხერხებითა თუ მეთოდებით“ (კაცომოყვარე 2006:).

ჩვენთვის კი განსაკუთრებულად ღირებულია ილია ჭავჭავაძის მკაცრად ირონიული „მრნამსი“, ანუ სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც კარგად გამოხატავს ეპოქის სატკივარს, ჯერ არდამდგარ „აპოლაკიფს“, მაგრამ საშიშ ტენდენციას, რომელიც ტოტალიტარული უდმერთობისა და სიბნელისაკენ მიაქანებდა საზოგადოებას:

## სიმვოლო სარწმუნოებისა

შედგენილი მსოფლიოსა კრებასა ზედა ქალაქსა შინა დორპატისასა და გამოცხადებული სამეუფოსა ქალაქსა შინა ქვათათისს, ადგილობრივსა კრებასა ზედა მესამისა დასისა, წელსა დასაბამითგან კვალისა მეშვიდისა, ხოლო გაუორდანიებისა მისისაგან მესამისა.

1) მრწამს ერთიმარკსი, ტომით ურიასტანელი, თავბრუდამსხმელი ყოველთა უმეცრობით მოცულთა ჩჩვილთა და უპოვართა, მოჯადოებული სახელ-განთქმულისა გეგელის მიერ, მამა-შემქმნელი ყოვლისა მეცნიერებისა, არსისა და უარსისა, გარეშე რომლისა არა იყვნენ მეცნიერნი უცხონი სოფელსა ამას შინა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე;

2) და ერთი ოდენ ჭეშმარიტი მოციქული მისი უორდანია, გურჯისტანელ მარკსად წოდებული, რომელი მარკსისაგან გამოვალს, მის მიერვე გაცოფებულ არ ს მსგავსად ჯიბლაძისა და მისთანათა, უარ-მყოფელი ყოველთა მეცნიერთა გარეშე მისა, რომელიც ჩვენის დასის თავად აღსაარებულ და ხელ-დასხმულ იქნა წინასწარმეტყველისა გიორგის მიერ უწინარეს დაბადებისა მისისა, ჟამსა მას გოდებისასა, დასაფლავებასა ზედა ინგოროვასასა, ნათელი ნათლისა-გან, მეცნიერი ჭეშმარიტი მეცნიერისაგან უჭეშმარიტესისა, ქმნილი და არაშობილი, თანაარსი მოძღვრისა მისისა, რომელისაგან შეიქმნა ყოველი მეცნიერება;

3) რომელი ჩვენთვის, მესამედასის კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გადმოხტა ცისკიდით, დასავლით კერძო და ფრთანი შეისხნა წინასწარმეტყველისა გიორგისაგან და განკაცდა და მპყრობელ არს დროშისა მის, შთაბერებულისა წინამორბედისა მისისა გიორგის მიერ;

4) რომელი უამსა ამას არა ჯვარცმულ არს, არცა ვნებულ და არცა დაფლულ მსგავსად წინამორბედისა მისისა, არა ამედ ჯვარმცველ არს ყოველთა მათ, რომელნიცა არიან გარეშე ჩვენსა;

5) რომელი სდგას თავსა შინა მესამისა დასისასა მსგავსად წერილისა წინასწარმეტყველისა მის გიორგისასა;

6) და ამაღლებულ არს მერყევსა ტახტსა ზედა კვალისასა და მჯდომარე არს მარჯვენით ხელ-დამსხმელისა მისისა;

7) და მოვლენილ არს დიდებით ქვეყანასა ამას გურჯისტანისასა განსჯად ყოველთა ცხოველთა და მკვდართა ეროვნებათა და მრთელისა კაცთა ნათესავისა მსგავსად მაზაკვალისა, რომლისა სიჭაბუკესა არა აქვს დასასრული;

8) და ერთი წმინდა სულიერი, წინასწარმეტყველი და წინამორბედი უორდანიასი გიორგი, რომელი გურჯისტანისაგან გამოვალს, გურჯისტანელთაგან და აიასტანელთაგან უორდანიასთანა და ჯიბლაძესთანა თაყვანისიცემების და იდიდების ამა უამსა შინა, რომელში იტყოდა და არცა იტყვის ივანიკასა და გოჯასპირას მიერ;

9) ერთი წმინდა მართლ-მადიდებელი და სამახარაძო მესამე დასი და ყორანი მისი კვალი;

10) აღვიარებ ერთსა ოდენ მცნებასა გაუორდანიებულის მარკისისა და გამარკებულის უორდანიასასა მოსატევებელად ყოველთა ცოდვათა, ურიგობათა, უწესობათა და სულელობათა;

11) მოველი სასოებით დამხობასა ყოველთა წოდებათა და ეროვნებათა და უწინარეს ყოველთა გურჯისტანის განადგურებასაცა;

12) და ცხოვრებასა გაღატაკებულთა, გაუმეცრებულთა და მხეცებრივის ბრძოლით გაპირუტყვებულთა ბრძოთა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ! (სიმბოლო სარწმუნოებისა 1997:).

მარქსიზმი, თავისი არადემოკრატიულობითა და ძალადობით, იმთავითვე გამორიცხავდა შემწყნარებლობასა და პლუ-

რალიზმს, ვერ ეგუებოდა, ვერ ითავსებდა ვერაფრს არამარქ-სისტულს. შემთხვევითია არაა ასეთი შეფასება: „საქართველოს ბოლშევიკები შეუნელებლად იცავენ და ქადაგებენ რევოლუ-ციური მარქსიზმის ლენინურ თეორიას, დაუნდობლად ებრძვიან რა მენშევიკურ, ანარქისტულ და, საერთოდ, ყოველგვარ ანტიმარქსისტულ პრინციპებსა და იდეოლოგიას“ (გუგუშვილი 1956: 143). მიუხედავად ყველაფრისა, კარლ მარქსის სახე-ლის უკვდავსაყოფად არ იშურებდნენ არავითარ ეპითეტებს. ჯერ კიდევ ლენინმა უწოდა მის შრომებს „გენიალური“ (ლენინი 1923: 4), ხოლო მალაქია ტოროშელიძე 1933 წელს იტყვის: „გაივლის საუკუნეები, კაცობრიობა მიაღწევს ჩვენთვის ნარმოუდგენელ სიმაღლეს, ნიჭი და შრომა დაეუფლება ქვეყანას... დავიწყებას მიეცემა ბევრი დიდი სახელი, მაგრამ მუდამ იქნება მისი (მარქსის - ს.მ.) ხსოვნა... ვინც ქვეყანას ახალი ერა აუწყა, დაჩაგრულ-დამონებული კლასი პოლიტიკურ ძალათ აქცია, უჩვენა ერთადერთი სწორი გზა და თვით გაუძლვა ამ გზაზე“ (ტოროშელიძე 1933: 50). ამ ამონა-რიდში კარგად კითხება სახარებისეული ქვეტექსტი — ახალი ერა ქრისტეს შობით იწყება, აქ მარქსია გამოცხადებული ახ-ალი წელთაღრიცხვის მაუწყებლად. მაცხოვარი ბრძანებს: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება (ინ. 14, 6), მ. ტოროშელიძე კი კაცობრიობის ერთადერთი, ჭეშმარიტი და სწორი გზის მაჩვენებლად მარქს მიიჩნევს.

ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარქსი იყო ღმერთან დაპირისპირებული ერთი მთავარი ათეისტი და, ზოგადად, ათეისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდე-ბელი, რომლის მოძღვრებას დაეყრდნო კომუნისტური იდეო-ლოგია. პროლეტარიატის „დიდი ბელადებიც“ კი, ლენინი და სტალინი, მისი ამ „დიადი მოძღვრების“ ინტერპრეტაციებს იძლეოდნენ. ბედნიერი იყო ე. იაროსლავსკიც, როცა იმონ-მებდა ქრისტიანობის სოციალური პრინციპების მარქსისეულ „გამანადგურებელ კრიტიკას“: „ქრისტიანობის სოციალური

პრინციპები ამართლებდნენ ანტიურ მონობას, ქება-დიდებას ასხამდნენ შუასაუკუნოებრივ ბატონყმობას და, საჭიროების დროს შეუძლიათ დაიცვან, თუმცა უბადრუკი გრიმასით, პროლეტარიატის თანამედროვე ჩაგვრა.

ქრისტიანობის სოციალური პრინციპები მჩაგვრელთა ყველა საძაგლობას ჩაგრულთა წინააღმდეგ აცხადებენ ან სამართლიან სასჯელად პირვანდელი და სხვა ცოდვებისათვის, ან განსაცდელად, რომელსაც ღმერთი თავისი სიბრძნით მოუვლენს მის მიერ დახსნილ ადამიანებს.

ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ქება-დიდებას ასხამენ სიმხდალეს, ზიზღს საკუთარი თავისადმი, თავის დამცირებას, მორჩილებას, თავის დამდაბლებას, ერთი სიტყვით, ბრძოს ყველა თვისებას.

ქრისტიანობის სოციალურ პრინციპებს გაიძვერობისა და ფარისევლობის დაღი აზის, პროლეტარიატი კი რევოლუციურია“ (მარქსი... 1929: 173-174).

ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის მიხედვით, რელიგია ხალხის მტერია, სამაგიეროდ ბედნიერება კომუნიზმია; არ უნდა გნამდეს ღვთისა, მაგრამ უნდა გჯეროდეს მარქსიზმ-ლენინიზმისა, რომელიც გვასწავლის, რომ რელიგია ისტორიულად წარმავალი მოვლენაა, რომ მისი არსებობა მარადიული არ არის. მარქსი ამბობს: „რელიგია ეს არის ჩაგრული ქმნილების ამონხვრა, უსულგულო სამყაროს სული, უსულგულო უდროობის სული. იგი ხალხის ოპიუმია“ (ფედოსეევი 1940: 24). ხალხი მასაა, რომელიც უნდა დააჯერო, რომ არ არის ღმერთი, გარდა ბელადისა. „მარქსი არის გაპიროვნებული ღმერთი... კარლ მარქსს ჰყავს თავისი მოციქული ლენინი“ (ვ. ნოზაძე, „კომუნისტური ესხატოლოგია“). ამგვარივე მოციქულებად თუ ღვთაებათა თანასწორად შეირაცხნენ სიცოცხლეშივე მითოლოგიური შარავანდედით მოსილი სხვა ლიდერები. ყალიბდებოდა მყარი სტრუქტურა კომუნისტური რელიგიისა.

## კომუნისტური რელიგიის რიტუალური სტრუქტურა

„საბჭოთა კავშირი კაცობრიობის უბრნყინვალესი იდე-ალების განხორციელებული ტრიუმფია. არც ერთ ხალხს დედამიწაზე ჯერ არ ახსოვს ისეთი ბედნიერება, როგორ-იც მოპოვებული აქვს საბჭოთა ხალხს. არც ერთ ხალხს არ ახსოვს ისეთი დიადი ბელადები, როგორიც ლენინი და სტალინია. ეს ნამდვილი ხალხური ბელადები, ხალხის მიერ დიდების შარავანდედით შემოსილი, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესი შთაგონების წყაროა“ (სულავა 1940: 116-117). ეს სი-ტყვები, შესაძლოა, ეპიგრაფადაც გამოგვეყენებინა, რადგან მასში ძალიან კარგად ჩანს მახინჯი საბჭოთა კომუნიზმისა და ტოტალიტარიზმის თავბრუდამხვევი ისტერიული სიყალბე თუ თვალთმაცცობა, — გაამართლო და გააიდეალო ის, რაც სინამდვილეში იყო დრო გაიაფებული სიცოცხლისა, ბნელი და საშიში, ეპოქა — ულმერთობისა. „მკვდარნი არიან ყველა ღმერთები: ან ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს“, — გა-ნაცხადა გასული საუკუნის დასაწყისში ფრიდრიხ ნიცშემ და ზეკაცობის მსურველთ მიმართა: „ღმერთი თქვენი უდიდესი საფრთხე იყო“. ღირებულებათა ტოტალური გადაფასების ეპოქაში ულმერთო ადამიანებმა კომუნისტური და ფაშისტუ-რი მიმართულების ახალი რელიგია შექმნეს (კვატაია 2010: 402). ჩვენ კომუნისტურ რელიგიაზე ვსაუბრობთ!

როცა ღმერთი არ არის, ყველაფერი დაშვებულია, ამიტომ კაცობრიობის ამ „უბრნყინვალესი იდეალების განხორციელე-ბულ ტრიუმფში“, საბჭოთა კავშირში, ფეხქვეშ გაითელა ყველაზე დიდი ღირებულება — ადამიანი, დაითრგუნა აზრი, ფიქრი, აიკრძალა ოცნება და სიყვარული, რწმენა და თავისუ-ფლება... ტოტალიტარიზმის მსხვერპლი გახდა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი, სრული ჯოჯოხეთი დამყარდა საბ-

ჭოეთში. მ. კვატაია წერს: „ვ. ნოზაძის შეფასებით, ეკლესიის მსგავსად, მარქსიზმ-ლენინიზმიც უკომპრომისოდ იპრძოდა საკუთარი დოგმების დასადგენად, გადახრების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ახალ მარქ-სისტულ-ლენინურ რელიგიას ვიქტორ ნოზაძე კომუნისტურ ესხატოლოგიას უწოდებს და ასე განმარტავს: ეს არის სწავლა (დოგმა) უკანასკნელ ნივთთა, მოვლენათა (ეს-ხატოს) შესახებ, რომლის თანახმად, დადგება დრო, როდესაც საყოველთაო ბედნიერება დამყარდება — კომუნისტური მითოსი, რომელსაც, მეცნიერის თქმით, განხორციელება არ ეწერა. მისივე განმარტებით, ამგვარი ესხატოლოგიის საფუძველი ძველი რუსული შეხედულებაა, რომლის მიხედვით, რუსი ხალხი უნდა ყოფილიყო „მესია“, ანუ „ცხებული“, რომელიც ამ ქვეყანად დაკარგულ სამოთხეს აღადგენს. ეს რელიგიური მესიანიზმი რუსულ იმპერიალიზმში გადაიზარდა“ (კვატაია 2010: 402).

ანტიპუმანურმა და ანტიბუნებრივმა ბოლშევიკურმა სისტემამ, მარალია „**ნითელი უღელი**“ (მ. ჯავახიშვილი) დაადგა ქართველ ერს, მაგრამ მიხვდა, რომ რელიგიისგან ასე უცბად და ასე ერთბაშად მოწყვეტილ ხალხს დასჭირდებოდა ფსევდორელიგიური, ამიტომ საღვთო წერილის, ბიბლიის ნაცვლად მოგვევლინა დოგმატური მარქსიზმი. კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურებს შეგნებული ჰქონდათ, რომ დამორჩილება, მოთვინიერება, დამონება მკაცრი დოქტრინით მიიღწეოდა, ამიტომ შემუშავდა, დაიხვენა მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია, რელიგიის ხარისხში აიყვანეს იგი და აქციეს „ზოგადკაცობრიულ მოვლენად“.

რა ფორმით, როგორ უნდა გამხდარიყო შესაძლებელი დოგმატური მარქსიზმის ქადაგება და დამკვიდრება? — აქ ერთმნიშვნელოვნად ჩაანაცვლეს ეკლესია პარტიით, ღმერთი

— ბელადით, და, საბოლოოდ, მივიღეთ იდენტური სტრუქტურა საეკლესიო იერარქიისა — კომუნისტური რელიგია.

• ქრისტიანს სწამს და უყვარს სამყაროს შემოქმედი — ღმერთი; ტოტალიტარიზმის ეპოქაში ღმერთი არის ბელადი.

• ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი არის პატრიარქი (კათალიკოსი); პარტიაში — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

• პატრიარქი ღვთის მოციქულია;

ბელადის მოციქულია ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

• ეკლესიის უმაღლესი ორგანოა წმინდა სინოდი;

პარტიისა — პოლიტბიურო.

• საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიან ეპარქიები თავიანთი მღვდელმთავრებით;

პარტიული სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია ადგილკომები, საქალაქო კომიტეტის მდივნებით.

• ეკლესია არის სახლი ღვთისა, გუმბათზე გამოსახული ჯვარი მიგვანიშნებს, რომ აქ იდიდება ჯვარცული მაცხოვარი;

კომპარტიას აქვს თავისი გამორჩეული შენობა — ჯვრის ნაცვლად ნამგლისა და უროს გამოსახულებით.

• ეკლესია საუბრობს და ქადაგებს ყოვლადწმინდა სამების სახელით (სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა);

კომუნისტები საუბრობენ და გვმოძვრავენ პარტიის, მარქსის, ლენინისა და სტალინის სახელით. მოხსენება, საუბარი, მსჯელობა, წიგნი, გამოკვლევა თუ წერილი, როგორც აუცილებლობა, მათი ხსენებით უნდა დაწყებულიყო.

• კაცობრიობის მხსნელის, მაცხოვრის ხატი ყველა ეკლესიაშია;

ბელადის სურათი — ყველა პარტიულ და არაპარტიულ დაწესებულებაში.

- მკერდზე ჯვარი არის ნიშანი ქრისტიანობისა;
- საბჭოთა ადამიანისათვის ჯერ ოქტომბრელის, მერე პიონერისა და, ბოლოს, კომკავშირელის ნიშანი ბელადის გამოსახულებით აუცილებელი გზაა პარტიის რიგებისაკენ. პოლიტიკური ლირიკის ერთ „შედევრში“ ვკითხულობთ:

„ქვეყნის გაჩენის დღეა პირველი,  
თუ ყველაფერი მხოლოდ მესიზმრა!  
მომცეს ბილეთი კომკავშირელის,  
ბილეთი ჩემი გადარჩენისა“

(ქართული პოეტური 1970: 26);

- ნათლობის შემდეგ ქრისტიანს ეძლევა ნათლობის მოწმობა – მისი მეორედ შობის, სულიერი განახლების დოკუმენტი;
- კომპარტიის წევრობის წითელყდიანი წიგნაკი დასტურია ამქვეყნიური წარმატებისა.
- ქრისტიანისთვის აუცილებელია საღვთო რჯულის სწავლება;
- საბჭოთა ადამიანისთვის – მარქსიზმ-ლენინიზმის კურსი;
- გამორჩეული საუფლო დღესასწაულია ქრისტეს შობა და აღდგომა;
- საბჭოეთში ზარ-ზეიმით აღინიშნება ბელადის დაბადებისა და გარდაცვალების დღეები.

საეკლესიო დღესასწაულები იზეიმება ლიტანიობით, ეკლესიის ირგვლივ ხატებით, დროშებითა და გალობით სვლით. სტალინი ამბობს: „დღესასწაული აქვთ ხუცებსაც და ამ დღესასწაულების დროს ისინი ხოტბას ასხამენ არსებულ წესებს, სადაც მაშვრალნი სიღატაკეში იღუპებიან, მუქთახორები კი ფუფუნებაში არიან ჩაფლულნი. თავისი დღესასწაული უნდა ჰქონდეს მუშებსაც და ამ დღესასწაულის დროს მათ უნდა გამოაცხადონ საყოველთაო თავისუფლება, ყველა ადამიანის

საყოველთაო თანასწორობა, ეს დღესასწაული არის 1 მაისის დღესასწაული“ (ფედოსეევი 1940: 35). საბჭოეთში ეწყობა აღ-ლუმები ბელადის პორტრეტებით, გერბით, დროშითა და ალ-მით. გალობის ნაცვლად გაისმის მარშები და კომუნისტური პარტიის ჰიმნი. სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ საბ-ჭოთა წითელ დროშაზე გამოსახული ნამგალი და ურო (სა-ტანისტური ბოლშევიზმის იარაღები — ლ. სორდია), უფრო სიკვდილის მანიშნებელ თუ მაუწყებელ სიმბოლოს ნიშნებს შეიცავდა, რადგან ნამგალი ცელავს (ცელიანი კაცი სიკვდი-ლის სახებაა) და ურო კი ანგრევს. იმ ფონზე, როცა ასეთი დროშა საფიცარი გახდა („ვფიცავ სისხლივით წითელ დრო-შას, უკვდავს და დიადს“), ტერენტი გრანელი ირონიით წერ-და: „ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, / ისევ ხმაურის დადგა დროება, / აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, / როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. / ჩნდება ფიქრები შორეულ აღზე, / ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, / აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, / როცა მე ვუმზერ მარადისობას“.

• ეკლესიას აქვს წმინდა ნივთები, წმინდა ჭურჭელი: ბარძიმ-ფეშუმი, ლახვარი, ვარსკვლავი, დაფარნები, ემბაზი, ტაკუკი, ოდიკი...

კომუნიზმი აიდეალებს ნამგალს, ჩაქუჩქს, კომბაინს, ტრაქტორს... „ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჭედს, ვენაცვალე ყელშიაო“ ან:

„ვინ მოიგონა ტრაქტორი  
ვინ იყო იმის ჭკვისაო,  
რკინა ააწყო ერთურთზე  
მაგარი ფოლადისაო.

სამოცი ცხენის ძალა აქვს,  
როგორც მინდვრებსა მკისაო,  
კომბაინებიც დახშირდა,  
გამლენავია ძნისაო“

(სტალინი... 1949: 49);

- ქრისტიანობა ქადაგებს სახარებას, ქრისტეს მოძღვრებას;
- კომუნიზმი – დიალექტიკურ მატერიალიზმს.
- ქრისტიანისთვის მთავარია სულიერი ფერისცვალება, როგორც დასაწყისი ახალი ცხოვრებისა;
- საბჭოთა ადამიანი ზეიმობს გასაბჭოების დღეს – ახალი ცხოვრებისა და ქვეყნის დასაპამს.

• წმინდა ქალაქია იერუსალიმი – ქრისტეს ცხოვრების მოწამე და მეისტორიე;

„უწმინდესია“ მოსკოვი – კრემლი, როგორც უმაღლესი ინსტანცია და აბსოლუტური ჭეშმარიტება; მშრომელთა იმედი და ნუგეში კრემლში ზის, მას ეკუთვნის ყველა წარმატება და სიხარული. პოეტი ამაყობს, რომ მოსკოვი და კრემლი იმედია მთელი პლანეტისა, რომ კომუნიზმის აკვანი დაირწა ჩვენს სამშობლოში (ქართული პოეტური... 1970: 120):

„მაგრამ ის მაინც სხვა არი,  
მარად სინათლეს ჩვეული –  
ჩვენის კაცობის შუქური  
კრემლი და მავზოლეუმი“

(დიდ სტალინს 1949: 55);

ან „კრემლი დგას, როგორც ერთგული გრდემლი, სადაც სჭედს ფოლადს დიდი მჭედელი“ (ბელადს... 1939: 97); „ილხინე, ჩემო სამშობლოვ, შენი მზე კრემლით ანთია“ (ლენინის სახე... 1957: 9); „სხვაგან ქრის ჩემი გონება, კრემლსა ევლება თავზედა“ (ლენინი და სტალინი... 1939: 130); „მაშ, ავამღეროთ ჩინგური... და გამარჯვება წავიღოთ მოსკოვში სიმღერითაო“ – მღერიან ერთ ხალხურ სიმღერაში, რადგან ამ გამარჯვებას იქ, მოსკოვში, ბელადი მიეგებება; პოეტი კი ასე გამოხატავს საკუთარ განცდებს:

„დიდო მოსკოვო, ხალხთა იმედო,  
ხსნას შენგან ელის მთელი სამყარო!  
მშვიდობასთან გაქვს მარად კავშირი,  
შენ, კომუნიზმის სინათლის წყაროვ!“  
(მნათობი 1953: 23).


მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წიგნად დაიბეჭდა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული მოსკოვის შესახებ. მოსკოვი ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრისა და ოცნების, სიყვარულისა და სიხარულის გამომხატველია, აქ ცხოვრობს და მუშაობს ამხანაგი სტალინი. მოსკოვი – მსოფლიო გულის მფეთქავი – ასე მიმართავენ და უმღერიან ქართველი პოეტები ჩვენი დედასამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს. „მოსკოვი – სოციალიზმის მშენებლობის მეთაური, რევოლუციის შტაბი, მოსკოვი – დიდი სამამულო ომის გამარჯვების მედროშე, მოსკოვი – ომისშემდგომი პერიოდის მშვიდობიანი ცხოვრების მესაჭე, მსოფლიო მშვიდობისა და დემოკრატიის ძალთა მეთაური – ასე გვიხატავენ ქართველი პოეტები ამ ლექსთა კრებულში ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქს – მოსკოვს“ (ჭილაია 1953: 191-192).

- მხსნელი სოფლისა, იესო ქრისტე, ბეთლემში მოევლინა კაცობრიობას, აქ განკაცდა „ცათაგან დაუტევნელი“. ბეთლემი სახეა ქვეყნიერებისა;

ბეთლემის ტოლთასი „სიწმინდე“ გახდა გორი: „გორი! რა-ოდენი სიყვარულით წარმოთქვამენ ამ ქალაქის სახელს, რა აღფრთოვანებითა და სიამაყით ამბობენ ამ სიტყვას! რა მოწინებით იხსნიებენ იმ ადგლის და იმ სახლს, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა ამხანაგმა სტალინმა. მილიონობით ადამიანი ნახულობს გორს, ლიახვის პირას მდებარე ჰატარა ქოხს, სადაც დაიბადა „კაცობრიობის გარიურაჟი“, სადაც დაირწა აკვანი იმ ადამიანისა, რომელმაც

ჩვენს ქვეყანას მოუტანა თავისუფლება და „მუდმივი გაზაფხული“ (ჭილაძა 1953: 116).

• ქრისტიანული იკონოგრაფიის მიხედვით, ხატის ცენტრშია წმინდანი; კომუნისტული იკონოგრაფია ასეთია: პორტრეტები ბელადების ხატისებრი გამოსახულებითაა, მსხვილ პლანში. ლენინი — მელოტი, ჰალსტუხით, თეთრი პერანგითა და პიჯაკითან განდიდებული პოზით — ორატორი, მაღლა, ანეული ხელით, ფეხი უკან; სტალინი — ულვაშით, უკანგადანეული თმებით, ჩიბუხით, დაბალი შუბლით; გავრცელებული ტრიადა იყო — მარქსი, ენგელსი და ლენინი, მერე მათ მიემატა სტალინი. სოციალისტური პანაკის ქუვეყნებმა თავიანთი ბელადებიც მოუსვეს გვერდით და მთავარ კომუნისტურ „ხატზე“ წმინდა ბელადების რიცხვი ზოგჯერ ხუთამდე ადიოდა.



• არსებობს წმინდანთა თაყვანისცემის საეკლესიო ტრადიცია, მომლოცველები საგანგებოდ ჩადიან და მიეახლებიან მათს წმინდა ნაწილებს;

ლენინის ნეშტი მავზოლეუმშია. არ წყდება ადამიანთა რიგები დარსა თუ ავდარში ბელადის „უხრწნელი“ ნეშტის თაყვანსაცემად:

„ლენინ, შენს თვალებს ჩვენ არ დაავმარხავთ,  
ლენინ, შენს შუბზე მინას არ დავყრით“.

(ლენინის სახე... 1957: 14)

ა6

„დე, შეინახოს კაცობრიობამ სულ სხვანაირი მოვა  
შენი სხეული როგორც მუმია. ცხოვრება,  
გაივლის ჟამი მტვრევით, მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით  
ხმაურით, შენს უკვდავ სახეს ეამბორება“  
(იქვე: 122)

ა6

„წევს ლენინი, შუბლზე შუქი ჰფენია,  
აღარ უმძიმს მარმარილოს სარქველი“  
(დიდ სტალინს... 1949: 122);

• ეკლესია სასოებით ინახავს წმინდანთა ნაწილებს, გარდა იმისა, რომ გვყავს უხრწნელი წმინდანები;

პოლიტიკურ ლირიკაში შექებულია ბელადის ჩიბუხი, ლენინის ქუდი. მაგ., პოეტს მოსკოვში უნახავს ფრანგების მიერ გამოგზავანილი ლენინის ქუდი:

„აქ დიდხანს ვჩერდები...  
ამ ძვირფას საჩუქარს  
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.  
ირხევა სარკმლიდან ლამაზი არყის ხე,  
არყის ხე, ასე რომ უყვადა ლენინს“.  
(ქართული პოეტური... 1970: 41);

- მორწმუნე უფლის მადლობელია მოწყვალებისათვის; კომპარტიას უნდა უმადლოდე, ისაა მზრუნველი, მფარველი და მოწყვალე;
  - რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლოა აღსარება, ცოდვათაგან განწმენდა მოძღვრის წინაშე;
  - პარტიაში კი – თვითკრიტიკა. უნდა აღიარო დანაშაული, შეცდომა, მანკიერება კომპარტიის წინაშე;
  - საერო დაწესებულებებში მოწყობილია სალოცავი კუთხეები;
- საბჭოთა ეპოქაში ყველა დაწესებულებაში არსებობდა ლენინის კუთხე ან წითელი კუთხე.
- ეკლესიას ჰყავს დიდი წმინდანები, მოწამეები, ღირსი და ნეტარი მამა-დედანი;
- კომპარტიას კი – რევოლუციურ სიწმინდეს შენირულები, სოციალისტური შრომის გმირები, წითელი დროშის ორდენისნები...

„ხალხო, დიდება მათს ძახილებს გამაღვიძებელს,  
განა ვინც მოკვდა, ყველა გვტოვებს, ყველა მკვდარია?!  
ჩვენგან განუყრელ წულუკიძეს მარად დიდება!  
იგი დარჩება ძლევამოსილ პროლეტარიატს!“  
(ქართული ლექსები... 1937: 50).

ა6

„აღარც მეტეხი მდუმარებს, - ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,  
ტყვია ვაჟვაცის მკვლელი... ეხუჭებოდა თვალი,  
ლადო ციხეში კვდებოდა, და მკერდზე გადაფენოდა  
გულში ეკიდა ალი, ლენინის „ნაპერწკალი“

(ქართული პოეტური... 1970: 113-114);

- ქრისტიანისთვის სამოთხე დგება გარდაცვალების შემდეგ; საბჭოთა იდეოლოგია გვარწმუნებს, რომ სამოთხე, ანუ კომუნიზმი, ცოცხალთათვის დამყარდება დედამიწაზე. მთავარი საბჭოთა ულმერთო ე. იაროსლავსკი წერდა: „რელიგია ასწავლის, რომ ბედნიერების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ არარსებულ სამოთხეში. კომუნიზმი კი ასწავლის, რომ სამოთხე, ე.ი. ბედნიერი ცხოვრების წყობა შეიძლება შეიქმნას ყველა ადამიანისათვის აქ, ამქვეყნად (იაროსლავსკი 1937: 21). უფრო ადრე თავის ნაშრომში „სოციალიზმი და რელიგია“ პროლეტარიატის ბელადმა ასე განსაზღვრა: „ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად ჩაგრული კლასის ამ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის მთლიანობას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პროლეტარების აზრთა მთლიანობას ზეციური სამოთხის შესახებ“ (ლენინი 1935: 346). სიკვდილსა და სიკვდილის შიშს, არყოფნას ვერაფერი მოუხერხეს კომუნისტებმა. მათი თეორია ამ საკითხში რაღაც ოპტიმისტურ ტრაგედიას მიაგავდა. კომუნისტური ლოგიკის მიხედვით, სულ ტყუილია ის ზღაპრები, რომლებიც საიქიო ცხოვრებაზეა მოთხოვნილი, ტყუილია საფლავების გახსნა, მკვდრეთით აღდგომა, სულის უკვდავება, იქით არაფერი არ არის, სრულებით არაფერი... და თუ ეს ასეა, მაშინ რაღა რჩება?! — მხოლოდ ერთადერთი — იმქვეყნიური ილუზიების აყოლას სჯობს ამქვეყნიური ცხოვრება მოვაწყოთ, ავაშენოთ სრულყოფილი საზოგადოება, რომელშიც ყველა ბედნიერად იგრძნობს თავს, ყველა თანასწორი იქნება, ყველას ექნება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. მართალია, ჩვენ მივდივართ ამ ქვეყნიდან, მაგრამ, რაც ჩვენამდე შექმნილა და, რაც ჩვენ დროს შეიქმნება, ხალხს დარჩება, მათ შორის ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, ჩვენს შთამომავლობას. ამაშიაო ჩვენი უკვდავება... კომუნისტებმა დაიწყეს კიდეც ასეთი საზოგადოების აშენება. მათ ეს პროცესი ორ ეტაპად

დაყვეს: სოციალიზმად, რომელიც გარდამავალ ეტაპს წარმოადგენდა და ერთგვარ კათოლიკურ სალხინებელს წააგავდა და შემდგომ სრულყოფილ საზოგადოებად, კომუნიზმად (ფანჯიკიძე 2003:).

• საინტერესოა ვარსკვლავის სიმბოლიკის დესაკრალიზებაც. როგორც ცნობილია, ვარსკვლავი უხსოვარი დროიდან მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენდა, ხოლო მოვგიანებით მაღალი მისწრაფებებისა და იდეალების მნიშვნელობით იხმარებოდა. ვარსკვლავი მეგზურობისა და ბედნიერების ემბლემაც იყო. ხილულ სამყაროში არაფერი მეტყველებს ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე ისე, როგორც ვარსკვლავებიანი ცა. „ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო“ (ფსალმ 18, 2). ციდან ვარსკვლავების ჩამოცვენა მეორედ მოსვლისა და ღვთის სამსჯავროს ერთ-ერთი წინაპირობაა. „და მყისვე, გასაჭირის იმ დღეების შემდგომ, მზე დაპნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს, ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან ციდან და ციური ძალები შეირყევიან“ (მთ. 24, 29).



კაშკაშა ცისკრის ვარსკვლავი მესიის — იესო ქრისტეს სიმბოლოა. „მე, იესომ, მოვავლინე ჩემი ანგელოზი, რათა დაგიმოწმოთ ეს ეკლესიებში. მე ვარ დავითის ფესვი და შთა-მომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (გამოცხ. 22,16). მართლმადიდებლები ვარსკვლავს უწოდებენ ორ ერთიმეო-რეზე გადაჯვარედინებულ ლითონის მოღუნულ ვიწრო, თხელ ფირფიტას, რომელსაც ფეშხუმზე დგამენ იმ მიზნით, რომ დაფარნა არ შეეხოს ტარიგს და სიმბოლურად იმ ვარსკვ-ლავს აღნიშნავს, რომელიც წინ უძლოდა აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს (სიმბოლოები... 2011:).

ქრისტიანობის ხუთქიმიანი ვარსკვლავი — ბეთლემის სიმ-ბოლო, რომელიც ქრისტეს შობას განასახიერებს (ან ზოგჯერ იესო ქრისტეს ხუთი ჭრილობის მიმანიშნებელიცაა), გად-მოვიდა საბჭოთა სიმბოლიკაში. როგორც ამბობენ, ის მა-სონობის სიმბოლოცაა. რუსეთში მისი შემოტანა ტროცკის სახელს უკავშირდება. ხუთქიმიანი ვარსკვლავი ხუთი კონ-ტინენტის პროლეტარიატის ერთობას განასახიერებდა. ამას-თანავე, ის 1917 წელს წითელი არმიის სიმბოლოდ მიიჩნიეს, სსრკ-ისა და სკკპ-ის სიმბოლოც გახდა. შემდეგში როგორც „ოქროს ვარსკვლავი“ — სახელმწიფო მედლად იქცა სსრკ-სა და რუსეთის ფერედაციაში. სსრკ — ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით, დაწე-სებულია როგორც დამატებითი წარჩინების ნიშანი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებასთან. ის წარმოადგენს ხუთქიმიან ოქროს ვარსკვლავს, რომელსაც აქვს გლუვი ორნახნოგოვ-ანი სხივები. იბნევენ მკერდის მარცხენა მხარეს ორდენებისა და მედლების ზემოთ. სსრკ კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს, მედალი აღადგინეს როგორც წარჩინების ნიშანი რუსე-თის გმირის წოდებასთან.

. ქრისტიანთა წმინდა წიგნია სახარება, რომელიც ოთხი მოციქულის მიერაა დაწერილი (ქართულად ოთხთავიც ამი-

ტომ ჰქვია). მას უწოდებენ მაცხოვნებელ ძალას, სიხარულის მომნიჭებელს, მასაზრდოებელს, დამარწყულებელს, მკვდრეთით აღმადგინებელს... ოთხი სახარების ყოველი სიტყვა უმაღლესია ყველა სხვა სულიერ სწავლებაზე, რადგან სხვა წიგნებში თავისი მონების, — წინასწარმეტყველების, — პირით გვეუბნებოდა უფალი, ხოლო სახარებაში თვითონ გვესაუბრება ყოველთა მეუფე (ბასილი დიდი).

წმინდა სახარება ჩაანაცვლა „კომუნისტური პარტიის მანიფესტია“, რომლის პირველი თავი 1848 წელს გამოქვეყნდა. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტია, რომელშიც მთლიანად და მწყობრად არის გადმოცემული მარქსისა და ენგელსის დიადი მოძღვრების საფუძვლები. „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს. დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა“ — ასე შეაფასა პროლეტარიატის ბელადმა, ლენინმა, ეს ნაშრომი. „მარქსმა და ენგელსმა თავიანთი ნაშრომით ეპოქა შექმნეს“ — იტყვის ამხანაგი სტალინი. შესაძლოა ითქვას, რომ კომუნისტების წმინდა წიგნად („კაპიტალთან“ ერთად), მათს სახელმძღვანელო მოძღვრებად სწორედ ეს „მანიფესტი“ იქცა. ამასთანავე, ოთხი მახარებლის მსგავსად (მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე) ერთბაშად ოთხი ბელადის მოძღვრება გახდება საყოველთაოდ მისაღები: მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინისა.

# ජ. ඩාලක යැසා ඇ. ගිරිචේලුව

«ම න්‍යාමාමෙමක්ද තිබේනිලුහි තෝ-  
ප්‍රීභාලිගා දා සිංහයෙන්ගාට ගාලුම්-  
ඡ්‍යාලිං ආකාලි මානුශාවෙන්ගාලාගා,  
තානේමිප්පෙරුවෙන් මාතිහානාලිරූපයි, කු-  
මෙලිං සාම්ප්‍රියාලුහි පෙරුවෙන්ගාහිස  
කුරුසාප මුදුහාස්ථාප, ලැබුවෙන්තියා,  
කු-  
ගාලුං තානුම්පෙරුවෙන් පානුවෙන්ගාහියි ඇ-  
ඛාස මෙරුම්පෙරුවෙන් තානුවෙන්ගාහිස ප්‍රීභා-  
ලාං, තානුකාං ප්‍රීභාලාංකාං තානුවෙන්ගා-  
හා තානුවෙන්ගාහියාතියි, කුරුතාලිං ප්‍රීභාලිං,  
කුරුතාලිං ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං,  
ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං,

ලැංගෝන

«ප්‍රීභාලිං දා ගිරිචේලුව  
«ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං ප්‍රීභාලිං

ලැංගෝන

დიდი სიწმინდეა ბელადის აზრები, ტომებში რომ გაბნეულა. თუ ქრისტიანი ბიბლიას მიიჩნევს წმინდა წიგნად, საბჭოეთში ბელადთა ტომებია სიწმინდე:

„ვაკისკენ, ინსტიტუტისკენ მიიჩქარიან ტოლები,  
თან მიაქვთ დიდი ლენინის შუქდაფრქვეული ტომები“;

ა6

„მე ერთი წიგნი მაქვს  
სახსოვრად,  
სანგარში მაჩუქეს იგი,  
ნათელი აზრებით ნაქსოვი  
სტალინის უკვდავი წიგნი.

ბრძოლაში, როცა მტერს შევები,  
როს ტყვია დაქროდა ირგვლივ,  
თან მქონდა ვაჟკაცის  
მშველელი  
უკვდავი სიმართლის წიგნი“  
(სტალინს 1944: 64).

ქართველი პროლეტმწერალი კალე ფეოდოსიშვილი გაზეთ „სპარტაკში“ (№69, 6 იანვარი, 1924 წ.) აქვეყნებს ლექსს „სულის ზეიმი“, რომელშიც გვესაუბრება ახალი კომუნისტური მოძღვრების, ახალი სახარების შესახებ და დიდი თავდაჯერებით აცხადებს, რომ ედემი საქაოში ექნებათ: „გამოიტირა ძველ რაინდთა მყრალი გვამები, / უარყო ქრისტე, შეიყვარა სხვა სახარება, / სხვა სახარება დაწერილი სისხლის წვეთებით / და შემოსილი უკვდავების შარავანდედით / სააქაოში უნდა იქნეს ჩვენთვის ედემი, / აქ უნდა ალსდგეს დაჩაგრული დემოსი მკვდრეთით“.

• რელიგიური ცინიზმი და გაუგონარი მკრებელობა პიკს აღწევდა. დაიწერა საუფლო ლოცვის, — მამაო ჩვენოს, — ბოლშევიკური ვარიანტი:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ პეტერბურგში,  
დაიწყევლოს სახელი შენი,  
ნარწყმდეს სუფევა შენი, და  
ნუ იყოფინ ნება შენი, თვით ჯოჯოხეთშიც.

მოგვეც ჩვენი პური, რომელსაც გვპარავ,  
და გადაიხადე ვალნი შენი,  
ვითარც ჩვენ ვიხდით ვალთა ჩვენთა,  
და ნუ შემიყვანებ ჩვენ საცდურსა,  
არამედ მიხსენ ჩვენ პლევეს პოლიციისაგან  
და წარწყმიდე სახსენებელი მისი და,  
რამდენადაც უძლური ხარ და სულით გლახაკი,  
უკუნისამდე მასთან ერთად წარწყმდი შენც, ამინ!“

რუს ბოლშევიკთა მსგავსად, ანალოგიური მკრეხელობა გერმანელ სოციალისტებსაც შეუთხზავთ. თუ პირველნი „მა-მაო ჩვენოში“ მეფეო ჩვენოს გულისხმობდნენ, მეორენი კაპიტალს მიმართავენ და ხოტბას ასხამდნენ მას (ფანჯიკიძე 2003:):

„კაპიტალო ჩვენო, რომელი ხარ დასავლეთში,  
საიმედო იყოს ინვესტიციები შენი,  
და გამორჩენა მიიღე მათგან. დაე, ამაღლდეს აქცია შენი,  
ვითარცა უოლი-სტრიტზე, ასევე - ევროპაშიც.  
ვაჭრობა ჩვენი უზრუნველყავ,  
და განამრავლე კრედიტი შენი,  
ვითარცა ჩვენ განვუმრავლებთ კრედიტებს  
თანამდევთა მათ ჩვენთა  
და ნუ გაგვაკოტრებ,  
არამედ გვაშორე ჩვენ პროფკავშირები,  
რამეთუ შენია მსოფლიოს ნახევარი,  
ძალა და სიმდიდრე 2000 წელია, მამონა“

- თუ არსებობს ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები, ანუ კატეხიზმო (საღვთო სჯული), ბუნებრივია, შეიქმნებოდა „ულმერთოს კატეხიზმოც“ (რელიგიის წინააღმდეგ №5, 1930: 18-20), რომელიც კითხვა-პასუხითაა დაწერილი.

ამ ანტირელიგიური დოკუმენტის 48-ე შეკითხვას: ბოროტ-მოქმედების ჩდენაში სარწმუნოება თამაშობს თუ არა შემაფერხებელ როლს? ასეთი პასუხი აქვს გაცემული: „დი-დათ შემცდარია აზრი, ვითომ რელიგია აკეთილშობილებს ადამიანს და ბოროტმოქმედებათა შემცირებას ხელს უწყობდეს. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში რელიგია ხელს უწყობდა ბოროტმოქმედებათა გამრავლებას. ამას მოწმობს მთელი რიგი ფაქტებისა. რელიგიურ უქმეებში მომხდარი ლოთობა, ჩხუბი და ყოველგვარი ბოროტება სტატისტიკის მიხედვით ყოველ საზღვარს სცილდება. სამღვდელოებას შორის სხვადასხვა ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი. სისხლის სამართლის დამნაშავეთა დიდი ნაწილი მორწმუნებისაგან შესდგება. კაპიტლის სისხლიან პოლიტიკის მნარმოებელ გაბატონებულ კლასის წარმომადგენელნი თითქმის ყოველთვის მორწმუნენი და ღვთის მოსავნი არიან“...

ამავე „კატეხიზმოში“ დასმულია შეკითხვა: რით არის რელიგია ხალხის ოპიუმი? დოგმატური მარქსიზმის ამ დაუძლეველ ლოზუნგს, დღესაც ხშირად რომ იმოწმებენ 21-ე საუკუნის უღმერთოები, ასეთ პასუხს სცემს „უღმერთოს კატეხიზმო“: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადამიანს საშუალებას არ აძლევს, სწორი წარმოდგენა იქონიოს ქვეყანაზე და ამის მაგივრად ჰკვებავს მოგონილ და ცრუცნებებით, რაც დიდად მავნებელია. მეორე კიდევ ისაა, რომ რელიგია აძლევს ადამიანს ბედნიერების ანარეკლს და ამით ამონავებს მის ნებისყოფას და სურვილს წამდვილ ბედნიერებისათვის ბრძოლის საწარმოებლად. მესამე — რელიგია აჩვევს ადამიანს მოთმინებას, ექსპლუატატორთა ნების მორჩილებას, ზრდის მასში მონურ და დამამცირებელ გრძნობებს. მეოთხე — რელიგია ხელს უშლის კაცის ცხოვრებას, უნერგავს ადამიანის გონების უძლურების აზრს, აგონებს, რომ ის ღვთის წინაშე არარაობას წარმოადგენს (რელიგიის წინააღმდეგ, №5, 1930: 20).

გარდა აკაკი ბაქრაძისა, ახალ ბოლშევიკურ-კომუნისტურ რელიგიაზე ასეთ სქემას გვთავაზეობს თ. ფანჯიკიძე:

- საღმრთო წერილის ნაცვლად მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები;
- ბიბლიური ციტატების ნაცვლად მარქსიზმის კლასიკოსების ციტატები;
  - ღმერთის ნაცვლად ყოვლისმომცველი მატერია;
  - რელიგიური თემის ნაცვლად კომუნები, კოლმეურნეობები, საბჭოები;
  - რელიგიური ფიცის ნაცვლად პარტიული ფიცი;
  - რელიგიური მორალის ნაცვლად კომუნიზმის მშენებლის კოდექსი;
  - რელიგიური სიმბოლიკის ნაცვლად კომუნისტური სიმბოლოები;
  - რელიგიური წმინდანების ნაცვლად რევოლუციური საქმისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის დღეები;
  - მონასტრებისა და ეკლესიების ნაცვლად მავზოლეუმი, მემორიალები;
  - ხატების ნაცვლად რევოლუციონერთა ძეგლები, ბელადთა სურათები;
  - რელიგიური დღესასწაულების ნაცვლად ბოლშევიკური თუ შრომის დღესასწაულები, რევოლუციური თარიღები;
  - რელიგიური ქორწინების ნაცვლად კომკავშირული ქორწილები;
  - რელიგიური ნათლობების ნაცვლად კომკავშირული ნათლობები;
    - სამოთხის ნაცვლად - კომუნიზმი;
    - ეკლესიებიდან განკვეთის თუ ინკვიზიციის ნაცვლად პატიული წმენდა, რეპრესიები, განსაკუთრებით 1937 წლის;
    - ერესებისა და სექტების ნაცვლად სხვადასხვა უკლონები - მემარცხენე, მემარჯვენე და ა. შ.;
    - მღვდლებისა და ეპისკოპოსების ნაცვლად პარტორგანიზაციისა და რაიკომების მდივნები;
    - წითელი კვერცხის ნაცვლად წითელი ყელსახვევები ბავშვებისათვის;
    - ჯვრის ნაცვლად წითელი ვარსკვლავი (ფანჯიკიძე 2003:).

## კომუნისტური ანთროპოლოგია

ანტიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული დღემდე შექმნილია ადამიანის უამრავი განსაზღვრება. ვიდრე არსებობს კაცობრიობა, არსებობს მწვავე სურვილი იმის ამოცნობისა, რა არის ადამიანი, როგორი ფენომენია, რა არის მისი უმთავრესი არსი და დანიშნულება, ოთარ ჭილაძის სიტყვებით თუ ვიტყვით: „რა სჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ლმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი?!“ მოვიხმოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი და არსებითი განმარტება:

„ადამიანიარისორფება, უფრთო ცოცხალიარსება“ - პლატონი;

არისტოტელე — ადამიანი არის „Zoon politikon“ (პოლიტიკური, საზოგადოებრივი არსება). ასევე, მას ეკუთვნის განსაზღვრება: ადამიანი არის „სისუსტის სიმბოლო“; „გამართულად მოსიარულე ცხოველი“;

ციცერონის მიხედვით ადამიანი მზრუნველი, წინასწარგანმჭვრეტი, გონიერი, განმსჯელი არსებაა;

ავგუსტინეს შემოაქვს არაანტიკური, ქრისტიანული ნიუანსი. მისთვის ადამიანი განისაზღვრება, როგორც გონიერი, მოკვდავი ცხოველი. ავგუსტინეს ეს დეფინიცია მთელ სქოლასტიკაში იყო გაბატონებული. მანვე დაახასიათა ადამიანი, როგორც „ავადმყოფი შენაქმნი შექმნილთა შორის“;

ბლეზ პასკალისათვის ადამიანი არის უსუსტესი ლერწმის ღერო, მაგრამ, ამასთანავე, — მოაზროვნე; რუსოსათვის — გადაგვარებული ცხოველი;

კანტისათვის — თვითგანსაზღვრების უნარის მქონე;

შილერისათვის — არსება, რომელსაც სურს;

გოეთე ფიქრობდა, რომ ადამიანი ეს არის პირველი გასაუბრება ბუნებისა ლმერთთან;

ადამიანი განისაზღვრებოდა როგორც *homo sapiens*-ი, გ. ფრანკლი კი შემოიტანს *homo faber*-ის ცნებას. ადამიანი მისთვის იარაღის მკეთებელი ცხოველია;

შოპენპაუერისათვის — „მოჩხუბარი არსება“, „ტკივილზე ტკივილის დამმატებელი ცხოველი, რომელსაც ძალუძს ტყუილის თქმა“;

ნიცშეს ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი არის თოკი, რომელიც გაბმულია ცხოველსა და ზეკაცს შორის, „ავადმყოფი ცხოველი“, „მხეცი და მხეცზე უარესი“;

ზ. ფროიდი — „ლტოლვების დამთრგუნველი“;

შ. შელერი — „არას თქმის შემძლე“, „ღვთისმაძიებელი“;

კლაგესი — მოაზროვნე ცხოველი;

ჰერდერი — „ადამიანი არის პირველი, ვინც ბუნებამ თავისუფლებაში მიატოვა“;

ფიხტე — „ადამიანური გვარის საზრისია არა მხოლოდ გონიერი ყოფიერება, არამედ, გონიერი ქმნადობა“ (მოგვყავს წიგნიდან: მშვენიერაძე 2005:56-57).

ცნობილი მატერიალისტი ფოიერბახს წერდა, რომ რელიგია ადამიანის არსების გაუცხოებაა. მარქსი ეთანხმებოდა ამ დებულებას, თუმცა ადამიანის არსება მისგან განსხვავებულად ესმოდა. „ფოიერბახისადმი დაწერილ თეზისებში ის წერს, რომ ადამიანის არსება აბსტრაქტი კი არ არის, არამედ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობაა. საზოგადოებრივი შრომა, ანუ საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკის სამეურნეო, ეკონომიკური სისტემა, არის რეალური ბაზისი, რომელზეც დამყარებულია პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, რელიგიური, ესთეტიკური, ფილოსოფიური და ა. შ. იდეები ანუ ზედნაშენი. ეს უკანასკნელი ასახავს პირველს, ემსახურება მას და იცვლება მასთან ერთად. ისეთი იდეები, შეხედულებები, რომლებიც რწმენისათვის ე. ი. რელიგიისათვის არის დამახასიათებელი, მართალია, ხელს უშლის ადამიანის იმ პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომელიც მიზნად ისახავს მოხმარებას და მხოლოდ სარგებელს, მაგრამ ის კანონზომიერი მოვლენაა ე. ი. გამომდინარეობს ბაზისიდან, ეკონომიკური ურთიერთობე-

ბიდან. კერძოდ, რელიგია არის გაუცხოებული ეკონომიკური ურთიერთობების ფანტასტიკური ასახვა. რელიგია, როგორი ფორმაც არ ჰქონდეს მას, არის სულიერი გაუცხოება. საჭიროა ამ გაუცხოების დაძლევა, მოხსნა და უარყოფა. „თან-მიმდევრული ათეიზმის“ მიხედვით, ეს შესაძლებელია მაშინ, თუ გაუცხოება დაიძლევა, უპირველესად, იქ, სადაც არსებობს მისი მიზეზი. ე. ი. წარმოებით ურთიერთობებში. მარქსის, ენ-გელსის აზრით, გაუცხოების მოხსნის ერთ-ერთი პირობაა კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და საერთო კომუნისტური საზოგადოების დამყარება, სადაც არ იქნება არც გაუცხოება, არც რელიგია და არც მდიდარი. ყველა ადამიანი იცხოვრებს ერთნაირ პირობებში და ერთ დონეზე“ (მიქაუტაძე 2008: 111). ეს იყო უტოპია კომუნიზმისა, უფრო საზოგადოებისა, სა-დაც კრავი და მგელი ერთად ძოვს.

### გალაშევისმანა რა გააჩინა!

ვინც კი არ შრომობს ის მეყიოხება:  
ბაღშევიკება რა გააკეთეს?  
მაგრამ ვინც შრომობს მხოლოდ ისა გრძნობს,  
ბოლშევიკების ლვაწლს და სიკეთეს.

კაპიტალიზმის შავი ბორკილი  
მხოლოდ მათ მოსპეს-განადგურეს,  
შრომის ქვეყანა, შრომის სამეცნ  
მშრომელსა ხალხსა დაუსაკუთრეს.

მათ სამუდამოთ დააკანონეს  
მშრომელი ხალხის ხელისუფლება,

ძველი მონობა დაასამარეს,  
ხალხს მოუპოვეს თავისუფლება.  
თავისუფლებას მშრომელი ხალხი  
დღეს ეგებება აღტაცებული,  
ძველი ქვეყანა შემუსვროლია,  
დამარხულია დამარცხებული.

ჩაშ გაუმარჯოს ახალ ქვეყანას,  
გლეხის ნაშგალსა, მუშის ჩაქუჩისა!  
წყევლა და კრულვა მოღალატეებს,  
მშრომელი ხალხის მავნეს და ურჩისა!

გ. ჩახიშვილი.

მშრომელი ხალხის კეთილდღეობის ლოზუნგით მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ იმთავითვე განწირული, შესაბამისად, სასოწარკვეთილი ოპტიმიზმი დაამკვიდრა. უღმერთობის პოლიტიკამ ტრაგიკულად დაანგრია და დაანაწევრა ადამიანის სული. ეროვნულმა ნიჰილიზმა, ურელიგიო, უსიყვარულო და უსამშობლო კაცის გამოყვანის აბსურდულმა ეპოქალურმა სინდრომმა წაშალა წარსულის, ანმყოსა და მომავლის კონტინუალური ურთიერთმიმართება. დადგა დრო პიროვნული უსახობის, ენის, ლირებულებების, რეალობის, ადამიანის, მნიშვნელობათა ტოტალური კრიზისისა. ეკლესიების, ტრადიციების, მარადიული ფასეულობების ნგრევით „წითელი ეშმაკუნები“ იკმაყოფილებდნენ თავიანთ ამბიციებს. აგრესიულმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ და პოლიტიკამ სამყაროსა და ადამიანის არსის საკითხი მთლიანად მატერიალისტურ ჭრილში გადაიტანა. მის მსოფლმხედველობრივ სისტემაში აღარ მნიშვნელობდა ქმნილების გვირგვინად, ღვთის ხატად და მსგავსად, სულინმინდის ტაძრად შექმნილი „უმაღლესი მეუფე“ (წმ. გრიგოლ ნოსელი), ცხოველი სიტყვიერი, „გონებისა და ზედმინევნულებისა შემწყნარებელი“ (ნემესიოს ემესელი), „ნერგიზეცისა“ (წმ. ბასილი დიდი) — ადამიანი! ღვთის უკვდავი სულის მატარებელზე, თავისუფალი ნებისა და გონის მფლობელზე საუბარი აიკრძალა. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველ ეპოქას თავისი შეხედულება აქვს ადამიანზე და, როგორიცაა მოძღვრება მასზე, ისეთივეა ესთეტიკაც, მწერლობაც (სირაძე 1987: 3). თუ შეუ საუკუნეებში ჩამოყალიბდა ადამიანთმცოდნეობა, წმინდად ქრისტიანული ანთროპოლოგია, მე-20 საუკუნის ტოტალიტარულმა რეჟიმმა „დიდ საბჭოეთში“ შექმნა ისეთი დოქტრინა, რომელმაც ადამიანს, ფაქტობრივად, წაართვა ყოველგვარი ღვთაებრივი ნიშანი, გამოაცალა სული და აქცია პარტიის მონა-რობოტად. სამყაროს შემეცნება და აღქმა აღარ წარმოადგენდა ეპოქის პრიორიტეტს, შესაბამისად,

უღმერთო ქვეყანაში ყველაფერი დავიდა სრულ პრიმიტივიზ-  
მამდე, უკვდავი და მარადიული შეიცვალა წარმავალით, და-  
კნინდა, გაუფასურდა და გადაფასდა ყოველგვარი ღირებუ-  
ლი და ფასეული. ადამიანის არსი და მისი სამყაროს სირთულე  
საშიშ ინდივიდუალიზმად გამოცხადდა. ადამიანი, როგორც  
„მიკროკოსმოსის სრული ანალოგი“ (გრიგოლაშვილი 2005:  
15) მთლიანად მოექცა პარტიის მარწუხებში და ერთბაშად  
ნიველირდა მასში ყველაფერი, რაც კი პიროვნებად, ინდი-  
ვიდად აყალიბებდა. ვლადიმერ ლენინი თავის ნაშრომში „სახ-  
ელმწიფო და რევოლუცია“ ასე აყალიბებდა ახალი დროის ახ-  
ალი ადამიანის ნაცრისფერი ყოფის „ფილოსოფიას“: „ყველა  
მოქალაქე გახდება ერთი საყოველთაო, სახელმწიფო „სინდი-  
კატის“ მოსამსახურედ და მუშად. მთავარია, რომ ისინი მუშ-  
აობდნენ თანაბრად, სწორად დაიცვან სამუშაოს ზომა და მი-  
იღონ თანაბარი ანაზღაურება.... მთელი საზოგადოება იქნება  
ერთი კანტორა და ერთი ქარხანა, შრომისა და საფასურის  
თანასწორობით“.

ბოლშევიკურ-პროლეტარული პარტია ცდილობდა, ბავშ-  
ვობიდანვე გაეხრნა და გადაეგვარებინა ადამიანი, რათა  
ახალ საზოგადოებას მორგებოდა. ამას თავისი განმაპირო-  
ბებელი მიზეზიც ჰქონდა: კონკრეტულ-სოციოლოგიური  
გამოკვლევებით დაადგინეს, რომ მორწმუნეთა უმრავლე-  
სობა (93%) „რელიგიურ ცრურწმენებს ეზიარება ბავშვობის  
წლებში, ძირითადად, ოჯახის გავლენით და მხოლოდ 7%-მდე  
— მოზრდილ ასაკში“ (შენგელია 1975: 13). ამიტომაც დაიწყეს  
სკოლებში ნორჩ უღმერთოთა უჯრედების ჩამოყალიბება. იგ-  
ულისხმებოდა, რომ ნორჩი უღმერთო ოჯახშიც გასწევდა ან-  
ტირელიგიურ მუშაობას, რითაც ხელს შეუწყობდა მშობლების  
უღმერთოთა რიგებში გაწევრებას. 1932 გამოიცა საქართ-  
ველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბ-  
ჭოს ინსტრუქცია. ეს დოკუმენტი მრავალმხრივაა საინტერე-



სო. ჯერ ერთი, იქმნება ნორჩ მებრძოლ ულმერთოთა (ნმუ) ჯგუფები. წესდების მიხედვით, ნორჩ მებრძოლ ულმერთოდ გახდომა შეუძლია ყოველ მოწაფეს, თუ ის შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს:

1. უკვე 8 წლის ჰასაკისაა.
2. კავშირი გასწყვიტა რელიგიასთან და არ ასრულებს რელიგიურ წესებს.
3. აქტიურად იმუშავებს ნმუ-ს ჯგუფში და
4. გადაიხდის შესასვლელ გადასახადს (5 კაპ.) და ინტერნაციონალურ კაპეკის (ყოველწლიურად).

„ნორჩ ულმერთოდ გახდომა შეუძლიათ შავსიელთა ბავშვებსაც, თუ ისინი დააკმაყოფილებენ ზემომოყვანილ პირობებსო — წერია ამ უპრეცედენტოდ „მრავალმნიშვნელოვან“ დოკუმენტში. აქვე განსაზღვრული ჰქონდათ სამუშაო გეგმა და ძირითადი მოვალეობა: ნმუ ჯგუფი ამზადებს ლოზუნგებს, პლაკატებს, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებენ რელიგიის, გაცდენებისა და ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნმუ ჯგუფი აწყობს საამქროებში, ქარხნის ეზოებში აგიტგამოსვლებს, მფრინავ მიტინგებს, მართავს საუბრებს მუშებს შორის, აკრავს შავ დაფაზე გამცდენლებს და სხვ.“

ამ ინსტრუქციის მიხედვით, ნორჩმა ულმერთოებმა ხელი უნდა შეუწყონ პარტიას ადამიანთა ულეტაში: „მარშუტი „სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის“ მიზნად ისახავს, ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლების სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, მის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და ამის საფუძველზე კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაციის გატარებაში“.

ამასთანავე, 8 წლის ბავშვებმა, ანუ ნორჩმა მებრძოლმა ულმერთოებმა, უნდა გააჩაღონ ანტირელიგიური მუშაობა ქარხანაში: ჩამოაყალიბონ მუკ-უჯრედები საამქროებში. ნმუ

ჯგუფის მოვალეობად გამოცხადდა: „ბრძოლა რელიგიური ადათების, უქმეების, ექიმბაშობის და სხვ. წინააღმდეგ; მცი-რენტლოვანი ბავშვების განთავისუფლება რელიგიის რეაქ-ციონური გავლენისაგან; ბრძოლა საყოფაცხოვრებო ხასია-თის რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვთ ბავშვებზე; ბრძოლა რელიგიურ-საყოფაცხოვრებო წესების (ნათლობა და სხვა) წინააღმდეგ; ბრძოლა უღმერთო ყოფა-ცხოვრებისათვის ოჯახში, საერთო საცხოვრებელში, ამხანაგობებში; ბრძოლა ხატების და რელიგიური კულტის სხვა საგნების წინააღმდეგ; ბრძოლა ხუცების ვიზიტების, რელიგიური დღესასწაულების და სხვ. წინააღმდეგ.“

ამ წესდებაში ერთი ასეთი პუნქტიცაა: ნორჩ მებრძოლ უღმერთოებს ევალებათ, გამოაშკარაონ „რელიგიურ კონ-ტრრევოლუციონური როლი საბჭოთა კავშირის წინააღმ-დეგ როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე — კაპიტალისტურ ქვეყნებში“.

ნორჩი უღმერთოები მონაწილეობენ, აგრეთვე, ფურ-ცლების დატარებასა და შევსებაში, რათა ეკლესიისა და სამ-ლოცველო სახლების დახურვა და კულტურულ-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყენება მოეთხოვათ. საერთო ანტი-რელიგიურ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნმუ-ს ჯგუფის მიერ ოჯახებში ჩატარებულ მუშაობას. „ნამდვილი უღმერთო ის არის, ვინც არა მარტო სკოლაში იჩენს უღმერ-თოებას, არამედ ვინც თავის ოჯახშიაც მებრძოლი უღმერ-თოა. მან უნდა მოაწყოს ოჯახში უღმერთოს კუთხე, უნდა იწერდეს ანტირელიგიურ უურნალ-გაზეთებს, აწყობდეს ან-ტირელიგიური ლიტერატურის ხმამაღლა კითხვას ოჯახის წევრთა შორის, მან უნდა მიიზიდოს მშობლები და ნათესავე-ბი ანტირელიგიურ საღამოებზე, ლექციებზე, კრებებზე და უნდა გახადოს ისინი მუკ-ის წევრებად.“

ნორჩმა ულმერთოებმა უნდა გამოააშკარაონ ხუცების და მქადაგებელთა ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ოჯახების დავლის დროს ისინი უნდა ეწეოდნენ სისტემატიურ აგიტაციას საბრძოლველად, რომ ხუცები, მოლები და სხვა ოჯახებში არ მიიღონ“.

1932 წელს გამოვიდა პ. მიქაძისა და ან. გველესიანის წიგნი „პიონერები ანტირელიგიურ ფრონტზე“. გ. კეკელიძე წერს: „ახალი, ლენინელიგია ძალიან აგრესიული იყო. მას მთლიანად უნდა ამოეძირკვა წინამორბედი. ამიტომაც „ნორჩ ულმერთოთა მოთავსებული იქნება კითხვა-პასუხის ყუთი“, რომელშიც ასეთ ამბებს ათავსებდნენ: „ერთხელ პიონერები შეგროვდნენ ჩემს ეზოში და გადაწყვიტეს რამენაირად მაინც დაეშალათ მორწმუნენი. პიონერები რამდენიმეჯერ მოვიდნენ ეკლესიაში და იმდენი მოახერხეს, რომ შეუმჩნევლად ეკლესის გამათბობი მილი გასტეხეს. ამის გამო შესწყდა მორწმუნეთა სიარული ეკლესიაში, რადგან საშინლად ციონდა; ამრიგად, ეკლესიას რელიგიური ცრუმორნმუნეობის საშუალება გამოეცალა“ (სტილი დაცულია - ს. მ.) (კეკელიძე 2012:).

ასე მიზანმიმართულად იწყებდა კომუნისტური იდეოლოგია ადამიანთა ფსიქო-სოციალურ მუტაციას, პატარაობიდანვე რყვნიდა, ზრდიდა და აყალიბებდა მებრძოლ ულმერთოს, ჯაშუშს, ოჯახისა და ტრადიციების უარმყოფელს! ეს საფუძვლები სკოლაში უნდა ჩაყრილიყო და, მართლაც, სკოლა გადააქციეს „საზოგადოების კომუნისტური მოქცევის იარაღად“ (ანდრიაძე 2012: 77).

ნორჩი მებრძოლი ულმერთოების ჩამოყალიბება საბჭოთა სკოლაში უნდა დაწყებულიყო. 1922 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ნ. ბუხარინის „ეკლესია და სკოლა საბჭოთა რესპუბლიკაში“. ეს წიგნი თავისი მიზანდასახულობითა და არსით სუბიექტივიზმისა და აშკარა პოლიტიკური ტენდენციურობის თვალსაჩინო მაგალითია. ნ. ბუხარინის

ლოგიკა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას და მისი „ბრძნად-მეტყველება“ სოფისტობა უფროა, ვიდრე არგუმენტირებული მსჯელობა. თავად ბოლშევიკური გესლით მოწამლულს ყველაფერი უკულმა და საეჭვოდ ეჩვენებოდა. ამ ცინიზმითა და ირონიით აღსავსე წიგნში მისი მსჯელობები ასეა წარმოდგენილი: „ღმერთისა და ეშმაკისადმი რწმენა მშრომელთა შეგნების დაბნელებაა.... ღმერთი ნიშნავს ძლიერს, მდიდარს, მაგარს. „უფალი“ ნიშნავს ბატონს. იგი ბატონია, სხვები — ყმები, მონები. ლოცვებში პირდაპირ არის ნათქვამი: „ჩვენ მონანი შენნი“. ამავე აზრს გამოხატავს ყველა სხვა სახელწოდება ღმერთისა: „მბრძანებელი“, „მეუფე“... მაშ, რა ყოფილა ღმერთი? — ვითომდა არის ცაში მდიდარი და ყოვლისშემძლებატონი, მონათმფლობელი, „მეუფე ზეცათა“, მსაჯული — ერთი სიტყვით, ზედგამოჭრილი სურათია მიწიერ მამასახლისისა, ხოლო შემდეგ — თავადისა. ღვთისმორნმუნებობა მონობის განმტკიცებაა. ეკლესია ბურუჟაზიული სახელმწიფოს ორგანიზაციაა. კომუნისტებს უნდათ, მეცნიერება მშრომელი ხალხის ხელმისაწვდომი გახადონ, მათ უნდათ, მოსპონგანათლების მონოპოლია (განსაკუთრებული უფლება), მდიდრებისთვის შემოღებული (ბუხარინი 1922: 3-16).

სპეციალური ინსტრუქტაჟი უტარდებოდათ სკოლის მასწავლებლებს. საქართველოს პედაგოგთა დასახმარებლად რუსეთიდან ჩამოდიოდნენ, თანამედროვე ტერმინით თუ ვიტყვით, ექსპერტები, რომლებიც ადგილზე უხსნიდნენ (ტრენინგებს უტარებდნენ) „მოძმე უღმერთოებს ბავშვთა დამუშავების“ მეთოდებს. ჟურნალ „მებრძოლ უღმერთოს“ 1932 წლის მე-5 ნომერში მთელი სტატია მიეძღვნა ლენინგრადიდან ჩამოსულ უღმერთო პედაგოგებს: „ბრიგადის წევრებმა (ამხ. სალდატოვი, უიბარევი, კუზნეცოვი, მაკალათია) საქართველოს უღმერთო პედაგოგთა აქტივს, როგორც ტფილისში, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებში დიდი მეთო-

დური დახმარება გაუწია... ჩატარებული მუშაობის და საქართველოში ანტირელიგიური ფრონტის მდგომარეობის შესახებ ბრიგადა მოხსენებას გააკეთებს მოსკოვში — მუკ-ის საკავშირო ცენტრალურ საბჭოში“.

კომუნისტურ პარტიას აშოთოებდა ყველა წვრილმანი, რომლებიც რაღაცით უკავშირდებოდა რწმენას. იგნორირებული და უარყოფილი იყო პიროვნების ელემენტარული თავისუფლებაც კი. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ წუხდა იმის გამო, რომ „საჩხერის ორგანიზაციაში ირიცხება ვაჭრის შვილი — არტაშა აპავიანცი. მას უყვარს ხატები. მის ოთახში დაკიდულია „ღვთის მშობლის“ — წმინდა მარიამის სურათი. არტაშა ყოველ საღამოს ხატებს სანთელს უნთებს და ხელა-პყრობილი ევედრება ცოდვებისაგან გაწმენდას. ხატების რა მოგახსენოთ და გამწმენდი კომისია მართლაც გაწმენდს არტაშას ჩადენილი ცოდვებისაგან (ახალგაზრდა კომუნისტი, №502, 1929 წ.). ასეთი ფარული და სარკასტული მუქარა ისმის პუბლიკაციიდან. ადვილი წარმოსადგენია, რა იგულისხმებოდა ამ „გაწმენდაში“. თავისი ფუნდამენტური უფლებით — რწმენისა და სიტყვის თავისუფლებით, იმდენად უარყოფილი იყო ადამიანი, რომ სულში უძვრებოდნენ, ლექსიკურ ერთეულსაც კი სანანებლად უხდიდნენ. სიტყვები „ბატონი და ქალბატონი“ განიდევნა, ბურჟუაზიული ცნობიერების გამოვლენად მიიჩნეოდა. პრესაში გაცხადდა კურიოზამდე მისული ასეთი ფაქტიც, ცხადია, სათანადო იდეოლოგიური შეფასების თანხლებით, თუმცა, ფაქტობრივად, განაჩენიც გამოტანილი იყო: „თბილისის რკინიგზის მე-10 შრომის სკოლაში მასწავლებლად არის ვინმე ანნა იშხნელი. იშხნელის ქალს საშინლად ეჯავრება „უბატონოდ“ ხმის ამოღება. ამის შესახებ მან რამდენჯერმე გაილაშქრა კომუნისტი მოსწავლეების წინააღმდეგ — „ბატონი“ — ეს ჩემი ზრდილობის გამომხატველია, რა თქვენი საქმეა ამისი აკრძალვაო... იშხნელის ქალი პოლიტი-

კურად მავნე ელემენტია საბჭოთა შრომის სკოლებისათვის. ძირს „ბატონი“, გაუმარჯოს მოქალაქეს და ამხანაგს! (ახალგაზრდა კომუნისტი, №491, 1929 წ.). რა ბედი ელოდა პოლიტიკურად მავნე ელემენტებს საბჭოეთში, ამაზე საგანგებო მსჯელობა აზრს კარგავს, რადგან ის შემზარავი სტატისტიკაც საკმარისია, რომელსაც ვიქტორ ნოზაძე გვამცნობდა: რუსეთის ახალმა რევოლუციამ იმსხვერპლა 75 მილიონი ადამიანი, აქედან 5.600.000 იყო მრეწველი, მემამულე, ვაჭარი, 17 მილიონი - გლეხი, 1933-37 წლებში პარტიულ „განწმენდას“ შეენირა 798.072 კომუნისტი (კვატაია 2010: 402).

1929 წელს გაზეთი „მთიები“ (№505, გვ. 3) ბეჭდავს წერილს სათაურით „ხატების მოყვარული კომკავშირელი“: „გორის თემში კომკავშირის უჯრედში ირიცხება აკაკი მიხას ძე ჩიქოვანი. გასულ წელს აკაკი ჩიქოვანს ხელში საცეცხლური ეჭირა და მღვდელთან ერთდ დადიოდა საკურთხებზე, რეკვა ზარებს და გლეხობას მოუწოდებდა ეკლესისკენ სალოცავად. ჩიქოვანი გლეხობაში აგიტაციას ეწეოდა იმის შესახებ, რომ არსებობს ღმერთი, ძალა აქვს ხატს და სხვ.“

1939 წელს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ დაიბეჭდა ემელიანე იაროსლავსკის პასუხი „საჭიროა თუ არა ყოველთვის დაუჯეროთ მშობლებს?“ გარდა თავად საკითხის ასე დასმისა, დიდი უზნეობა ისიც იყო, რასაც ქადაგებდა მთავარი უღმერთო, — ბავშვობიდანვე დაუმორჩილებლობასა და თავნებობას, პოლიტიკურ ანგაუირებასა და კლასობრივ სიძლვილს: „კომუნისტებს არ შეუძლიათ მოითხოვონ ბავშვებისაგან, რომ ისინი ყოველმხრივ დაემორჩილონ მშობლებს... ხომ არიან ბოროტ-მოქმედი და კონტრევოლუციონერი მშობლები?!“ (საბჭოთა... 1939: 2). პოლიტიკურ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა, შვილს მამა არ დაენდო და გასცა კიდეც პავლიკ მოროზოვმა მამამისი, ამიტომაც კლავდა „მთვარის მოტაცების“ პირველ ვარიანტში არზაყან ზვამბაია მამას. პარტიას არ შეეძლო

გულგრილად ეცქირა კომუნისტური ოჯახისათვის. იდეოლოგია ასე ფიქრობდა: „განა კერძო საქმეა, განა მხოლოდ პირადი საქმეა — კომუნისტის დამოკიდებულება თავის ოჯახისადმი? — თავისი პირადი ცხოვრება კომუნისტმა ისეთნაირად უნდა მოაწყოს, რომ ის შეადგენდეს მაგალითს, ნიმუშს უპარტიოებისათვის, მშრომელთა ფართო მასებისათვის. პირადი საქმეა განა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ზრდის კომუნისტი შვილებს... თავისი შვილები მან კომუნისტური სულით უნდა აღზარდოს. განა კერძო საქმეა, განა პირადი საქმეა, თუ როგორ ხარჯავს თავის შემოსავალს კომუნისტი? ... იცხოვრებისე, რომ შენი ცხოვრება შეადგენდეს თვალსაჩინო მაგალითს შენს გარშემო მყოფ უპარტიოებისათვის... ნუ არცხვენ შენი ყოფაქცევით პარტიას!“ (იაროსლავსკი 1933: 21).

მაშინ, როცა 8 წლიდან ბავშვებს საგანგებო დავალებებით უკვე ნორჩ მებრძოლ უღმერთოთა ჯგუფებში რიცხავდნენ, კომუნისტირებს ვინ აპატიებდა რწმენას?! ახალგაზრდობის ცხოვრების მიზანი ასე გაფორმდა: „მეცნიერება და არა რელიგია; მოქმედება და არა რწმენა; ბრძოლა და არა ლოცვა — აი, ახალგაზრდობის მოვალეობა, ამას გვასწავლიდა ჩვენ ამხანაგი ლენინი“ (გაზეთი „სპარტაკი“ №88, 1924 წ.) ასეთ ფონზე ვინ დაინდობდა მორწმუნე ინტელიგენციას?! ამიტომაც, მწარედ გადასწვდნენ უნივერსიტეტის პროფესურას, მათ შორის: „გრიგოლ წერეთელი არის საქართველოს საეკლესიო საბჭოს წევრი, ეკლესიაში დადის, პირჯვარს მარცხენა ხელით იწერს, სანთელს უნთებს ხატებს: „მაცხოვარ“ ქრისტესა და მის მშობელ მარიამს. აგრეთვე, პროფესორი მოსემვილი და დოცენტი ანდრონიკაშვილი. კითხვა იბადება: ასეთ მეცნიერთა გავლენა როგორი უნდა იქნას მოსწავლე-ახალგაზრდობაზე? შეუძლიათ თუ არა მათ, რომ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის აღზარდონ კომუნისტური მსოფლედველობით გაჟღენთილი სპეციალისტები? პასუხი — არა! (ახალგაზრდა კომუნისტი, №556, 1929 წ.).

ქრისტიანული აგიოგრაფიისაგან განსხვავებით, რომელ-  
მაც ასახა კონკრეტული ნიმუში ღმერთს მიმსგავსებული  
ადამიანისა და შექმნა ქრისტესთვის შენირული და თავდადე-  
ბული მხედრის, გმირის სახე, კომუნისტური აგიოგრაფიის  
სივრცეში ეპოქის თანამედროვე გმირის გაგება პარტიას  
შენირულ, მის სამსახურში ერთგულად მდგომ ადამიანს  
გულისხმობდა. „უბრალო მუშები აშენებენ სოციალისტურ  
საზოგადოებას, ისინი აწარმოებენ ყოველდღიურ თავდადე-  
ბულ ბრძოლას წარსულის კოშმარებთან, მონობის ნაშთებთ-  
ან, ყოფის ტრადიციებთან... პროლეტარულ მწერლობაში ჯერ  
კიდევ არ ჩანს ჩვენი დროის გმირის სახე. დაზგასთან მდგომი  
მუშა, გლეხი, კოლმეურნე, საბჭოთა სოფელი ელის ტილოე-  
ბზე გადატანას (ბუაჩიძე 1929:).

უკვე მწერლობაში წამოქრილმა ახალი ადამიანის, გმირის  
პრობლემამ იმთავითვე სერიოზული საფიქრალი გააჩინა,  
რადგან უცებ გაჩნდა რევოლუციის ზედმეტი ადამიანის  
პრობლემაც. „კომუნისტური ახალი ადამიანი კოლექტი-  
ვის მოჯამაგირე უნდა ყოფილიყო, დაუფიქრებლად მზად —  
მკველობისა და მძარცველობისთვისაც, დაკარგული უნდა  
ჰქონდეს სინდისის ქენჯნის უნარიც“ (ბაქრაძე 1990: 167).  
ახალი ადამიანი უსიცოცხლო, დაუნდობელი, ყოველგვარი  
ღირსებისაგან დაცლილი, მექანიკური არსება იყო, უსათუ-  
ოდ სისტემის ყურმონქრილი მონა. ამის დამადასტურებელია  
გ. მუშიშვილის სიტყვები, რომ მწერლობა უნდა ხატავდეს  
მექანიკურ ადამიანებს, ვინც უსიტყვოდ და დაუფიქრებლად  
შეასრულებს სკვ პარტიის მოთხოვნებს და დადგენილებებს  
(იქვე: 84). ახალი ადამიანი, ბოლშევიკი, ებრძვის ძველს —  
მენშევიკს. მერე რა, თუნდაც ის იყოს მეგობარი ან ნათესავი,  
როგორც გ. მუშიშვილი ამტკიცებდა: მეგობრობის გრძნობა  
არყევს ბოლშევიკურ სიმტკიცესო.

სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია კულტურული რევოლუციის გარეშე. „კულტურული რევოლუცია აუცილებელი პირობაა ადამიანთა მორალის გარდაქმნისათვის, ახალი ადამიანის შექმნისა და ჩამოყალიბისათვის“ — წერდა ბ. ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1931: 10). რა თქმა უნდა, შეტევა მიმდინარეობდა პიროვნებაზე, ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებაზე, მის სულსა და რწმენაზე. ორიგინალობა და ინდივიდუალობა სისტემისათვის მიუღებელი იყო, თავისუფალი აზროვნება — საშიში და კონტრრევოლუციური სულისკვეთების მატარებელი. ამიტომაცაა ტოტალიტარული სახელმწიფო „ტერორზე, შიშა და „მე“-ობის იგნორირებაზე აგებული“ (რატიანი 2010: 139).

შეიცვალა გმირის ადგილი, როლი, მიზანი და დანიშნულება ცხოვრებაში. ის არ შეიძლება ყოფილიყო ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული გმირის მსგავსი. პირიქით, დაუპირისპირდნენ ძველსა და ტრადიციულს: „მხცოვანი“ მწერლებისათვის გიორგი სააკაძეზე და ირაკლი მეფეზე გათავდა გმირების გალერეია. ჩვენთვის კი ეხლა იქმნება ნამდვილი გმირი და მას, მეფის გვირგვინის და ხმლის მაგიერ, ხელში უკავია მეეზოვის ცოცხი, ჩაქუჩი და კედლის გაზეთში კორესპონდენციებს წერს ქარხნის ეზოში უსუფთაობის შესახებ“ (ბუაჩიძე 1930: 260). ფაქტობრივად, შეიქმნა ანტიგმირის მოდელი. ილია ჭავჭავაძის მიერ პოემა „აჩრდილში“ დასმული პრობლემა („...მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, / რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი? / იგი აღარ გყავთ... მის მოედანი / ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა, / გმირის დამბადი დიდი საგანი / თქვენში სპობილა და წაწყმედილა. / გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევიათ დიდი მამული“), ფაქტობრივად, უკვე ბოლშევიკებმა საბოლოოდ გადაჭრეს — დღევანდელი გმირი სოციალისტური აღმშენებლობის „უბრალო“ მუშაა! (ბუაჩიძე 1930: 259).

პროლეტმნერლები აკნინებდნენ ყოველგვარ პირადულს, ებრძოდნენ ინდივიდს, „მე“ ჩაანაცვლეს კოლექტიური „ჩვენი“-ით. მიიჩნევდნენ, რომ სულიერობას აღემატება პრაქტიკული მოღვაწეობა, რომ ოცნება, რომანტიკა, სევდა, ტკივილი, ნაღველი, მარტოობის განცდა... უცხო და შეუთავსებელია ახალი სოციალისტური საზოგადოებისათვის, რადგან რეაქციულ მოვლენად, დეკადენტიზმის, რევოლუციური აზროვნებისათვის მიუღებლად ცხადდება. ერთი გამონაკლისი აქაც დაუშვეს: „შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, თითქოს პროლეტარული მწერლისთვის არ არსებობს მწუხარება... ლენინის სიკვდილით დღეს ყოველი პროლეტარული მწერალი მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ ეს მწუხარება ნამდვილ პროლეტარულ მწერალს პესიმიზმამდე არ მიიყვანს“ (პროლეტარული მწერლობა 1927: 96).

პროლეტარულ მწერლობას ისე არაფრის ეშინოდა, როგორც სიყვარულისა (ბაქრაძე 1990: 167). სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა და არ ექვემდებარება დიფერენციაციას. კლასობრიობამ კი ადამიანები დააპირისპირა და გადაამტერა ერთმანეთს. „გწამდეს, ამქვეყნად ეს სიყვარული / დროებითია და უფერული“ — ამტკიცებდა კალე ფეოდოსიშვილი (ლექსი „ქალაქის ბაღში“). ქალსა და ვაჟს შორის ტრფობა იქცა რაღაც მეორეხარისხოვნად. მთავარია, მათი პოლიტიკური ერთიანობა, რევოლუციური შეგნება და ინტერესები გამოესახა მწერალს. სიყვარული მხოლოდ სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში დაიბადება, რადგან კლასობრივი მტრის შეყვარება დანაშაულადაც კი გამოცხადდა. საკითხი ასე დასვეს: „თუ კომუნისტი ცოლად ირთავს ნეპმანელ ქალს, ვაჭრის ქალს, კულაკის ქალს, მღვდლის ქალიშვილს, მაშინ ეს პარტიისთვის სულერთი არ არის, თუ როგორი თვალით შეხედავს ამ საქმეს ფართო მუშათა, კოლმეურნეთა და უპარტიოთა მასა; პარტიისთვის სულერთი არ არის, თუ ეს მასა რო-

გორი თვალით შეხედავს იმას, რომ კომუნისტი აკავშირებს თავის ოჯახურ ცხოვრებას ისეთ ადამიანთან, რომელიც ამ ოჯახში შეიტანს უცხო კლასის იდეოლოგიას, ჩვევებს, ინტერესებს“ (იაროლსლავსკი 1933: 12-13).

ქალი, უპირველეს ყოვლისა, თანამებრძოლი ამხანაგია (ა. მაშაშვილი „პროლეტარ ქალს“). „ქალის სახე პოეზიაში, სიყვარული... ამტკიცებს პრიმიტიულობას... ნიშანია ავად-მყოფური ვნებიანობის“ (ბუაჩიძე 1927: 56). მტკიცედ სწამდათ, რომ „მებრძოლი პოეტი თავის მიზნებს კლასის სწრაფვას არავითარი სიძლიერის რომანტიულ სიყვარულს არ დაუმოჩილებს და არ ანაცვალებს. თუ ქალი ბრძოლაშიაც არ იქნება მისი ამხანაგი და წინ აღუდგება სატრფოს კლასობრივ მიზნებს, მათი გზები საბოლოოდ დაცილდება და დაუპირისპირდება ერთმანეთს: „შენ გქონდა ცეცხლი, შენ გქონდა ვნება, / მაგრამ სად იყავ, ძვირფასო, მაშინ, / როცა მჭიროდა გულის ანთება, / როცა სიკვდილთან მქონდა თამაში? / ... იცით, დავშირდით ერთმანეთს რატომ? / სხვა იყავ თურმე“ — ასე წერდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე ლექსში, რომელსაც „წერილი სატრფოს!“ ერქვა. „სოციალური დაპირდაპირება განწყობილების, სწრაფვის სხვადასხავობის ფუძეა; რომანტიულ სიყვარულს არ ძალუდს ამ წინააღმდეგობათა მოსპობა. ა. მაშაშვილი კიდევ მეტი უხეშობით ემიჯნება ასეთ „ამხანაგ ქალს“: „ასე მეგონა, გამინევდი ამხანაგობას / და ქარიშხალში წაქცეულ დღეებს ავნევდით ორი“, მაგრამ მებრძოლი პოეტი მოტყუვდა, რის შემდეგაც ის სათანადო დასკვნებს აკეთებს: „გულს კი ვერ გატეხ, უძლური ხარ, წადი, დამეხსენ, / ნუ ეფერები წარსულ დღეთა ძვლების ნანგრევებს!“ (ბუაჩიძე 1960: 175-176).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტით საეკლესიო ქორწინებამ დაკარგა იურიდიული ძალა და შეიცვალა სამო-

ქალაქი ქორწინებით. ამიტომ, ჯვრისწერის საიდუმლოს დაუპირისპირეს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „წითელი ქორწინების“ რიტუალი. ამავე პერიოდში შეიმუშავეს და გამოქვეყნდა სრულიად აბსურდულ-პაროდიული დოკუმენტი — „სექსუალური ქცევის კოდექსი“, რომელიც თორმეტი მუხლისა და დანართისაგან შედგებოდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ტერორიზებული სიყვარულისა თუ ეროტიკის კაცობრიობისათვის აქამდე გაუგონარი დოკუმენტი:

მუხლი 1: პროლეტარიატს შორის სქესობრივი ცხოვრება ადრეულ ასაკში არ უნდა დაიწყოს;

მუხლი 2: აუცილებელია ქორწინებამდე სქესობრივი მოთხოვნილებების შეკავება. ქორწინება კი სოციალურ და ბიოლოგიურ მომწიფების პერიოდში, 20-25 წლის ასაკშია დასაშვები;

მუხლი 3: სქესობრივი კავშირი მხოლოდ სიყვარულის ობიექტის მიმართ მრავალმხრივი სიმპათიებისა და მიჩვევის დასკვნითი ნაწილია;

მუხლი 4: სასიყვარულო აქტი მოცემულ მომენტში წყვილს შორის არსებული სიღრმისეული და რთული განცდების დაბოლოებაა;

მუხლი 5: სქესობრივი აქტი ხშირად არ უნდა მეორდებოდეს;

მუხლი 6: სქესობრივი ობიექტის ხშირი ცვლა დაუშვებელია. რაც შეიძლება ნაკლები მრავალფეროვნება;

მუხლი 7: სიყვარული უნდა იყოს მონოგამიური;

მუხლი 8: ყოველი სქესობრივი აქტისას გახსოვდეთ, რომ შეიძლება ბავშვი გაგიჩნდეთ – საერთოდ, ამ დროს იფიქრეთ შთამომავლობაზე;

მუხლი 9: სქესობრივი ობიექტის შერჩევა კლასობრივი რევოლუციის თანახმად, პროლეტარისტების დამახასიათებელი მიზანდასახულებით უნდა მოხდეს;

**მუხლი 10:** სასიყვარულო ურთიერთობაში არ უნდა იქნას გამოყენებული ფლირტი, თავის მოწონება, კეკლუცობა და სქესობრივი მოხიბვლის სხვა ხერხები;

**მუხლი 11:** დაუშვებელია ეჭვიანობა;

**მუხლი 12:** კლასს შეუძლია ჩაერიოს თავის წევრების სქე-სობრივ ცხოვრებაში. რევოლუციის ინტერესების სასარგე-ბლოდ, ყველაფერი სქესობრივი კლასობრივს უნდა დაე-მორჩილოს. ეს უკანასკნელი მას ხელს არაფერში შეუშლის, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარება.

დანართი — სამსახურიდან დაბრუნებული მეუღლის დახვედრის წესები: გახსოვდეთ, რომ ქმრის სამსახურიდან დაბრუნებისთვის ყოველდღე უნდა მოემზადოთ. ბავშვებიც მოამზადეთ — დაბანეთ, დავარცხნეთ და ლამაზად ჩააცით. თქვენც მოწესრიგდით, სუფთა წინსაფარი გაიკეთეთ. სილამა-ზისთვის კარგი იქნება თმაზე ბაფთა გაიკეთოთ. ახალმოსულ ქმარს ლაპარაკს ნუ დაუწყებთ, გაიხსენეთ როგორ იღლება და ყოველდღიურად რამდენი რამის კეთება უწევს თქვენს გამო. ჩუმად ავახშმეთ, შემდეგ საშუალება მიეცით, გაზეთი წაიკითხოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკეთ“.

საბჭოური კოლექტივიზმი გულისხმობდა კომუნისტუ-რი პარტიის მიმართ არა მხოლოდ უპირობო, არამედ ტა-შის კვრით, მონური სიხარულით გამოხატულ მორჩილებას. დაიბადა ახალი ჯიშის არსება: საბჭოთა ადამიანი, რომელიც გართობისას, სექსუალური აქტის დროსაც კი, ფიქრობდა და ოცნებობდა „მშობლიურ კომპარტიაზე“, კოლექტივზე, ქარხ-ანაში შრომითს პროცესზე და, რაღა თქმა უნდა, „მსოფლიო იმპერიალიზმის ბუნაგის“, ამერიკისა თუ „ნატო“-ს „მშვიდო-ბიანი ატომით“ გადაბუგვაზე!“ (ოდილავაძე 2013:).

ისტორიული კანონზომიერების მიხედვით, ერთი საზოგა-დოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ცვლიდა მეორეს. მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის არსებული დაპირისპ-

ირება, სიძულვილი, კონფლიქტი, ჩხუბი, საბოლოოდ, რევოლუციაში გადაიზრდებოდა. „მას სოციალური რევოლუცია ქვია. ანუ პროლეტარიატის (რომელსაც „თანმიმდევრული ათეისტები“ რატომღაც „მშრომელ მასებთან“ აიგივებენ) მიერ ექსპლოტატორთა პოლიტიკური დამხობა და ახალი ეკონომიკური ბაზისის შექმნა. აქედან გამომდინარე, კლასობრივი ბრძოლა, ადამიანთა მასობრივი განადგურება ისტორიულ ღირებულებას იძენს ე. ი. **ისტორია ამართლებს ეთიკურ უზნეობას**. ვინ უნდა გააკეთოს ეს? გაუცხოების მიზეზის — კერძო საკუთრების მოხსნის მისია პროლეტარიატს აკისრია. პროლეტარიატს, რა თქმა უნდა, ამისათვის არც განათლება აქვს და არც — მატერიალური სახსრები, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი რჩება — ძალადობით შეჰყაროს თავისთავი და სხვაც კომუნიზმის სამოთხეში, პრინციპით — ვინც ჩვენთან არ არის ჩვენი მტერია. ასე იქცა მრეწველობის ჭუჭყით გაზინთული, უმუშევარი და არაფრის მქონე (არც სულიერის არც მატერიალურის) ბოგანო ქრისტიანული მესიის კარიკატურად. „თანმიმდევრული ათეიზმი“ კი — ქრისტიანული რელიგიის ანტიქრისტიანულ გარანტად. ისტორიის ჭეშმარიტი საზრისის — ადამიანის შემოქმედებითი საწყისის საბოლოოდ განვითარებისა და უსასრულოდ გაშლის ლოზუნგით მოქმედი პროლეტარიატი თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს სისხლის ღვრითა და დანგრევით. ამ კუთხით ძალიან გამოირჩევა „თანმიმდევრული ათეიზმის“ ბრწყინვალე პრაქტიკოსი — ლენინი. თუ მარქსის მიხედვით, რევოლუციას ეკონომიკური კანონზომიერება ამზადებს (ე. ი. უნდა დაუცადო მას), ლენინის აზრით, რევოლუციის „გაიმასქნებაც“ შეიძლება პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური სიტუაციების მოწყობით. ეკონომიკური დეტერმინიზმი ლენინთან იცვლება პოლიტიკური ვოლუნტარიზმით. ის, რაც ხელს უშლის ამ ვოლუნტარიზმს, ნადგურდება ფიზიკურად. მეთოდი აქ ცნობილია

— მიზნის მიღწევისათვის ყველა საშუალება კარგია. „გამარჯვებულებს“ არ ასამართლებენ. ის, რაც ადამიანს გონიერი რწმენისა და ღმერთის სახელით შეუქმნია, ნადგურდება ყველა საშუალებით. ადამიანის სულიერი სამყაროს განადგურება ფიზიკურად შეუძლებელია. იდეა, რწმენა, მსოფლმხედველობა შეიძლება დაიძლიოს არა ფიზიკურად, არამედ ისევ იდეით, რწმენით, მსოფლმხედველობით, ამიტომ იწყება ცნობიერების მანიპულაცია“ (მიქაუტაძე 2008: 112).

სხვა დანიშნულება მიენიჭა ადამიანს. ის გაბატონდა ბუნებასა და საგნებზე. დაიწყო სამყაროს დამორჩილება-გარდაქმნის ბოლშევიკური ბუმი. „დღეს ორთქლისა და ელექტრონის ბატონობაა. მათი ძალით კაცობრიობა უნდა მისწვდეს ბუნების საიდუმლოებას: ხელებზე ეტლების მაგივრად მიჰქრიან ორთქმავლები; ზღვა-ოკეანეებში მიცურავენ მთის ოდენა გემები; ჰაერში გაჰყავთ რკინის გზები; საქართველოც ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს“ — აღფრთოვანებით წერდნენ პროლეტმწერლები (ქურა, II, 1922:). ადამიანი ებრძვის ბუნებას და ამ ბრძოლაში ტექნიკა ამარცხებს ყოფას. ამიტომაც განსაკუთრებული დატვირთვა, რაღაც საკრალური ფუნქცია მიენიჭა ტრაქტორსა და კომბაინს, ჩაქუჩისა და ნამგალს... ალბათ, ამაზე პასუხი იყო გერონტი ქიქოძის სიტყვები: „სული დაცარიელდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ამოვსება (1928 წ.). გარდა ამისა, „ახალი ადამიანის შექმნა წმინდა ტექნიკური პროცესია, ხელოვნური შერწყმა-ანწყობის შედეგი, რაც ხელეწიფება თანამედროვე მექანიკურ მიღწევებს. ადამიანი მანქანის მონაა, ერთდროულად მისი პროდუქტიცა და მომხმარებელიც“ (რატიანი 2010: 138).

უსამშობლო, ულმერთო, უსიყვარულო, უმეგობრო... და ვინ მოთვლის, კიდევ რომელი ღირებულებების გარეშე უნდა ეცხოვრა საბჭოთა მოქალაქეს, თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოეთში ადამიანსა და მის არსებობას: „ტოტალ-

იტარულ კულტურაში ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს. სიკვდილი ამ კულტურაში, უბრალოდ, არ არსებობს; ...უკვდავი მხოლოდ საქმეა; „საერთო-სახალხო“ საქმე... ანუ ის კოლექტიური მამითადი, რომელშიცაა გათქვეფილი ადა-მიანი. უკვდავია ის უპიროვნო ღირებულება, მონასავით რომ ემსახურება ადამიანი“ (ანდრიაძე 2012:). საბჭოეთში ბიბ-ლის ადგილი დაიჭირა „კაპიტალმა“, „კომუნისტურმა მანი-ფესტმა“, „დიალექტიკურმა მატერიალიზმა“, ფილოსოფიის ადგილი - „მცირე მიწამ“, „აღორძინებამ“, „ყამირის“ სტილში დაწერილმა „ღრმა ფილოსოფიურმა“ ნაშრომებმა. „დოგმა-ტიზმი და უზნეობა თავის უკიდურეს ფორმებში ვლინდება. „ადამიანი“ აღარ ჰგავს ადამიანს – სულიერად დათრგუნული და ფიზიკურად თითქმის განადგურებულია (არ აქვს სა-კუთრება). გაუცხოება ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში ზენიტს აღწევს“ (მიქაუტაძე 2008:117).

მიუხედავად ამ ისტერიკისა, ახალი საბჭოთა ადამიანის — „კომუნისტური ამების“ გამოყვანის მცდელობისა, მაინც ვე-რაფერი მოუხერხეს ღვთის ხატად ქმნილს, რადგან რწმენისა და სიყვარულის გარეშე კაცთა მოდგმას მაინც არ ძალუძს ცხოვრება!

კიდევ კარგი, რომ არ ძალუძს!

## პომუნისტური აგიოგრაფია

ქრისტიანულ მწერლობას ჰქონდა აგიოგრაფიული უანრი, რომელიც ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა ცხოვრებას, კანონიზებულთა ღვაწლის ასახავდა საღვთისმეტყველო და ისტორიულ-საეკლესიო ასპექტებით. აგიოგრაფიაში წმინდანი სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებდა უმაღლესი იდეალებისა და პრინციპების ერთგულებისთვის, ქრისტეს სიყვარულისთვის ან მთელი ცხოვრება თავდადებით, ერთგულად ემსახურებოდა ქრისტიანულ იდეალებს. აგიოგრაფია სულის ხსნის ხელოვნებაა. აგიოგრაფიულ სახეებს ორი მხარე აქვს:

- ა) რელიგიური, სულიერი, ამაღლებული, მისტიკური;
- ბ) მხატვრულ-ესთეტიკური (შდრ. სულავა 2002: 9-10; სირა აძე 2005: 15).

მისტიკური სიმბოლიკა რეგლამენტირებულია, მას განსაზღვრული კანონიკა ახლავს და იქ თავისუფალი გააზრების შემოტანა მკრეხელობადაც კი ითვლება. მხატვრულ-ესთეტიკური ყოველთვის შეიცავს თავისუფალი გააზრების პოტენციალს და ამაშიც ვლინდება მისი მარადიულობა. აგიოგრაფიაში მთავარია მოღვაწე. აქ ჩანს მოღვაწეობის აღსრულებაცა და ნაყოფიც. რადგან ეს მწერლობა აღწერს წმინდანთა ღვაწლს, თავისთავად გულისხმობს მიზანსაც – წმინდანს უნდა გაუჩნდეს მიმბაძველი. ამ აზრს ასე ეხმიანება „წმიდა აბოს წამების“ დასაწყისი: „სიმტკიცე და სიხარული ექმნების ჭაბუკთა მოთხოვობითა მით, სიმხნე იგი ქრისტის მოღვაწეთა და სიხარული და მხიარულება, მოხუცებულთა ჭიშენებად იგი ღვაწლისა მის მარტივლთასად და სანადელ და

სასურველ მღვდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიისათა“ (ძეგლები 1964: 51).

აგიოგრაფიის მიზანდასახულობაა შემოინახოს სიწ-მინდე და მოგვცეს ნიმუში ახოვანი (მამაცი, მხნე) მხედრისა, რომელსაც უნდა ვპარავდეთ!

აგიოგრაფიულ მწერლობას ორი ჟანრი აქვს: სისხლიანი და უსისხლო მსხვერპლი, ანუ „წამებათა“ ჟანრი, რომელშიც წმინდანი სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებს უმაღლესი იდე-ალებისა და პრინციპების ერთგულებისთვის, ქრისტეს სი-ყვარულისთვის. „ცხოვრების“ ჟანრი იმ ადამიანის ღვაწლს ასახავს, რომელსაც, მართალია, სისხლი არ დაუღვრია, სი-ცოცხლე მსხვერპლად არ შეუწირავს, თუმცა მთელი ცხოვრება იყო თავდადება, ერთგულება, სიყვარული და მსახურება ქრისტიანული იდეალებისა. ორივე შემთხვევაში წინაპირობა მოღვაწეობის დაწყებისა ესაა სურვილი გადარჩენისა.

უმაღლესი ფორმა წმინდანობისა მოწამებაა, ხოლო ერთი უმთავრესი ჟანრი აგიოგრაფიისა – წამებანი. მომდევნო პერი-ოდში, ბერმონაზვნული ცხოვრების საწყის ეპოქაში, დაიწერა და შეიქმნა ე. წ. მოკლე პატერიკები (ბერძნ. ოპოფმეგმატები), შემდეგ კი, მხატვრული გადამუშავების საფუძველზე, აღ-მოცენდა ცნობილ ადამიანთა ცხოვრებანის აღწერილობანი, როგორც ჟანრი „ცხოვრებათა“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ აგიოგრაფად ითვლება წმ. ათანასე ალექსანდრიელი, რომელმაც აღწერა ცხოვრება წმიდა ანტონ დიდისა, რომელ-მაც საფუძველი დაუდო ამ ჟანრის შემდგომ განვითარებას. ბიზანტიური აგიოგრაფია იქცა ძირითად წყაროდ მრავალი ქვეყნის აგიოგრაფიული ტრადიციის ფორმირებისათვის.

„მოწამე“ არის უძველესი სახე წმინდანისა, განდიდებული ეკლესიის მიერ მოწამებრივი აღსასრულისთვის ქრისტეს რწმენისა და სიყვარულისათვის. ძირითადი მნიშვნელობა „მოწამისა“ არის დამოწმება და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა შეიძლება დაუკავშირდეს მოციქულებს, როგორც

ქრისტეს ცხოვრებისა და აღდგომის მოწამეებს (მოწმეებს). ქრისტე ეუბნება მოწაფეებს: „იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუ-სალებს და ყოველთა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვი-დრე დასასრულამდე ქუეყანისა“ (საქმე 1, 8). ქრისტიანთა დევნის გაძლიერება, ეს საჩუქარი მოწამეობისა, გამოვ-ლინდა, როცა ქრისტიანები თავიანთი მართალი აღსასრუ-ლით ამოწმებდნენ ქრისტეს სიკვდილზე გამარჯვებას. ამ აზრით, „მარტვილობა არის სამყაროში მოციქულებრივი ღვაწლის გაგრძელება“ (ჟივოვი 1994: 12). მარტვილობა ეს არის ქრისტეს ცხოვრების გზის გავლა, გამეორება ვნები-სა და მსხვერპლშეწირვისა. მარტვილთათვის პირველსახე წამებისა იესო ქრისტე არის, რომელმაც საკუთარი სისხლით დაამოწმა და გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები. თავად მაცხოვარმა ასე უპასუხა პილატეს: „ამისთვის შობილვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვსწამო ჭეშმარი-ტი“ (იოანე 18, 37). წმიდა იოანეს გამოცხადებაში ქრისტე პირდაპირ მოხსენიებულია, როგორც „სარწმუნო მოწამე“: იესო ქრისტესაგან, მოწამისა სარწმუნოსა“ (გამოცხ. 1, 5) და „მოწამე იგი სარწმუნო და ჭერშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათა“ (გამოცხ. 3, 14).

„საბჭოთა ლიტერატურასაც ჰ.წ. აგიოგრაფიული ჟანრი. კომუნისტურ აგიოგრაფიას ექუთვნის ლენინიადა, სტალინიადა, ძერუინსკიადა (განსაკუთრებით, კინოში), ხრ-უშჩოვიადა, ბრეუნევიადა... კომუნისტი „წმინდანიც“ ისევეა უდრეკი, უშიშარი, უცდომელი, რწმენისთვის თავდადებული და გაუტეხელი, ერთგული, ყოველგვარი ტანჯვა-წამების გადამტანი, როგორც ქრისტიანი წმინდანი. როგორც ქრისტ-ესთვის სიკვდილი იყო უდიდესი ბედნიერება და ნეტარება, ასევე მარქსიზმ-ლენინიზმისთვის სიკვდილი უდიდესი ბედ-ნიერება და ნეტარება“ (ბაქრაძე 1990: 96). კომუნისტურმა რელიგიამ ჩამოაყალიბა და შექმნა ეპოქის შესატყვისი მწერ-ლობა, ე.წ. ბოლშევიკური ტერორის სტილი — პროლეტარი-

ატის დიქტატურის აგიტატორი პარტიული ლიტერატურა. პროლეტარული მწერლობის ნარმოშობა უკავშირდება გაც-ილებით ადრეულ ეპოქას, ვიდრე 1917 წლის რუსეთის რევოლუცია ან 1921 წლის საქართველოს გასაბჭოებაა. ზოგადად, მისი სათავე განსაზღვრულია იმ ხანით, რომელშიც „ინტერ-ნაციონალს“ მღეროდნენ.<sup>1</sup> შემთხვევითი არა ის ფაქტი, რომ ფილიპე მახარაძემ ქართველ მწერალთა მეორე ყრილობაზე 1926 წელს რიხით განაცხადა: „პროლეტარული კულტურა, პროლეტარული პოეზია, პროლეტარული ხელოვნება გუშინ არ დაწყებულა, ეს დაიწყო მაშინ, როდესაც დაიწყო მუშათა მოძრაობა, როდესაც დაიწერა „ინტერნაციონალი“, რომელსაც მღერით. ის დაიწყო 60 წლის წინეთ. აი, რა დიდი წარსული აქვს პროლეტარულ მწერლობას და ხელოვნებას“ (მახარაძე 1926: 251-252). როგორც უკვე ითქვა, პროლეტარული მწერლობა აღმოცენდა რევოლუციური კლასის გამოსვლების ნიადაგზე. ჯერ კიდევ 1848 წელს საფრანგეთის რევოლუციისა და 1871 წლის პარიზის კომუნის წლებში იქმნებოდა ამ პათოსის სიმღერები. ლენინის განსაზღვრებით, 1848 წელს რევოლუციურ-ბურჟუაზიული დემოკრატია გარდაიცვალა ევროპაში, თუმცა მომწიფებული არ იყო პროლეტარიატის, როგორც კლასის, რევოლუციურობა. პროლეტარული ლიტერატურის ნამდვილი ისტორია იწყება იმპერიალიზმის ეპოქაში რევოლუციის ქარცეცხლში. შესაბამისად, ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდან ეს მწერლობა მკვეთრად დაუპ-

1. ინტერნაციონალი (ფრანგ. internationale) — საერთაშორისო პროლეტარული ჰიმნია, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა კომუნისტურ პარტიათა ჰიმნიც იყო. ტექსტი დაწერილია 1870 წელს და ეკუთვნის ეჟენ პოტიეს, მუსიკა — პიერ დეგეიტერს. ინტერნაციონალი გადაიქცა სოციალიზმის საერთაშორისო ჰიმნად. მისი პირველი თარგმანები 1890 წელს განეკუთვნება. საქართველოში ითარგმნა 1905 წელს (აკაკი წერეთელი, იროდიონ ევდომშვილი).

ირისპირდა „ბურუუაზიულ და თავადაზნაურულ ლიტერატურას“ (რადიანი 1931: 79).

პროლეტარული მწერლობა ეს არის ლიტერატურა, რომელიც ასახავს პროლეტარიატის, როგორც კლასის, მსოფლმხედველობას, რომელიც სათავეში უდგას ბრძოლას სოციალისტური საზოგადოებისათვის. მიზანი ამ კლასისა მიიღწევა მხოლოდ რევლუციური გზით და სწორედ ეს პათოსია წამყვანი ნებისმიერი ქვეყნის პროლეტარული მწერლობისათვის. პროლეტარული ლიტერატურა წარმოიქმნება და ფორმირდება რევოლუციური ბრძოლის პირობებში და ემსახურება მუშათა კლასის პოლიტიკურ სიმწიფესა და აქტივობას. მისი დამახასიათებელი ნიშანია მებრძოლი ინტერნაციონალიზმი.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (იგივე პროლეტარული მწერლობის კავშირი ან პროლეტმწერლობა) 1921 წლის 17 დეკემბერს თბილისში, ხელოვნების სასახლეში, დამფუძნებელ კრებაზე გაფორმდა. იგი დაარსდა რუსეთის მიერ 1921 წლის საქართველოს ანექსიის შემდეგ („1921 წლის გარდაცვალება“, როგორც პოეტი ალექსანდრე აბაშელი წერდა). ქართველ პროლეტმწერალთა ოფიციალური გამოსვლა და კავშირებულია ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალ „ქურასთან“ 1922 წელს (ჟურნალის სახელწოდება მოსკოვის პროლეტარული მწერლობის ასოციაციისა და მისი ჟურნალ „კუზნიცას“ გაქართულებული ვარიანტია). ასოციაციის წევრებად მიიღებიან მუშა-მწერლებიო — საგანგებოდ იყო მითითებული და ეს ფაქტორი იქცა ამ ტიპის მწერლობის განმსაზღვრელად. პროლეტარული ლიტერატურა აპრიორულად გულისხმობდა იმ სახის მწერლობას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა მუშათა კლასის მთელ მხატვრულ-ლიტერატურულ ძალებს. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას წარმოადგენდნენ: სილიბისტრო თოდრია, რაჟდენ კილაძე და სანდრო ქურიძე. ამ ნომერში დაიბეჭდა ს. ეულის, ი. ვაკელის, ნ.

ზომლეთელის, ტ. სვანიძის, პ. სამსონიძის, კ. ფეოდოსიშვლის, ი. შრომისშვილის, გ. შინაგეხილის, ალ. ჩხეიძის, ი. სინველის, ი. ლისაშვილის, ვ. ალექსანდროვსკის ნაწარმოებები. ასევე, გამოქვეყნდა პარტიტურა „მჭედელის სიმღერისა“. მასზე არაა მითითებული არც კომპოზიტორი და არც ლექსის ავტორი, თუმცა ეს არის სანდრო ეულის ლექსი, მუსიკა, სავარაუდოდ, გ. საყვარელიძეს უნდა ეკუთვნოდეს. ლექსი ასე იკითხება:

„ჩვენ ვართ მჭედელნი: ჩაქუჩი, ქურა ჩვენ ვიწამეთ  
ამხანაგად.

ზე აღიმართე ძლიერო ქურავ, ფოლადის გულს მძიმედ  
დაჲკა, დაჲკა!

ჩვენ ვართ მჭედელნი დიად კომუნის, გვსურს  
გარდავქმნათ ყოფა ურჩი,

ტყვილად არ ვხარჯავთ ჩვენ ძალ და ლონეს, ტყვილად  
არ სცემს ეს ჩაქუჩი,  
დაჲკა, დაჲკა!“

უურნალის მეორე ნომერი გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დეკლარაციით, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა სუსტი სულის თქმით პროლეტარული-რევოლუციონური ლიტერატურა იმდენათ, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლუციონური მაჯისცემა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან ჩვენში პროლეტარული ლიტერატურა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს შლის იდეურად... პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით ჩვენში, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმითა და სტილით არ არის სრულქმნილი, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის ერთადერთი ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა“

(ქურა, II, 1922:). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟურნალი „ყურადღებით მოეკიდა მოძმე ხალხთა მხატვრული პროდუქციის პროპაგანდის საქმეს, რაც, აგრეთვე, საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ საპროგრამო პუნქტს წარმოადგენს“ (ხერხეულიძე 1977: 40).

დედაქალაქის ლიტერატურული ცხოვრების პარალელურად, ქუთაისელმა პროლეტარულმა მწერლებმა (ბ. ბუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, დ. რონდელი...) გამოუშვეს ალმანახი „დინამიტი“. ცოტა ხანში „მომავალი“ და „დინამიტის“ ჯგუფი პროლეტარული მწერლობის ასოციაციას შეუერთდა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდი მოიცავს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხუთწლეულს 1921-1925 წწ. ეს ის წლები იყო, როცა „სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული ჩვენი საბჭოთა სამშობლო იშუშებდა ჭრილობებს, იბრძოდა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის“ (ჟღენტი 1961: 13). სწორედ ამ ეტაპზე გამოვიდა პროლეტარული მწერლობის პირველი თაობა (ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი), შემდეგში მას შეუერთდნენ: ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, ე. ზედგინიძე — გუგუნავა (პოლუმორდვინოვი), კ. ლორთქიფანიძე, გ. მდივანი... რომლებიც დაუპირისპირდნენ წინამორბედებს. პროლეტარული მწერლობის მეორე თაობამ, ერთი მხრივ, გააფართოვა შემოქმედებითი თემები, „წამოაყენა ახალი ყოფის მტკიცნეული საკითხები გადასაჭრელად და ასამუშავებლად. მეორე: მიაქციეს ყურადღება მასალის დამუშავებას, ფორმის გაუმჯობესებას. ამისი მაგალითია ალიო მაშაშვილის პოეზია, რომელშიც უკვე მანქანის კულტი აღარ არის, არამედ მასაა მთავარი მოქმედი და პოეტიც ამ მასის სახელით ლაპარაკობს: „დღეს ვინ არის დინამიტე, / დღეს ვინ არის გმირი? / ვინ განაგებს მატორის ბედს, / ვისი რკინის ხელი? / ო, იცოდეთ,

ჩვენ ვწურავდით / ცაზე სევდის ღრუბლებს, / ჩვენ ავაგეთ ეს  
ქვეყანა / წარსულ დღეთა ძვლებით“ (ბუაჩიძე 1960: 172-173).

პროლეტარული მწერლობის მეორე თაობის გამოცემა  
იყო ჟურნალი სახელწოდებით „პროლემაფ“ (პროლეტა-  
რული ლიტერატურული ახალი ფრონტი), რომლის პირველ-  
სავე ნომერში გამოკვეთილია დაპირისპირება პირველ თაო-  
ბასთან: „დღემდე არსებულმა პროლეტარულ მწერლებმა  
ვერ შესძლეს რევოლუციონურ-თანმიმდევრობის ალლოს  
შენარჩუნება, დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის იდე-  
ოლოგიურ მონაპოვართა დასაცავად. რევოლუციის პოეზია  
გაიგეს როგორც ბუკის ტრაფარეტი“ (პროლემაფ, I, 1925:).  
ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: კ. ფეოდოსიშვილი, ბ. ბუა-  
ჩიძე, ვ. ბესოშვილი, უ. მდივანი, თ. ჩქარეული, შ. რადიანი, პ.  
ქიქოძე, დ. რონდელი. ეს უკანასკნელი წერდა: „პროლემაფი-  
დან იწყება ქართული ხელოვნების ოქტომბერი, პროლეტარ-  
იატის ყოფა-ცხოვრების და აღმშენებლობის მხატვრული  
ასახვა“ (პროლემაფ, I, 1925:). პროლეტმწერალთა პირველი  
თაობა ოფიციალურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის  
დროზე ასე შეაფასა: „მათ ახასიათებდა აბსტრაქციულობა,  
კოსმიზმი და პლანეტარიზმი, ლირიკულ-რიტორიული და  
პათეტიურ-დეკლამაციური სტილი“ (რადიანი 1931: 34). მს-  
გავსი პროცესები მიმდინარეობდა რუსულ პროლეტმწერლო-  
ბაში: „როგორც ცნობილია, აპოკალიფსურ-ესქატოლოგიური  
მოლოდინი გამძაფრდა მე-19 საუკუნის დასასრულისა და  
მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსულ ელიტურ წრეებში, გამ-  
წვავდა საუბარი კულტურის გარდაუვალ დასასრულზე. ასეთ  
ფონზე სიმბოლისტმა პოეტებმა, ალექსანდრე ბლოკმა, ან-  
დრეი ბელიმ, ვალერი ბრიუსოვმა, მნიშვნელოვანი გავლენა  
მოახდინეს მთელ რუსულ მოდერნისტულ ლიტერატურაზე;  
„მასში ცხადად გამოიკვეთა მიდრეკილება კოსმიურობისა  
და მისტიციზმისაკენ. ასეთი კოსმიურობა განსაკუთრებით  
დამახასიათებელი იყო ფუტურიზმისა და შემდგომ პროლეტ-

კულტის წარმომადგენელთა შემოქმედებისათვის, რომელშიც პარადოქსულად იყო შერწყმული სიმბოლისტური მესიანიზმი და მარქსისტული იდეები. ოქტომბრის რევოლუცია მათს ნაწარმოებებში წარმოადგენდა ისტორიის იმ პოკალიფსურ მომენტს, რომლითაც აღინიშნებოდა ძველი სამყაროს დასასრული და ახალი, კომუნიზმისკენ მიმართული ოქროს ხანის დასაწყისი. ყველაფერმა ამან განაპირობა საბჭოთა კულტურის დისკურსში რელიგიური კონტაციების დამკვიდრება და ფართოდ გამოყენება რელიგიური სემანტიკის მქონე ისეთი ლექსიკისა, როგორებიცაა: მოძღვრება, მსხვერპლი, ზიარება, მარადისობა, უკვდავება და ბევრი სხვა“ (პოდლუბნოვა 2006:).

პროლეტნერლებს ჰქონდათ მრავალრიცხოვანი ლიტერატურული პრესა, უურნალები: „ქურა“ და „პროლემაფ“, „პროლეტარული მწერლობა“, ეპოქა“, „ლიანდაგი“, „დინამიტი“, „სიტყვა ტრიბუნიდან“, „ქარხნის ჰანგები“, „მერცხალი“, ყოველყვირეული გაზეთი „ორიონი“ და სხვ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ამ წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში ფრიად დადებითი როლი შეასრულა კომკავშირულმა უურნალმა „მომავალმა“ და გაზეთმა „სპარტაკმა“, აგრეთვე, უურნალმა „დროშამ“, რომელმაც 1923 წელს დაიწყო გამოსვლა გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურული დამატების სახით“ (ქართული ლიტერატურის... 1956: 30). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვერც პროლემაფელებმა შექმნეს ეპოქის შესატყვისი ლიტერატურა და მხოლოდ მხატვრული ძიებებით დაკმაყოფილდნენ. სწორედ მათ გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე დაემთხვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მეორე ეტაპი 1925-32 წწ. ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარების გზას დაადგა. „სოფლად დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, 1929 წელს კი ბოლშევიკებს შესაძლებლობა მიეცათ გადასულიყვნენ კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. კულა-

კობა ექსპროპრირებული იქნა ისე, როგორც 1918 წელს ექსპროპრირებულ იქნენ კაპიტალისტები მრეწველობის დარგში“ (ჭილაძა 1953: 36). როგორც მაშინ მიიჩნევდნენ, ქართული მწერლობის კონსოლიდაციის, ძველი თაობის გარდაქმნისა და სოციალისტურ მშენებლობასთან მისი დაახლოების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1926 წ. საქართველოს მწერალთა პირველმა და 1928 წ. მეორე ყრილობამ. სწორედ ამ პერიოდში პროლეტერლობას შეემატნენ ახალი ძალები, კომკავშირელთა თაობა: ი. აბაშიძე, ბ. ჩხეიძე, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ალ. გომიაშვილი.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ხელმძღვანელობდნენ:

1. სილიბისტრო თოდრია – 1921 წ.
2. სანდრო ეული (ქურიძე) – 1922-1924 წწ.
3. ნოე ზომლეთელი (ქურიძე) – 1925-1926 წწ.
4. ბენიტო (მირიან) ბუაჩიძე – 1926-1931 წწ.
5. პანტელეიმონ ჩხილვაძე – 1931 წ.
6. შალვა რადიანი – 1931-1932 წწ.

საინტერესოა ისიც, რომ 1924 წლის თებერვლიდან აღდგა გამოცემა 1869 წელს ნიკო ავალიშვილის მიერ დაარსებული ჟურნალ „მნათობისა“, რომელიც ჩადგა პროლეტერლობის სამსახურში. სარედაქციო წერილში ასე იყო განსაზღვრული მისი მიზნები და ამოცანები: „დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არცერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალ „მნათობის“ მიზანია, შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი“. ამის შემდეგ უკვე გასაქანი მიეცათ მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს, მეცნიერული მარქსიზმის შესახებ ქართულ ენაზე ემცნოთ მუშათა კლასისათვის.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია 30-იანი წლების დამდეგისათვის „რაპპის“ ფილიალი გახდა (რაპპი — Российская ассоциация пролетарских писателей —

რუსეთის პროლეტმწერალთა ასოციაცია). „რაპპული“ კრიტიკა საშიშ ძალას ნარმოადგენდა მწერლობისათვის. სკუპ (ბ) XIII ყრილობის გადაწვეტილებაში ნათქვამია, რომ „არც ერთი ლიტერატურული ჯგუფი არ უნდა გამოვიდეს პარტიის სახელით“ (სკუპ ყრილობების... 1955: 80-81), მაგრამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა სწორედ პარტიის სახელით მიმართავდა მუქარას და მწერლობისათვის სავალდებულო ნორმებს აწესებდა. „რაპპულებს თავი მოჰქონდათ ლიტერატურული ცხოვრების ბატონ-პატრონად. ამას ისიც ემატებოდა, რომ ისინი ხშირად აშკარა მხარდაჭერას გრძნობდნენ მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელებისაგან (ფ. მახარაძე და სხვ.) (თევზაძე 1982: 57). როგორც რუსი ისე ქართველი რაპპელები ხშირ შემთხვევაში მეტად სუბიექტივისტურ, ტენდენციურ, ვულგარულ თვალსაზრისზე იდგნენ (იქვე: 58). ბესარიონ ულენტის აზრით, „ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები ამასინჯებდნენ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ქადაგებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმისთვის უცხო შეხედულებებს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის საკითხებში... მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური კულტურის უმდიდრესი საგანძურის ნილილისტური უარყოფა ძირფესვიანად ენინაალმდეგებოდა ბრძნულ ლენინურ მოძღვრებას“ (ულენტი 1961: 29).

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მძლავრად შემოქრილმა ამ ნაპოსტოველურმა ვულგარულ-კრიტიკულმა ნაკადმა წალეკა ყველაფერი. დამკვიდრდა უხეში და საშიში გამთქმები, რომ-ლებიც გაისმოდა როგორც ბრალდება და, ფაქტობრივად, ამზადებდა ნიადაგს „დიდი ტერორისათვის“ (ეს ტერმინი პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა რობერტ კონკვესტმა გამოიყენა 1960-იანი წლების ბოლოს), ან „საუკუნის ტერორისათვის“, როგორც მას უწოდა ირაკლი აბაშიძე (აბაშიძე

2003: 113) იმ საშინელი პოლიტიკური რეპრესიებისათვის, რომლებიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. „რეაქ-ციონერები, მტრები, პოლიტიკური მავნებლები“ ... ასეთი იყო მათი ლექსიკა. „რაპპული კრიტიკის კლასიკური ნიმუშია პ. ქიქოძის კრიტიკული სტატიების კრებული „ლიტერტუ-რული საქართველო“ (1927). თვით ავტორის განცხადებით, წერილებს „გადაჭარბებული კომკავშირულ-მებრძოლი და პოლემიკურ-თავდასხმითი იერი აკრაგს“. ანალოგიური ხა-სიათისაა ა. სულავას, ვ. ლუარსამიძის სტატიებიც. ამ პერი-ოდში მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში ჩაუწერია: **პრო-ლეტმწერლები ოდეოლოგიის ისეთ დოზას იძლევიან, რომ კამეჩსაც წააქცევს**“ (ქ. ჯავახიშვილის მოგონებიდან). რაპპელები კ. გამსახურდიას უწოდებდნენ გამოუსწორებელ რეაქციონერს, კერძო საკუთრების მომღერალს, გ. ქიქოძეს – გზადაბნეულ რომანტიკოსს, ი. გრიშაშვილს – მკვდარ პოეტს (მისი შემოქმედება გაიყინა, გაშრა, — ტრალიკულად გარდა-იცვალა). ქართველ რაპპელებში ორი ჯგუფი უნდა გაირჩეს: პირველი უფრო ლოიალური და თავდაჭერილი (ბ. ბუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი...) და მეორე – უკიდურესად ულ-ტრამემარცხენე ფრთა (პ. ქიქოძე, ფ. ნაროუშვილი, შ. შავგუ-ლიძე...) (თევზაბე 1982: 87).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გააფთორებული ბრძოლა გაჩაღდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალური ხაზის (როგორც მაშინ უწოდებდნენ) დასაცავად. პროლეტარული მწერლო-ბის ძირითადი ბირთვი იცავდა რევოლუციურ-დემოკრა-ტიული მწერლობის ტრადიციას. დაუპირისპირდნენ ცის-ფერყანწელებს, აკადემიურ ჯგუფს, ფუტურისტებს. ახალმა პოლიტიკურმა ფორმაციამ დასაწყისში დასაშვებად მიიჩ-ნია სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობა, თუმცა პროლეტმწერლები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ხაზის გამტარებლები, ვერ ეგუებოდნენ მათს

არსებობას და ჩასაფრებულის პოზიციიდან სამკვდრო-სა-სიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ „მკვდარ, მომაკვდავ და მკვდრად დაბადებულ დაჯგუფებებს“, ანუ ყველაფერს არა-პროლეტარულს. ამასთანავე, „ჭეშმარიტ მწერლებს ზოგს აიძულებენ საბჭოთა თემატიკაზე ან მწერლობის ისტორიის კვლევაზე, ანდა თარგმანზე გადავიდნენ, სხვებს მწერლო-ბას საერთოდ ჩამოაცილებენ, ყველას კი სიცოცხლესაც ჩაუშამებენ და პოეტურ შთაგონებასაც მოუკლავენ“ (კვერ-ენჩეილაძე 2012: 48).

პროლეტარულ-სოციალისტური ლიტერატურის უმ-თავრესი განმაპირიბებელი ფაქტორი, არსი და შემოქმედებითი მიზანი არის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის, რევოლუციური შეგნებისა და მისწრაფებების ასახვა. ამ-დენად, შეიძლება ითქვას, რომ ესაა მკვეთრად პოლიტიზებული ლიტერატურა, პარტიის, ხელისუფლების რუპორი, რომელმაც რევოლუციური პრაქტიკით შექმნა და განავითა-რა ყველა ასპექტი და ფორმა იმ იდეოლოგიისა, რომელსაც მთლიანად დაუქვემდებარა მხატვრული შემოქმედება. მაგ-ალითად, ი. გომართელის აზრით, „დღეს ძალაუფლება პრო-ლეტარიატის ხელშია, ცხოვრებაში ის გაბატონდა. ცხადია, მან უნდა დაუმორჩილოს თავის მიზნებს პოეზიაც. პოეზია უნდა შეიქმნეს პროლეტარიატის ზრახვათა და მისწრაფე-ბათა გამომსახველი. ეს უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც!“ (გომართელი 1926: 2). ასეთ რიტორიკას ამართლებდა და ამაგრებდა რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, ხე-ლოვნება კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური. უფრო ადრე კი, 1905 წელს დაიბეჭდა ლენინის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. სათაურიდანაც უკვე ცხადია, რომ ლიტერატურა პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილად გა-მოცხადდა: „ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ძირითადი

საფუძველი ის არის, რაც, საერთოდ, ახასიათებს ბოლშევიზმს. ბოლშევიკური პარტია არც ერთ სფეროს არ სტოვებს თავისი გეგმიანი ხელმძღვანელობისა და ზემოქმედების გარეშე. რა თქმა უნდა, მწერლობაც ორგანიულად შედის ბოლშევიკური ზემოქმედების ფარგლებში“ (ბუაჩიძე 1960: 7).

ლიტერატურის პარტიულობის დამანგრეველმა პრინციპმა დაამკვიდრა სიძულვილი და დაუნდობლობა იმათ მიმართ, ვინც სხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას, ვისაც განსხვავებული შეხედულება გააჩნია. „ან იქით, ან აქეთ! მესამე გზა არ არსებობს“ — ამტკიცებდნენ დიქტატურის მეხოტბენი (ბუაჩიძე 1931: 24-25). პროლეტმწერლის ეს სტრიქონებიც: „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე / არ მიმაჩნია ადამიანად“ (კ. ლორთქიფანიძე) — ნათლად წარმოაჩენს ლიტერატურის დეპუმანიზაციასა და ლიტერატურის პარტიულობის აბსურდულობას, უაზრობას, აგრესიულობას, რაც პირდაპირი ნიშანია იმისა, თუ რას უშვრება ადამიანს ანტიეროვნული პოლიტიკური დოქტრინის ერთგულება. უურნალი „პროლეტარული ხელოვნებისათვის“ ლოზუნგად აცხადებდა: „ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის ხელოვნების საშუალებებით, ბრძოლა ბოლშევიზმის დიდი ხელოვნების შექმნისათვის!“ (პროლეტარული ხელოვნებისათვის 1931: 2). ამავე წელს გამოცემულ წიგნში ბ. ბუაჩიძე დაბეჯითებით ამტკიცებდა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიის ხაზის ურყევ გატარებას ლიტერატურის ფრონტზე. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აქტივი მტკიცედ იდგა და დგას პარტიის ლიტერატურული პოლიტიკური ხაზის სიწმინდის სადარაჯოზე!“ (ბუაჩიძე 1931: 3). ამ მოწოდებას მხარს უბამდა ა. მაშაშვილიც: „პროლეტარული მწერლობა როგორც დღემდე, ისე მომავალშიც მედგრად იბრძოლებს პარტიის გენერალური ხაზისათვის (იქვე: 50). ერთი ქართველი პროლეტმწერალი კი ჯიბრით წერდა: „მგლების ღმუილმა ვერ დაამარცხოს / პარტიის ხაზი გენერალური“

— ასეთი მრწამსი გამომდინარეობდა სწორედ ბოლშევიკური ხელისუფლების უძლეველობის, ლენინურ-სტალინური მოძღვრების უცდომელობის რწმენისაგან. გენერალური ხაზი გულისხმობდა იმას, რომ ერთგული უნდა ყოფილიყავი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის (ბელადის) პოლიტიკისა. ამ ხაზიდან მარჯვნივ ან მარცხნივ გადახვევა არავის ეპატიებოდა. ამიტომაც წერდნენ და აფრთხილებდნენ ერთმანეთს: „ზოგიერთი პროლეტარული მწერალი თავის შემოქმედებაში ვერ ახორციელებს გენერალურ ხაზს. ზოგიერთი პროლეტარულ მწერლის შემოქმედებაში ფართო დასაყრდენს პოულობს წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალიზმი („მემარცხენეობა“) და წვრილ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმი (მემარჯვენეობა) (რადიანი 1931: 97). მემარჯვენეობა-მემარცხენეობის ასეთი დაყოფა-გააზრება თავად „ამხანაგ სტალინს“ ეკუთვნოდა. დანაშაულად ითვლებოდა დუმილი (ე.ი. არ მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება) და აპოლიტიკურობაც, — სრული განრიდება პოლიტიკისგან. რ. გვეტაძე ერთ თავის ლექსში წერდა: „რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის, / რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი, / გადავწყვიტე ვიცხოვო ასე: / ვირივით წყნარად და შრომით“. პოეტი ამის გამო მაშინვე გაიკიცხა პროლეტარერლობის მეთაურისაგან: „ეს არის აპოლიტიკურობის მართლაც და ჭეშმარიტი ობივატელობის ფილოსოფია. პოლიტიკაში გაურკვევლობა და „ვირული სიწყნარე“ მოვავშირულ მწერლობას ვერ შეუთავსდება... დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ! (ბუაჩიძე 1960: 12). ძალზე ნიშანდობლივია კ. ლორთქიფანიძის მოგვიანო პერიოდის მოთხრობა „სიტყვა იყო ღმერთი“, რომლის მთავარი პერსონაჟი, ვანო მურადაშვილი, ასე მსჯელობს: „ნითლების მხარეზე არ ხარ? — მაშ, თეთრებისა ყოფილხარ და ტყვია შუბლში, სხვა ვერაფერი გაგასწორებს... ვინც ჩვენთან

**არ არის, ის ჩვენი მტერია, მორჩა და გათავდა! მონანიებამ ქვეყანა დაანგრია“.**

გადამწყვეტი ნიშანი პროლეტმწერლობისა არის მისი სოციალური მისწრაფება, რევოლუციური სულისკვეთება, მუშარ-გლეხური ბრძოლა, შეურიგებლობა, დაუნდობლობა, სისასტიკე, სიძულვილი კაპიტალიზმისა, ბურჟუაზიისა. ეს არის კლასებს შორის ბრძოლისა და დაპირისპირების გამომხატველი პოლიტიზებული ლიტერატურა, შორს მდგომი ყოველგვარი მარადიული ღირებულებებისაგან, გაუცხოებული ტრადიციისაგან და გაუდენთილი მდარე ხარისხის, არაფრისმთქმელი ესთეტიკის (შესაძლოა ითქვას, უესთეტიკო) ნაწარმოებებით. კოლექტიური აზროვნება, დაბადებული და წარმოშობილი კლასობრივ ზიზღსა და პროტესტში, თავის ასპარეზს პოულობს მათს რიგებში. ამის საუკეთესო მაგალითია ფრიდონ ნაროუშვილის პოეზია. სანიმუშოდ ეს სტრიქონებიც გამოდგება: „რომ რესპუბლიკა სოციალისტური / მძიმე ინდუსტრიით იყოს მოფენილი, / მისი ორგული და მავნებელი / დიქტატურის ქუსლით იყოს გათელილი“; ან: „როგორც პოეტმა – პოლიტიკურმა, უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი; / სოციალიზმის ყველა მავნებელი / დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი“ (ნაროუშვილი 1931: 21).

მასების რევოლუციური მუხტი, სულისკვეთება და აღტკინება საბედისწერო შედეგებამდე მიდიოდა. ნებისმიერ რევოლუციას მოჰყვება ნგრევა, ნგრევა კი მსხვერპლს იწვევს, თანაც, რევოლუციური განვითარების გზა სპობს და კატეგორიულად არ დაუშვებს შინაგან განვითარებას. უურნალ „ქურის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია ი. შრომიშვილის ლექსი „ჩვენ წინ მივდივართ“: „ჩვენ წინ მივდივართ აღტკმის ქვეყნისკენ, / სისხლიან გზებით და ბრძოლის ველით, / ჩვენ წინ მივდივართ და თან წინ მივგაქვს / წითელი დროშა დაკორძილ ხელით“ (ქურა, 2, 1922: 10). სისხლიანია ამ მწერლობის გზაც, იდეოლოგიაცა და ფორმაცა.

მუშურ-გლეხური დარაზმულობა, ორგანიზებულობა მიმართული იყო იქითკენ, რომ „მოესპოთ უდიდესი უსამართლობა საზოგადოებრივი წყობისა, დაემარცხებინათ ძველი ცხოვრება“, ბურუუაზიული მენტალობა, აღმოეფხვრათ კაპიტალიზმის ყოველგვარი ნაშთი და დაემყარებინათ პროლეტარიატის დიქტატურა. ქართველ პროლეტმნერალთა სარედაქციო წერილში პირდაპირაა გამოკვეთილი პროლეტარული იდეოლოგიის პრიორიტეტი — ხელოვნების კლასობრივი ბუნება, ლიტერატურის პარტიულობა და კლასობრიობა: „პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ჭეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს პროლეტარული, კომუნისტური და ამ რევოლუციური კლასის დიქტატურის გატარების როლის შემსრულებელი“ (ქურა, I, 1922:). მათი ეს უმთავრესი მიზანი, არაერთგზის საჯაროდ გაცხადებული, იმთავითვე იყო დიდი ბოროტება, რადგან დიქტატურა (მით უფრო, იდეოლოგიური), ნებისმიერი ფორმითა და სახით, თავისთავად არის ბუნების წინააღმდეგ წასვლა და დანაშაული კაცობრიობის წინაშე. თავად მიაჩნდათ, რომ პროლეტარული მნერლობა თავისუფალი ლიტერატურაა, ანტიბურუუაზიული, ხოლო თავისი ხასიათითა და მიზნით — სოციალისტური. მათი მთავარი იდეოლოგი, ლენინი, წერდა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რადგან კარიერა და გაუმაძლრობა კი არა, არამედ იდეა სოციალიზმისა და მუშათა სიმპათიები გადმოიბირებს ახალ ძალებს მათს რიგებში... არა გამაძლარი გმირისა, არა ათასობით გაზულუქებული ელიტური საზოგადოებისა, არამედ მილიონობით მშრომელისა, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მოწინავე საზოგადოებას“ (ლენინი 1931: 390). პროლეტარული მხატვრული შემოქმედების თავისუფლების განმსაზღვრელი იყო ის, რომ იგი არ ინილებოდა, არ იყო დამოკიდებული ფულზე, მოსყიდვაზე. მათს ერთადერთობასა და ჭეშმარიტებას განაპირობებდა ისიც, რომ იყო მასების ინტერესების გამომხატველი. აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ,

ფაქტობრივად, ინტელიგენციას, კულტურულ საზოგადოებას დაუპირისპირეს მუშათა კლასი და ამ ანტაგონიზმში გაიმარჯვა პროლეტარიატმა, შესაბამისად, ის გახდა ჰეგემონი ძალა ცხოვრებისა და ხალხის სახელით ბოლშევიკურმა პარტიამ უსასტიკესი ფორმებით, დაუნდობლობით განახორციელა კიდეც თავისი დიქტატურა. ქართველი პროლეტარიულები პირდაპირ აცხადებდნენ: „პროლეტარული ხელოვნება უნდა განვითარდეს. ის იქნება იდეოლოგიური ორგანიზატორი მასების. ქართული ლიტერატურის გზები დახლართულია ქაოსით, ავსებულია აშმორებული ლეშებით: უკვე მკვდარ, მომაკვდავ და მკვდრად დაბადებულ დაჯგუფებით. პროლეტარულ კულტურის განმტკიცების დროს უნდა მოიჭრას ბურჟუაზიული კულტურის და იდეოლოგიის ყველა ხორცმეტი. ბრძოლა არ არის იდილია და დეე, გვაპატიოს „ხელოვნების უზენაესმა“, თუ ჩვენი თავდასხმა მწარე იქნება (პროლემაფ, I, 1925: 3-4).

ზოგადად, შენიშნულია, რომ მე-19 საუკუნის ე.წ. „დემოკრატი პოეტების“ შემოქმედება გამსჭვალული იყო საერთო დემოკრატიზმითა და ლიბერალური ოცნებებით. მათში ბუნდოვნად იყო გამოხატული სოციალისტური ტენდენციები, საბძოლო პათოსი, თავდაჯერება და მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთება (კოვალჩიკი 1929:). პროლეტარულმა მწერლობამ, სრულიად განსხვავებულმა თავისი იდეურ-პოლიტიკური შინაარსით, შემოიტანა ახალი თემები და მხატვრული ხერხები. მან შექმნა და ჩამოაყალიბა ისეთი ესთეტიკური (თუ უესთეტიკური) სახეები, რომლებიც მანამდე იგნორირებული იყო: რევოლუციური შემართება, მტკიცენებელობა, დარაზმვა მასებისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. „პროლეტარულმა მწერლებმა შემოიტანეს ახალი თემატიკა — ბრძოლის პათოსი და შეეცადნენ ახალი ადამიანის დამკვიდრებას, თუმცა მხატვრულად ეს მწერლობა სუსტია.ასე იყო რუსეთსა და სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც“ (თევზაძე 1982:

56). ამ სისუტეს ბევრი რამ განაპირობებდა, უპირველესად, მკაფიოდ გამოხატული არაპროფესიონალიზმი, ფაქტობრივად, ე.წ. პროლეტმნერალთა წერა-კითხვის უცოდინრობამდე მისული მდგომარეობა.

ტოტალიტარულ ცნობიერებას არ უყვარს რომანტიკა, სკეფსისი, ეჭვი, ზედმეტი ფიქრი, აშინებს სირთულე, სიღრმე. სხვათა შორის, გასაოცარი სიტყვები წამოსცდა ფილიპე მახარაძეს: „ჩვენ გვყავს პროლეტარული მწერლები. ისინი ჯერ ვერ არიან კარქათ მომზადებული, მაგრამ ისინი უდგებიან საკითხს სწორად. მხოლოდ მათ ესაჭიროებათ ტექნიკა, ქართული ენის შესწავლა“ (მახარაძე 1926: 168). ადვილი წარმოსაგდენია, იმ ეპოქაში, რომელშიც გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეოქიაჩელი... მოღვაწეობდნენ, რა მხატვრული ღირებულების „შედევრებს“ შექმნიდნენ ქართული ენის შესწავლის პროცესში მყოფი პროლეტმნერლები, მუშა-პოეტები, რომელთაც პრიმიტიულად ესმოდათ, ზოგადად, პოეზია და, შესაბამისად, შეზღუდული ჰქონდათ თემატიკაცა და მხატვრული საშუალებებიც (თუკი ასეთი მოიპოვებოდა მათს ნაწერებში). ყველა იმას წერდა, რაც თავში აზრად მოუვიდოდა — ეს აზრი კი მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის გატარებასა და დამკვიდრებას გულისხმობდა.

პირველ პროლეტარულ პოეტებს (სანდრო ეული, იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, კალე ფეოდოსიშვილი) მუშაობის გაშლა მოუხდათ წეპის (წეპი — НЭП- Новая Экономическая Политика; ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საბჭოთა რუსეთში, გაგრძელდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე — ს.მ.) პირობებში — წერდა ბენიტო ბუაჩიძე, — მათი შემოქმედება მიიმართებოდა მაინც სამხედრო კომუნიზმის ნიშნის ქვეშ. რევოლუციონური ენთუზიაზმი თავისებურ უხეშ რომანტიზმში გადასული — აი, რა ახასიათებდა ამ პერიოდს. პოეზია კლასის სიფხიზლეს ედგა დარაჯად. სანდრო ეულის ძირითა-

დი მოწოდებითი მოტივი, იონა ვაკელის, პეტრე სამსონიძისა და იაკინთე ლისაშვილის რევოლუციონური პათეტიკა, ცე-ცხლის ხმების რკალი, მებრძოლთა გმირული შარავანდედი მიმართული იყო მშრომელთა რევოლუციონური ნებისყოფის გამოჭედვისაკენ და ბრძოლის მონაპოვართა განმტკიცები-საკენ. პროლეტარული პოეტების შემოქმედების ცენტრში, გარდა ბრძოლისა, იყო შრომა უმთავრესად ინდუსტრიალ-ური მუშის; ქარხნის ცხოვრება და მანქანების რიგმი პრო-ლეტარული პოეზიის ტემპია (ბუაჩიძე 1960: 167-168). მარ-თალია, დღეს კრიტიკას ვერ უძლებს პროლეტმნერლობის მთავარ საფიქრალად მიჩნეული ასეთი დეფინიცია: „პრო-ლეტარული მნერლობის შემოქმედების საგანია სადგისე-ბით, ბირდაბირებით, ცოცხებით, წერაქვებით, ნიჩბებით და თოფებით შეიარაღებული ხალხი“ (ბუაჩიძე 1930: 259), მაგრამ ესეც ქართული ლიტერატურის ისტორიის ნაწილია!

უხეში ემპირიზმი, შიშველი აგიტაცია და ნატურალიზმი განმსაზღვრელი ნიშანი გახდა ამ მნერლობისთვის. ამი-ტომაც, ერთხმად იქნა აღიარებული, რომ „პროლეტარულ პოეტთა შემოქმედება ხასიათდება განყენებული თემატიკით, „კოსმიზმით“, წერის პლაკატური მანერით, ლიტერატურული შემოქმედების ახალი ფორმებისათვის ბრძოლის ამოცანების უგულებელყოფით – (ჟლენტი 1961: 18). დ. რონდელი საგანგე-ბოდ მიუთითებდა, რომ „პროლეტარული პოეზია – პოეზიაა რევოლუციონური ბრძოლის, ქარხნის, ქუჩის, — ასეთია ტრა-ფარეტული განმარტება პოეზიის ამ ახალი ტიპის. პროლეტა-რული პოეზია მეტია! – ესაა პოეზია პროლეტარული ყოფის. ქართველი პროლეტარული პოეტის შემოქმედების საგანია: ბრძოლა, რევოლუცია, ქარხანა, რკინა, ქუჩა“ (პროლემათ, 1, 1925:). ბ. ბუაჩიძის მიხედვით კი, პროლეტარულ პოეზიას „აკ-ლდა უშუალო ემოციონალობა; რევოლუციის პლანეტარულ-მა გაგებამ გამოიწვია განყენებულობა, თვისება, რომელიც ხელს უშლიდა პირველ პროლეტარულ პოეტებს, მოეცათ

ცოცხალი ადამიანი; მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს არაპროლეტარულ ლიტერატურის ფორმებთან. ერთის მხრივ, მე-19 საუკუნის პოეზიის ყალიბთან, მეორეს მხრივ, - სიმბოლიზმთან. ხშრად პროლეტარული პოეტის სიტყვიერი მარაგი იყო მეტად დაცილებული მუშარ მასას, უცხო და ყოველმხირვ შეუთავსებელი რევოლუციონურ თანმიმდევრობასთან... უცნობი და უცხო შედარებებით ელაპარაკებიან მუშებს (კონცერტი, არია, ბალეტმეისტერი, სეფა, ოცნების ქალწული, ტახტი, დუეტი, და სხვ.)“ (ბუაჩიძე 1960: 169-170).

ასეთი უსულო წნევით თემებზე წერა მოითხოვდა განსაკუთრებულ უნარს, რათა ბანალური ესთეტიკურ ფაქტად ქცეულიყო. უნიჭობა, გაუნათლებლობა იყო მიზეზი თემატური ერთფეროვნებისა და ერთგვაროვანი პრიმიტიული მეტყველებისა. საქართველოს „ახკომკავშირის“ მე-10 ყრილობაზე ბ. ბუაჩიძე პირდაპირ მოითხოვდა: „დღეს ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მწერლობის შექმნის შესახებ. საჭიროა შევქმნათ პირობები, რომ აღვზარდოთ მწერლები კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეთა მასებიდან და იმ გლეხებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ გაერთიანებული არ არიან კოლმეურნეობები... საჭიროა გვყავდეს გლეხური მწერლობა!“ (ბუაჩიძე 1931: 26). ასეთი მიდგომა ქმნიდა უამრავ პრობლემას ფორმისა და შინაარსის მხრივ, რადგან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა პროლეტმწერალთა ცუდად გარითმული, მდარე, ერთ თარგზე მოჭრილი აზრი. ამიტომაც ამბობდა პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე შ. ღუდუჩავა: „თემატიკის საკითხის მხრივ პროლეტარული პროზა ერთგვაროვანია... პროლეტარული პოეზია უნდა გახდეს მრავალფეროვანი. ყოფა-ცხოვრების საკითხები, კოლექტიური ლირიკით განათებული, უნდა გახდეს ქვაკუთხედი პროლეტარული შემოქმედებისა“ (თევზაბე 1982: 77). 1922 წელს უურნალ „ხომალდის“ მეორე ნომერში

დაიბეჭდა დონალის (იგივე ალექსანდრე აბაშელი) წერილი „პროლეტარიატი და ხელოვნება“, რომელშიც ავტორი ეხებოდა პროლეტარული მწერლების შემოქმედებას და არგუმენტირებულად ასაბუთებდა, რომ: „ლექსის ფორმა ახალმა პოეტებმა ვერ გარდაქმნეს და შინაარსიც ძალიან გაამარტივეს: ფაბრიკის საკომურები, მანქანები, ოქტომბერი, კრემლი, ისპოლკომი, ელექტროფიკაცია და სხვა ამგვარი სიტყვები, — აი, რა მასალა ასაზრდოებს დღეს პროლეტარულ პოეზიას. პოეზია გადაიქცა პროპაგანდა-აგიტაციის იარაღად“ (დონალი 1922: 38). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათ „აზროვნება „დადგენილებებით“ დაიწყეს, ერთი „პლატფორმიდან“ რეკლემ სუსტ და მინავლებულ ზარებს. სხვათა შორის, მათ შორისაც იყო რამდენიმე ნიჭიერი მწერალი. „პროლეტკულტელთა“ იდეურმა შინაარსმა თითქმის მთლიანად შთანთქა მხატვრული ფორმის სრულყოფილება და, ხშირ შემთხვევაში, მარცხითა და მომავალი თაობებისათვის სრული უარყოფის მომაკვდინებელი განაჩენით იქნა პირობადებული“ (გენდეხაძე 2002:).

პროლეტმწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პარტიას სურდა მწერალთა რიგებში მუშების მომრავლებით ჩაეკლა ნამდვილი შემოქმედება, შესაბამისად, ლოგიკური იყო ასეთი დასკვნის გამოტანაც: „მწერლობა არ არის ნიჭიერება, არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვაკაზმულ მწერლობას ენიჭებოდა სკუპ აგიტპუნქტის ფუნქცია“ (ბაქრაძე 1990: 43). აკი თავადაც ამას გვასწავლიდნენ: ხელოვნება, თავისთავად, აგიტაცია-პროპაგანდააო (ბუაჩიძე 1927: 116). საქართველოს კომკავშირის მე-10 ყრილობაზე სიტყვით გამოსული ალიო მაშაშვილის მოხსენებას ერქვა „პროლეტარული მწერალი ბოლშევიკი პროპაგანდისტია“. ასეთი

იყო მხატვრული აზროვნების სპეციფიკა, ასეთი იყო დროისა და ეპოქის დაკვეთაც და მოთხოვნაც!

რუსეთში პროლეტმწერლობამ მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო ფორმირება (გორკი, შკულევი, ნეჩაევი...). „პროლეტარიატი, როგორც კლასი, ბურჟუაზიულ სისტემაში წარმოიშვა, როგორც მისი მესაფლავე და მასთან გადამწყვეტი ბრძოლით მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბოლოო გამარჯვება. პროლეტარიატმა ამ ხნის განმავლობაში შექმნა თავისი მწერლობა, პროლეტარული ეპოქის მწერლობა, საბჭოთა მწერლობა“ — წერდა პროლეტმწერლობის ცნობილი კრიტიკოსი (ჭილაია 1946: 183). საქართველოში მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამოქმედოდ გამოდიან „მესამე დასის“ მწერლები, რომელთაც მხატვრულ ტილოზე გადააქვთ ახალი ეპოქის შესატყვისი კითხვები. ლიტერატურის მთავარ საგნად იქცევა კლასთა ბრძოლის საკითხი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში (ე. ნინოშვილი, ირ. ევდოშვილი, ლალიონი (იგივე არსენ მამულაიშვილი), ი. ეკალაძე, ან. ერისთავ-ხოშტარია). გაცხარებული კამათი მიმდინარეობს ძველი და ახალი თაობის მწერლებს შორის, ლიტერატურის პრინციპული საკითხები განიხილება მარქსიზმის თვალსაზრისით (ჭილაია 1946: 186-87). სწორედ ამ დროიდან (მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან) რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ახალმა თაობამ, ე. ნინოშვილმა, ირ. ევდოშვილმა. შ. არაგვისპირელმა, ი. დავითაშვილმა... მწერლობის ცენტრალურ თემად აქციეს რევოლუციური მუშათა კლასის ცხოვრება და რევოლუციური მოძრაობა. ბოლშევიკური გაზეთების, ე.ნ. სტალინური გაზეთების: „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „ახალი ცხოვრება“, „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“... ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა რევოლუციურ პოეზიას (ჭილაია 1953: 9). ბესარიონ ჟღენტის აზრით, „ირ. ევდოშვილმა ქართულ ლიტ-

ერატურაში პირველმა ასახა პროლეტარიატის საბრძოლო მისწრაფებანი და გაბედულად უმღერა რუსეთის პირველი რევოლუციის მოახლოებულ გრიგალს“ (ულენტი 1961: 9).

პროლეტმნერლობის დასაწყისი პერიოდი გვიჩვენებდა, რომ პირველ ეტაპზე მთავარი იყო რევოლუციური სულისკვეთების შენარჩუნება, რევოლუციური მონაპოვრის დაცვა. ბევრი სისუსტე ახლდა თან ამ პროცესებს. გარდა იმისა, რომ აგრესიული უნიჭობის ზემი დადგა, რომ წინა პლანზე წამოვიდა ფსევდოპოზია, პროლეტმნერლებმა ვერ შეძლეს პროლეტარიატის ისტორიულ როლზე გასაგებად და დამაჯერებლად საუბარი. რევოლუციური თვითშეგნების ამაღლება და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება გახდა ამ მწერლობის უპირველესი ამოცანა. რაც უნდა პარადოქსული იყოს თანამედროვე მკითხველისათვის, ისინი მიიჩნევდნენ, რომ თავისუფალი პროლეტარული მწერლობის განვითარების სრულ შესაძლებლობებს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა განაპირობებს. „კლასი – ლენინიზმ შეთვისებული / არის ოსტატი და დიქტატორი“ — სიამაყით წერდა ფ. ნაროუშვილი. ამავე დროს, ბოლშევიკები ერთ-მნიშვნელოვნად უარყოფდნენ მენშევიკების თეზისს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი ფიქრობს პოლიტიკურ ბატონობას. ფაქტი ჯიუტია, პროლეტარიატის დიქტატურა იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა მწერლობის მიმართულებასა და შინაარსს.

- პროლეტმნელობის საუკეთესო ნაწარმოებებში (თუკი არსებობს ასეთი) გამოიკვეთა განსაკუთრებული ნიშნები ახალი მხატვრული მეთოდისა. რ. კალაძის განმარტებით, პროლეტარულ სტილს ოთხი უმთავრესი თვისება ახასიათებს: ლაკონიურობა, სიზუსტე, სიცხადე-გარკვეულობა და სისადავე (კალაძე 1928: 195). პროლეტმნერალს შეუძლია წერა ყველა თემის შესახებ, მაგრამ მთავარია მარქსისტულ-ლენინური

მიდგომა, ყოველი მოვლენის დიალექტიკური მატერიალიზ-მის მეთოდით გაშუქება<sup>1</sup> ე.წ. ბურუჟაზიულ მწერლობაში (რო-გორც ისინი უწოდებდნენ) ჩანდა და დომინირებდა ინდივიდი, პიროვნება თავისი ვნებებითადა განცდებით, სიყვარულით, იმედებით, სასოწარკვეთით. თუმცა, მაქსიმ გორკი საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ბურუჟაზიული ლიტერატურის მთავარი გმირი არის მატყუარა, მსტოვარი, ქურდი-ჯენლტმენი, ზედმეტი ადამი-ანი, უნაყოფო ინდივიდუალისტი. პროლეტმწერლობამ სხვა მასშტაბში დაიწყო აპელირება. მან გვიჩვენა ადამიანი რევო-ლუციურ ქარიშხალში, კარდინალური სოციალური ცვლილე-ბებისა და კლასობრივი ბრძოლის ფონზე.

- დაინგრა ოჯახის იდეაცა და მისი ღირებულებითი აღ-ქმაც, მისი სიმტკიცე და სიწმინდე. არ დარჩათ შეურყვნელი და წაუბილწველი მშობლისა და შვილის წმიდათაწმიდა სი-ყვარული. ლიტერატურა ასახავდა ოჯახში მიმდინარე „კლა-სობრივ ბრძოლას“ (ს. თალაკვაძის „გადასასვლელი“) და ამ-კვიდრებდა გაუგონარ არაადამიანობას, მაგალითად: კალე ფეოდოსიშვილი ასეთ „შედევრებს“ ქმნიდა: „მე გადავწყვიტე მთლიანი გულით, / ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული! / მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, / რევოლუციამ თუკი მიბრძანა“ (ფეოდოსიშვილი 1926: 23). შემაშფოთებელია, ეს სისასტიკე და არაადამიანურობა პოეზიად გამოაცხადო და იგი ეთიკურ ნიმუშად დაუსახო მწერლობას. პ. ქიქოძე აღფრ-თოვანებული წერდა: „ფეოდოსიშვილი ანვითარებს კულტს პროლეტარული ეთიკისას“ (კვერენჩილაძე 2011: 280).

---

1. დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსისტულ-ლენინური პარ-ტიის მსოფლმხედველობა, ერთადერთი მეცნიერული ფილოსოფი-ური მოძღვრებაა, რომელიც იძლევა სწორ შეხედულებას სამყარო-სა და მის კანონებზე — ასე მიიჩნევდნენ კომუნისტები.

# ჩ ე ჩ ի

ნუ ხტიობი დედა! ცრემლად ნუ დნები,  
ომერთებს ღლივებით თავს ნუ აბრალებ  
წმიდა აზრებით გატაცებულ შვილს,  
კიუთა გამცემს ნუ, ნუ ეწოდებ.  
გასხვებს .. შენ თმში მაშინ მგზავნიდი;  
რომ ქანიშხალი რისხეით დაჰქრდა...  
რენ მოყლ მსოფლიოს მშრომელ რაინდებს  
ბრძო ჯალათების თმში იწვევდა.  
შე იქ წასებლაზე გარი ვსოქვი, მაგრამ  
შენ თავს ინორიდები და შემეცოდე;  
წაგები ფერი და ეს ხომ გახსოვს,  
ემმაგის სულის მქონე გიწოდე.  
შენ გწამდა ღმერთი, როგორც მფარგელი,  
შინ კეთებაში ღვევი შაგ დღეებს!..  
შენ გწამდა ჯვარი ვერცხლით ნაშენი  
შენ თაყვანს სცემდი უმნო ღამეებს.  
შენ შემიძელე მაშინ, როდესაც  
ეამი ეღლოდა გადაპრუნებას,  
შენ არ მოგწონდა ჩემი აზრები,  
და მოყვებოდი უცნაურ წყავლას.  
... და შეიმაღლ, როს აქტომბერის  
ბედის ქარები ამსხვრევდა სახლებს!!  
როს ბნელ ქუჩებში მზე ათამაშდა..  
და ცეცხლში სწვავდენ შვადამის კერძებს.  
მას შემდეგ სტირი და დატარფატებ,  
შენში ენთება შური ჩემდამი.  
ო, დედა! დედა! მახსოვს გითხარი,  
შე დედაჩემდ ბრძოლა მწყურია,  
ღმერთები ქვეყნად არ არსებობენ;  
ღვდელი ემმაგის მოციქულია,  
შე ღუღუღებას არ გარ ჩვეული!!!  
ქოხში მდიოდი მუშა ვარ წმინდა.  
დიდი ნანია დაგდე წარსული  
და ახალს ვერტფი, ახალი მინდა.

ფილიმინ ჭიმიუტი.

ახალი საზოგადოება, როგორც თავად უწოდებდნენ, სინამდვილეში კი სახელმწიფო მანქანა, იდეოლოგიური დიქტატურა ქმნიდა ახალი ტიპის ასეთ მოაზროვნეს. როგორც პ. ქიქოძე თავის ერთ წიგნში გვიხსნიდა: „თანდათან წინ მიმავალი პროლეტარული და საბჭოთა საზოგადოებრიობა ასწორებს, ქლიბავს და აქეზებს ჩვენს მწერალს. ახალი საზოგადოებრიობა ზრდის თავის მწერალს“ (ქიქოძე 1926: 52). და მანაც წაქეზა და „გამოქლიბა“ კ. ფეოდოსიშვილის-ნაირი საზოგადოებისათვის „საჭირო“ მწერალი!

- უბრალო მუშები აშენებდნენ „სოციალისტურ სამშობლოს“ და მათი რკინის ნებისყოფა („რკინის ხელი“) იქცა განდიდებისა და განზოგადების თემად. პროლეტმწერლობაში წამყვანი იყო ეპიკური ნაწარმოებები, თავიანთი პრიმიტიული სიუჟეტითა და კომპოზიციით, ახალი კავშირებით ადამიანებს შორის. დაიბადა ახალი გრძნობები, ერთობ საშიში და პოლიტიკურად მოტივირებული. დომინანტური გახდა კლასობრივი სიძულვილი, დაუნდობელი ბრძოლა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც იცავდნენ ძველ დროს და ვერ იღებდნენ ახალ რეალობას. სიუჟეტის მხრივ ორიგინალობა გამოიხატა პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების ტრადიციული თემის რადიკალურ ცვლილებაში: ერთ მთლიანობად წარმოდგა პიროვნებაც და საზოგადოებაც, ერთმანეთს დაემთხვა ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესები (თუმცა, იგი სისტემის მონაა და არა — თავისუფალი მოქალაქე; თავისი არსით ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეული საშიში ძალაა). მაღალი საზოგადოებრივი აქტივობა გამოვლინდა რევოლუციურ სულისკვეთებაში, რევოლუციური შეგნების ამაღლებაში. ნებისმიერი რევოლუცია ითხოვს მსხვერპლს, ამიტომ მათი თანამედროვე ყოფაც ამასვე მოითხოვდა. შენი „მე“ საერთო საქმეს, ხალხს უნდა შეენიროს. მათი ნაწერებისათვის ნიშანდობლივია მებრძოლი სუ-

ლისკვეთება და რევოლუციური დარაზმულობა-ოპტიმიზმი, პლაკატურობა და ილუსტრაციულობა.

- პროლეტკულტურის თეორეტიკოსები **მხატვრულ** შემოქმედებას განსაზღვრავდნენ **როგორც** ორგანიზებულ კოლექტიურ გამოცდილებას. აუცილებლად მიაჩნდათ უარის თქმა ფუტურისტულ მემკვიდრეობაზე. 1922 წელს ქართველი ფუტურისტები ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი ერის განსაკუთრებულობის სახელით. უეროვნო, უფრო მეტიც, ანგიეროვნული პროლეტმნერლობისათვის ეს მიუღებელი იყო. მათს ინტერნაციონალურ მენტალობას ყოველგვარი ნაციონალური და ეროვნული აღიზიანებდა. როგორც ცნობილია, ფუტურისტები ვლადიმერ მაიაკოვსკოვსის „ლევი ფრონტის“ გავლენით მალევე იქცნენ მემარცხენე ფრონტელებად (ლეფელებად), რევოლუციური დროშით გამოვიდნენ, კომუნისტური მშენებლობის პრინციპებზე ვდგებითო“ (კვერნჩხილაძე 2012: 91). რა თქმა უნდა, გამაღიზიანებელ ფაქტორად ესეც იკმარებდა. პროლეტმნერლები ამ ტიპის მეტოქეობს ვერ აიტანდნენ. ამასთანავე, ფუტურისტებს თანამგზავრებად არ მიიჩნევდნენ. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მეოცე საუკუნის ოციან წლებში **თანამგზავრად** ითვლებოდა მწერალი, რომელმაც რევოლუცია აღიარა და მიიღო, მაგრამ ბოლომდე ვერ გაიგო. ვ. ბახტაძის აზრით, თანამგზავრში იგულისხმებიან „პირები, რომლებიც იღებენ ამ რევოლუციას (1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია — ს.მ.), მომხრენი არიან მისი, საერთოდ, მიდიან მისი გზით, — ცდილობენ, ყოველ შემთხვევაში — მაგრამ სავსებით არ ითქვიფებიან მასში, ყოველივეში არ თანხმდებიან მის გზას და მის პოლიტიკას“ (ბახტაძე 1925: 38). პროლეტმნერლებს გაგონებაც არ სურდათ ქართველი ფუტურისტების სახელისა, არადა მათი შეხედულებები კარდინალურად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით — წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებაში. ჯერ კიდევ 1916

წელს ცისფერყანწელებმა თავიანთ „მანიფესტში“ საქვეყნოდ განაცხადეს: „უარვყოფთ წარსულს როგორც მზით განათებულს, ისე — ღამეში შენუხებულს“, ქართველმა ფუტურისტებმა 1922 წელს თითქმის გაიმეორეს ეს მიდგომა: „ვაცხადებთ ყველასთვის: უარვყოფთ წარსულს, რადგან ის არის სამლოცველო ბებრების და მომაკვდავების“. ფუტურისტებს უნდოდათ მიეგნოთ რევოლუციური ეპოქის შესაფერისი სტილისა და ესთეტიკისათვის, მოითხოვდნენ „პოეტიკის ავტონომიას“, ქართული ლექსის „აკუსტიკური ლირებულების“ სრულებრივად. რუსმა ფუტურისტებმა უარყვეს პუშკინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი. ქართველმა ფუტურისტებმა წარსულიდან მიიღეს მხოლოდ ხალხური შემოქმედება, პროლეტმნერლებივით დასცინოდნენ ცისფერყანწელებსა და აკადემიურ დაჯგუფებას. თავიანთ ნიჭიერებით (ს. ჩიქოვანი. ა. ბელიაშვილი...) დიდად უსწრებდნენ პროლეტმნერლებს და ამიტომაც დაპირისპირება მათ შორის უფრო ღრმავდებოდა. 1930 წლიდან ისინიც შეუერთდნენ ქართულ საბჭოთა მწერლობას.

წინააღმდეგობა და შეუთავსებლობა თავად პროლეტმნერალთა შორის არსებობდა და არაა გასაკვირი, რომ ფუტურისტებთან საერთო ვერ იპოვეს. აკაკი ბაქრაძე წერდა: „სოციალური დაკვეთის ლიტერატურამ, ანუ პროლეტმნერლობამ, დიდი საფრთხე შეუქმნა სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარებას. იგი იყო უაღრესად პრიმიტიული შინაარსითა და ფორმით, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად აგრესიული საკუთარი ინტერესების დაცვის დროს. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ პროლეტარული მწერლობა მაინც დამარცხდა. ქართული ლიტერატურის განვითარება, მართალია, დროებით შეფერხდა, მაგრამ მაინც დაუბრუნდა ბუნებრივ გზას“ (ბაქრაძე 1999:). ქართველი ფუტურისტების, ზოგიერთი ცისფერყანწელისა და პროლეტმნერლობის ნიპილიზმი, ზოგადად, კლასიკური მეკვიდრეობის მიმართ არ იყო მიღებული

და გაზიარებული. ამ ასპარეზზე დამარცხებოდა ყველა, ვინც უარს იტყოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ფენომენზე, მის წარსულსა და ტრადიციაზე.

• პროლეტმწერლობაში სერიოზულად დადგა **კლასიკური მემკვიდრეობის** მიღების საკითხი. მათი აზრით, მთელი წინა კულტურა (ბურჟუაზიული ენა და ლიტერატურა) უნდა გაამქრალიყო. ეს ლოგიკა თავისთავად მიდიოდა კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფამდე. ასეც მოხდა, თუმცა ამან დიდი დაპირისპირება გამოიწვია. ქართველ პროლეტმწერალთა სარედაქციო კოლეგიის წერილში, რომელსაც „ჩვენი სიტყვა“ ერქვა, ვკითხულობთ: „პოეზია ძველად იყო ხალხური, შემდეგ გახდა ფეოდალური და ბოლოს იყო ბურჟუაზიული... ხოლო დღეს იგი ხდება პროლეტარული. ძველათ იყო ავტორიტარული, შემდეგ გახდა ინდივიდუალისტური, ახლა კი ის შეიძლება იყოს მხოლოდ კოლექტივისტური. კოლექტივიზმი მისი დამახასიათებელია. პროლეტარიატი ლაპარაკობს მრავალ ენაზე. მისი პოეზია შინაარსით არის ერთი – პროლეტარულ-კომუნისტური, მაგრამ ფორმით ის მრავალფეროვანია, ფორმით ის ეროვნულია“ (ქურა, I, 1922:). უფრო სასტიკი და დაუნდობელი იყო პარტიული ლიდერი ფილიპე მახარაძე, რომელმაც განაცხადა: „ქართველი ხალხი არის გლეხი, მუშა და ვამბობთ, რომ გვნამს ქართული კულტურა, მაგრამ არა ის კულტურა, რომელიც თავის გამართლებას პოულობს ეკლესიაში და სხვა, არამედ გვნამს ახალი კულტურა, რომელიც შეეფერება მუშათა და გლეხთა ინტერესებს. თამარისა და გორგასლიანის დროის კულტურას ჩვენ ვერ მივიღებთ... თანამედროვე ეპოქისათვის ის უკვე დრომორქმულია (მნათობი 1928: 167-168).

კლასიკური მემკვიდრეობის მიღების თაობაზე მძაფრი ომი გაჩაღდა პროლეტმწერლებს შორისაც. ისინი თეორიულად ალიარებდნენ კლასიკური მწერლობის მნიშვნელობას საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მაგრამ მათმა

ერთმა ნაწილმა კლასიკოსი მწერლების მიღების საკითხი პოლიტიკურ თეზად გამოაცხადა და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მათ და მათს დამცველებს. გულანთებული წერდა კალე ფეოდოსიშვილიურნალ „პროლეტმწერლობის“ მეორე ნომერში 1927 წელს:

„თავს შემოგავლებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ  
მწერლობას  
დიდ ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან  
ბაასი“

ამ საქმეში არც ფრიდონ ნაროუშვილს დაუხევია უკან, ვისზე ნაკლები იყო?! მან დაწერა ლექსი „ეგნატე ნინოშვილი და ილია ჭავჭავაძე ხელოვნების სასახლეში“, რომლის სა-თაურშიც უკვე ჩანს ოპოზიციური წყვილი: „აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან / ჩვენი ეგნატე, მათი ილია, / აქ ორნაირი ტრიალებს დანა, / დარბაზი ორად გაყიდვილია“ (ჩვენი ეგ-ნატე 1934:). უფრო მეტიც, ის დაწერს პოემას „თავადი ილია ჭავჭავაძე“, რომლის ყოველი სტრიქონი წარმოუდგენილი ცინიზმითა და სიძულვილითაა გაუღენთილი: „ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი... / მთაწმინდის ლოდქვეშ იხრნება ლომი, / პოლემიკოსი და ენამჭევრი, — / მთავარსარდალი შავრაზმულ ომის, / „მესამე დასის“ მოსისხლე მტერი“. ამ მესამე დასის, ანუ რევოლუციური ჯგუფის, ისტორია საქართველოში 1892 წლის მიწურულიდან იწყება, თუმცა მათი პირველი საჯარო გამოსვლა ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღეს მოხდა, 1894 წელს. პროლეტმწერალთა დიდი სურვილი, თითქოს ე. ნინოშვილი ახალი რევოლუციური აზროვნების მედროშე და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის პირველი წარმომადგენელია საქართველოში, სიმართლისაგან ისე შორსაა, როგორც მათ მიერვე შექმნილი ოპოზიციური წყვილი: ჩვენი ეგნატე — მათი ილია! ჯერ ერთი, იმდროინდელი რევოლუ-

ციური მისწრაფებები აშკარად სხვა ტიპისა იყო და, მეორეც, „ე. ნინოშვილს ადრე წამოენია სიკვდილი. მან ვერც კი მოასწრო პროლეტმნერალთა მიერ აკვიატებული რევოლუციური პრინციპების მხატვრული გამოვლენა“ (ნიკოლეიშვილი 1994: 7-8). გაივლის წლები და ოდესაც თავად პროლეტმნერლობის წარმომადგენელი ქართველი პოეტი ასე შეაფასებს ამ მოვლენებს: „ყოველივე ეს, რასაკვირველია, იყო არა მხატვრულ-ლიტერატურული, არა სამწერლო, არამედ თანამედროვეთა შორის მხოლოდ შიშველი პარტიული და ხშირად ამბიციურ-თანამდებობრივი ბრძოლა, რომელიც იმ წლებში ხშირად სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული დამსჯელი ორგანოების აქტიური ჩარევითაც მთავრდებოდა, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მწერლობაში ე.ნ. „მამათა და შვილთა“ ისტორიულად ცნობილ ბრძოლასთან“ (აბაშიძე 2003: 95). უფრო მწვავედ თუ ვიტყვით, ეს იყო „ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირთა“ დაუნდობელი თარეში.

ფრიდონ ნაროუშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გლეხების სისხლით გულგაპოხილი და გლეხების სისხლით შეღებილი“ ილია ჭავჭავაძის სახელის შეურაცხყოფასა და დევნაში ქართველ ულტრარაპპელებს გვერდით ედგა მთავრობის ხელმძღვანელი ფილიპე მახარაძე (ილიას მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ნიკოლეიშვილი 1994: 55-64), რომლის წინასიტყვაობით გამოვიდა წერილების კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. ფილიპე მახარაძის აზრით: „ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“ (მახარაძე 1931: 2), თუმცა დ. ბენაშვილი ნაშრომში „მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის მხატვრულ შემოქმედებაში“ წერდა: „უვიცობით ფონს გასვლა შეუძლებელია. შეისწავლეთ ისინი (კლასიკოსები – ს.მ.), გიყვარდეთ იმ დროში, რომელშიც ისინი მუშაობდნენ!“ (ბენაშვილი 1931:

51). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1929 წელს უურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაისვა შეკითხვები: როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება კლასიკოსებისადმი? საჭიროა თუ არა კლასიკოსების მიწოდება მასობრივი მკითხველისათვის? და ა. შ. ასეთი მიდგომის შედეგი იყო ისიც, რომ სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს ილია, ვაჟა, ეჭვის თვალით შეხედეს თვით რუსთაველსაც კი (როგორც თანამედროვე ეპოქისათვის დრომორქმულს). „არა ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი / და „ეროვნული მტკვარის დუდუნი“ — ამტკიცებდა ფ. ნაროუშვილი. პროლეტარული პროლეტარული პროლეტარული დროთა კავშირის დარღვევა იყო. წარსულის უარყოფა როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით კატასტროფით ემუქრებოდა ქართულ კულტურის განვითარებას, აფერხებდა თაობათა კავშირს.

ქართველი პროლეტარული კრიტიკოსების (ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, შ. დუდუჩიავა, ვ. ბახტაძე, პ. ქიქოძე, ა. სულავა, გ. მუშიშვილი, ვ. ლუარსამიძე...) წერილებში თვალშისაცემია, ერთი მხრივ, პროლეტარულ მწერლათა განდიდება და, მეორე მხრივ, დამცირება და ნიკილიზმი არაპროლეტარი მწერლებისა: „ქართული მწერლობის ხსნა ახლა მხოლოდ პროლეტარულ პოეზიას შეუძლიან“ (სეფისპირელი 1922: 29). როგორც ზემოთ ვთქვით, ისინი გააფირებით უტევდნენ ცისფერყანწელებს, ფუტურისტებს და აცხადებდნენ: „თავიდანვე შემცდარია ექსპრესიონიზმის, იმაჟენიზმის, დადაიზმის, კონსტრუქტივიზმისა და სხვა ბურუუაზიული ინტელიგენციის სულში ამოტივტივებული დეგენერატიული იზმების გასაღები პროლეტარულ სახელმწიფოშიო. უურნალ „პროლემაფის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა შ. რადიანის „მკვდრების საუბარი“. კრიტიკოსი სვამს შეკითხვას: „შესაძლებელია თუ არა სიმწრით შობილი, რევოლუციის ქარცეცხლში გამოწრთობილი საქართველოს ახალი თაობა დაეყრდნოს პატრიოტებისა და მისტიკოსების შემოქმედებას“

(გულისხმობს: გრ. რობაქიძეს, ი. გრიშაშვილს, ალ. აბაშელს, ს. შანშიაშვილს, კ. გამსახურდიას, ტ. გრანელს, სოლ. თავაძეს): „გრანელ-გამსახურდიები წარმოადგენენ ქართული ლიტერატურის „მკვდარ ადამიანებს“, რომლებსაც ვერავითარი სული ვერ აღადგენს“ (რადიანი 1925: 131) და განაგრძობს: „ზოგიერთების (არ ვიცი, ჩვენ გვატყუებენ, თუ უფრო თავის თავს) აქა-იქ რევოლუციონურითაც იმოსებიან, რევოლუციონურ ფრაზებს და სიტყვებს ისვრიან (გ. ტაბიძე, ფუტურისტები), მაგრამ ეს მხოლოდ ყელს ზევით, რადგან რევოლუციონერობა არ ენათესავება მათ ბუნებას, არ არის მათი გულის სიღრმის ამოძახილი“ (რადიანი 1925: 133). მნარედ აკრიტიკებს ტ. გრანელს, მთავარდიაკონივით გალობსო (ლექსი „ლოცვა გაფრენისთვის“), კ. გამსახურდიას კი „სიბნელის მოციქულს“ უწოდებს (რადიანი 1925: 39). ამავე ჟურნალში დაიბეჭდა დ. რონდელის „დეკადანისის საზღვრებთან“, — ესაა კრიტიკა ფუტურისტებისა ( $H_2SO_4$ ) და ცისფერყანწელებისა. ამ უკანასკნელებს ავტორი „პოეზიის ორთითებს“, პლაგიატორებს უწოდებს. ფრიდონ ნაროუშვილი გადასწვდა ტიციან ტაბიძეს (მეარღნე ტიტე შეარქვა), პაოლო იაშვილს (თავბლუცისფერი ყანწებით და სუფრის მელექსე), არ დაინდო ქართველი მეცნიერებიც: „თვით პროფესორი ჯავახიშვილი / და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“ / კაციჭამია კოტეტიშვილი. / პლეადა წუნკალ შოვინისტების“ (ნაროუშვილი 1931: 26). 1931 წელს მისი ავტორობით გამოდის წიგნი „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“, რომელშიც ნაროუშვილის პოეზიის მარქსისტული ანალიზია წარმოდგენილი. შესავალი წერილი ეკუთვნის ერ. ასტვაცატუროვს, რომელმაც ასე განსაზღვრა პოეტის შემოქმედებითი მეთოდი: „არა რომანტიზმი და გმირული რეალიზმი, არამედ პროლეტარული რეალიზმი; იდეალიზმის (ფსიქოლოგიური რეალიზმის) ნაცვლად დიალეტიკური მატერიალიზმი, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია

როგორც დღევანდელობის, ისე მომავლის რეალურ ასპექტში განჯვრეტა“ (ნაროუშვილი 1931: 9).

1923 წელს უურნალ „მომავალში“ დაიბეჭდა ა. მაშაშვილის „ავტოპორტრეტი“: „მომაქვს გლობუსი პოეზიის, — ლექსე-ბით სავსე, / წინ გამაქანეთ, გამაქანეთ ცეცხლის რაშებო... / მარინეტებო, შექსპირებო, გამოდით გზაზე! / მომაქვს გლო-ბუსი პოეზიის ღრმა და უძირო“. ამ ლექსში ავტორი დუელში იწვევს „შექსპირებსა და მარინეტებს“, თუმცა ეს გამოწვევა შეფასდა, როგორც „ძველი პოეტური ნორმებისა და შეხედ-ულებების რევიზია“ (ხერხეულიძე 1977: 42).

- პროლეტმწერლობამ აჩვენა, თუ როგორ იბადება ახალი ადამიანური გრძნობა – **კოლექტივიზმი**, როგორ უფერულდება და უსახურდება ადამიანი, როგორ კარგავს იგი თავის სახეს, როგორ იქცევა პიროვნება ბრძოს ნაწილად და გაითვიფება მასაში. ქართველი პროლეტმწერლების სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „პროლეტარიატს სჭირდება ხელოვნება კოლექტივისტური, რომელიც უნდა ზრდიდეს ხალხში ღრმა სოლიდარობას, ამხანაგურ თანამშ-რომლობის გრძნობას, უღვივებდეს და უნერგავდეს მის მე-ბრძოლთა და შემოქმედთა მტკიცე ძმობის საერთო იდეალს“ (ქურა, I, 1922:). თავისთავად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოკვდა პიროვნება, მისი „მე“, გაქრა ინდივიდი, ერთგვარი დანაშაუ-ლის სტატუსი შეიძინა ინდივიდუალიზმა, ორიგინალურმა, გამორჩეულმა, ყოველგვარმა პიროვნულმა და განსხვავებულმა. „კოლექტივიზმი ნიშნავს სიმართლის დასასრულს“ — იტყვის მე-20 საუკუნის დიდი მოაზროვენე ფრიდრიხ ოგი-უსტ ფონ ჰაიკი.

- პროლეტმწერლობის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს, ბ. ბუაჩიძეს, აღელვებდა მწერლობაში რელიგიური ლექსიკის გაელვებაც კი: „რატომ უნდა გაახსენოს პროლეტარულმა პოეტმა ამ ფენებს ოქტომბრის დახასიათების სახით: „ურია-

სტანი, პონტოელი, იუდა, ოცდაათი ვერცხლი, სინედრიონი, ბარაბა“ და წარმოიდგინოს მთელი მუშათა მასა ჯვარცმულ ქრისტეთ. როგორ? შეიძლება დასაშვები იყოს პრლეტარული პოეტის ლექსის სათაურათ „სიკვდილითა-სიკვდილისა“?! პოეტს ეს შეიძლება კონტრასტის ხერხად მიაჩნდეს, მაგრამ ასეთი კონტრასტები დაუშვებელი და შეუთავსებელია მუშის წარმოდგენისათვის (ბუაჩიძე 1960: 169-171). რელიგიური სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება მიჩნეული იყო „ფორმალურ სისუსტედ და მხატვრული ალღოს განუვითარებლობად (იქვე: 187). ასეთი მიდგომის გამო, რა თქმა უნდა, გაძლიერდა ანტირელიგიური ტოტალური პროპაგანდა, რომელიც დაევალა მწერლობასაც, უფრო სწორად, ეს მისია იტვირთა პროლეტმწერლობამ: „პროლეტარული მწერლისთვის რელიგია მსოფლმხედველობა, რწმენა არ არის. არცერთი პროლეტარული მწერალი არ არის მორნმუნე. წარმოუდგენელია, რომ რომელიმე მათვანს ღმერთი სხამდეს“ — თავგამოდებით ამტკიცებდა ბენიტო ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1960: 187).

1931 წელს პროლეტმწერლობის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, ს. თოდრიამ, დაბეჭდა 78-გვერდიანი წიგნი, რომელიც 5000 ტირაჟით გამოვიდა და 50 კაპიკად იყიდებოდა. სამი წლის შემდეგ კი გაზეთი „მებრძოლი ულმერთო“ (№8 (48), 1934 წ.) მკითხველს ახარებდა: „იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ამს. სილ. თოდრიას იუმორისტული წიგნი „დაბადება ანუ ბიბლია“ — წიგნი 2, გამოცემა 2“. ს. თოდრიას „ძველი და ახალი აღთქმანი“ სახელგამმა 1935 წელს გამოსცა. შესავალ წერილში პროლეტმწერლობის ცნობილი კრიტიკოსი შ. რადიანი წერდა: (რელიგიისა და ბიბლიის წინააღმდეგ ბრძოლაში) „უდიდესი როლი ენიჭება მხატვრულ ლიტერატურასა და პოეზიას... საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურამაც, რასაკვირველია, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ანტირელიგიურ პროპაგანდა-

ში. მხატვრული სიტყვა უნდა გახდეს შეურყეველი არგუ-  
მენტი ანტირელიგიურ მუშაობაში. სამწუხაროდ, დღემდე  
საბჭოთა მწერლები ძალზე მცირე ყურადღებას აქცევენ რე-  
ლიგიის წინააღმდეგ მხატვრული სიტყვის საშუალებით ბრ-  
ძოლას (თოდრია 1935: 6). როგორც ვთქვით, 1930 წელს მუკა  
საქართველოში თავისი პერიოდული ორგანოს გამოცემაც  
დაიწყო. უურნალს ერქვა „**მებრძოლი ულმერთო**“, რომელიც  
სპეციალურად ყოველ კვირას გამოდიოდა (ამ ფორმითაც  
ებრძოდნენ მეშვიდე დღეს). უურნალის პასუხისმგებელი რე-  
დაქტორი სილიბისტრო თოდრია, ანტირელიგიურ თემაზე  
პასკვილების წერის გარდა, პოემებსაც თხზავდა. ერთ-ერთ  
მის „შედევრს“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დაბადება ანუ  
ბიბლია“ ერქვა. წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ამ  
ძველ აღთქმაში კი რა გინდა სულო და გულო, რომ არ შეხ-  
ვდები, — დაწყებული პორნოგრაფიიდან და გათავებული  
ყოველგვარი სისაძაგლით!... ღმერთი, რომელიც გამოყვა-  
ნილია ყოვლის გამჩენად, ყოვლის შემძლეთ, იმავე დროს,  
შიგა და შიგ, პირდაპირ პამპულას როლს თამაშობს: ლაყ-  
ბობს, სცრულებს, იჩენს სულმდაბლობას, სიმკაცრეს, მედი-  
დურობას, უვიცობას და სხვა ისეთ ღირსებებს, რომელიც  
არ შეფერის უბრალო ფარისეველ მოხუცსაც კი“.<sup>1</sup> თვალი  
გავადევნოთ, როგორია მხატვრული სიტყვის „ოსტატის“ ნა-  
ცოდვილარი:

---

1. საქართველოს ულმერთოთა იდეური წინამდლოლი 1936 წელს გარ-  
დაიცვალა და კომუნისტებმა მთანმინდის პანთეონში, მამა-დავითის  
ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს (!). სხვათა შორის, მთანმინდაზევე და-  
კრძალეს ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაიაც, თუმცა საბჭოთა სისტემის  
ნგრევის ბოლოს, ისინი იქიდან გადაასვენეს: ფილიპე მახარაძე — ვაკის  
სასაფლაოზე, სილიბისტრო თოდრია და მიხა ცხაკაია — კუკიაზე.

„ახირებული წიგნია  
ეს დაბადება, ანუ პიბლია!  
იქ დაწვრილებით აღწერილია:  
ღმერთი, ადამი, მოსე, ილია  
და სხვა მრავალნი,  
ცაზე და ქვეყნად  
მფრინავ-მავალნი.

დასაჯერებლად თუმც არის  
ძნელი  
იქ მოთხრობილი ამბავი  
ძველი,  
მაინც შესწავლას მე შევუდექი“  
თუმცა არა მნამს, — ვახსენე  
ღმერთი!

(თოდრია 1931: 5-6)

კიდევ ერთი ფრაგმენტი წიგნიდან: „ეს არის თავი — ზედ  
წასათავისა“, რომელიც ქრისტეს აღდგომაზე მკრეხელური  
პასქვილია:

„ფეხის ხმას აჰყვნენ მამაკაცები:  
— გაიგე, კაცო, ქრისტე ამდგარა!  
— რას ლაპარაკობ, - ნუ ხარ მასხარა!  
— შენ არ მომიკვდე, მე ვამბობ მართალს  
დღესაც უნახავს ჩენს დობილ მართას!  
— მოვძებნოთ სხვები, წავიდეთ ჩქარა,  
გალილეაში მან დაგვიბარა!  
— ვის გაუგია საფლავიდან კაცის ადგომა!  
გაჯიუტებით იძახოდა ურნმუნი თომა.

... ასე ამ რიგად,  
ერთი-მეორეს გადასცემდნენ ამბავს რიგ-რიგად,  
ნაცნობ-მეგობრებს, მოკეთეებს და მეზობელ ერს,  
ერთი თაობა მეორეს და მეორე შემდეგს...  
ხრამში იესო ისე დადნა, ვერ ჩასწვდა ძერა,  
მაგრამ აღდგომა მისი დღესაც ბევრ სულელს სჯერა“  
(თოდრია 1935: 197-198):

ბიბლია, მთლიანად ძველი და ახალი აღთქმა, გამონაგონ და მოჭორილ სამასხარაო ამბად გამოაცხადეს. ერთი თეო-რეტიკოსი დაბეჯითებით აცხადებდა: ზღაპრების შეთხზვით ქრისტიანობამ დაუჯერებლობის რეკორდს მიაღწიაო.

გაზეთი „მებრძოლი ულმერთო“ (№14 (20), 1933 წ.) ბეჭდავს მ. უზნაძის ლექსს „ულმერთკორებო!“: „ულმერთკორებო, შემოკრბით ირგვლივ, / მახვილი კალმით შევძრათ მთა-ბარი / და კლასიურ მტრებს — მღვდლებს და კულაკებს, / მჭიდრო რიგებით დავსცეთ თავ-ზარი“.

უურნალ „მებრძოლ ულმერთოში“ (№1, 1932წ. გვ. 15.) დაიბეჭდა „ულმერთოების სიმღერა“:

„ჩვენ არ გვწამს ქრისტე და მისი შობა,  
არ გვწამს და არა, არ გვწამს და არა,  
„წმინდა მამების“ მოგონილია:  
ის არც შობილა და არც ამდგარა.  
კმარა ცდუნება, კმარა ტყუება,  
მძლე ოქტომბერმა მათ დაამწარა,  
დღეს კი ასი წლის მოხუციც ამბობს:  
„ის არც შობილა და არც აღმდგარა“.  
ნავიდა დრონი ბნელი ძალების,  
გაჰქრა, არასდროს არ დაბრუნდება,  
ხალხის სამონოდ გამოგონილი  
სარწმუნოება ისპობა, კვდება“.

გაცილებით ადრე, 1923 წლის 4 იანვრის გაზეთი „სპარტა-კი“ აქვეყნებს ლექსს სათაურით „ულმერთოების სიმღერა“, რომლის ავტორია ვინმე „ულმერთო“:

„ჩვენთვის ერთია მოსე და ბუდა,  
მაჲმადი, ქრისტე და ყველა სჯული,  
რომლებმაც ხალხებს გზანი უმრუდა,  
და სიბნელეთა უდევთ სარჩული.  
ჩვენ მოგვაქვს სულ სხვა სარწმუნოება,  
ამძივებული სინათლის მთებზე,  
ჩვენი კერპია მეცნიერება, -  
გადმოფენილი კომუნის ფრთებზე“

**უურნალ „მებრძოლ უღმერთოში“ (№2, გვ. 12. 1932წ.) გამო-  
ქვეყნდა დავით თურდოსპირელის „საყდრების ნაცვლად“:**

„წინეთ სოფელს რომ თვალს  
მოვავლებდი,  
გული ვარამით ამევსებოდა,  
მისი ქოხმახი სიღატაკეზე  
საშინელ ზღაპრებს მომიყვებოდა.  
მღვდელი, მოხელე და მემამულე -  
ყველა ფურიგით სწველიდა გლეხსა,  
და, თუ სიმწრით ხმას ამოიღებდა,  
უბრახუნებდნენ მრისხანეთ ფეხსა.  
დღეს კი სოფელი ვეღარ მიცნია,  
შევცძერ და ნახვა მარად მწყურია,  
მთლად გამოცვლილა მისი იერი,  
სიცილ-ქათქათის ცა ახურია.

საყდრების ნაცვლად თვალებს  
ახარებს  
ცაში აწვდილი რადიოს ანძა;  
სკოლა, თეატრი, ქოხსამკითხველო  
მიჩნეულია უდიდეს განძად.  
კოლექტიური მეურნეობაც  
მშრომელი გლეხის მომავალს  
სჭედავს.  
ფუჟ, იმას ვინც რომ თვალებს  
იბრმავებს,  
ვინც ახალ სოფელს ჯერაც ვერ  
ხედავს“.

**უურნალ „მებრძოლ უღმერთოში“ (№6-7 გვ. 8. 1932წ.) დაიბე-  
ჭდა მ. უზნაძის „ჩვენი ლაშქარი“ (მოგვყავს შემოკლებით):**

„ოდებს მისტიურს  
ვეკვეთეთ ისრით,  
ნგრევის გუგუნი  
ისმის ჩვენს ხმაში  
და ახალ სიტყვებს  
ნაპერწკლებრ ვისვრით  
ცრუმორწმუნეთა აზროვნებაში!  
არ არის ღმერთი!  
არც წმინდანთ გვამი,  
არც ანგელოზნი  
თეთრი ფრთიანი,  
არის ის, მხოლოდ  
სინამდვილეში,  
რასაც ჰქმნის და სჭედს  
ადამიანი!

სამღვდელოება  
ჩვენს მტკიცე რიგებს  
ლოცვა-კურთხევით  
ვერ დააძინებს:  
თუ ძველ მორწმუნეთ  
ბორკავდნენ ჯვრებით,  
დღეს უღმერთოებს  
რა შეაშინებს?!  
საყდრის მაგივრად  
ჩვენ ქარხნებს ვაგებთ,  
შესცვალა ზარი  
მწვავე სირენამ;  
ლოცვების ნაცვლად  
ხუთწლედის გმირებს  
ჰიმნებს ულექსავს  
ჩარხების ენა“.

ანტირელიგიური ლირიკა მიმართული იყო **სამღვდელოების წინააღმდეგ:** უურნალ „მებრძოლ უღმერთოში“ (№2, გვ. 12. 1932წ.) ანოს ფსევდონიმით დაიბეჭდა „**მღვდელი და უღმერთო**“, რომელიც გაბაასების (დიალოგის) ფორმითაა დაწერილი და ასე მთავრდება (უღმერთო მიმართავს მღვდელს):

„წადი, წადი შე ღმერთ-ძალლო! არც ღმერთია, არცა ხატი,  
უღმერთო ვარ, მუშა-ხელი: ორივ ერთად ტყულია.  
მორჩა, ვეღარ მოგვატყუებთ, ხალხთსაყვლეფად მოგონილნი,  
ჩვენთვის გვინდა ან საჭმელი. ეხლა ჩვენთა ფეხქვეშ ჰყურია!“

განსაკუთრებული ზიზლი, სიძულვილი და სისასტიკე-დაუნდობლობა გამოსჭვივის სასულიერო წოდების, მღვდლების მიმართ. ყველა დონეზე ამასხარავებდნენ, დას-ცინოდნენ, შეურაცხყოფდნენ, ათასგვარ სიბილნესა და სიბ-

ინძურეს სწამებდნენ, სასიკვდილოდ იმეტებდნენ ცხოვრება-შიც და იგივე პოზიცია გადმოვიდა პოეზიაში:

„ძირს თქვე წვერებცანცარა! საჭანას აცინებდით  
მაქნისი ხართ არაფრის. ტყუილების ხეთქებით!  
გლეპს ჰევებართ, სხვაარც არას - გზა მშვიდობისა ეხლა,  
გეტყვით მოკლე პარაკლისს: გეტყვით თქვენებურ ამინს!  
ხალხში სიბნელე სთესეთ ჩვენთან ვერ ძალგით შეხლა  
ბევრ ბრმა სარწმუნოებით! ნულარა სწამლავთ ამინდს.  
რა ადათი არ სწერეთ საფლავში! ჰაიდა! თბილად!  
თქვენი ხელმწყო დროებით?! ჩვენ გადაგიხდით პანაშვიდს,  
მორწმუნეთ აშინებდით დაიძინეთ იქ ტკბილად  
ღმერთ და ჯოჯოხეთებით, ალილუას გიმლერთ მშვიდს!“

ეს ლექსი, რომელსაც ჰქვია „სამღვდელოებას“ (თუმცა, მას საერთო არაფერი აქვს პოეზიასთან) დაიბეჭდა 1923 წლის 18 თებერვალს გაზეთ „სპარტაკში“ ფსევდონიმით „დ-ა“ და ზუსტად გამოხატავს იმ პოლიტიკას, რომელსაც ამ პერიოდის საქართველოში ბოლშევიკური მთავრობა ახორციელებდა სა-სულიერო პირების მიმართ.

პოეზია ჩაერთო **ანტისაშობაო კამპანიაშიც**. ანტირელიგიური ლექსების შეთხვით ცნობილმა სეზმან ალექსის ძე ბატკუაშვილმა, რომელიც ფსევდონიმით „დ-ა“ ბეჭდავდა, გაზეთ „სპარტაკში“ (№69, 1924) ასეთი ლექსი გამოაქვეყნა:

# კატარა ფელეფონის გური

## სამობაო საყვირი

ცრუმორწმუნეთა წესით  
დღეს იქსოს შობა...  
მაგრამ ნამდვილად, რომ ვსოდეთ  
მღვდელ-დიაკვანთ შობა!

დღეს ქრისტიან მოზრწმუნეთ  
აუხვევენ თვალებსა;  
(შემდევ ფოფულიებთან  
ყველის ნახავთ მთერალებსა!)

ჩადგან ჯურ პლავ არიან  
ბევრნი ისეთნი, რომა  
გასიტყვლ მღვდელთათვის  
არ ეზარებათ შრომა,

თავის ხარცით ინახვენ —  
მიაქვთ ზურგელები —  
(თუმც ყველა დედაბერნი,  
არც ერთი ჯილდი!

ამიტომ ახალ ძალით  
შეკუტიოთ ჩათ ბანებს,  
(საბალისო ბრძოლაში  
ვაწვივთ ყველა ამხანაგს!)

შარზან პირველ შეტევით,  
შეკურავეთ ფუძნი —  
(წრეველს, სკლის მამებო  
აბა კიდევ უძელით!)

მჟობე დახტებით, ქალა  
უნდა იჯვავთ კვილი;  
(მღვდელის ას გარისებათ  
არმის პატივით შეულა!)

დღეს, ქრისტე კიდევ ვამბობთ  
კომივჭიროს შობა  
და შემოსის შეკლების  
სამართლო შობა...

ეჭვიმობთ დღეს ჩვენს შობას —  
და კალამ გოგოს,  
(მღვდელთა ქანებამ კუპონი  
თავის ხელით თვის!

მათ ნანგრევებშე იხსლს  
ტატებს ივეგებთ ჩვენა;  
(გოგოს, ძველ ქრისტების  
შე უკეთ ჩაქვენა!)

მთელი მამილით და შემო,  
კომიტიშით ნაბინი,  
(ტერტერავ შენ იტირე  
მღვდელი მიუსი ბანი!)

დღეს, ჩენ ურნის დინამიტა,  
აკუკუტებთ უკუღანა,  
რათა მკრეტრუბით  
განვანოლოთ ჭკვანა...

დ — ა.

განსაკუთრებით მძვინვარებდა ანტისააღდგომო სულისკვეთება. თამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობა ჩაება ანტისააღდგომო პროპაგანდაში და შეიქმნა ანტისააღდგომო პოეზია.

„လွှာတင်းမြကြပြော်ဖျော်တပါ“ အလုပ်ဖိန္ဒ



(ეს პამფლეტი დაბეჭდილია გაზეთ „სპარტაკში“, №30, 1923 წელს).

1923 წლის 7 აპრილის „კომუნისტში“ (№8) დაბეჭდილია მუშა გიგო ხეჩუაშვილის ლექსი „ნითელი კვერცხი“ თუ შრო-მის ბაირალი“:

... „მლოცველნი ხატებს თვალ-მარგალიტს თვალში უყრიან, „სამოთხეს“ აძევს ჯოჯონეთის მაგარი კლიტე, მოჩვენებებით სიმართლეს ღრმა საფლავს უთხრიან, ორი ათასჯერ დაუმარხავთ „იესო ქრისტე“! ჰოი, მშრომელო, გაახილე მძინარე თვალი! კვარა აქამდინ რაც მოსტყუვდი, რამდენიც შერცხვი, ინამე მხოლოდ სინამდვილე და მომავალი, შრომის ბაირალს დააშორე „წითელი კვერცხი!“

ანტისაალდგომო პროპაგანდაში თავისი სიტყვა უნდა ეთქ-  
ვა მწერლობასაც. 1923 წლის გაზეთ „სპარტაკში“ გამოქვეყნ-  
დება პასქვილი, რომელშიც საალდგომო წირვაზე მისული  
კომკავშირელის „გმირულ“ სულია გამოხატული, თუ როგორ  
დააშინა მოძღვარი თავისი მარქსისტული ცოდნით და როგორ  
გაფანტარელიგიური სიბრძელე. ეს უმწეო „პოეტური შედევრი“  
კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა ესთეტიკისა და გე-  
მოვნების ავტორები წერდნენ ანტირელიგიურ ქმნილებებს.

ჩეულებრივ, მღვდელმა იწყო კუროსეფი  
საცეცურის შეღლა ქჩა და რხევა...

რა ჩამოჰკრეს ლიტონიაზე ზარი  
წითელსა კვერცხს გადასახა შენ ჯვარი.

პას ისევ თვისი აღდგომა ჰვონია,  
თუ რა ხდება? — ჯერ ვერ გაუკონია!

უცებ, კვერცხით „კომსომოლი“ ამოხტა.  
რღვდელი შეშით გაიძიხის: „რა მოხდა?“

„კომსომოლისტს“ ხელში წიგნი უჭირავს,  
რღვდელს დვილებურ ლოცვა ვეღარ უწირავს.

და ბუტბუტებს: „ამინ! ალილლუია!...  
გრლში ჩემად ჰკვენების: ავარ, ვუია!“

„კომსომოლისტი“ სიამით რცინის,  
აზ ეშინია მ.ს მღვდლებისა სისრნის...“

წიგნით ხელში ჰკვენის: პა, ძლიერება,  
სწავლა, შრომა, წინსელა, მეცნიერება!  
ვისაცა გსურთ, თ, აღდგომა ნამდვილი,  
უხლა ჩემით შველასა გაქვა გზა სინილი!

1924 წლის 25 აპრილის გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს  
მუშა სიო ხიდისთაველის ლექსს „ჩვენი აღდგომა“:

„ჩვენი აღდგომა სულ სხვაგვარია,  
მას სულ სხვა სახის აზის ელფერი,  
შრომის სამეფო მტკიცედ გვიპყრია,  
ირგვლივ გვამშვენებს წითელი ფერი!  
ძველი სამყარო გავატიალეთ,  
ახალს ვაშენებთ მტკიცე შენებით;  
ბრძოლის მახვილი დავატრიალეთ;  
რწმენა გავსჭედეთ ურყევი ნებით“.

1928 წლის 15 აპრილის გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს  
პროლეტმწერლობის წარმომადგენლის, შაქრო ნავთლუღე-  
ლის, ლექსს „ბებია და აღდგომა“:

„ჩემი ბებიაც განდგომია  
თავის ძველ რწმენას,  
წინათ კი ისიც თაყვანს  
სცემდა  
„ცაში მეუფეს“,  
დღეს ახალ ჰანგზე  
ამუსიკებს  
მოხუცი ენას,  
ისიც ფიცულობს ოქტომბრისას  
ქარ-ცეხლოვან მზეს.  
ჩემ შვილთ პიონერთ  
თანაუგრძნობს,  
შეჰვიარებია  
და აბრამისა წიაღისა  
სუფევა არ სწამს,  
სძულება სუმეცრება, სიმართლის  
გზას შესთვისებია  
და აღიარებს მაშვრალთ  
მხსნელად  
ახალგაზრდათ გზას.  
კვერცხებსაც წითლად აღარ  
ღებავს  
სააღდგომოდა,  
ნამცხვარს არ აცხობს, არ  
აპირებს  
ზეიმს და ქეიფს,  
გულმოდგინებით ემზადება  
სამაისოდა,  
აღფრთოვანებით უცხო  
ფერად  
კაბას იკერავს“

გაზეთი „სპარტაკი“ არ დალატობს ჩვეულ ტრადიციას და ბეჭდავს ირონიით აღსავსე ფელეტონს „სააღდგომო წირვა“, რომელშიც მღვდლისა და დიაკვნის ღორმუცელობასა და სიმსუნაგეს ამხელს:

## კაცქაშ ფელეტონი

### სააღდგომო წირვა

**მღვდელი (გალობრი)**

ქრისტე იძლევა მკვდრეთით!  
მოიტნეთ ზურგ ელა! .  
რა უთუ შეგეშითო მფალი,  
რომელსაც თქვენ მიელით!  
და აკვ. წო დიაკვნონი! —  
აქეთ გადმოდე პაკ! ..  
მაგრ. მ ისე-კრ, რომა  
არ ჩამოიხსნა მასეა... .  
რათა, ვერან გაგვაგოს  
ჩვენ, ამანი ტურილი;  
და წითელი კვერცხბი  
ჯიბე, ჩაიდე წყვილ! .  
რა მეთუ „უკა არაბის როსტევან  
შევე ღვთისეგ ნ სეიინა“,  
ეს ღვენო აქეთ მოიტა  
და ბეკეკია რეინი! ..

**დიაკვნი (გალობრი)**

მე ქმის! მართლაც კარგია!  
ალილუ-ა, რსახნა... .  
მე ხომ გერ შოვისვერე?  
ხელთ ჩაკიგდებ, ო, სანაშ!.  
რა მეთუ იგი არია  
მომნიშვ ცხოვებისა; —  
მაღა არ დამჟარევია  
ნაზუქის და ცხვებისა! ..

**ერთად გალოხენ.**

კურისხეულ არს მ-მასა,  
და ძისა, და სულისა  
წმანდისა, ამისა,  
ამ ნ, ჩვენი გულისა... .  
ხალხს ლუ-ცე და  
ჩვენ ქონება,  
სად აქეთ იმ სულელო  
გონიერებააა... .

ანტიქრისტიანული პროპაგანდით განსაკუთრებით ცნობილ ამავე გაზეთში („სპარტაკი“, №28, 1923 წ.) „კოკობის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ლექსი „კომკავშირის აღდგომა“:

„წრეულს ვდღესასწაულობთ  
კომკავშირის აღდგომას  
და საუკუნოთ ვმარხავთ  
მღვდლების მატყუარობას.  
მღვდლები ყველა დაპარსეს,  
ჩამოართვეს საყდრები  
და ამით განათლებას  
მათ გაუღეს კარები!  
მის სულის ჩამდგმელი  
ვართ ჩვენ, ახალგაზრდები,

ჩვენ პირველად წამოვსთქვით:  
„აღარ გვინდა ხატები!“  
ჩვენ პირველად დავამხეთ  
ძველი ქრისტეს აღდგომა  
და მის ნაცვლათ ავაგეთ  
კომკავშირის აღდგომა.  
გაუმარჯოს კომკავშირს  
და საბჭოთა მთავრობას,  
გაუმარჯოს მასთანვე  
კომკავშირის აღდგომას!“

აღდგომას დაუპირისპირეს 1 მაისი, ის გამოაცხადეს  
საყოველთაო დღესასწაულად და ამით, თავიანთი აზრით,  
ლახვარი ჩასცეს ქრისტიანულ დღესასწაულს. ქრისტეს აღ-  
დგომის ნაცვლად შეცაადნენ დაემკვიდრებინათ „შრომის აღ-  
დგომა“. 1924 წლის გაზეთ „სპარტაკში“ (№89) ვკითხულობთ:

## პირველი მაისი

პირველ მაისი არის ჩვენი შრომის აღდგომა,  
შრომმელ ქვეყნების, მშობლელ ხალხის დღესასწაული,  
ამ დღეს ერისათ ყველა მუშებს ფეხშე აღგომა,  
დღეს ბრწყინვას ჩვენოვის. დღეს ორკვევა ჩვენი წარსული.

დღეს მუშა გლეხთან შეერთებით სუნთქვას სულდგმულობს,  
ვიდრე კაპიტალს ის არ მოსპობს არ მოისვენებს.  
როს ლახვარის ჩასცემს შრომისა მტრებს, შმართველ ორგულებს,  
მაშინ ერთ მთლიან შრომის ტაძარს ის ააშენებს.

ოკეანეა მუშის გული, — ზღვასაებრ ლელაქს,  
ის არ დაინდობს კაპიტალის შეთითხნილ ლმერთებს, —  
მუქთა ხორებსა, შრომის მტრებსა, ფეხქვეშ გასორელავს,  
გაღმოაპრუნებს დელამიწას, ცას შეუერთებს...

გაშ გაუმარჯოს ახალ ქვეყნის მტკიცე ყავარჯენს,  
ფოლადისებურ შედუღებულ ჩვენს ახალ რიგებს,  
ჩვენს ბელადს ლენინს და მარქსისა ლიად მცნებასა,  
და მთელ მსოფლიოს პროლეტართა შეერთებასა.

გიორგი ჩარხეშვილი.

ამას გარდა, უურნალში „რელიგიის წინააღმდეგ“ (რო-  
მელიც „საქართველოს უღმერთოს“ წაცვლად გამოვიდა  
1930 წელს და სამეცნიერო-მეთოდური ორკვირეული ან-  
ტირელიგიური ორგანო იყო) და, ასევე, უურნალ „მებრძოლ  
ათეისტში“, რომელიც, ამასთანავე, ანტირელიგიურ-მხატ-  
ვრული გამოცემა იყო, იძეჭდებოდა აბსოლუტურად უნიჭო  
და უესთეტიკო „ნიმუშები“ სეზან ერთაწმინდელის, კოლა  
გულიაშვილის, ღულუ იაშვილის, კანდის, ოსიტას, ფირუზას,  
ა. ახნაზარის (ჩიორას), პ. ირეთელის, ი. ხინველის, სიმონ-  
აღას, ი. ხ.-ის, გრ. მ-იანის, გიორგი ღარიბაშვილისა და მთა-  
ვარი უღმერთო პოეტის - მ. უზნაძისა.

• რაპპელები ამტკიცებდნენ, რომ **ეროვნული** კულ-  
ტურის ლოზუნგი რეაქციული ლოზუნგია, რომ პროლეტარ-  
იატი არა ეროვნულ კულტურას, არამედ ინტერნაციონალურ  
კულტურას ქმნის. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ენი-  
ნააღმდეგება ლენინიზმსო. ისინი გამოდიოდნენ ყოველგვარი  
პატრიოტული და ეროვნული მოტივის წინააღმდეგ ლიტერ-  
ატურაში, თავს ესხმოდნენ თვით პროლეტარულ მწერლებსაც,  
ძველი თაობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით — იოსებ  
გრიშაშვილს, ლეო ქიაჩელს, ალ. აბაშელს. მათი აზრით, აკაკის  
პოეზიას დღეს მხოლოდ უკან ჩამორჩენილი თუ ეტანება... იგი  
ძველი კულტურის ნამთს წარმოადგენსო. ასეთ შეფასებებს  
ზურგს უმაგრებდა ფ. მახარაძე, რომელმაც პირველ ყრილო-  
ბაზე თქვა: იღიას და აკაკის ხალხის ინტერესების არ სწამდათ  
(ჭილაძა 1953: 47). მარქსისა და ენგელსის ცნობილი სიტყვები:  
პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო ს. თოდრიამ ჯერ კიდევ  
1920 წელს ასე განგვიმარტა: „მარქსს და ენგელსს ამ სიტყვე-  
ბით იმის თქმა სურდათ, რომ პროლეტარიატის სამშობლოს  
დაპატრონებიან კლასები და მისთვის ეს სამშობლო ჯოჯოხ-  
ეთად არის გადაქცეული, რომ ამიტომ პროლეტარიატს ეს  
სამშობლო უნდა მოიპოვოს ბრძოლით და ამ გაბატონებულ  
კლასების დამხობით“ (კომუნისტი, №7, 1920: 3).

უცნაურად განიცდება **სამშობლო** (თუ ამას შეიძლება პატრიოტიზმი ვუწოდოთ): „ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლოს მიწის სიშორე / მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი“ (ლორთქიფანიძე 1927: 107); პროლეტმწერლებმა შეძლეს ის, რაც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არავის მოსვლია აზრადაც კი – გაუცხოება სამშობლოსაგან, უარყოფა ეროვნულისა და დამკვიდრება გაუგონარი ნაციონალური ნიჰილიზმისა: „რად მინდა სამშობლო? / ჩემთვის ერთია / ერეკლე მეფე და აღა-მაჟმად-ხან“ — ასეთი რიტორიკა ეფუძნებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას. უნებურად გაგახსენდება ოთარ ჭილაძის სიტყვები: „სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა — მონებს“ („ადამიანი გაზეთის სვეტში“).

პროლეტმწერლები გამოდიოდნენ ყოველგვარი პატრიოტული და ეროვნული გრძნობის წინააღმდეგ. გაჩნდა ეპოქის ნეგატიური სულის ფუნდამენტური ოპოზიციები: ეროვნული — ინტერნაციონალური; ღმერთი — ბელადი. ასე იქცა უღმერთო და უსამშობლო ადამიანების ხროვა ქართული მწერლობის გზისა და გეზის მიმცემად. ამიტომაც უწოდა მოგვიანებით ირაკლი აბაშიძემ პროლეტმწერლობას: „რევოლუციის პირველ წლებში ფრთაგაშლილი **უსამშობლო კოსმოპოლიტიზმი**“ (აბაშიძე 2003: 80). სიტყვა „პატრიოტიზმი“ უკვე ირონიას იწვევდა (როგორც დღეს ალიქმება სუბვერსიულად, უცნაურად, ზოგჯერ უადგილოდ და სასაცილოდ!). ბ. ბუაჩიძის აზრით: „აკაკის ზოგადი, მთლიან – ეროვნული ხასიათის პატრიოტული ლირიკა – ვითომც უვნებელი, საგრძნობლათ აჩლუნგებდა და ანელებდა კლასიურ ბრძოლის ხაზებს“ (ბუაჩიძე 1927: 16). კრიტიკოსი წუხდა იმის გამო, რომ პატრიოტული ლირიკით დამძიმებულია ქართული პოეზია. ცოტა მოგვიანებით კი უფრო მკაცრი განაცხადით წარდგა მკითხველთა წინაშე: „ლაპარაკი ეროვნული მთლიანობის შესახებ მეტად ძველია და მისი სოციალური შინაარსი ანტი-პროლეტარულია“ (ბუაჩიძე 1934: 195).

ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელიც ატაცებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, იმთავითვე გააზრებული იყო ეროვნულობის წაშლის საფრთხედ (შდრ. დღევანდელობა და გლობალიზაცია), ამიტომაც ჯერ კიდევ 1920 წელს შემფოთებული წერდა ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე: „ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება. მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს, ნაცია, — ალფა და ომეგა კულტურისა, — უარყოფილია“ (ლეონიძე 1920:). საბჭოთაში უკვე ჩემი სამშობლო საქართველო აღარ იყო, ამას ასეთი ახსნა მიეცა: „ქართულ პოეზიაში სამშობლოს ცნებამ უაღრესად ფართო მნიშვნელობა მიიღო. სამშობლოს ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ხალხების მიწა-წყალი, სტალინური მეგობრობით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების მრავალერიანი სამშობლო“ (ჭილაძა 1953: 152).<sup>2</sup>

- 
2. სხვათა შორის, ქართველი ერის ასიმილაციისა თუ ფსიქო-სოციალური მუტაციის პროცესი კარგა ხნის დაწყებული იყო. ცარისტულმა რუსეთმა ქართველთა გარუსებისა და დამონების პოლიტიკა წარმატებით აღასრულა. ამისი ერთი სამარცხვინო მაგალითი საქართველოს გასაბჭოებამდე გამოაშკარავდა თბილისში. საილუსტრაციოდ მოგვყავს ფრაგმენტი რევაზ გაბაშვილის მემუარებიდან: „ყველას ახსოვს ალბათ 1915 წლის „პანიკა თბილისში“ და მთელ კავკასიაში, როცა ოსმალები შემოიჭრნენ სარიყამიშში და რუსის ჯარის უფროოსი მიშლავესკი გამოიქცა ფრონტიდან. თბილისის ევაკუაცია იყო დაწყებული, სასახლიდან, „ხრამ სლავიდან“, ბანკებიდან უკვე გაჰქონდათ ყველაფერი რუსეთში, ჯარიც გაქცევაზე იყო, რომ ამ უტიფარმა „სარდალმა“ წინადადება მისცა საქართველოს თავად-აზნაურობას და ხალხს: „რუსის ჯარი სტოვებს კავკასიას, ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს ხიდები, სახლები, გადაწვას ბალ-ვენახები და ყანები და დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს დახვდეს მხოლოდ უდაბნო, საცა ვერც სანოვაგე, ვერც ბალახი, ვერც ცხენი და ურემსაქონელი და არც ადამიანი დარჩება — გამოსაყენებლადონ“. და, როგორ გვინიათ, საჩქაროდ შეკრებილ „საკრებულოში“ ეს საკითხი დაისვა გასარჩევად. მიშლავესკი, ამასთან, გვპირდებოდა: „თბილისა და სხვა ქალაქებს

1933 წელს ზემოთ ხსენებულმა სილიბისტრო თოდრიამ გამოსცა „იუმორისტული ლექსით თქმული“ „ქართლის ცხოვრება“, 106 გვერდი, რომელიც იწყებოდა ქართველი ერის ისტორიის უძველესი პერიოდიდან თამარის ეპოქის ჩათვლით. 1936 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეორე გადამუშავებული ვამოცემა, 157 გვერდი, უკვე როგორც სატირული ნაწარმოები. ს. თოდრია ისტორიის გაქილიკებას ამთავრებს მე-15 საუკუნით. ბოლო ისტორიული პირი, რომელიც მას ჰყავს მოხსენიებული, ყვარყვარე ათაბაგია. ამ წიგნის ორჯერ გამოცემა სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა იყო ქართულ მწერლობაში არა მხოლოდ თვალშისაცემი უნიჭობით, არამედ დამთრგუნველ-დამანგრეველი ეროვნული ნიჰილიზმითა და ირონიით. წინასიტყვაობაში ავტორი ასე წერდა: „იმ დროს, როდესაც პარტიისა და ხელისუფლების მიერ, — თანახმად ჩვენი დიდი ბელადის ამხ. სტალინის მითითებისა, დღის წესრიგშია დას-

---

ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზედაც არ დარჩეს ოსმალების თავშესაფარავად! კოტე აფხაზმა, ხმაჩახლეჩილი ხმით ეს რომ წაგვიკითხა, „კრებულს“ ჩიჩქოლი შეუდგა და პირველი სიტყვა მოითხოვა ბრწყინვალე თავადიშვილმა, განათლებულმა, მიუნხენის სამხატვრო სკოლადამთავრებულმა — დავით გურამიშვილმა და რუსულად, რასაკვირველია, წარმოთქვა ორატორული ნიჭის მხრივ, შეუდარებელი „რეჩი“: „ბატონებო, — ამბობდა გურამიშვილი — რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115-წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოვებს კავკასიას. აი ახლა, დღესა თუ ხვალ, მთავარსარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილის; ჩვენი მოქალაქეობრივი წმინდა ვალია ზედმინევნით შევასრულოთ მისი ბრძანება, დავანგრიოთ, გადავწვათ ყველაფერი, რომ ვერაგ მტერს არ დარჩეს არაფერი უნდა ხელში ავილოთ ყველამ მაჟარა, თუ სხვა იარაღი არ გვექნება და გავყვეთ რუსის ჯარს გავწყდეთ ყველანი და თუ ერთი ქართველიც არ დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპარეტორსა და ხალხს ისეთი ერთგული ხალხი ჰყავდა, როგორიც არის რაინდი ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დასდო, — პატარა სამშობლო, დიდი მამულის სამსხვერპლოზედ მისატანადო“ (ქართველი მხატვრის):).

მული საკითხი მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძვლზე ისტორიის ღრმა და სწორი გაშუქებისა და შესწავლის შესახებ, — მე ვპედავ ჩემი სატირული ნაწარმოების გამოქვეყნებას, რომელიც საქართველოს ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს შეეხება... აქ მე სატირულად ვაკრიტიკებ მაღალ წოდებათა წარმომადგენელთაგან გაყალბებულ ისტორიულ მასალებს, რომლებშიაც უმთავრესად მაღალ წოდებათა ამბებია მოთხოვნილი და სრულებით გამოტოვებული და მივიწყებულია მშრომელი ხალხის ყოფა“ (თოდრია 1936: IV). ბუნებრივად გაგახსენდება ილია ჭავჭავაძის წერილი დ. ერისთავის მიმართ: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ასეთის აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდროტვინავ და განმკითხავი არსაით არი“. ტოტალიტარულ ეპოქაში ს. თოდრიამ ვითომ მშრომელი ხალხის გულისტკივილით (ისე, რომ ილია ჭავჭავაძე არც გახსენებია) დაიწყო ქართველი ერის ისტორიის გაქილიკება, მისი დამუშავება „მარქს-ლენინ-სტალინის თეორიის“ მიხედვით.

წიგნის შესავალ წერილში (ავტორი მითითებული არ არის) გადმოცემულია ს. თოდრიას ბიოგრაფია, საუბარია მის დამსახურებაზე და გულის ტკივილითაა ნათევამი ისიც, რომ თავად ავტორს ულმობელმა სიკედილმა არ დააცალა მოსწრებოდა ამ წიგნის მეორედ გამოცემასო. აქვე ისიცაა მინიშნებული, რომ ს. თოდრიამ „საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ-ლიტერატურულ მოძრაობას საქართველოში... და პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის განუხრელად განხორციელებით რაზმავდა მხატვრული სიტყვის ოსტატთა საუკეთესო ნაწილს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ“ (თოდრია 1936: III). ფაქტობრივად, მთელი ეს უნიჭოდ შეთითხნილი სატირა, ძირითადად, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კომუნისტური ვერსიაა ანტირელიგიურ და

ანტიეროვნულ ლიტერატურულ დისკურსში წარმოდგენილი. მისეულ „შედევრს“ პოემის სახე აქვს და ყველაფერი დასა-თაურებულია იმ მიზნით, რომ მკითხველამდე სავალი გზა ად-ვილად მოძებნოს, „მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას“ თავიანთ ენაზე დაელაპარაკოს და განანათლოს.

როდესაც ამ წიგნს ბეჭდავდა (1933 წ.) ის უკვე ცნობილი „ულმერთო“ იყო და გამოცემული ჰქონდა ანტირელიგიური სატირულ-სატანური კრებულები: „დაბადება ანუ ბიბლია“ ორ ტომად (1931), „ყბადასაღები წყალწასაღები ამბები“ (1932)... უშუალობისა და გულწრფელობის მაღალი ხარისხის მისაღ-ნევად უკვე ანტიეროვნულ „ქართლის ცხოვრებაში“ ავტორი ეთანხმება მკითხველთა იმ კატეგორიას, რომლებიც უსვამენ ასეთ შეკითხვას:

„შესჩერებიხარ მარტოდენ ზეცას,  
ლამის თვალებიც კი დაგებრიცოს,  
აღარ მიეცი ღმერთს გასაქანი!  
ნუთუ ვერ ნახე სხვა რამ საგანი  
დედამიწაზე, ჩვენს ახლო-მახლო,  
ბასრი კალამი რასაც შეახო?“

და, აჲა, იპოვა ქართველი ერის ისტორია, — იუმორისტული ლექსით ნათქვამი; „ისტორიკოსებსაც დაუგო მახე“, მივეცი იჭვებს მათი ტრაპახიო და გმირული შემართებით გაგვანდო:

„ხელი მოვკიდე „ქართლის ცხოვრებას“  
და გაბედულად თავს ვაძლევ ნებას,  
ის ჩემებურად „დავამუშაო“,  
ვგონებ, არ დამრჩეს შრომა ამაო“

(თოდრია 1936: 2).

მისი „ბასრი კალამი“ ყველაფერს შეეხო, ყველაფერს გადას-ნვდა. დიდი „სიბრძნისმეტყველებით“ გაშიფრა სიტყვა „საქა-რთველო“ და გაიქილიკა ბიბლიურ ნოეზეც: „ჩვენი სამშობლო იქაყოფილა, / სადაც ეს ლოთი ნოე შობილა. / ფიქრობდი, მიტომ გვერქვა ქართველი, / ჩემი ქვეყანა არის ქართ ველი!“ (იქვე: 8). ს. თოდრია „თავისებურად“, ანუ მარქს-ლენინ-სტალინის თეო-რიის კვალობაზე, თხზავს ათასგვარ სიბინძურეს, მაგალითად: გადმოგვცემს სვეტიცხოვლის აგების ისტორიას. როგორც ცნობილია, სვეტიცხოველი დაეფუძნა შვიდ სვეტს, თუმცა სწორედ მეშვიდის აღმართვა გაძნელდა, — მთავარი სვეტისა, ნათლისა სვეტისა, რომელიც მხლოდ ანგელოზებრივი ძალით დაიძრა ადგილიდან და გახდა მირონმდინარეც. თავად ავტო-რი ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

„რომ ყოლებოდათ დამკვრელთ ბრიგადა,  
გაძნელდებოდა ეს ამრიგადა?  
გადასულიყვნენ ან სოცშეჯიბრზე,  
შეასკდებოდნენ განა მას ჭიპზე?“

ამ სოციალისტური წიაღსვლის შემდეგ ის წმინდა ნინოს უწინდებს „ტვინით ღატაკების არამკითხე დედას“, ხოლო თა-ვად ანგელოზს, რომელმაც სვეტი-ცხოველი დაძრა ადგილი-დან, ასე მოიხსენიებს:

„ვნახოთ, გამოცხადდა ვიღაცა ჭაბუკი,  
პირს მას ეჭირა, ეტყობა, ჩიბუხი,  
რადგან არ მოსჩანდა ამ კაცის სხეული,  
მთლად თუთუნის ბოლში იყო გახვეული!“

მთელი ეს ნარატივი მიზნად ისახავს რელიგიის დისკრედი-ტაციას, სარწმუნოების გაშარებას, სიწმინდეების წაბილ-წვასა და წმინდანთა გამასხარავებას. თუმცა, რა გასაკვირია, სილიბისტრო თოდრია ხომ ქართველ მებრძოლ უღმერთოთა

კავშირის თავმჯდომარე იყო და ყველას აძლევდა ღმერთმებრძოლეობის ცოცხალ მაგალითებს. იგი, ზოგადად, „ქართლის ცხოვრებას“ აბდაუბდას ეძახის: „ყოველივე ის აბდა-უბდა, / მოთხრობილია რაც „ცხოვრებაში“, / რომლის სიყალბეს მიხვდება ბავშვი“ (იქვე: 39). ს. თოდრიამ არ დაინდო არავინ, ვინც მეფე და გმირი გვყავდა, თავი კი იმით იმართლა, რომ:

„სამასზე მეტი ჩვენ მეფე გვყავდა,  
სამი თუ ოთხი მეფეს თუ ჰგავდა,  
სხვები კი იყვნენ ტაკი მასხრები,  
მათი გაცნობით გულზე გასკდებით“  
(იქვე: 56).

რას უთვლიდა ძირითად ბრალდებად, ძნელი სათქმელია. კომუნისტური იდეოლოგია მონარქს, მეფეს დამხობა-განადგურება-ლიკვიდაციის სტატუსს ანიჭებდა, პროლეტარს დაეძებდა და ბოლშევიკს აღმერთებდა — ასეთ გმირსა თუ პერსონაჟს, რა თქმა უნდა, „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ იპოვ-იდა. ამიტომაც, ერთგან ასეთი უსუსური ბრალდება გამოთქვა:

„ჩვენს მეფეებს ხოლმე ხშირად დაეკარგებოდათ ალლო, ისეთ რამეს ჩაიდენდნენ, არ იზამდა იმას ბალლო.	ამის გამო იტანჯოდა სულ მუდამ მშრომელი ხალხი, წელიც კი არ გავიდოდა, არ დანგრეოდა თავს სახლი“
--	---

(იქვე: 152)

უფრო კონკრეტული რომ იყოს ჩვენი მსჯელობა, მოვიხმოთ რამდენიმე პასაჟი-ბრალდება მეფეთა წინააღმდეგ გამოთქმული: ვახტანგ გორგასალიც მიუღებელი აღმოჩნდა ს. თოდრიასათვის, რადგან, მისი აზრით, საუკუნეები დასჭირდა გორგასლის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, კერძოდ:

„იმისთვის არის ვახტანგ საძაგი,  
რომ მან ქვეყანა ნაწვავ-ნადაგი  
ისეთნაირად დაანაწილა,  
რომ ის შეიქმნა ჩქარა საცილო“  
(იქვე: 54).

დავით აღმაშენებლის მიმართ თოდრიასეული მთავარი პრეტენზია იმდენად აბსურდული და სასაცილოა, რომ, შესაძლოა, შავი ზღვა, მართლაც, თეთრად მოგეჩვენოს. მთავარი ათეისტი აღმაშენებელს „ურნმუნოს“ უწოდებს („ამ ურნმუნო დავით მეფის დროს“), ერთგვარად, ფარისევლობაში ადანაშაულებს, რომ „ხალხს აპურებდნენ რწმენის საკენკით, / თვით სუქდებოდნენ ქონით და ჭენჭით“ (იქვე: 78)

რა თქმა უნდა, არ დაინდო დიდი თამარიც. გაუგონარი ირონიითა და ბინძური სულისკვეთებით საუბრობს მის შესახებ, უკადრებელს კადრულობს: ეჭვევეშ აყენებს თამარის პატიოსნებას, გამოჰყავს ის კაცების ტრფიალად. თავისი სილამაზის გამო ყველას უყვარდაო და:

„აბა ვინ არის იმის თავმდები,  
საქმე უმარცხოდ რომ გათავდება,  
მეფე-ქალს ბუში თუ შეეძინა,  
მაშინ ქვეყანა ხომ შეარცხვინა?!“

მართალია, შერთეს გიორგი რუსს, „ორ წელზე მეტი ხელი ამ რუსმა, / როგორც უნდოდა ქალს ისე უსვა“... მერე გაეყარნენ ერთმანეთს, „თამარი დარჩა ისევ უქმაროდ, / დაქორწინება უნდა უჩქაროდ, / თორემ ის საფრთხე, რაც იყო წინეთ, / თავიდან კიდევ ვერ ავიცდინეთ“ (იქვე: 87-88). გროტესკულ ხერხს მიმართავს ავტორი იმისთვის, რომ დასცეს დიდება და პატივი „ქართველთა სულისდგმის, ქართველთა დედისა“ (ვაჟა-ფშაველა) და ასეთ უხამსობას წერს ნუქარდინთან დაკავშირებულ ცნობილ ისტორიაზე:

„ზემოთ ვთქვი - სულთან ნუქარდინ  
თამარს თუ როგორ ექადდა,  
ის ხასად მას გაიხდიდა,  
თუ ნებით არ ჩაიხდიდა“

(იქვე: 101).

სილიბისტრო თოდრიამ, მეფეებთან ერთად, არ დაინდო  
ერისთავებიც და წყევლა-კრულვა შეუთვალა მათ:

როგორ იქნება არ ვახსენო ერისთავები,  
დღეები ადგა ხალხს ვისგანაც მუდამ შავები,  
გაუხმეთ ბარემ სამუდამოთ მაგათ თავები!“

(იქვე: 70).

რა შეფასება უნდა მიეცეს ასეთ გამოვლენას ლიტერატუ-  
რის ისტორიაში, ვის ნისქვილზე ასხამდა წყალს წიგნის ავ-  
ტორი, რა იყო მისი მთავარი მიზანდასახულება? — რა თქმა  
უნდა, ყველაფერი განპირობებული იყო „პარტიის გენერალ-  
ური ხაზის“ ერთგულებითა და კომუნისტური იდეოლოგიის  
დოქტრინიდან ამოვარდნილი ამ წიგნში არაფერია.

როდესაც ვსაუბრობთ ამ ტიპის ლიტერატურაზე, შეუძლე-  
ბელია არ გავიხსენოთ მ. ბახტინის „კარნავალიზებული ლიტ-  
ერატურა“. რა თქმა უნდა, მთლიანად, ამ პერიოდის პოლიტი-  
კური ლიტერატურული დისკურსი რაღაც ერთიან სინტაგმას  
ქმნის და მას ადვილად წარმოიდგენს მკვლევარი ბახტინი-  
სეულ კონცეფციათა გამაში. თანაც, ნიშანდობლივია ისიც,  
რომ ეს თეორია სტალინურ ხანაში ჩამოყალიბდა და ის მაინც  
გაიაზრებოდა, როგორც კომუნისტური სისტემის უარყოფის  
კულტურული მცდელობა. გარდა ამისა, „იმგვარი კარნავალი,  
როგორსაც დაუფარავი აღფრთოვანებითა და გატაცებით  
აღწერს ბახტინი, თავისი არსით, მისწრაფებით, მიზანდან-  
იშნულებით მკაფიოდ უპირისპირდება რელიგიას (პირველ

ყოვლისა, შესაბამის გარემოში დამკვიდრებულ ქრისტიანობას) და, კერძოდ, ყველაზე მეტად, ხაზგასმით, გამოხატულად — ეკლესიას, მის მოძღვრებასა და სულიერ ცხოვრებას, მის ღმრთისმეტყველებასა და ღმრთისმსახურებას“ (ღალანიძე 2010: 250). ამდენად, სილიბისტრო თოდრიასეული ფსევდოპოეტური ნაბოდვარი სწორედ ბახტინისეული აზრითაა კარნავალური. თავის ნაშრომში „დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები“ ბახტინი ცხადად ამბობს, რომ „ლალი, ფამილარული დამოკიდებულება ყველაფერზე ვრცელდება: ყველა ღირებულებაზე, აზრზე, მოვლენასა და საგანზე... კარნავალი აახლოვებს, აერთიანებს, შეაუღლებს და შეათავსებს წმინდას პროფანულთან, დიდს — დაბალთან, დიადს — მდარესთან და ა.შ.“ (ბახტინი 2010: 252). ამასთანავე, ამ გასაოცარ რელიგიურ ცინიზმსა და ულმერთო პროფილს, რომლიდანაც იმზირება მთელი საბჭოეთი, კარგად ესადაგება ბახტინისული კარნავალური კატეგორია — პროფანაცია, კარნავალური პაროდიები წმინდა ტექსტებსა და გამონათქვამებზე.

ანტირელიგიური სატიროდან ანტიეროვნულ დისკურსამდე არ იყო დიდი გზა გასავლელი. „ქართლის ცხოვრების“ სატირად ქცევა, ყველაფრის გაყალბება და წაბილწვა ბოლშევიკური სულისკვეთების გამოხატულება იყო, დასტური იმისა, რეალურად რას ემსახურებოდა ეს იდეოლოგია, როგორ ნერგავდა უსამშობლო ადამიანის კონცეპტს, როგორ უწევდა პროპაგანდას წარსულისაგან მოწყვეტასა და გაუცხოებას, ისტორიის უარყოფას. ს. თოდრიას „ქართლის ცხოვრება“ ლიტერატურული დოკუმენტია იმისა, რომ პარტიულ საბჭოთა ლიტერატურას, კერძოდ, პროლეტარულ მწერლობას, არ შეეძლო შეექმნა სამშობლოს სიყვარულის დისკურსი, ამიტომ იყო ის ანტიეროვნული და, შესაბამისად, ანტისახელმწიფოებრივი!

პროლეტმწერლობის ერთი უმთავრესი თემა **სოციალისტური შრომის პათოსი** იყო. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მთავარი მოტივი გახდა **ქვეყნის ინდუს-**

**ტრიალიზაცია და საკოლმეურნეო მშენებლობა:** პრელე-ტარი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები გულწრფე-ლად (?!?) გამოეხმაურნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკას, გვერდით ამოუდგნენ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში. როგორც ცნობილია, კოლექტიური შრომა აგრესიულ-ისტერიულ ხასიათს ატ-არებდა და სრულიად ბუნებრივ, ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებად ცხადდებოდა. გამორიცხული იყო ინიცია-ტივა და პიროვნების როლი — ყველაფერი მასის ერთიან უს-ახო შრომის ბუმად გარდაიქმნებოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ: „კოლექტიური შრომის რეგულატორი სახელმწიფოა, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო მანქანა, რომელიც ბედ-ნიერების ლოზუნგით იმონებს ადამიანებს და უსპონს მათ ინ-დივიდუალური თვითმყოფადობის გამოვლენის ყოველგვარ შანსს. ადამიანები შრომობენ ცხოველების მსგავსად, თან-დათანობით კარგავენ ღირსების გრძნობას და უსახელოდ, უგვაროდ ინტეგრირდებიან მასაში“ (რატიანი 2010: 137). პირველი, ყველაზე დიდი ინდუსტრიული გიგანტი — ზაჰესი მწერლებმა თავიანთი შემოქმედების თემად გაიხადეს. ბევ-რი ლექსი შეიქმნა მაშინ ამ თემაზე: ალიო მაშაშვილი წერს „მტკვარისტანს“, რომელშიც ზაჰეს ადარებს მზეს, ხალხის კეთილდღეობას რომ ემსახურება; „ზაჰეს, შენ გიმღერ“ — ასე უწოდა ილო მოსამვილმა თავის ლექსს. მან სვეტიცხოვ-ლის აღშენებას შეადარა ზაჰესი: „იქ, სადაც შრომამ, მზემ და სტიქიამ / მაღლა ამართეს სვეტიცხოველი“. ყველაფერით იმით დაგვირგვინდა, რომ 1927 წელს დაიბეჭდა „ამიერ-კავკასიის პროლეტმწერლების ლექსები ზაჰესზე“ ბენიტო ბუაჩიძის წინასიტყვაობით. საბჭოთა პოეტები უმღერიან სოციალისტურ შრომას, ინდუსტრიის ტემპს: „მიჰყევ, გაუ-გონე ბორბლებს სიარული, / არის საუკუნე ინდუსტრიალ-ური“ — გალაკტიონი. საბჭოთა მწერლები ადიდებენ დამ-კვრელობას, ქებას ასხამენ ხუთწლედის ტემპებს: „ჩვენს

ქვეყანას სჭირდება უამრავი ლითონი, / ჩვენს ქვეყანას  
სჭირდება მანქანა და მაზუთი, / მოვრჩეთ ოთხ წელიწადში  
დასახული ხუთწლედი“ — გალაკტიონი. სოციალისტური  
მშენებლობის თემას მიეძღვნა: გ. ლეონიძის „გმირი და პო-  
ეტი“, „შემკეთებელ ქარხანაში სტალინის სახელობისა“, კ.  
კალაძის „ზაჰესი“. ს. ეულის „ზღაპარი და სინამდვილე“,  
ი. ვაკელის „მაღაროს პრელუდიები“, კ. ლორთქიფანიძის  
„მუშა გამომგონებელი“, ვ. გაფრინდაშვილის „დამკვრელის  
სტრიქონები“, ალ. აბაშელის „ახალი თბილისი“, შ. აფხაძის,  
„ამდეზიტის დამკვრელ მუშას“ და სხვ.

• ერთ-ერთ მთავარ თემად გამოიკვეთა **სოციალისტური სოფელი**. ძირითად საკითხად იქცა დაპირისპირება  
ძველი და ახალი სოფლისა. რევოლუციამდელი სოფელი იყო  
ბნელი და გატანჯული. ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ  
მდიდრები და ღარიბები. ახალმა დრომ კი ეს უთანასწორობა  
წარხოცა. ამასთანავე, ძველ დროში არ ჩანდა მეურნეობის  
გარდაქმნის რეალური გზა, მოგვიანებით სოციალისტურ  
სოფელში კი პანაცეად კოლექტივიზაცია გამოცხადდა. ქა-  
რთული მწერლებისთვის ერთ-ერთი წამყვანი გახდა საკოლ-  
მეურნეო თემა, რომელზეც დაიწერა: კ. ლორთქიფანიძის  
„ახალი გლეხები“, „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“, სანდო  
შანშიაშვილის „პირველი ტრაქტორი“, გ. ტაბიძის „რევოლუ-  
ციონური საქართველო“, ე. პოლუმორდვინოვის „იღვიძებენ  
მთები“, გ. კაჭახიძის „წერილი მეზობელ კოლმეურნებს“,  
ი. აბაშიძის „ოდიშის პლანტაციები“, ა. მაშაშვილის „გან-  
გაში“, ალ. ჭეშვილის „ბრიგადელის დღიური“. „ეს ნანარ-  
მოებები ზრდიდნენ საბჭოთა ადამიანებს სოციალისტუ-  
რი სულისკვეთებით, უჩვენებდნენ მათ საკოლმეურნეო  
ცხოვრების პერსპექტივებს“ (ჭილაძა 1953: 52). კ. კალაძის  
პოემა „უჩარდიონი“ იყო პირველი ცდა ეპიკური პოეტური  
ტილოს შექმნისა საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე. უნდა  
აღინიშნოს ისიც, რომ, ზოგადად, სოფლის მეურნეობის

კოლექტივიზაცია არ მოიაზრებოდა მხოლოდ ეკონომიკურ საკითხად გლეხობის კოლმეურნეობებში გაერთიანებისათვის. ეს პროცესი, ამავე დროს, იყო: „მთელი ქვეყნის ადამიანთა საყოველთაო კოლექტივიზაციის წლები, სახელმწიფოებრივი ცდა პიროვნების გაუქმებისა და ადამიანთა გადაქცევისა კოლექტივის წევრად. წევრი და არა პიროვნება!“ (აბაშიძე 2003: 23).

სოციალისტური აღმშენებლობის ასახვის ფლაგმანი (ამ ეპოქის სულის გამომხატველი ტერმინი) გახდა ქართული პროზაც. მწერლები დაინტერესდნენ თანამედროვე თემებით. რევოლუციური ეპოქის, საბჭოთა სინამდვილის დახასიათებას და ამ სინამდვილის მხატვრულ ასახვას მიეძღვნა რაჟდენ გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“; სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“; ი. ლისაშვილის „ვარდნილი“; ელიზბარ პოლუმორდვინოვის „შამშილარ“, ლურჯი სუფრა“, „რკინის ძმები“, ორი მზე“; ო. ტატიშვილის „მოსარეცხე“; ალ. ქუთათელის „კორნელი და მუშები“; მ. ზომლეთელის „ბეჟანას დაბრუნება“; ბ. ჩხეიძის „ფერო“, „დღეები“; მ. ჩიქოვანის „ანეული“; რ. ქორქიას „გრიგალი“; პ. ჩხილვაძის „ბუთხუზი“ და „სართულები“; ს. წვერავას „გადაჭრილი მუხა“; ლ. მეტრეველის „ბოლშევიკი“... კ. ლორთქიფანიძის „ხავსი“, „პირველი დედა“, „ახალი გლეხები“ და „ძირს, სიმინდის რესპუბლიკა“, რომელსაც მოგვიანებით „იმერეთი“ დაარქვა. ამის შემდეგ დაწერა „მორევი“. ბოლოს, მწერალმა შეაერთა ყველა ეს ნაწილი, დაამატა ახალი თავები და საკოლმეურნეო თემაზე შეიქმნა სოციალისტური რეალიზმის მწვერვალი — „კოლეთის ცისკრის“ სახელწოდებით.

ქართული პროლეტარული მწერლობის შემოქმედების თემატიკა, შალვა რადიანის დაკვირვებით, ასე ჩამოყალიბდა:

1. წარსული რევოლუციური მოძრაობა — 1905 წელი (პ. სამსონაძის „პირველი ქარტეხილი“, ნ. ზომლეთელის „უგუ-

ლო დამეები“, ს. თალაკვაძის „1905 წელი“, ე. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები“, კ. კალაძის „როგორ“);

2. სიყვარული და ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირება (კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა“, „ხავსი“, „ფოტოგრაფი“; ა. მაშაშვილის „აი ადამიანი“, ე. პოლუმორდვინოვის „შამშილარ“);

3. კოლექტიური მეურნეობა (კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“, მიხ. ჩიქოვანის „ანეული“, ფრ. ნაროუშვილის პოეზია);

4. დამკვრელობა და სოც.შეჯიბრი – ა. მაშაშვილის, ირ. აბაშიძის, გ. კაჭახიძის პოეზია.

შეუძლებელია გამოყოფო რომელიმე პროლეტმწერალი და ვისაუბროთ მის შემოქმედებაზე, რადგან მხატვრული თვალსაზრისით ღირებულსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს ვიპოვით. იმისათვის, რომ უფრო კონკრეტული წარმოდგენა გვქონდეს მათს ნაღვანსა და პროლეტარული მწერლობის საერთო სურათზე, შევეცდებით, იმ ეპოქის ცნობილი კრიტიკოსის დასკვნებით წარმოვადგინოთ ზოგადი ფონი, ვინ რას და როგორ ქმნიდა: „სანდრო ეულის შემოქმედების ძირითად მოტივს წარმოადგენდა ქარხანა, წარმოება, ქარხანა-ფაბრიკა და ინდუსტრია; ნოე ზომლეთელის პოეზია, შავი რეაქციის პერიოდიდან დაწყებული, იყო რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდება, იმედიანი ცქერა მომავლისაკენ. მისი პოეზიის მთავარი მოტივი შრომა, ბრძოლა და რევოლუცია იყო; იონა ვაკელი პროლეტარული მწერლების პირველი თაობიდან ყველაზე ინდუსტრიალურია. ქალაქი, ქარხანა-ფაბრიკა იყო მისი შემოქმედების უმთავრესი თემა; პეტრე სამსონაძის პოეზიის განწყობილებას ქმნიდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისკენ მოწოდება, ძველი ქვეყნის დანგრევის სურვილები, რევოლუციონური ნება, პროლეტარულ-კლასიური პათოსი; კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის პოეზიაში დამახასიათებელია ბრძოლის განწყობილება,

რევოლუციონური ტონი, ნაციონალური და ქალაქის საკითხების სწორი დასმა და გადაჭრა, პროზაში კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთი დიდი პრობლემის გარკვევას — პირადულისა და საზოგადოებრივის, ინდივიდისა და კოლექტივის დამოკიდებულებას; ფრიდონ ნაროუშვილის შემოქმედების თემა თითქმის ყოველთვის აქტუალური და საჭირორბოროტოა. იგი არ ეტანება „ისტორიას“, შორეულ ნარსულს. მის ლექსებსა და პოემებში მკითხველი ყოველთვის გრძნობს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ სახეს. იგი ეხება სოფელს თავისი წინააღმდეგობებით, კომკავშირს, ორმისამართიან ადამიანებს, ახალი ქვეყნის მშენებელთ და სხვ. (რადიანი 1931: 79-94). კალე ფეოდოსიშვილი „მახვილი კუთხით სწევს ჩენი ყოფის თავლსაჩინო მხარეებს. რევოლუციონურ მებრძოლთა თვითეული წევრისათვის უპირველესი მოვალეობაა „სისხლით ნაბანი ჩვენი დროშის“ დაცვა, მისი ამართული ტარება და თვითგამეტებული ბრძოლა მასთან, ვინც ლამობს მის „ტყვიით დაცხრილვას“ (ბუაჩიძე 1960: 187).

ამ მიმოხილვიდან ნათელი ხდება პროლეტარული მწერლობის ძირითადი სათქმელიცა და საფიქრალიც, მისი უმთავრესი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დანიშნულება და ისიც, თუ როგორ გამრუდდა ქართული მწერლობის გზა მაშინ, როცა საქართველომ „სიკვდილის ცელით“ (კ. ნადირაძე) შემოდიოდა მე-11 არმია. ალ. აბაშელის თქმისა არ იყოს: მართლაც, სივრცე დაეთმო „შავფრთიან გველებს“ — ბოლშევიკებს, „დაცა რწმენა და პოეზია“ და „დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყელი, / გოდების გლოვა და სიმძიმილი“.

ბარემ აქვე ვიტყვით ერთი პარადოქსის (უფრო ნონსენსის) შესახებაც: უცნაურად უღერს პროლეტმწერლების გვარები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ფსევდონიმები იყო: ზომლეთელი, ერთაწმინდელი, აბაშისპირელი, ნავთლულელი, ხიდისთაველი, შინატეხილი, ქურიძე, მუშიშვილი... პარტიისთვის ერთგულების დამტკიცება „პროლეტარული ბუნების“

გვარის შერჩევითაც შეიძლებოდა.<sup>1</sup> გრიგოლ ხოფერიამ ნამდვილი გვარი მუშაშვილად შეიცვალა, — მუშათა კლასის პატივისცემის ნიშნად, თურმე სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა. სანდო ეულს საყვედურობდა: „როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე.ი. განმარტოებული, განცალკევებული, გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. 6. ზომლეთელსაც და ეულსაც აქვთ საუცხოვო ნამდვილი გვარი „პროლეტარული ბუნების“ — ქურიძე. ქურა ქარხნის ელემენტია“ (ბაქრაძე 1990: 41), კალე ფეოდოსიშვილი ვეკუა იყო, მანაც დაიწუნა თავისი გვარი. მთავარი პიროვნული მაგალითი და ნიმუში პროლეტარიატის ბელადებისგან ჰქონდათ: პირველმა ულიანოვის ნაცვლად ლენინი აირჩია, მეორე, ჯულაშვილი, კი „ამხანაგი სტალინი“ გახდა!

პროლეტარულ მწერლობას ჰქონდა პრაქტიკული მიზანი — თანდათან დაზუსტდა, რომ მისთვის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო რევოლუციური მიზნების, პროლეტარიატისა და პარტიის როლის ჩვენება ახალი სახელმწიფოსა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ამ ასოციაციის „იდეოლოგიური დასაყრდენი კომპარტია და მისი დაგენილებები იყო“ (გაფრინდაშვილი... 2010: 34).

---

1. რა თქმა უნდა, გვარების შეცვლა და ფსევდონიმების შერჩევა არ დაწყებულა პროლეტმწერლობით. უფრო ადრე, ე.წ. დემოკრატიული ჯგუფის წევრმა გიორგი ჩხეიძემ ფსევდონიმად ქუჩიშვილი აირჩია (სხვათა შორის, მისი ძმა იყო დავით ჩხეიძე, იგივე თურდოსპირელი). 1922 წელს გ. ქუჩიშვილი წერს ლექსს სათაურით „საყვედურზე საყვედური“, რომელშიც ზუსტადაა ასახული ის განწყობა, რომელიც ქართველი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ჰქონდა კონკრეტულად მისი ფსევდონიმის მიმართ. პოეტი ლექსს სწორედ იმ საყვედურებით იწყებს, რომლებიც ირგვლივ ესმოდა: „აფსუს, ჩხეიძეს ამჯობინე ქუჩიშვილობა / და სხვებსაც ურჩევ დაენაფოს ცხოვრებას უჩვევს, / კეთილშობილ გვარს მიაყენე ტლანქი ჭრილობა, / დაპგმე ზრდილობა და გაჰყევი მასებს და ქუჩებს“ (ქუჩიშვილი 1962: 234).

პროლეტმნერლობის სახელით მათ 1932 წლამდე იარ-სებეს. „საკავშირო კომპარტიამ 22 აპრილის დადგენილე-ბით რუსეთისა და საქართველოს პროლეტმნერალთა ასო-ციაციას 14 მაისს გააუქმებინა თვისი თავი, ხოლო 16 მაისს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ დაშლი-ლად გამოაცხადა ფედერაციაცა და მასში შემავალი ჯგუფე-ბიც (კვერენჩილაძე 2008: 106). თავის დროზე პროლეტმნ-ერლობის ახალგაზრდა ფრთის წარმომადგენელი ირაკლი აბაშიძე ცხოვრების ბოლოს ასე შეაფასებს ამ მოვლენას: „ოციანი წლების ბოლოსთვის, ოცდაათიანი წლების დასაწყ-ისისათვის მწერლობის პოლიტიზაცია, შეიძლება ითქვას, უკვე დამთავრებული იყო და არა მარტო დამთავრებული, არამედ ისე შორის წასულიც, შიშველ პოლიტიკაში შეჭრილიც და ორგანიზაციულ კინკლაობაში გადასულიც, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა პოლიტიკურ ორგა-ნიზაციად ქცეული და სალიტერატურო საქმეთა სრული ბატონი „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“ (სადაც 21-22 წლის კაცი მეც ვირიცხებოდი) გაეუქმებინა სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება იყო ლიტერატურასა და ხე-ლოვნებაში 180 გრადუსით შემობრუნება, რასაც იმ ხანებში მთავრობისაგან არავინ მოელოდა“ (აბაშიძე 2003: 47).

პროლეტმნერალთა მიმართ კრიტიკა თავიდან სუსტი იყო, რადგან ისინი წარმოადგენდნენ ქართული საბჭოთა მწ-ერლობის ჰეგემონურ ძალას, მაგრამ უკვე „რაპბული კრი-ტიკის კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულ პ. ქიქოძის კრიტიკული სტატიების კრებულს „ლიტერატურულ საქართველოში“, რო-მელიც 1927 წელს გამოიცა, თავად ავტორის განცხადებით, „გადაჭარბებული კომკავშირულ-მებრძოლი და პოლემიკურ-თავდასხმითი იერი აკრავს“. გადაფასება ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო. თვად ცნობილი ავტორები შეცდომებზე უკვე ლიად ალაპარაკდნენ, მაგრამ ეს დისკურსი საბჭოთა ხელისუ-

ფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამართლებას ემსახურებოდა.

გარდაიცვალა სტალინი და დასრულდა ტირანიის ერთი დიდი ეპოქა. ცოტა „დათბა“. უკვე ნელ-ნელა მომრავლდა წერილები პროლეტმწერალთა შემოქმედების ახლებური შეფასების კუთხით, თუმცა ქვეყანაში ისევ ზეიმობდა პოლიტიკური ტერორი და ბევრი არაფერი შეცვლილა. თანდათან მომრავლდა კრიტიკული ნააზრევი, მაგალითად: „პროლეტმწერალთა შეცდომა-ნაკლოვანება იყო ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულის მემკვიდრეობის დროს; მათი ზედმეტი მედიდურობა, რითაც ისინი უყურებდნენ ყველა დანარჩენ ლიტერატურულ დაჯგუფებებს; შეცდომა იყო მათი პრეტენზია რევოლუციონერობის სრულ პრიორიტეტზე; მათს გამოცემებში იძეჭდებოდა ძალზე საშუალო ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, დაბალი ხარისხის ლექსები (ხერხეულიძე 1977: 45-48). თუმცა, ამ ეპოქის ლიტერატურის პრინციპულად თამამი, ადეკვატური და სიღრმისეული დახასიათება მაინც აკაკი ბაქრაძემ შეძლო!

\*\*\*

საქართველო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების საგამომცემლო ჟურნალ „წითელი აფრაში (№4-5, გვ. 8) 1929 წელს ანაბარდის ფსევდონიმით ერთი ფსევდოპოეტი წერდა:

„დიალ, ჩვენ გვიხარია — სიამე ვიგემეთ:  
იწყება პარტიის რიგების წმენდაო, —  
პარტიას გასწმენდენ თვით ბოლშევიკები,  
და გულისვარამიც შორს გაიფანტაო“

ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული. „მას შემდეგ, რაც პროლეტარებს შავი საქმე გააკეთებინეს, საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებით “რაპპი” გააუქმეს, მის წევრებს კი სხვადასხვა ბრალდება წაუყენეს. მაგალითად, კალე ფეოდოსიშვილი 1935 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. იგი საქართველოში ვეღარ დაბრუნდა და ციხეში გარდაიცვალა 1943 წელს“ (ბასილაძე 2012:). მასთან ერთად, ამავე წელს სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით გაასამართლეს „პროლეტმწერლების ლიდერობის პრეტენზის მქონე“ (რ. კვერენჩილაძე) პლატონ ქიქოძე, შალვა შავგულიძე. ბრალად ანტისაბჭოთა პროპაგანდა ედებოდათ, სამი წლით ციმბირის კატორდა მიუსაჯეს, მაგრამ ცოცხალი არცერთი არ დაბრუნებულა. საბჭოთა ხელისუფლებამ არ დაინდო და გაანადგურა ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები ფრიდონ ნაროუშვილიც: „შენ პოეტი ხარ — პოლიტიკური / შენი ველების, შენი მთებისა, / შენ რესპუბლიკის მკვლელის მკვლელი ხარ, / როგორც ჯალათი — ჯალათებისა!“ სწორედ, ჯალათებმა მოუღეს ბოლო ამ სტრიქონების ავტორს. მოსპეს და არ დაინდეს გრიგოლ მუშიშვილი. 1937 წლის 22 ივლისს დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს პროლეტარული მწერლობის ყოფილი ხელმძღვანელი ბენიტო ბუაჩიძე, ბრალად კონტრრევოლუციურ-ტროკისტული დაჯგუფების წევრობა დასდეს.

გადარჩენილი ქართველი პროლეტმწერლები (ბნელეთის მოციქულები თუ ეპოქის მსხვერპლნი!) აქტიურად ჩადგნენ საბჭოთა მწერლობის რიგებში უკვე გამოკვეთილი შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის ეგიდით. 1932 წელს დაარსდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზებული ორგანო იყო და პარტიული ნომენკლატურის მიერ იმართებოდა. „მისი პირველი თავმჯდომარე, მალაქია ტოროშელიძე, მრავალთა

მსგავსად, ჯერ ჯალათი იყო, კრებებზე გამოდიოდა და ხალხ-ის მტრებს გმობდა, ხოლო შემდეგ თვითონვე იქცა რეპრე-სიების მსხვერპლად“ (ბექიშვილი 2011:).

ასეთი იყო საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა, რომელ-მაც გაამრუდა არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი ხაზი, არამედ დაშალა ადამიანი, დაანგრია რწმენა და სული, დეფორმირებული გახადა სამყარო. ამასთანავე, „ტოტალიტარიზმი, როგორც იდეოლოგია, ანუ სიყვარულის, თავისუფლების, პიროვნული „მე“-ს რეალიზაციის აღმკვე-თი სისტემა, მიმართულია აგრესიის გატოტალურებისაკენ“ (კვაჭანტირაძე 2013: 197) და სწორედ ეს იყო მიზეზი სახელმ-წიფოებრივი დიდი ტერორისა, მილიონობით ადამიანი რომ იმსხვერპლა. ავადსახსენებელი 1937 წლის 5-6 მაისს მწერ-ალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე ტიციან ტაბიძე იტყვის: „ჩვენ გვახსოვს ის დრო, როცა ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, როცა ქიქოძე-ნაროუშვილის აშკარა თავ-გასულობა იყო გამეფებული“ (კვერენჩილაძე 2013: 67). პროლეტარულმა მწერლობამ თავისი არსებობის 10 წლის განმავლობაში უმძიმესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ქა-რთული ლიტერატურის ისტორიაზე, არამედ, ზოგადად, ერის ცხოვრებაზე.

## პელადის პოლიტიკური პოლიტიკური ლირიკაში

საბჭოთა კულტურული სივრცის მთავარი საფიქრალი, მისი დიდება და აპოლოგია, მისი ზებუნებრივად „დადებითი გმირები“, რასაკვირველია, ლენინი და სტალინი იყვნენ. „ლენინის სიკვდილმა ბიძგი მისცა მათი ცხოვრების ლიტერატურულ დისკურსში შეყვანას, რაც პირველ ყოვლისა პოეზიაში ჩამოყალიბდა, ვინაიდან პოეტური ჟანრი უფრო აადვილებდა მათ თითქმის მითიურ სახეებად წარმოდგენას“ (კიზირია 2010: 378).

დასაწყისისათვის უნდა მოვიხმოთ ბახტინისეული კარნავალურობა, რადგან იგი თავისი ესთეტიკური და სოციალური ფუნქციით მთლიანად მოერგო ბელადის სახის გამოხატვას, მის მესიად ქცევას პოლიტიკურ ლირიკაში. მ. ბახტინის მიხედვით, მთავარი კარნავალური ქმედება არის „კარნავალური ხელმწიფის გამასხრება, მისი შემკობა და განმკობა... მიმდინარეობს ნამდვილი ხელმწიფის — მისი მონის ან მასხარის შემკობა და ამით ხდება გადმოტრიალებული კარნავალური სამყაროს გახსნა და საკრალიზება (ბახტინი 2010: 253). მთლიანობაში, ყველაფერი, რაც და როგორც დაიწერება ბელადების შესახებ, გამოხატავს კომუნისტური რეჟიმის პირობებში მწვავე პიროვნულ ტრაგიზმს, ოღონდ ისე, რომ ცხოვრება და სამყარო განიცდებოდეს, როგორც ბედნიერება, მხიარულება და უამი საუკუნეთა განმავლობაში ნანატრი სოციალური ყოფისა.

თვალი გავადევნოთ, როგორ იქმნება ბელადის სახე ქართულ ფოლკლორსა და პოეზიაში, როგორ იქცევა ბელადი მესიად პოლიტიკურ ლირიკაში. როგორც ცნობილია, ზოგადად, ლენინიანას უბიძგა სტალინმა. ქართულ პოეტურ ლე-

ნინიანაში ვკითხულობთ: „საპჭოთა ხალხი ყურადღებით სწავლობს ი. ბ. სტალინის რჩევას:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მას-ნავლებელი, ჩვენი ბელადი!

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიერ ისინი ილიჩისებურად!

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა ილიჩისებურად!

არასოდეს არ სთქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდ-მნიშვნელოვანი ანდერძი“ (ქართველი პოეტური... 1970: 171).

როგორც მიჩნეულია, ქართულ ლენინიანას სათავე გ-ტაბიძემ დაუდო ლექსით „გემი დალანდი“, პირველი პროზა-ული ქმნილება ეკუთვნის დ. სულიაშვილს, რომელმაც 1917 წელს დაბეჭდა „შვეიცარიიდან საქართველომდე“ (ემიგრანტის შთაბეჭდილებები), დრამატურგიაში პირველი სერიოზული ნაწარმოები შ. დადიანის „ნაპერნკალია“, თუმცა უფრო ადრე დაიბეჭდა ს. წერეთლის ინსცენირება ერთ სურათად „ლენინი აღარ გვყავს“ — 1924წ. და დ. ჩარხიშვილის „ლენინი ბარიკადებზე“ — 1930 წ. უფრო დაწვრილებით იხ. (ქართული მხატვრული 1971: 93-133).

რაც შეეხება სტალინიადის ბუმს, ამის შესახებ პოეტი ი. აბაშიძე იგონებს, რომ 1933 წლიდან მწერალთა კავშირში პარტიის წარმომადგენლებს განუცხადებიათ, რომ უკვე დადგა დრო და აუცილებლობა ბელადზე წერისაო — „ამ სიტყვებმა მწერლებზე ისე იმოქმედა, როგორც ამნისტიამ... სწორედ ამის შემდეგ გაიხსნა ნამდვილი ლიტერატურული მარათონი ვინ ვის“ (აბაშიძე 2003: 32). ი. აბაშიძე იმოწმებს თ. ნატროშვილს, რომლის აზრითაც, რუსულ პოეზიაში სტალინიანას სათავე ბ. პასტერნაკმა დაუდო, ამის შესახებ იხ. (ცხადაია 2009: 126-127).

ქართულ პოლიტიკურ ლირიკაში ქრისტიანულ მწერლობაში დამკვიდრებული სახე-სიმბოლოებით იქმნება და ყალი-

ბდება ბელადის, როგორც მესიის სახე და ჩვენ მიერ მოხმობილ მაგალითებს საგანგებო კომენტარი არ დასჭირდება ამის ნათელსაყოფად:

**ბელადი მზე:** ხალხურ ლექსებში ლენინს ხშირად მზეს ადარებენ, „გულწრფელად გჯერა ლენინის უკვდავება მზესთან შედარებით:

„შენ მარტო დღისით გვინათების კი ღამითაც მზე არი“  
(ბენაშვილი 1939: 11).

ერთ ლექსში ლენინის დაბადება შედარებულია ცაზე ბრნყინვალე ვარსკვლავების გამოჩენასთან... მნათობი ეძებს გმირს (ლენინს – ს. მ.), რომელიც დაიხსნის ხალხს... ამ ძებნაში თვალს მოჰკრავს თოვლიან მთებში ერთ ქოხს, ქოხში სძინავს ყრმას (იქვე: 10). აქ გაგვახსენდება ბაგაში მწოლარე ქრისტე და „მოტყინარე ვარსკვლავს“ გამოყოლილი მოგვები.

ვარსკვლავი და მზე ხშირადაა მოხმობილი ლენინის უკვდავების გამოსახატავად:

მზის ჩასვლას უგავს სიკვდილი;  
ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,  
მნათობი მთელი ქვეყნისა.  
ერთ ლექსში მზეს მიმართავენ:  
ვერ დავიჯერებ თქვენ ორში  
ლენინი უწინ მოკვდესა  
(იქვე: 36, 43, 47).

მზე არის სტალინიც, რადგან ისიც ბელადია, ამიტომ ქრისტიანული სიმბოლიკის გამოყენება თანაბრად ნაწილდება ბელადზე, სულ ერთია, ლენინი იქნება ის თუ სტალინი, ერთი მეორეს ჩაენაცვლება, როგორც პოეტი იტყოდა:

„ქვეყანამ იცის,  
მტერმაც კი იცის,  
რომ დღეს ლენინი  
სტალინი არის“

(ქართული ლექსები... 1937: 138);

ან

„როდესაც გხედავთ, ვიგონებთ ლენინს  
და გულში შენი ფიცი ენთება“

(სტალინს 1944: 31);

ამიტომაც ხშირად შეხვდებით სტალინისადმი მიძღვნილ  
კრებულებში ლექსებს ლენინზე და პირიქით. ერთ ხალხურ  
ლექსში კი ვკითხულობთ:

„დიდო ბელადო, მზისებრ დაგვნათი თავზედა,  
როგორც მზე მაცოცხლებელი – ერთი ხარ ქვეყანაზედა“  
(ლენინი და სტალინი... 1939: 131);

ლენინი მზის მომტანია, სინათლის ფუძემდებელი, მომ-  
ტანი სინათლისა, მის სიტყვებ აღარ მოკვდება, როგორც  
სინათლე მზისაო“ (ლენინის სახე 1957: 9). ამავე წიგნის ავ-  
ტორი წერს: „ლენინი, ბელადი – მზე – საყვარელი... პოეტურ  
ემოციურ სიტყვაში დიდი ლენინის სახე გახსნილია, როგორც  
მასების საყვარელი და მახლობელი ბელადისა, ახალი ქვეყნის  
ფუძემდებლისა, მზის ამომყვანისა“ (იქვე: 12). 1934 წ. მიხეილ  
ჩიქოვანს ქობულეთში ჩაუწერია ლექსი ლენინზე: „ორი მზე“,  
როგორც კი ლენინი გარდაიცვალა, მზემ ტირილი დაიწყო.

სტალინიც მზეა, მთვარეც, ერთი სიტყვით, — მნათობი:

„გზას შენ გვინათებ, ბელად,  
მთვარე ხარ ჩვენი მნათობი,  
შენ მხე ხარ სხივთა მფინარი,  
მშრომელი ხალხის გამთბობი“

(სტალინი... 1949: 51);

მეორე ლექსის ავტორი უფრო შორს მიდის:

„სტალინ, მსოფლიოს მნათობო,  
მზეთა-მზევ, ცაზედ მაღალი“  
(იქვე: 56);

სტალინის ღიმილი, გამოხედვა ასეთ ასტროლოგიურ  
ხატებს იწვევს:

„მზის მოსვლას გიგავს ღიმილი,  
გამოხედვა გაქვს მთვარისა,  
გვინათებს ღამის წყვდიადსაც  
შუქი წამნამთა ჯარისა“  
(იქვე: 79);

დასასრულ, ბელადების მზისმეტყველება ხალხურ პოე-  
ზიაში ასე დაგვირგვინდა: „ცაზე მთვარე ამოსულა, ვარსკვ-  
ლავები ბევრიაო, ჩვენს ქვეყანას ანათებენ სტალინი და ბე-  
რიაო“ (იქვე: 108).

ხალხური პოეზიიდან ბელადი – მზე, მზეთა-მზე, ვასკვლა-  
ვი, მნათობი... შეიჭრა ქართულ საბჭოთა პოეზიაშიც:

„დიდება მარად შენს სახელს,  
შენს სახელს მარად დიდება,  
მზე შენგან დანათებული,  
არასდროს დაგვებინდდება“  
(დიდ სტალინს 1949: 33);

„სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი და თვით ლენინი სინა-  
თლედ იქცა“ (ლენინის სახე 1968: 21).

აკაკი წერეთლის ნატვრა ერთმა პოეტმა ასე დაუკავშირა  
სტალინს:

## დიდება ჩვენს მუდამ ელგარე მზეს!

ჩვენს ხალხს, მშრომელ კაცობრიობას თავს დატყდა დიდი უბედურება. შეწყდა დიდი ბელადის, გენერალისიმუს ინსებ ბესარიონის-ძე სტალინს ძვირფასი სიცოცხლე.

ეს ამბავი ელგის სისწრაფით მოედნ მოედ ქვეყნიერებას, შეაშუოთა ქართველი ხალხის დედაქალაქიც. რამდენიმე დღეა, რაც თბილისი დუმს, მის გულს დიდი დარჩი დაუფლებია...

სტალინის სახელობის თბილისი ირთქმავალ-ვაგონშემეტებელ ქარხანაში სამგლოვიარო მიტინგი სასწრაფოდ შედგა. ინჟინერები და მუშავი ერთომორეს ცვლილენ ტრიბუნაზე. უსაზღვრო მწუხარებასთან ერთად მათს სიტყვებში უდრიდ საბჭოთა ხალხის მომავალ გამარჯვებათა ურყევი იმდი.

— ჩვენი ქარხანა, — ამპობდნენ ისინი, — ამაყობს იმით, რომ დიდი სტალინის სახელს ატარებს. ჩვენი ქარხანა ამაყობს იმით, რომ დიდა სტალინმა რეკოლუციური მოლვაწეობა აქ, ამ ქარხანაში დაიწყო. პირველი მარქსისტული წრები მან პირველად აქ ჩამოაყალიბა აქ ასწარლიდა ჭაბუკი სტალინი ჩვენს მუშებს პროლეტარული რევოლუციის სტრატეგიას. ჩვენი ქარხანის მუშები, ინჟინერები ღრმა მწუხარებას განიცემან, მაგრამ მომავალს მარიც იმედით შესცემით, რადგან — სტალინის საქმე უკვდავია.

მაღალმომან სოჭელ ერედინს კაჭმეურნებმა, შეიტყეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, მაშინვე თავი მოიყარეს კლუბში.

— არა გვჯერა, რომ ინსებ ბესარიონის-ძე სტალინი ჩვენთან აღარ არის, — თქვა სამამულო ომის მონაწილე კოლ-

მეურნე გ. ბორცვაძემ. — ის ცოცხად დგას ჩვენ თვალწინ. მისი უკვდავი სული მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში სამწუხარო დღეები კიდევ უფრო შეიძლოდ გვრაზმავს ჩვენი ბარტიის იგვლივ, იმ ბარტიის ირგვლივ, რომელ მენინმა და სტალინმა შექმნეს. ჩვეკორდეურნებმა დიდი სტალინის სელობისაა და მუდამ ეცდება, რილოსულად ატაროს ეს სახელი.

... ახლა, როცა მისი ძვირფასი ცელარი კაშირების სახლის სვეტები დარბაზში ასვენია, როცა დილის ექვს საათიდან დამის ორ საათამდე განუკეტელ ნაკადად მიეთინება მის წინა უკანსკენელი ვალის მოსახლელად ზღვალხი, მისი სახელით აღფრთოვანებლი კორელი ჯარისკაცი მეგარ. უტევს მოსისხლე მტერს, სახეშიჭმული, მაგრამ იმედის თვალით შესცრის მომავალს ჩინელი, მთელი მოწინე კაცობრიობა ფეხზე ამაღვარა და ადეგ უფრო მტკიცელ შემჭიდროებულ დიდი სტალინის მიერ ამართული მშეღობის ძროშის ირგვლივ.

მან ინი ლენინის ილმა თანამებროლმა და მის დაად საქმეთა განმეობმა, სინამდევილედ აქცია ის, რაზ საუკუნების განმავლობაში იცნებოდა მშრომელი კაცობრიობა. მან მოსი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგრძალებულობაშია, დაამყარა ხალხს სტალინური მეგობრობა, ნაკარტუტ-არცა ჩვენს წინააღმდეგ დარტული სისტური უკუნეოთა და ხალხს დააკომინიზმის მზე აღმოუბრწყინა.

დიდება მას — ჩვენს მუდამ ელგარ მზეს!

„აღდგა, აყვავდა საქართველო გადანათელი,  
მივიდა გმირი, რომ ეძახდა შენი ნალარა –  
მისი სახელი სტალინია, მზებრ ნათელი“  
(იქვე: 51);

კომუნიზმი, კრემლი და სტალინი ასეა გამთლიანებული ამ  
ლექსში:

„ჩვენი მზე კომუნიზმია,  
მზეში კრემლი დგას სალივით –  
და მიგვიძლვება მზისაკენ  
თავად მზე – დიდი სტალინი!“  
(იქვე: 57);

ერთი პოეტი დიდ ბელადს, გამირთაგმირს, სულით ძლიერს,  
ასე მიმართავს:

„ჩაუქრობელო ბრწყინვალებავ  
მფრქვევო სინათლის“  
(იქვე: 75);

ან: „ჩვენი მზეც, ჩვენი ვარსკვლავიც სტალინ, შენა ხარ!“  
(იქვე: 125);

ან: „ჩვენი მზე არის სტალინი“ (იქვე: 140).

განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა „სტალინის (სტა-  
ლინურმა) მზემ“. რას აღარ იგონებდნენ და წერდნენ, რომ:  
„თითქოს სხივები მღერიან, / რა მადლიანი დღე არის! / წი-  
თელი დროშის ფერია / ეს ხომ სტალინის მზე არის“; ბელადი  
ბრწყინავს მაღალ მზესავით; მრავალუამიერ მზესა და სტა-  
ლინს; სტალინური მზე სოფლად. უფრო შორსაც წავიდნენ.  
ტრადიციულად, ქართველი ადამიანი დედას იფიცავდა, ტო-

ტალიტარულმა ლიტერატურულმა დისკურსმა ახალი ფორ-მულა შექმნა: „სტალინის მზეს ვფიცავთ ყველა!“; ყველგან და ყოველთვის ჩვენ მამას გავყვებით – სტალინს, ბედნიერების მზეს!; დიდება ჩვენს დიდ სტალინს, / ხალხის მზედ ამოტ-ანილს; სტალინურ მზეს გაუთბია მათი გული. ალბათ, მოერი-დათ და მზეჭაბუკი ვეღარ უწოდეს, თუმცა მაინც მოძებნეს გამოსავალი: მყინვარზე გამოჩნდება თვითონ მზე-კაცი. ნი-შანდობლივია ის ფაქტი, რომ, რადგანაც ბელადი მზე იყო, მზე და სამშობლო უკვე სტალინსა და სამშობლოს ნიშნავდა. ამ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ 1939 წელს გამოცემული ალ. აბაშელის ლექსების წიგნი „მზე და სამშობლო“, რო-მელიც, ფაქტობროვად, სტალინის აპოლოგიაა.

მზის სიმბოლოს ბუნებრივად უკავშირდება ნათლის ესთე-ტიკა. არც აქ ჩამორჩა ბელადის მადიდებელი პოლიტიკური ლირიკა და შექმნა ახალი კონცეპტები: დგას სტალინი ნათ-ლის სვეტად; ბრძენი ბელადი, კაცი – სინათლის კანონმდე-ბელი; სტალინმა შუქი მოგვფინა (სტალინი... 1940: 176).

ეს მაგალითები ზღვაში წვეთია იმის საჩვენებლად, თუ როგორ დაუკავშირდა ბელადი მზეს, ვარსკვლავს, მთვარეს, სინათლეს, მნათობს... როგორ ეძებდა და წვალობდა პოეზია, რაც შეიძლება მეტი, ამაღლებული, დიადი ეთქვა და დაეფიქ-სირებინა; მზეზე, შექმნილზე აღმატებულად და უკვდავად წარმოეჩინა ბელადი. ასეთი იყო დამთრგუნველი ტოტალი-ტარული ეპოქის ირონიაშერეული სულისკვეთება.

**ბელადი მამა:** „მშრომელთა მამამ, ლენინმა, პირი გას-ინჯა ხმლისა“ (ლენინი და სტალინი 1939: 92); „და იღიმება ჩემს კარგს ქალაქში ყველა ქალაქის კეთილი მამა“ (ქართუ-ლი პოეტური... 1970: 64); „ჰქვია ბელადი, კიდევ? — მამა და კიდევ? — ბრძენი“ (იქვე: 66); „მან მომირჩინა ჩემი წუხილი, ჩემ სიმღერებში გამოვლენილი, მის ფურცლებიდან შუბლშუ-ჭმუხვნილი მესაუბრება მამა ლენინი“ (იქვე: 68). 1960 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა „მშობლიური სახელი“ (ლექსები ლენ-

ინზე). მრავალ დითირამბთა შორის ეს სტრიქონებიც შეგეფენებათ: „ის არის სიბრძნის, სინათლის / ლამპარი ჩაუქრობელი, / ლენინი — ხალხის იმედი, / ლენინი — მამა მშობელი“ (მშობლიური... 1960: 7).

სტალინიც მამაა: „სტალინ, სტალინ, ხალხთა მამა / საყვარელზე საყვარელო, / სულ სხვა ეშხით იმზირება / დღევანდელი საქართველო“; ასევე:

„სტალინო, დიდო ბელადო,  
მშრომელი ხალხის მამაო“

(სტალინი... 1949: 19);

ან

„სტალინო, დიდო ბელადო,  
შენ გინოდებენ მამასა“

(იქვე: 40).

„სცოცხლობდეს დიდხანს სტალინი, ხალხთა მამა და ბელადი“ (დიდ სტალინს 1949: 15); „მზედ და შვებად აქ ბელადი დაიბადა, ხალხთა მამა“ (იქვე: 88). სამშობლოს მამა და დიდი ბელადი ხშირად ლირიკულ ლექსებში წარმოდგენილია, როგორც ახალი ისტორიის მეთაური, ხალხთა სარდალი, რომლის ბადალი არასოდეს არ ჰყოლია კაცობრიობას:

„შენებრ მამა და სარდალი  
ხალხს დღემდე არა ჰყოლია“  
(ჭილაია 1953: 122).

ი. გრიშაშვილი წერს ლექსს „ჯამბული“, რომელშიც ასეთი პასაუი გვხდება: „მიყვარხარ, რომ შენ, ასი წლის კაცი, სოსო ჯუღაშვილს ეძახი მამას!“ (გრიშაშვილი 1939: 32).

ბელადი — მხსნელი, კაცობრიობის გადამრჩენელი;  
„სტალინ — მსოფლიოს გადამრჩენელო, სტალინ — პოეტის ყველა ლექსშია“ (დიდ სტალინს 1949: 72); „დედაქალაქი

სუნთქვაა ჩვენი, ...მხსნელსა და იმედს იქ სძინავს ლენინს“ (სტალინს 1944: 67); ლენინის სახე წარმოადგენდა სიმბოლოს მხსნელისას და ქვეყნის სიკეთისას. იგი მკურნალის ხელით ეხებოდა შვილის ცხედართან მომაკვდავ დედას გ. კაჭახიძის ლექსში „ლენინი“ (ქართული პოეტური... 1970: 45). ო. ჭელიძე ბალადაში „სწორუპოვარი მკურნალი“ ლენინს წარმოგვიდგენს როგორც ხალხისთვის თავდადებულს, მზრუნველს, გულისხმიერს, უბრალოს, მახლობელსა და შეუდრეველ გულ-თამხილველს“ - წერს ერთი კრიტიკოსი (ქართული პოეტური 1970: 37-38). რ. ჭიჭინაძე, რომელიც სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნების განცოფილების ქართული სექტორის უფროსად კრემლში მუშაობდა, იგონებს, რომ მას ევალებოდა საქართველოდან შემოსულ საჩივრებზე რეაგირება: „ათასი ჯურის მამაძალლი გვწერდა წერილებს. საოცარი ამბები ხდებოდა. ზოგს ისევ სჯეროდა, ლენინი ცოცხალიაო და წერდა: ახალი მთავრობის არაფერი მჯერა, შენ უნდა გვიშველო!“ (ჭიჭინაძე 2010: 125). დიდება ღმერთს, კაცობრიობის იმედსა და ნუგეშს, მოწყალესა და ყოვლისშემძლეს – ეს ცნობილი ქრისტიანული დამოკიდებულებაა უზენაესის მიმართ. პოლიტიკურ ლირიკაში კი ვკითხულობთ:

„ლენინს დიდება! მისი ნათელი თავს დაგვტრიალებს“ (ლენინი და სტალინი 1939: 69).

ან „დიდება მარად შენს სახელს,  
შენს სახელს მარად დიდება!“  
(დიდ სტალინს 1949: 33);

„სტალინურ ხანას ვუმღერით,  
სიმღერა არ მოგვწყინდება,  
დიდება თავისუფლებას!  
საყვარელ სტალინს დიდება!“  
(იქვე: 179);

ერთ ლექსში საუკუნეთა გადაძახილიდან დავითისა და თამარის ეპოქიდან გაისმის:

„თითქოს ვხედავდე ვარძიის თხრილებს,  
თამარის კოშკებს, დავითის გელათს,  
თითქოს ვისმენდე მათ დაძახილებს:  
დიდება ბელადს!“

(იქვე: 66);

მეორე ლექსის მიხედვით, თვით რუსთაველიც კი სტალინს ადიდებს:

„სხვა შენს გარდა ვინ იქნება  
ასე გრძნობდეს დროთა სუნთქვას!  
დიდო სტალინ! შენი ქება  
თვითონ მზიურ შოთას უთქვამს“

(ბელადს 1939: 14).

1939 წელს გამოვიდა ლექსების წიგნი „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი“, რომელშიც პირდაპირ ასეთი ფორმულირებაა: „ყოველი წუთი სიხარულია, / ყოველი წამი - ბედნიერება, / ბელადი ყველას სიყვარულია, / მისი სახელი არის დიდება!“ (ეული 1939: 40).

გ. ქუჩიშვილმა გულწრფელად უმღერა მშრომელი კაცობრიობის გენიალურ ბელადს, მის ნათელ, ბრძნულ საქმეებს. 1925 წელს დაწერილ ლექსში პოეტი წერდა:

„მისი სახელი დიდ რუსეთზე უდიდესია,  
ვერ შეედრება ვერც პუშკინი, ვერც პეტრე დიდი,  
ის იყო ყველა გაყვლეფილთა მხსნელი მესია!“  
(ქართული პოეტური... 1970: 116).

**ბელადი – გზის მაჩვენებელი**, სწორ გზაზე დამყენებელია, რომელიც მიგვიძლვის მარადისობისკენ, კომუნიზმის დიადი იდეისკენ:

„იგი მდუმარე გზას გვინათებს სხივთა ალებით,  
ჩვენ მას შევსცქერით სიყვარულით და მოკრძალებით“  
(ლენინის სახე 1957: 117);

ან

„სითბო გზრდიდა, ჩვენ სტალინის სითბო გვზრდიდა  
სამშობლოს აყვავებულ დროში,  
არასოდეს გადავსულვართ სწორი გზიდან,  
მივდიოდით წინ, სტალინის დროშით“  
(დიდ სტალინს 1949: 82);

ან „ჩვენი დროშა ხარ, მიიბრძვი და კალთებს მიაშრიალებ,  
თუ გზას გადავცდით, დაგვიტევ, ძახილს არ დაგვიგვიანებ“  
(ლენინი და სტალინი 1939: 65).

აღტაცებული პოეტი გაზეთ „კომუნისტში“ წერდა: „სტალინ, ჩვენ შენი სიბრძნე გვასწავლის / ყრმობას, გმირობას, ახალგაზრდობას“. მიტომაც, უნდა სცოცხლობდეს ბელადი, უნდა / ჩვენი სიბრძნე და აღორძინება“.

**სტალინის სახელი იქცა სამშობლოს სინონიმად**, თუმცა — ამ პერიოდში ჩვენი სამშობლო მხოლოდ საქართველო არ იყო, უფრო დიდი სამშობლოს შვილები ვიყავით, ინტერნაციონალური სამშობლოსი - საბჭოეთისა: „სტალინი და სამშობლო, სამშობლო და სტალინი — ეს ორი განუყრელი, ერთი აზრისა და გრძნობის აღმძვრელი სახელებია. სტალინი ჩვენი სამშობლოს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საბრძოლო დროშაა, მისი სიდიადისა და ძლიერების გამომხატველი“:

„შენ უკვე ჭაბუკს, თვლემიდან ამდგარს  
ჩაგრულთ წამება შემოგესია  
და შორეულიც შენი ძმა არის,  
თუკი უღელში დაუკვნესია“  
(ჭილაია 1953: 115)

**ბელადი – მოწყალე და ყოვლისშემძლე:** ბელადს მიმართავენ ისე, როგორც ყოვლისშემძლე და მოწყალე ღმერთს, როცა გაგიჭირდება მისი სახელი ახსენე და გემველება:

„სახელი იგი... ახსენე მხოლოდ — და გვალვაში  
დაუშვებს წვიმა,  
ახსენე მხოლოდ — გზას დაგითმობს მძაფრი ქარბუქი,  
ახსენე მხოლოდ — და გათბები, როდესაც გცივა“  
(ქართული პოეტური... 1970: 34);

ან „გფარავდა მარად ცადანვდენილი  
დიდი ლენინის ფრთალალი დროშა“  
(ლენინის სახე... 1968: 26);

პირდაპირაა ნასესხები სახე-სიმბოლოები სახარებიდან, ჰიმნოგრაფიიდან, რელიგიური ლირიკიდან და ამის კვალობაზე იქმნება პოლიტიკური ღმერთის სადიდებლები. გურამიშვილის უკვდავი სტრიქონები: „უტყვს ენას ძლვნიდი, ყრუს - სმენას“ იესო ქრისტეს მიემართებოდა. ეს პარადიგმა გამოიყენა სტალინის გარდაცვალების დღეებში პოეტმა ხ. ვარდოშვილმა და სტალინი ასე განადიდა:

„მუნჯს მისცა ენა, ბრმას აუნთო თვალი ნათელით  
და მოუპოვა ჩაგრულ მონას უფლება კაცის,  
დაიმორჩილა თვით ბუნება სასტიკი, მკაცრი,  
გადაანათა ზეცა, ბნელით გადანათელი“  
(მნათობი 1953: 42).

ლენინი ყველას იცნობდა. მართალია, საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ სკოლის მოხუცი დარაჯი პოეტს ეუბნება:

„ის მე მიცნობდა, მას გეფიცები,  
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა,  
წითელ დროშიდან, ძმური ღიმილით,  
ხელი საშველად გამომიწოდა“  
(იქვე: 20);

ა6

„სტალინის სულის ჭირიმე,  
იმან მოგვიწყო ხელია“

(სტალინი ქართულ... 1949: 152);

სტალინი და ალორძინებული ჩვენი სამშობლო განუყრელი ცნებებია. — წერს ერთი კრიტიკოსი — სტალინის გენიამ იხ-სნა ხალხი მონობისაგან, სტალინმა მოუპოვა ხალხს თავისუ-ფლება და ბედნიერება. ეს აზრი კარგად გამოხატა პოეტმა შ. აფხაიძემ:

„ხალხს დღე არ ჰქონდა — შენ გაუთენე,  
შენ გაუბრნებინე სინათლით თვალი;  
ბინა არ ჰქონდა — შენ აუშენე,  
შენ დაუბრუნე მას წართმეული  
დიდი სამშობლო თავისუფალი“  
(ჭილაია 1953: 119)

**ბელადისგან გამოითხოვენ ლოცვა-კურთხევასაც კი:**

„წინ გვიძლვის შენი სახელი  
ვენახში, ბაღში, კალოზე,  
კვლავაც აღმანთე საგმიროდ  
და სიყვარულით დამლოცე“  
(დიდ სტალინს 1949: 40);

ან

„გვიშველე, სტალინ, ჩვენც გვიშველე, ჩვენც დაგვეხმარე, თვალი მილულა და ტკბილ ნატვრას ეხუტებოდა... სტალინის სახე მას ნუგეშად ეხატებოდა“  
(ქართული ლექსები... 1937: 40).

ბელადი ზეცისა და მიწის მბრძანებელია, პლანეტას კი სიყვარულის ძლევამოსილი ძალით განაგებს:

„ამ უზიარმაზარს, ვრცელ სამყაროს, უცხოდ ანაგებს  
მთლად დაეუფლა მისი არსი, ოცნება ლალი,  
ზღაპრულ წიგნივით გადაშალა მან ცის წიალი...  
დღეს მიწის სფეროს სიყვარულის ძალით განაგებს“  
(იქვე: 49);

ბელადი შეუძლებელს შეძლებს, ახალ ცხოვრებას, გაზაფხულს მოიყვანს:

„შენ შეგვიქმენ გაზაფხული და ნათელი განთიადი,  
მზე გველეშაპს გამოსტაცე, ხალხს სამშობლო დაუბრუნე“  
(იქვე: 80);

ამიტომაა, რომ სამყარომ ფერი იცვალა, ლენინის (ან სტალინის) ღვაწლმა პლანეტას, დედამიწას ღერძის გარშემო ბრუნვაც კი შეუცვალა:

„მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად,  
ლენინის ხელის მიმართულებით“  
(ქართული პოეტური 1970: 56);

ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან იწყება, მაგრამ „მე წელთაღრიცხვას დავიწყებდი იმ დიდი დღიდან, — როცა ამქვეყნად დაიბადა ბრძენი ლენინი“ (იქვე: 65).

1917 წლის რევოლუცია დაუკინარია, რადგან „იქიდან მო-დის ქვეყნის ნათელი და მეც ცხოვრებას იქიდან ვიწყებ“ (ქარ-თული პოეტური... 1970: 19).

**ბელადი უკვდავი:** ყველაფერი ბელადის უკვდავებაზე მეტყველებს. ლენინზე ლექსების დიდი ნაწილი ეხება მისი სიკვდილის ამბავს, რადგან იგი ყველაზე მწვავედ განიცადა მშრომელმა ხალხმა. ერთი ხალხური ლექსის ავტორი მიმარ-თავს ბუნებას, იწვევს მას, რათა შეუერთდეს ადამიანთა გლოვას. ბუნებაც თითქოს შეისმენს კაცის ხმას:

„ცივმა დაჰბერა ნიავმა, ფურცელი ჩამოჰყარაო,  
ტყეში ხეებმა გაიგეს, ტოტები დაიხარაო,  
მთაში გაიგეს ფრინველთა, გალობა აიკრძალაო“  
(ლენინი და სტალინი 1939: 9).

ამის გამო გაისმის საყოველთაო გოდება: „მოგვიკვდა ჩვენი იმედი; თავისუფლების მომგონი ველარ დაჯდება სკამზეო“.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში უაღრესად გავრცელებული ხერხია გარდაცვლილი ლენინის აჩრდილის გამოწვევა და მას-თან, როგორც ცოცხალ ადამიანთან გულითადი საუბარი. ლენ-ინს უამბობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომ ყოველი კუთხით გაისმის ტკბილი სიმღერის წერიალი (ლენინის სახე 1957: 22-23). საინტერესოა ისიც, რომ ქართველი პოეტი ა. მაშაშვილი ლენი-ნის გარდაცვალებას კაცობრიობის გლოვად აცხადებს:

„შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ, და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე“.

ლექსში „ლენინი“ გ. ლეონიძე მხატვრული დამაჯერე-ბლობით ხატავს ლენინის უკვდავების იდეას:

„თუ გძინავს, ღვიძავს შენს სახელს,  
უფხიზლეს ქარიშხლისასა,  
თუ გძინავს, ღვიძავს შენს საქმეს,  
უმხნესს, მოქნეულ ხმალისა“.

## ԵԿՑՇԱՅԻ ՏԻՎԱԼՈՒՍ ՏԱԽԵԼՈ

Շե՛՛կցա հիշեն Սապարլուսո ծեղագուս  
մայասից պարագա հիշեն դուզե-  
ծա, հիշեն մըցումարո, հիշեն քորոջասո  
մասից զալութելո, հիշեն ծեղանոյին պէտո-  
րեցու Շեմիմենելո, կամինութմուս զենօա-  
լուրո ներուտմուծարո, սպալութու-  
սարձալու, մուշ մեռուլուունո միշուլո-  
ծուս միշուրությ դուզ ստալունո.

գլուխուծ սամշուծուն. մամի գաեցու-  
լու սապարլու ալցուլությո. չալուցա մո-  
հանս Մայահմամեցուցալություն քորոջասո  
ալամունուս սյուրտո, միշութարեցուս նոշնաճ  
ժամանուա Մացունությունո Շուտուլո  
ժամանուա Մացունությունո նոշնաճ  
մունուա կյանեթյուն ալամունեցու. չալուցա  
սանչչ ալակաչուլուա լրհամ միշութարեցու.  
գլուխուծ լունոն — ստալունուս սպ-  
ալություն արտու, գլուխուծ սածուտա  
միշություն տարսուսպալո յրեցու. ենու գա-  
մուստյել միշութարեցուս մուսպալո չա-  
լուս շալու.

ստալունուս գլուխուծ դուզ հինուլո  
սալոն, լումուրագուլու միշություն միշություն  
միշություն գլուխուծ սածուտա  
լություն միշություն հացրուլո յրեցու,  
մունուա մուստյել միշություն կա-  
լություն.

ստալունուս գլուխուծ դուզ հինուլո  
սալոն, լումուրագուլու միշություն միշություն  
միշություն գլուխուծ սածուտա  
լություն միշություն հացրուլո յրեցու,  
մունուա մուստյել միշություն կա-  
լություն.

ու, համենու մեռուլուս-ստորուլո  
մինիշություն գամարչայեցա գամարչայեցա  
ծուլու ամ սաելուն, համենու Շպալագո  
նաբարմունուս Շտամաշունեցելո Շպարու  
ու...

ստալունուս կըլաց հիշենտան արուս. ու  
պացուլուց հիշենտան ոյնեցա. ու պացու-  
լուց ստալունուս աշրցեց և գրմենունցու  
սալունուս աշրցեց և գրմենունցու. ու ու  
ու պացուլուց հալու, հոցորու եալու.

մարտալու, սպալուսուս հիշեն միշութա-  
րեցա, մաշրամ հիշեն սասովարկուուլունցու  
ար մուցուպումո. ստալունուս շրումա պացու-  
լու. ստալունուս մոմացլուսատուս ծիմուլու  
պացութա. ամիտու հիշեն Շպարմունու  
ուալություն պրեմլս, քաջազ պացուն միշ-  
ություն ունություն ունուն — ստալունուս  
արտուս գարշեմո, ստալունուրո պանու-  
րալուրո կոմուրություն գրմեմո, միշու-  
թյուն, Շպարմություն Շպարմություն հիշեն  
արտուս պացուլու գայալունցու, պացուլու մո-  
ւություն.

զոծմունուտ և զոմիշասուտ ու ու, հո-  
ցորու զայսիցալութա ստալունու, զոմիշասուտ  
մուս մուր նահիշենունու գուտու!

ლენინის უკვდავებას ასეთ პოეტურ ფერებში ხატავს შ. ნიშნიანიძე:

„მსოფლიოს გულში განისვენებს მსოფლიოს გული,  
იგი წავიდა თაობებში, როგორც სიმართლე,  
როგორც ლეგენდა ბუხრისპირ თქმული.  
ბალებში, გზებზე, მოედნებზე ჩვენ ვხედავთ ლენინს,  
ხელს ვართმევთ ლენინს და ვმაღლდებით დიადი რწმენით“  
(ქართული პოეტური 1970: 72);

„ასევე დღესაც: ჩვენ შორის ვხედავთ — ... კაცობრიობის უკვდავ შვილს, ლენინს“ (იქვე: 93); ლენინმა დაამარცხა სიკვდილი (შდრ. ქრისტემ გაიმარჯვა სიკვდილზე), იგი ამაღლდა, ვითარცა მოკაშვაშე მზე და მის მიერ ნაჩვენები გზით მიდიან სახელმწიფოები: ხალხიც არასდროს დაიჯერებს ლენინის სიკვდილს, რადგან ყოველთვის მოიგონებს მის დაბადებას“ (იქვე: 72-73).

პოეტი ალიო ადამია პატარა ლექსში კარგად ახერხებს დაგვანახვოს სიკვდილზე გამარჯვებული ლენინი, რომელიც დარჩა ხალხის გულში მარადიულ უკვდავებად: „მერე სიკვდილი გაუჩინარდა, ლენინთან დარჩა მარადისობა“ (იქვე: 42).

ან „ეს როდი იყო გარდასული ცივი მუმია, ჩემს თვალწინი იწვა უკვდავება“ (იქვე: 31).

„როგორც გრიგალი ქუხდა ლენინი, მას უკვდავება დაუძმობილდა“ (იქვე: 20).

ლენინი არ მომკვდარა, ხალხის გულში ჩაიძირა: „სიმართლისათვის მომკვდარი, ხალხი არა ჩანს მკვდარადა“ (ლენინის სახე... 1957: 33).

მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში ლენინზე ამბობს:

„ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხალია, ლენინი იცოცხებს“ (იქვე: 28).

უკვდავია სტალინიც, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობადა ეს 1953 წლის მარტის სუსხიან დღეებში: „ის არ მოკვდე-

ბა, ჩვენთან არის, ჩვენთან დარჩება, როგორც სიცოცხლე, სიამაყე და გამარჯვება“ (მნათობი 1953: 31), ან:

„სტალინ! დამარცხდა უღვთო სიკვდილი,  
ვერ შეასრულა განზრახვა ავი,  
ის შენს კუბოსთან დგას ფერმიხდილი,  
მან შენს წინაშე დახარა თავი“  
(იქვე: 74);

ამ ისტერიის ფონზე სტალინი მოიხსენიება, როგორც მზე-კაცი, გმირი, მამა კაცთა და ხალხთა, პრძენი ჭალარა, შრომით დაღლილი, ახლა რომ მიიძინა და სხვა. ერთი პოეტი მას პირდაპირ „ძეკაცს“ უწოდებს.

„ძეკაცი იყავ, მზედ გარდიცვალე,  
ისევ ჩვენთან ხარ, განა წახველი!  
ან მზის მაგიერ შენ იბრწყინვალებ,  
ან მზეს დაერქვას შენი სახელი“  
(იქვე: 46);

ფორმულის სახეს იღებდა იმის მტკიცება, რომ სტალინი უკვდავია:

„ის არ მოკვდება, ჩვენთან არის, ჩვენთან დარჩება,  
როგორც სიცოცხლე, სიამაყე და გამარჯვება!“  
(იქვე: 31)

ბელადის უკვდავება საინტერესოდ აისახა კინემატოგრაფიც. გ. გვახარია მოგვითხრობს: „იოსებ სტალინის გარდაცვალებამ სხვებთან ერთად საბჭოთა კინემატოგრაფისტებიც ააფორიაქა. 6 მარტს, გათენებისას, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი მალენ-

კოვმა კინორეჟისორები კრემლში დაიბარა, რათა ერთად გადაეწყვიტათ, ვინ გადაიღებდა სტალინის დაკრძალვის კადრებს. თუმცა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ეს იყო ფორმალური შეხვედრა, რადგან კინემატოგრაფისტებმა წინასწარ იცოდნენ: სტალინთან დამშვიდობების გადაღებას ბელადის საყვარელ რეჟისორს მიხეილ ჭიაურელს დაავალებდნენ. ბედის ირონიით, ჭიაურელს პირველად მიეცა საშუალება ფირზე ალექსეზდა ბელადი... ოღონდ მხოლოდ ბელადის ცხედარი. არ არის გამორიცხული, ამ საგანგებო თათბირზე ჭიაურელისთვის „მიეთითებინათ“ თუ როგორ უნდა წარმოჩნდეს ეკრანზე სტალინის მკვდარი სხეული. თუმცა, ვინ ვინ და ჭიაურელმა ყველაზე კარგად იცოდა „უკვდავების სახის“ შექმნა. ფილმში უნდა შენარჩუნებულიყო ბალანსი მწუხარებასა და იმედს შორის, მაყურებელი არ უნდა დაბნეულიყო. იგი უნდა დაერწმუნებინათ, რომ ბელადის გარდაცვალებამ კიდევ უფრო მეტად გააერთიანა პროგრესული კაცობრიობა, მშრომელი ხალხი. ამავე შეხვედრაზე დამტკიცდა ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა ტექსტები, რომელიც სტალინის დაკრძალვის, უფრო სწორად, მავზოლეუმში მისი ცხედრის გადასვენების დღეს უნდა წაეკითხათ. გავიხსენოთ ეს ტექსტები:

**დიმიტრი შოსტაკოვიჩი:** „სტალინის ეპოქის ადამიანებმა კვლავაც უნდა ვიცხოვოთ და ვიმუშაოთ „სტალინის კომპასის“ მიხედვით... მისი სიტყვები „წერეთ სიმართლე!“ კვლავ უნდა დარჩეს გზამკვლევად ხელოვნების მოღვაწეთა არმიისთვის“;

**სერგეი სმირნოვი:** „ხალხის ნაკადი მის კუბოსთან ჩერდება... მწუხარების უამს ჩვენი საყვარელი სახის ნაკვთებს ვუმზერთ და ვხედავთ ცოცხალ სტალინს, ვგრძნობთ მის ცეცხლოვან გამოხედვას“;

**ალექსეი სურკოვი:** „1953 წლის ამ ყინვიან დღეს უბედურება შეემთხვა საბჭოთა ხალხს, პროგრესულ კაცობრიო-

ბას... ულმობელმა სიკვდილმა გააჩერა გული, რომლის ფეთქ-  
ვას ათეული წლების განმავლობაში უსმენდა მილიონობით  
ადამიანი ჩვენს პლანეტაზე“;

**ევგენი დოლმატოვსკი:** „სვეტებიან სასახლეში მიძინებ-  
ული ბელადის დანახვისთანავე პირველად ატირდა ჩემი ქა-  
ლიშვილი. ვერ ვაიმედებ ჩემს გოგონას: იგი ხომ ნაადრევად  
დაობლდა“.

ნათელია, რომ სტალინის დაკრძალვა უნდა დადგმული-  
ყო ეგრეთ წოდებული „ოპტიმისტური ტრაგედიის“ უანრში  
და ასევე გამოხატულიყო მიხეილ ჭიაურელის დოკუმენ-  
ტურ ფილმში, რომელსაც „დიადი გამოთხოვება“ დაარქვეს.  
სტალინთან გამოსამშვიდობებლად მარტის იმ ცივ დღეე-  
ბში, მართლაც, ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, ე.ო. დაკრძალ-  
ვას თვითმხილველები ჰყავდა, ამიტომ დოკუმენტურ ფილმ-  
ში მიხეილ ჭიაურელი ახალს ვერაფერს მოიგონებდა, ვერ  
დადგამდა. ამის გათვალისწინებით, სურათში შევიდა ყველა  
ის ატრიბუტი, რომელიც თან ახლდა სტალინთან გამოშვი-  
დობების იმ სამ დღეს: მაღალ პოტსტამენტზე დასვენებული  
წითელი კუბო, ყვავილების გვირგვინები, წარწერებით — „ბე-  
ლადი, მასწავლებელი, მეგობარი, მამა“. მალენკოვი, ბერია,  
მოლოტოვი — საპატიო ყარაულში. ტექსტი აუცილებლად სა-  
კავშირო რადიოს დიქტორს, იური ლევიტანს, უნდა წაეკითხა,  
სწორედ იმ ადამიანს, რომელიც აქამდე მოსახლეობას უმაღ-  
ლესი მთავარსარდლის ბრძანებებს აცნობდა და ამიტომ  
სტალინის ხმის ასოციაციას ბადებდა მსმენელში. ლევიტანის  
ხმა იმის იღუზიას ქმნიდა, რომ იოსებ ბესარიონის ძე აქ თა-  
ვის სიცოცხლეს ემშვიდობება. იგი მხოლოდ „მარადიულმა  
ძილმა მოიცვა“... ეს წინადადება ყველაზე ხშირად ისმოდა  
სტალინთან გამომშვიდობების დღეებში“ (გვახარია 2003:).

ბელადი არის მთით მოვარდნილი ჩანჩქერი, ვეფხვი სალი  
კლდის, არწივი მაღალ მთისაო, ქორ-შავარდენი, ხალხთა  
გენია, გმირობის გამომგონებელი, ფოლადი დაუგრეხელი,

კაცი მართალი ყელამდი, გრიგალი დიდი ხმებისა, ყველა ჩაგრულისა და მშრომელის გულწრფელი მეგობარი, სოფლად სკოლების გამხსნელი, პროლეტარების წინამძღოლი, მებრძოლი შეუდარები, ხალხის მასწავლებელი, უბრალო და თავმდაბალი, რწმენა ჩვენი თავისუფლებისა, „სახელი იგი – სიცოცხლე რომ უწოდა ხალხმა, ნუგეში მუშის – ოკეანის გამოღმა, გაღმა“, ჩვენი სიცოცხლის თავი და ბოლო, ბრძენთა ბრძენი, ხალხთა იმედი და ნუგეში, „ლეგენდა ბუხრისპირ თქმული“, უუდიადესი, უუსაყვარლესი, თავისულებას შეწირული, ბუნების სრულყოფილი პირმშო, მთელი მსოფლიოს საუნჯე, ტკბილშრომის მამამთავარი, მშრომელი ხალხის გამთბობი, ამირან-გმირის დამხსნელი, ბაზალეთის ტბაში დარწეულ აკვანში მწოლარე, სინდისი და სამართალი, ეპოქის სვეტი, აღმაშენებელი, უკვდავი საქმით ისტორიის დამამშვენებელი, გმირი უტეხი, დიდი რევოლუციის უდიდესი სტრატეგი, კაცი მარადი, სიბრძნისა და სინათლის დაუშრეტელი ზღვა... და უამრავი მსგავსი თუ განსხვავებული წრეგადასაული ხოტბა ბელადისა ხალხურ სიტყვიერებასა თუ მწერლობაში, ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ ლირიკაში.

**ბელადი მითოლოგიური გმირია** — გ. ლეონიძის პოემას „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“ ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს სოფოკლეს სიტყვები: „აქ ჰელობს ტიტანი ცეცხლის მიმტანი, — ღმერთი პრომეთე“, გრ. რობაქიძე „სტალინის ჰოროსკოპში“ აპრიმანს (სპარსულ მითოლოგიაში ბოროტების უმაღლესი ღვთაება) ადარებს კაცობრიობის ბელადს. ამ მითოლოგიზებას აშკარად თავად სტალინმა მისცა დასაბამი. იგი ამბობდა: „ვფიქრობ, რომ ბოლშევიკი მოგვაგონებს ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს... მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველნი დარჩნენ. ამაშია გასაღები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობისა“ (ლენინი და სტალინი... 1939: 8). „სტალინისადმი მიძღვნილ

ლექსებში, რა თქმა უნდა, პირველად არის სახოტბო ლირიკა, განმადიდებელი, მერე – მითოლოგიზირება (ბაქრაძე 2009:). ასეთი ტენდენცია, ზოგადად, დამახასიათებელია ტოტალი-ტარული რეჟიმისათვის. მართებულად შენიშნავს დ. კიზირია: „მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმის მქონე ქვეყ-ნების კულტურულ დისკურსებს ახასიათებდა მითოლოგი-ური აზროვნებისა და რიტუალების კულტივირება, სიმბოლი-კის იმგვარი სისტემის შექმნა, რომელიც თელეოლოგიური მნიშვნელობებით იტვირთებოდა“ (კიზირია 2010: 377).

სხვათა შორის, მითოლოგიზება ახასიათებს ამ პერიოდის კინემატოგრაფიაც, გ. გვახარია წერს: მიხეილ ჭიაურელის ფილმში „ფიცი“ არის ეპიზოდი, რომელსაც დასავლელმა კინ-ომცოდნებმა „ისტორიით კურთხევა“ დაარქვეს. მოქმედება ხდება ლენინის სიკვდილის შემდეგ. სტალინი მარტო მიდის დათოვლილ ბაღში, გორაკზე, სადაც იგი უკანასკნელად შეხვ-და გარდაცვლილ ბელადს, ჯდება სკამზე და ესმის გარდაცვ-ლილი ლენინის ხმა, რის შემდეგაც ზეცისკენ აღაპყრობს მზერას. ნაძვის ტოტებიდან კადრში იჭრება მზის სხივი, რო-მელიც ახალი ბელადის შუბლს ეფინება. შუქი ზემოდან ეცე-მა. სტალინი ბიბლიურ მოსეს ემსგავსება (გვახარია 2003:), ასე შეიქმნა კინოში მითოლოგიური ასოციაციები სტალინზე.

პოლიტიკურ ლირიკაში ბელადი მითოლოგიური გმირია, ყოველივე გმირულის საწყისია:

„ბელადი ჩვენი ლენინი, გმირობის გამომგონია“  
(ლენინი და სტალინი 1939: 89);

ან „ბელადო, შენი სახელი  
დიდ სამშობლოზეც დიდია,  
უზარმაზარი მსოფლიო  
შენ მხრებზე აგიკიდია“  
(სტალინი ქართულ... 1949: 87);

უფრო შორს მიდის ამ სტრიქონების მთქმელი:  
„დიდო სტალინ, შენი სახე  
კრემლის ცაზე დავინახე“  
(იქვე: 151);

ან „ამირან-გმირის დამხსნელი, სტალინ, შენ ხარ!  
ბაზალეთში რომ არნიეს, სტალინ, შენ ხარ“  
(დიდ სტალინს 1949: 125);

პოეტი ალ. გომიაშვილი ოსტატურად იყენებს ილიას სიზ-  
მარს ბაზალეთის ტბის შესახებ. თითქოს პოეტს ეჩვენება, რომ  
ოქროს აკვინდან მზეჭაბუკი ამოდის, მეორე დღეს გალვიძე-  
ბულ ილიას ჭაბუკი ჯუღაშვილი გამოეცხადება:

„უცებ კედლიდან ივერიის ზარი წკრიალებს...  
ქრება ბურანი. კიბეებზე ჯუღაშვილია.  
ისმის მსუბუქი ნაბიჯები... კიბე ჭრიალებს...  
უახლოვდება... და შეხვედრა უფრო ტკბილია“  
(ჭილაია 1953: 118-119);

ერთი პოეტი ასე მიმართავს „კაცობრიობის მხსნელს“:  
„დიდო ბელადო, გმირთა-გმირო, სულით ძლიერო,  
სიბრძნით, სიმტკიცით შეგედრება გმირი რომელი“  
(დიდ სტალინს 1949: 75);

ან

„მზე გველეშაპს გამოსტაცე,  
ხალხს სამშობლო დაუბრუნე“  
(იქვე: 80);

ან „გათენების მიზეზი ხარ / მიწას შენი შერჩა შუქი, / სა-  
მოცი მზის ფრთებზე ზიხარ, / ვით ზღაპრული მზეჭაბუკი“;

ან „როგორ არ ვახსენო სახელი მისი,  
ვინც შეხსნა ზეცას მეშვიდე კარი“  
(იქვე: 138).

ერთ ლექსში ეჭვს გამოთქვამენ: მზემ თუ იცის, რომ „ფოლადის, გმირ-კაცის რკინის ხელით დაწრილს / სულ სხვანაირ ცხოვრებას და მიდამოს დაჰყურებს?!“. ალ. აბაშელის ერთ ლექსში კი ვკითხულობთ: „გაგვიძლვა გმირი უტეხი, გაულენავის რვალისა, / სული ჩაგვბერა დევური, აგვანთო, აგვახალისა“ (აბაშელი 1939: 34).<sup>1</sup> საინტერესო მასალას იძლევა ბელადის გარდაცვალების შემდეგ გამოსული უურნალი „მნათობი“. აქ დაბეჭდილია პოლიტიკური ლირიკის ისეთი მაგალითები, რომელსიც ერთადაა თავმოყრილი ბელადის ყველა სიმბოლური ნიშანი: ბელადი, მამა, ძეკაცი, უკვდავი, ბრძენი, მზეკაცი და სხვ.:

„ვერ დავიჯერეთ ბრძენის სივდილი,  
გორს მივაშურეთ, შევტირეთ ლიახვს“;

„ბელადო! მამავ კაცთა და ხალხთა,  
აპა, მე ვდგავარ შენს უკვდავ სახლთან!  
შენს მშობელ მთებთან, ლიახვის პირას,  
აქ ვხვდები პირველ უშენო დილას“

„დიდმა სტალინმა დახუჭა თვალი,  
მოგვიყვდა მამა — ბრძენი, ჭალრა“

„ნუთუ შეჩერდა სუნთქვა სტალინის,  
ჩაქრა მზე-კაცის თვალების ბრწყინვა?!“

---

1. ასეთი აპოგეის გვერდით იწერება ბელადისადმი მიძღვნილი ტერენტი გრანელის სტრიქონებიც: „იმპერატორო, შენ დიქტატორო, / მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, / მამის საფლავზე რად დაგავინყდა, / აგენთო ერთი წმინდა სანთელი?!“ (ალ. სიგუა, ტერენტი გრანელი და 1921-1924 წლები).

ლენინისა და სტალინის გვერდით პოლიტიკურ ლირიკაში გამოიკვეთა სხვათა სახეებიც, მათ შორის უპირველესი ლავრენტი ბერია იყო. 1941 წელს დაიბეჭდა „ლექსები და სიმღერები ლავრენტი ბერიაზე“. ქართულ პოლიტიკურ ლირიკას თავსატეხი გაუჩნდა: რა უნდა ექნა — იმავე მხატვრული სახეებით ედიდებინა რანგით მეორე ბელადი თუ ახალ გამომსახველობითს ფორმებზე ეფიქრა?! — გამოსავალი ამ სიტუაციაშიც მოიძებნა: მართალია, ბელადი სტალინია, რომელიც მოსკოვში, კრემლში ზის, მაგრამ ბერია მისი გენიალური და დიადი საქმეების აღმსრულებელი გმირია. როდესაც ხოტბას ასხამდნენ ბერიას, სტრიქონებს მიღმა მოიაზრებოდა დიდი სტალინიც. ბერია, ძირითადად, განდიდებულია, როგორც „თანამებრძოლი ბელადისა“, „სწორი ხაზის გამტარებელი“, „დიდი ბელადის ერთგული“, რომელმაც წართმეული სიცოცხლე დაუბრუნა თბილისს, დააშრო კოლხეთის ჭაობები... ჩვენ, ყველანი, მის ხელებში ვართ გაჩარხული, მან გაგვიჩალა გულში და-ძმობა. იგი თავისივე ხელებით დარგულ ნარინჯებს ესაუბრება, როგორც მინდია (გადაძახილი ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელთან“ გმირის მითოლოგიზებისათვის)... მოვიდა ხალხის გულივით სადა, დინჯი და ბრძენი ხალხის გულივით; მოვიდა ბერია და დღე მოვიდა მისებრ ნათელი და ჩვენი ქვეყანა მის მტკიცე ხელში იქცა ხალისად და აღმაფრენად. დასასრულ ჰიმნად გაისმის ს. შანშიაშვილის სიტყვები: „აბა, ერთად შევსძახოთ: მარჯვე ჩვენში ბევრია! / აგვაშენა, დაგვამშვენა ჩვენ ლავრენტი ბერიამ (ლექსები... ბერიაზე 1941: 50). უფრო ადრე, ამ წიგნის გამოცემამდე, ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს შორისაც იბეჭდებოდა ბერიას „სადიდებელიც“:

„ლენინ-სტალინის საქმისთვის თავდადებულო ბერია,  
საკაცობრიოდ დარჩება შენი ნალვანი ბევრია“  
(ლენინი და სტალინი... 1939: 103);

მერე კი ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა პოეტურმა სიტყვამ და „გაშალა ფრთხები“:

„საქართველოს წინამძღოლი  
ლავრენტი გვყავს ბერია,  
ყველაფერში წინ მივდივართ,  
შრომის დროშა ჩვენია“

(სტალინი ქართულ... 1949: 124);

„ჩვენ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს  
მეფე, ხანი, ფაშა,  
გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს,  
ჩვენს ბერიას — ვაშა!“

(იქვე: 142);

ა6

„სცოცხლობდეს შენი ერთგული,  
მოლოტოვი და ბერია“

(იქვე: 61);

ა6

„შენს სურათს წმინდად ვინახავთ,  
ვერას დაგვაკლებს მტერია,  
იცოცხლე, დიდხანს გეცოცხლოს  
გვერდში რომ გიდგას ბერია“

(იქვე: 88)

ერთი ხალხური მთქმელი აღტაცებას ვერ მალავს:  
„გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს, / მტკიცე კომპარტიასა, /  
სწორი ხაზის გამტარებელ / ლავრენტი ბერიასა“.

„ქართულმა პოეზიამ მთელი ხმით უმღერა მას, ვინც  
სტალინის გენიალური გეგმით ააღორძინა და განაახლა

საქართველო, ხორცი შეასხა ხალხის საუკეთესო შვილების ფიქრსა და ოცნებას. ეს აზრი ასე გამოთქვა პოეტმა ილო მო-საშვილმა:

„შენ დაგვიყენე დოვლათი ხნულში,  
მიწას ჩაუდგი სინედლის წვენი,  
შენ ხარ, რაც ნატვრა გვქონია გულში  
და გამარჯვებაც შენა ხარ ჩვენი“

ქართველმა პოეტებმა უმღერეს ლავრენტი ბერიას, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც დააშრო ჭაობები; მათ უმღერეს ბერიას, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის განმაახლებელს, რომელმაც ჩვენი სოფლები ციტრუსების, ჩაის პლანტაციების, ვენახების ბალნარებად აქცია; მათ უმღერეს ბერიას, როგორც საქართველოს დედაქალაქ თბილისის განმაახლებელსა და აღმაშენებელს, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლს. კარგად ამბობს პოეტი რაჟდენ გვეტაძე:

დილის მზესავით მუდამ მგზნებარი,  
ახალ თბილისის მშენებელია,  
ახალ თბილისის ავტორი არის  
ქართველი ხალხის გული – ბერია!  
(ჭილაია 1953: 144)

საქართველოს მხსნელისა და განმაახლებლის, აღმაშენებლის სახელი ბერიასაც მოერგო:

„უცებ ქალაქში ვნახე ბერია,  
დინჯი ნაბიჯით ქუჩა გადაჭრა,  
მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,  
ვთქვი — საქართველო უკვე გადარჩა!“  
(იქვე: 168)

ბელადი და ბერია განუყრელია, უფრო სწორად, ბელადის  
მეორე მეა: „ჩვენზე ზრუნავს ბელადი, / თავს დაგვხარის ბერია!“

შეგვხდებათ უფრო დახვენილი პოეტური სტრიქონებიც:  
„რამდენი სახლი, რამდენი კაცი / გამოგაყოლებს თვალს ათა-  
სეულს, / კოლხეთის მზიდან აფრენილ არნივს, / სტალინის  
ფრთებში დავაჟკაცებულს“.

ეს ერთი მხარე იყო ოფიციალურად გახმოვანებულისა,  
თორებ ამის გვერდით გენიალური გალაკტიონი თავის დღი-  
ურებში ჩაწერს: „მაშ, ძირს მფლობელობა კაენ-იუდების,  
ქნევა და თარეში ბერიას კუდების“; „ბერიაა ნაშენებ შენობას  
რომ მოშლიდა, / ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჟლიტა, / ბე-  
რიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰთარა, / ბერიაა – სინათლე  
ბნელს რომ გადაათარა“ (ჯავახაძე 1991: 479).

აქა-იქ გამოკრთება ორჯუონიკიძის სახელიც:

„ბრძოლობდა ქვეყნის საშველად,  
ჩვენ თავი გვანაცვალაო“

(სტალინი ქართულ... 1949: 122);

სრულიად შესაძლებელი იყო მონინავე რევოლუციო-  
ნერების ხსენება, რადგან:

„ლენინის დროშის ერთგულნი,  
სტალინის გამოწვრთნილები,  
კომუნიზმისკენ მივდივართ  
თავისუფლების შვილები“

(დიდ სტალინს 1949: 179).

პოემაში „ნულუკიძის სიკვდილი“ აღწერილია ის გრან-  
დიოზული დემონსტრაცია, რომელიც „ამხანაგ სტალინის  
ხელმძღვანელობით გაიმართა ა. ნულუკიძის დასაფლავების  
დღეს. ხალხი თავისი საყვარელი გმირის – ნულუკიძის ცხე-

დარს მიაცილებს. კუბო კი არ მიაქვთ, თითქოს ხალხს სარ-დალი მიუძღვისო. კარგად ამბობს პოეტი:

„განა სიკვდილი დარქმევია ყველა დაცემას?  
განა მზის ჩასვლას დარქმევია სიკვდილი მზისა?  
იგი კვლავ მიწას დასტრიალებს და მსახურია  
ისევ სიცოცხლით იფეთქებს და გაზაფხულია“  
(ჭილაია 1953: 119-120).

მაგალითები, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია იმის ნარმოსაჩენად, რომ ბელადი არის მესია, მხსნელი, ხორცშესხმული ღმერთი უღმერთო საზოგადოებაში. ასე ქმნიდა ქართული პოლიტიკური ლირიკა ყოვლისშემძლე ბელადის სახეს, ახდენდა მის მითოლოგიზებას. ძალიან ძნელია იმის თქმა, რომ აღვირახსნილ ხოტბაში, რომელიც, საერთოდ, დამახასიათებელია ნებისმიერი ეპოქის პოლიტიკური ლირიკი-სათვის, ყველა იმას წერდა, რასაც გრძნობდა და განიცდიდა, თუმცა ისეთებიც იყვნენ, მართლა რომ სწამდათ და ჯეროდათ ბელადისა! რას იზამ, ასეთია მასის ფსიქოლოგია, თუმცა ამ გადასახედიდან კომუნისტურ აგიოგრაფიას აქვს პაროდიული პათოსი, ეს უდავოა! როგორც აკაკი ბაქრაძე წერდა: „ქრისტიანული აგიოგრაფოსი რწმენით წერდა, კომუნისტი აგიოგრაფოსი – დაფარული ირონიით“ (ბაქრაძე 1990: 96).

აბსურდულ-პაროდიულია კომენტარები სტალინიანა-ლენინიანას რომ გაჰყვება თან, მაგალითად, ასეთი: „ქალიშვილმა სატრფოს ფრონტზე წასვლის წინ ხელმანდილი შემოახვია ვაჟს ყელზე და დააბარა:

თუ დაეცე ბრძოლის ველზე, დაგელიოს დღენი,  
მტერს ცოცხალი არ დანებდე! – ასე ამბობს ლენინ.  
...როცა იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, მოაგონდა სატრფოსგან გამოტანებული სახსოვარი:

„ჩამოიხსნა ხელმანდილი, შენახული ლხენით  
და ზედ სისხლით დააწერა ერთი სიტყვა – ლენინ!“  
(ქართული პოეტური... 1970: 144)

ამ პერიოდის გამოცემებში ასეთ ანომალიერებაც წააწყდებით:

„კაპიტალისტური ქვეყნების დამონებულ ხალხთათვის სტალინი არის იმედი, უძლეველი დროშა, ნათლის სვეტი, რომელიც წინ მიუძღვის მათ საბოლოო განთავისუფლებისაკენ“  
(ქართული ლექსები... 1937: 5).

ან „ხალხი თავის ბედნიერებას უმადლის ლენინის სიბრძნეს, მისი საქმისა და სიტყვის სიმართლეს“ (ლენინის სახე 1957: 10).

ერთი კრიტიკოსი წერდა: „ლენინი არის მტკიცე და უშიშარი, უბრალო და თავმდაბალი ადამიანი, ხალხის მასწავლებელი და გულითადი მეგობარი... ილიჩი შემქმნელი უკვდავებისა, მივყავართ აღთქმულ ქვეყნისკენ შუქს მისი ჩირალდნებისას“ (იქვე: 30).

ან „ლენინი მხოლოდ ადამიანებისთვის, მათი სიკეთისა და ბედნიერებისთვის გაჩნდა ამქვეყნად“ (ქართული პოეტური... 1970: 44).

ასეთივე შეფასებებია სტალინის მიმართაც. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „სოსოს თავმდაბლობის დამახასიათებელია ის უმნიშვნელო გარემოება, რომ, თუმცა ყველა მონაფეზე უფრო მცოდნე იყო, თავის ტოლ-ამხანაგებში არ ექებდა პირველობას... მეცადინეობა სრულებით არ უშლიდა ხელს ბავშვურად ეცელეა. ხშირად შეიძლებოდა დაგენახათ დერეფანში, რომ სოსო მიჰქრის თავისი მეგობრის ზურგზე შესკუპებული და გაიძახის: ფოლადი ვარ, ფოლადი ვარ! ეს ფსევდონიმი (სტალინი), რომლითაც მთელი ქვეყნის მუშები და ჩაგრულნი იცნობენ სოსო ჯუღაშვილს, ალბათ, იმ შორეულ წლებში გაჩნდა, ბავშვური ცელქობის დროს“ (ლუარსამიძე 1931: 3-4); „სტალინი ერთადერთია, როგორც უმაღლესი ტი-

პის სახელმწიფო მოღვაწე და, ამავე დროს, უმძლავრესი თეო-რეტიკოსი და პუბლიცისტი“ (სულავა 1940: 12-13); „პირადი „მე“ მისთვის არ არსებობდა, საერთო საქმეს მთელი თავისი არსებით გამოეხმაურებოდა“ (კაპანაძე 1945: 37).

ნიმანდობლივია ბელადზე გამოცემულ წიგნების ესთეტიკაც, მათი „პოლიგრაფია, ბუნებრივია, განსაკუთრებულია. სათაური აუცილებლად განსხვავებული შრიფტით და ფერით გამოყოფილი; უმეტესად, — ნითლად. თემებიც შეუზღუდვია; წერენ სტალინის პიროვნებაზე, სტალინის სახლზე — გორში, სტალინის წიგნზე, ხალიჩაზეც, რომელზეც მისი სახე იქარგება... ცდილობენ, სხვადასხვა რაკურსი მონახონ. ვფიქრობ, ერთ-ერთი ფაქტორი იმ უზარმაზარი „ინფორმაციის“ შეთავაზებაა მკითხველისათვის, რომელსაც იგი „უდავოდ“ აინტერესებდა. იქნებოდა ეს პერსონაჟის ბავშვობა, ყრმობა, ყმანვილკაცობა, თანდაყოლილი თვისება (გნებავთ, ვნება დაარქვით) სხვათა, განსაკუთრებით კი, უცნობების დახმარებისა (ნიშნიანიძე 2010: 392).

ის ხალხი, ის ადამიანები... რომელთათვისაც ლენინი და სტალინი არის კაცობრიობის, ჩაგრულ ხალხთა მხნელი, მასაა, უპიროვნო, პიროვნებადაკარგული, ერთმანეთთან გათანაბრებულ ადამიანთა ერთობლიობა, მას სჭირდება ბელადი, როგორც მესია, მხსნელი, იმედი მომავლისა. იმ ბნელსა და დაუნდობელ ეპოქაში ეს მასა არაა მხოლოდ აგრესიული ისტერიით შეპყრობილი ადამიანების ერთობლიობა ის მოზემეა, ამიტომაც ბევრი რამ, განსაკუთრებით ფლელორში, გულითაა ნათქვამი. ქართველების დიდ ნაწილს, მართლაც, ასე სწამდა და ასე უყვარდა. ამის ანარეკლს შეხვდებით დღესაც და ეს არავისთვისაა ახალი. ბარემ აქვე მოვიყვანთ, ჩვენი აზრით, საინტერესო ციტატას ირაკლი აბაშიძის წიგნიდან: „დღეს ერთი ნიჭიერი და სერიოზული ლიტერატორი კი წერს, რომ ზოგ-ზოგი მწერალი იძულებული იყო ხარჯის სახით ეპოქისთვის მიეგდო მცირე რამ ნაწარმოებით.

სწორია ვითომ ეს?! აბა, ერთი თქვენც სინჯეთ ახლა, ვისმე „მიუგდოთ“ ისეთი სქელტანიანი რომანები, როგორიცაა „ბელადი“, და „ვაზის ყვავილობა“, ან მთელი პასაუები „მთვარის მოტაცებიდან“... ან პოეტური „გორი“, შექმნილი „ნიკორწმინდის“ ავტორის ფუნჯით; ან „ბავშვობა და ყრმობა“ იმავე კალმით, რომლითაც იწერებოდა „ნინოწმინდს ღამე“... არ არის მათში, პირველ რიგში, დახატული ჩვენი ქვეყნის სურათები და გაცხადებული სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული?“ (აბაშიძე 2003: 72-73).

რაც შეეხება რჩეულ საზოგადოებას, პირობითად ელიტას, მათს არსებობას ტოტალიტარიზმი არ დაუშვებდა, მაგრამ პოლიტიკური ლირიკის ბევრი ავტორი მაინც იძულებული იყო ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ასე ენერა და ასე ეფიქრა. ამიტომაა ეს პოეზია პაროდიაა დიქტატორული სისტემის, ფსევდო გმირებისა და ილუზორული ბედნიერებისა (ხმირ შემთხვევაში საგანგებოდ არ მივუთითეთ ლექსის ავტორი, იმიტომ კი არა, რომ რაიმეს დააკლებს მათს სახელს, უბრალოდ, ჩვენ გვაინტერესებს თავად მოვლენა და არა სახელები იმის დასაზუსტებლად, ვინ რას და როგორ წერდა! იმ შავ-ბნელი ეპოქის ვერც ერთი პოეტი ვერც ერთ ტაეპს ვერ დაბეჭდავდა, პარტიასა და ბელადზე რომ არ დაეწერა რამე. ამიტომ, არანაირ ბრალდებად არ შეიძლება ჟღერდეს ამ პათოსის პოეტური სტრიქონები გალაკტიონიდან მოყოლებული XX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე. ვის რა და როგორ სწამდა — ეს სხვა საქმეა. ამ ფაქტების გამო ლიტერატორი არ შეიძლება იქცეს სახელმწიფო ბრალდებლად. გარდა ამისა, საკითხავი ისიცაა, „**მათ ადგილას განაჩვენ უკეთესი ვიქენებოდით?** გავუძლებდით იმ წლების სიმძიმეს?!“ (სააღდგომო ეპისტოლე 1990:). ალბათ, ეს არის ის შემთხვევა, რომლის შესახებაც თავის დროზე ამბობდა გრიგოლ რობაქიძე: **იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ დაგვაწერინაო!**

მიუხედვად მოზეიმე მასის ასეთი აღტკინებისა, ბნელეთის მოციქულების ასეთ ხარისხში წარმოდგენისა, მთელი ეს მას-კარადი პოროტებას, ძალადობას, უსამართლობას ეფუძნება. 1957 წელს გამოცემულ ქართულ „ლენინიანაში“ ვკითხულობთ: „ქართული ხალხური პოეტური თქმულების მიხედვით, ლენინმა სიკვდილის წინ მადლიერ ხალხს მოუყარა თავი და ანდერძი დაუტოვა, მშობლიურად დაარიგა: თუ ვინმემ რამე გაბედოს, დღე დაუპნელეთ შავია!“ (ლენინის სახე 1957: 22).

22 წლის სტალინი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დაღუპული მუშების სახსოვრად ამბობს: „ქება-დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულნო! ქება-დიდება თქვენ, რომელთაც თავი დაიმშვენეთ ეკლის გვირგვინებით და სიკვდილის ჟამს მთრთოლვარე, გაფითრებული ტუჩებით ჩაგვჩრჩრჩულებდით: შური იძიეთ სისხლით!“ (სულავა 1940: 18). ამ იდეოლოგიის გამოძახილია ხალხურ პოეზიაში აღფრთვანება იმის გამო, რომ გაანადგურეს, მოსპეს, დახვრიტეს, ჩამოახრჩეს ღირსება, ადამიანი და სულიერობა. დღეს ეს ფრაზები უღერს, როგორც ბრალდება ამ შავ-ბნელი ეპოქისა:

„ბრძანება გამოსულიყო, ბრძანება ლენინისა:  
მოსპეთ თავადი, მდიდარი, ლუკმა გახადეთ ხმლისა“  
(ლენინი და სტალინი 1939: 93);

ალარსად არი ძველი დრო:  
გზირი, ხატი და ღვდელია“  
(იქვე: 52);

ან „რას მიქვია ეკლესია, რას მიქვია წირვა,  
გაუმარჯოს ჩვენ კოლექტივს, მძიმე ინდუსტრიას!“  
(იქვე: 142).

ასეთი სისხლიანი იყო „საბჭოთა კავშირი — კაცობრიობის უბრნყინვალესი იდეალების განხორციელებული ტრიუმფი“,

ის „ნანატრი, ნეტარი დრო“, დღესაც რომ მისტირიან ბელა-დის შუქით სხივმოსილები, თუმცა ესეც ჩვენი რეალობაა, ის-ტორის ავბედითი ფურცელი.

აგიოგრაფიაში წმინდანი სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებდა უმაღლესი იდეალებისა და პრინციპების ერთ-გულებისთვის, ქრისტეს სიყვარულისთვის. ის მთელი ცხოვრება თავდადებით, ერთგულად ემსახურებოდა ქრისტიანულ იდეალებს. კომუნისტურ აგიოგრაფიასაც თავისი მიზანი ჰქონდა. იგი ქმნიდა უნივერსალურ სახეს ბელადისას (საბჭოურ-ცხოველური ინიციაციის პროტაგონისტი, ტოტალიტარული „წმინდა მამა“ — სტალინი (ანდრიაძე 2013: 11), თანაც, ქრისტიანული აგიოგრაფიის მსგავსად, აბსტრაქტული მონუმენტალიზმის კვალობაზე.

- თუ წმინდანი გვიჩვენებდა გზას ქრისტესკენ, ბელადი თავად იყო გზაც და ხსნაც... უძლეველი, ყოვლისშემძლე და უკვდავი;
- თუ წმინდანი ჩვენი მეოხია უფლის წინაშე, ბელადი თავადაა უზენაესი ძალა, რომელიც არავისთან შუამდგომლობას არ საჭიროებს;

- თუ ქრისტიანული აგიოგრაფიის იდეა განლმრთობა, თეოზისია, კომუნისტური აგიოგრაფია პირდაპირ მოგვიწოდებს, რომ გვახსოვდეს, გვიყვარდეს, შევისწავლოთ, ვიბრძოლოთ ბელადისებურად — ამაშია მარადიული ნეტარება, აზრიც და საზრისიც ცხოვრებისა.

ასე ქადაგებდა ტოტალიტარული სახელმწიფო თავის უღმერთო იდეოლოგიას და ასე სახავდა ტირანს მესიად.

## დასკვნები

თუ ისტორიის ერთ-ერთი ფუნქცია შეცდომებზე სწავლაა, მაშინ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამ ეტაპის ანალიზის შედეგად რამდენიმე უმთავრესი „მწარე გაკვეთილი“ უნდა გამოვყოთ. ამასთანავე, უკვე გაანალიზებული მასალა მოითხოვს ერთმანეთს შევუდაროთ ქრისტიანული და კომუნისტური აგიოგრაფია:

- პროლეტმწერლობა, როგორც ლიტერატურული ტეროი, პარტიული ლიტერატურა, როგორც რუპორი ჰეგემონი ძალისა, უმღეროდა პროლეტარიატის დიქტატურას, აღვივებდა კლასობრივ ანტაგონიზმს, დაპირისპირებას, სიძულვილს;

ქრისტიანული აგიოგრაფია ქმნიდა ქრისტეს მიმსგავსებული წმინდანის სახეს, სიმშვიდისა და სიყვარულის, რწმენისა და თავდადების ცოცხალ წიმუშს.

- შეფერხდა ქართული მწერლობის განვითარების ბუნებრივი პროცესი, დაეცა მხატვრული შემოქმედების დონე და იგნორირებულ იქნა ესთეტიკური პრინციპები;

აგიოგრაფიულმა მწერლობამ კი დასაბამი მისცა ქართული ლიტერატურის განვითარებას, მან შექმნა და ჩამოაყალიბა ცოცხალი მხატვრული ენა, ევანგელიური სიბრძნით განათებული.

- ქართული ლიტერატურის ისტორიაში პროლეტმწერლობამ შეძლო მხატვრული შემოქმედების პროცესის უარყოფა, გამოაცხადა ე.ნ. მუშა-დამკვრელების გაწვევა მწერლობაში იმ მიზნით, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ რევოლუციური სულისკვეთების გამოხატვა და აქვთ უნარი, „მოგვცენ რევოლუციური დღევანდელობა“. მაღალი ტრიბუნიდან ამაყად გაცხადდა, რომ „ასოციაცია ატარებს დამკვრელ მუშათა გაწვევას მწერლობაში. პროლეტარული მწერლობის მომავალი გზები ამ გაწვევამ უნდა განსაზღვროს“ (ბუაჩიძე 1931:

28-29). მსგავსი გასამხედროებული ფაქტი მწერალთა რიგებში განვევისა არც მანამდე და არც შემდეგ არ იცის ლიტერატურის ისტორიამ;

- პროლეტმწერლებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ისეთი კონცეპტები, რომლებსაც არაფერი ჰქონდა საერთო სულიერობასთან, ადამიანის შინაგან „მე“-სთან, პოეზიის ტრადიციულ ღირებულებებთან და მთლიანად სამომხმარებლო-საგნობრივ სამყაროს ასახავდა მიზანმიმართული იდეოლოგიური აქცენტებით (ქურა, ჩაქუჩი, ტრაქტორი, კომბაინი, ნამგალი...), რის შედეგადაც მწერლობის თემატიკა და სააზროვნო სივრცე გახდა ჩაკეტილი, დასაზღვრული, დეტერმინებული და დეპუმანისტური;

აგიოგრაფიული მწერლობა ამკვიდრებს წუთისოფლის ამაოებაზე ამაღლებულ, მარადისობასთან წილნაყარ, მშვენიერისა და ამაღლებულის სახეს, ადამიანის ღმერთთან მიახლოების შესაძლებლობას. მას შემოაქვს ისეთი კონცეპტები, როგორებიცაა: რწმენა, სასოება, სიყვარული, მოყვასისა და ღვთის ერთგულება, მოთმინება, სიმდაბლე, სიწმინდე, მორჩილება, მარხვა, ლოცვა, სინანული, მონასტერი, ჭეშმარიტების ძიება და მიგნება...

- პროლეტმწერლობამ ასახა უსულო და უდმერთო ცივილიზაცია, დაიკარგა სიყვარულის, სიკეთის, თანაგრძნობის, მეგობრობის, ერთგულების, ადამიანობის კონცეპტები. კულტურულ-სააზროვნო სივრცეში გაქრა მარადიული ღირებულებები და შეუცვლელი ფასეულობები. ყოველგვარი კულტურული, რომანტიკული, პატრიოტული ინტერნაციონალურის, მუშურ-გლეხურისა და კლასობრივის სახელით შეენირა დეფორმირებულ სინამდვილეს. მათ ჰქონდათ კომუნისტური ოპტიმიზმიც, რომ „ღვთაებრივი მადლი, ზეშთაგონება და ირრაციონალური სტიქიურობა მომავალ ეპოქის რელიგიასთან ერთად რჩება და დავიწყებას ეძლევა“ (ბუაჩიძე 1927: 195);

ქრისტიანული აგიოგრაფია კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, იცავს უმაღლეს ფასეულობებსა და ღირებულებებს, ადამიანში განადიდებს რწმენას, სიწმინდესა და სიმშვიდეს, თავმდაბლობასა და მოთმინებას, ერთგულებასა და უმაღლეს სიყვარულს ლვთისა და მოყვასისას.

• პროლეტარულმა მწერლობამ, ფაქტობრივად, ჩაკლა, გააღარიბა და გააღატაკა სამწერლო ენა. უცხო გახდა რიტ-მულ-ინტონაციური მრავალფეროვნება, ნიველირებული იყო მხატვრული ენის ექსპრესიული და ემოციური ფუნქცია, ინდივიდუალობა და სტილი. დაიშრიტა მწერლის ენობრივი ენერგია, გაუბრალოვდა და გავუღგარულდა სიტყვიერი ორნა-მენტი, მხატვრული სახეები. „ქართული პოეზიის მხატვრული სრულყოფილებისათვის ბრძოლა არცორდის ყოფილა მათი მიზანი: ისინი სოციალური თუ პოლიტიკური „დაკვეთის“ მონდომებული შემსრულებლები იყვნენ“ (ავალიანი 2005: 281). ინერებოდა ტრაფარეტულ-პლაკატური ლექსი („ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბავმა, / ამონანერმა გაზეთებიდან“ — გოდებდა ალ. აბაშელი), გაისმოდა მუქარა, დაშინება, ჩამოდგა სასჯელის მოლოდინი;

აგიოგრაფიული მწერლობა აყალიბებს და განასახოვნებს ცხოვრების სიტყვას — ეს მარადიული ცხოვრებისაკენ სავალი გზაა, უნივერსალიებთან ზიარების საშუალება, რადგან, იოანე საპანისძის თქმით: „მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოება აღორძინდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მუნ მოძლურებანი იგი მადლისანი, მამათ მთავართა იგი შუენიერება, წინასწარმეტყუელთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწება“ (ძეგლები 1964: 51)... ეს მთელი სულიერი სამყაროა, მიკრო და მაკრო-კოსმოსის ერთიანობა და, თუკი სიტყვით მასთან მიახლება შეძლო ადამიანმა (და ამაში აგიოგრაფიაც შეეშველა), მაშინ მიღწეული იქნება ამქვეყნიური მიზანი ყოველი კაცისა, რომელიც თვით მაცხოვარმა

ასე განვისაზღვრა: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მ. 5, 48). აგიოგრაფიული სიტყვა ადამიანის ხსნის, სულის გადარჩენისკენაა მომართული, რადგან „აგიოგრაფია არა იმდენად ხელოვნებაა, რამდენადაც „ხსნის ხელოვნება“ (ბერმანი 1982: 161).

• პროლეტმწერლობამ მოშალა ყოფიერება-ცნობიერების სტუქტურული მთლიანობა, წარსულად აქცია ნაციონალურ-კულტურულ პარადიგმებზე დაფუძნებული მხატვრული სახეები; ლექსის ფორმალური ძიებები და ნოვაციები საბჭოთა იდეოლოგიის მიერ ფორმალიზმად ინათლებოდა. საზრისის, თემატიკის, პოეტიკისა და რიტორიკის თვალსაზრისით ყველაფერი გახდა ერთფეროვანი, უინტერესო, კლასობრივ-პარტიული და, შესაბამისად, დამლლელი, უსულო და ულმერთო ცივილიზაციის ანაბეჭდი;

„ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში მრავალი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური, გნებავთ, ეგზისტენციალური საკითხია დასმული და განხილული. ჰაგიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მშვენიერების, ადამიანის ღირსებისა და ხორციელების დამცირების, კოსმოსური წესრიგისა და ისტორიის წესრიგის ჩვენება, ხაზგასმა სასულიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი დუმილის, სულის, დროის, სათნოების, ჭეშმარიტების, სიყვარულის, სახისმეტყველების, აზრის სილამაზის, ნათლის, სიბრძნის, ესთეტიკური კატეგორიებისა“ (ალიბეგაშვილი... 2008: 41-42).

• მწერლობამ, ნაცვლად ჰუმანიზმისა, დაამკვიდრა კლასობრივი სიძულვილი, პროლეტმწერლების სიტყვის რადიკალიზმი ეფუძნებოდა მხოლოდ პარტიის დადგენილებებსა და რეზოლუციებს, ბელადის სიტყვებსა და გამოთქმებს (სასონარკვეთილი წერდა იოსებ მჭედლიშვილი: „მარქსის სახელით რა არ მაკადრეთ, რა არ წამართვით“). თავისთავად, ეს ფაქტი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, თუ ადამიანების მართვის, მათს

ცნობიერზე ზემოქმედების რა ძალა აქვს მხატვრულ სიტყვას და როგორ დაიმორჩილა მისი სტიქია პროლეტარიატის დიქტატურამ. საქართველოში „ხელოვნების თვითმკვლელობის“ (გრ. რობაქიძე) ეპოქა დადგა;

ქრისტიანულმა აგიოგრაფიამ შეძლო ადამიანისათვის მიენიჭებინა უდიდესი სიმშვიდე — დაეძლია სიკვილის შიში, გაეხადა თავისუფალი არსება, ღვთის ხატად ქმნილისთვის დაეპრონებინა სასოება და იმედი, საკუთარი თავი ეცნო ღვთის მეგობრად.

- პროლეტმწერლობა იყო ბოლშევკიური ტერორის სტილი. შეიქმნა და ჩამოყალიბდა „საბჭოთა მტრის“ ხატი. მნიშვნელობა დაკარგა ადამიანმა. პარტიულმა იდეოლოგიურმა დაკვეთამ ის აქცია არა მხოლოდ უპიროვნო, უსახო, მექანიკურ მასად, არამედ შეშლილ, შურისმაძიებელ, სასტიკ და დაუნდობელ არსებად, რომლისთვისაც უცხოა სიყვარული, სამშობლო, მშობელიც კი; შეუძლია ადვილად მოკლას დედა და დაახრის მამა, თუკი ეს რევოლუციას დასჭირდება. ამაზე შორს, ალბათ, შეუძლებელია წავიდეს ის ტრაგიკულ-აბსურდული პოლიტიკა, ლიტერატურის პარტიულობას რომ ქადაგებდა და სინამდვილეში მონურ ფსიქოლოგიას ამკვიდრებდა;

აგიოგრაფიული მწერლობა არის პასუხი იმაზე, თუ როგორ სწამდათ და უყვარდათ საქართველოში ღმერთი, სამშობლო და მოყვასი! აგიოგრაფიაში ჩანს ჩვენი დიდებული წინაპრების ისტორიული ფსიქოლოგია, ურყევი რწმენა, სულიერი სამყარო, მათი ფიქრები, განცდები, ტკივილი, სევდა თუ სიხარული, უსაზღვრო სწრაფვა სიკეთის, სიმართლის, მშვენიერებისაკენ.

- პროლეტმწერლობას არ ჰქონდა ეთიკა, მორალური პრინციპები, არავითარი ფასეულობა. ის იყო ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიპუმანური, უნიჭობასა და ფსევდო-ლირებულებებზე დაფუძნებული, დაპირისპირებული კლასიკურ მემკვიდრეობასთან, ღმერთთან, სამშობლოსთან და ადამიანთან;

აგიოგრაფიული მწერლობა ადამიანის ზნეობრივ იდეალს წარმოგვიდგენდა: როგორ უნდა ვიცხოვროთ, რისი ერთგულ-ნი ვიყოთ, ცხოვრებაში ზნეობრივ კომპრომისზე წავიდეთ თუ არა, გვიყვარდეს, გვწამდეს, გვებრალებოდეს, დავიცვათ სამშობლო (რადგან რწმენის დაცვით სამშობლოს ვემსახურებით), ტრადიციები (მამულისა ჩვეულებისაებრ სლვათ), ეროვნული თვითმყოფობა. გარდა ამისა, აგიოგრაფიის გმირი ზნეობრივი მაგალითია, სულიერი ძალაა, გზის მაჩვენებელია.

• პარტიული ლიტერატურა, პოლიტიკური ლირიკა და პროზა — დიქტატურის მხარდამჭერი და დამნერგავი ლიტერატურული დისკურსი, რომელიც პროლეტმწერლობის სახით მივიღეთ, კიდევ ერთხელ აფრთხილებს კაცობრიობას, რაოდენ საშიშია მხატვრული შემოქმედება მაშინ, როცა ის ემსახურება ბინძურ პოლიტიკას და რა საბრალო არიან მის სახელს ამოფარებული (თუ შეფარებული) ბოროტების მსახურნი;

აგიოგრაფიამ მთავარი აქცენტი გადაიტანა სულზე, იმაზე, რაც უკვდავია ადამიანში. გააღვიძა მასში ყველაზე ადამიანური, დააფიქრა იმაზე, თუ ვინ არის და რატომ არის, რაშია მისი ამქვეყნიური არსებობის საიდუმლო. ამით, ფაქტობრივად, გაორებულ ადამიანთა მოდგმა დააბრუნა საკუთარ თავთან.

Саба Метревели

## Коммунистическая агиография

### Резюме

“Советский Союз является триумфом осуществления блестящих идеалов человечества. Ни один народ на земле не помнит такого счастья, какое обрел советский народ. Ни один народ не помнит таких великих вождей как Ленин и Сталин. Эти воистину народные вожди, которых народ покрыл ореолом величия, являются великим источником вдохновения советского патриотизма (Сулава 1940:116-117). Эти слова можно было бы использовать в качестве эпиграфа, так как в них очень отчетливо видна уродливая обескураживающая истеричная фальшь или притворство советского коммунизма и тоталитаризма, оправдать и идеализировать то, что в действительности являлось лишенной ценности жизнью, темной и страшной, эпохой безбожия.

Когда нет Бога, все допустимо, поэтому “во время триумфа осуществления блестящих идеалов человечества” в Советском Союзе была попрана самая большая ценность – человек, подавлены мышление, мысль, запрещены мечта и любовь, вера и свобода... Жертвами тоталитаризма стали миллионы невинных людей, настоящий ад укоренился в Советах. М.Кватая пишет: “По оценке В.Нозадзе, подобно церкви, Марксизм-Ленинизм бескомпромиссно боролся за утверждение своих догм, против любых отклонений, что стоило жизни многим людям. В книге, которая называется “коммунистической эсхатология”, приведена жуткая статистика. По информации Нозадзе, жертвой новой русской революции стали 75 миллионов человек. Отсюда 5 600.000 были промышленники, дворяне, торговцы,

17 миллионов крестьян, 1933-37 гг. партийной чистке подверглись 798.072 коммунистов» (Кватая 2010: 402).

В стране Советов боролись против христианской религии, веры в целом: “Православие противоречит верно истолкованным интересам пролетариата”, — говорил Сталин (Сталин о религии...1933:10). Такая пропаганда определила необходимость ликвидации духовного звания: “Партия не может быть нейтральной по отношению к проводникам религиозных предрассудков, отравляющих сознание трудовых масс. Сломили ли мы реакционное духовенство?- Да, сломили, только беда в том, что оно всё ещё полностью не уничтожено”(Сталин о религии...1933:14). Религия является врагом народа, в то время как счастье заключается в коммунизме, не следует верить в Бога, но надо верить в марксизм-ленинизм, который учит нас, что религия является исторически переходящим процессом и ее существование не является вечным. Маркс говорит: “Религия является отдушиной угнетённого существа, духом бездушного мира, духом мятежного времени. Она является опиумом для народа” (Федосеев 1940: 24). Народ является массой, которую следует убедить, что нет Бога, кроме вождя. “Маркс является олицетворением Бога...У Карла Маркса есть свой апостол – Ленин” (В.Нозадзе: “Коммунистическая эсхатология”). Такими же апостолами или богоподобными становились и другие лидеры, ещё при жизни покрытые мифологическим ореолом. В Советском Союзе создавалась Лениниада, Сталиниада...В Германии и Италии восхваляли Гитлера и Муссолини.

Антигуманская и противоестественная большевицкая система поняла, что так резко и мгновенно оторванный от религии народ будет нуждаться в псевдорелигии, поэтому вместо святого писания появился догматический марксизм.

Лидеры советской идеологии осознавали, что покорение, приручение и порабощение было возможно только посредством строгой доктрины, поэтому была разработана, усовершенствована философия марксизма-ленинизма,ialectического материализма, её возвели в степень и превратили в “общечеловеческое явление”. В какой форме и как должно произойти оформление и утверждение возможного догматического марксизма?”- Здесь однозначно заменили церковь партией, Бога-вождями, в конце концов, мы получили структуру, идентичную церковной иерархии-коммунистическую религию.

Христиане любят и верят в созиателя мира – Бога, в эпоху тоталитаризма им является вождь;

Высшим духовным лицом церкви является патриарх (католикос), в партии–Генеральный секретарь центрального комитета.

Патриарх является апостолом Божьим, апостолом вождя является Генеральный секретарь центрального комитета.

Высшим органом церкви является Святейший Синод, партии – Политбюро.

В ведомство патриаршества входят епархии со своими пастырями, в ведомство партии – месткомы, секретари городских комитетов.

Церковь является Божьим домом, воздвигнутый на куполе крест указывает нам, что здесь восхваляют распятого Христа; Компартия имеет своё избранное здание, вместо креста на нем красуется изображение серпа и молота.

Церковь говорит и проповедует от имени Пресвятой Троицы (Отца, Сына и Святого Духа), коммунисты говорят и проповедуют от имени партии, Маркса, Ленина и Сталина; беседа, рассуждение, книга, исследование или письмо обязательно начинались с упоминания их имен.

Икона Спасителя человечества имеется во всех церквях, портрет вождя - во всех партийных и непартийных учреждениях.

Крест на груди является признаком христианства, значок октябринка, затем галстук пионера и в конце значок члена комсомола с изображением вождя является обязательным путем к партийным рядам для советского человека.

После крещения христианину выдается удостоверение о крещении – его втором рождении, документ обновления души, красная книжка члена коммунистической партии является подтверждением земного успеха.

Для христиан обязательным является изучение богословия, для советского человека - прохождение курса марксизма-ленинизма.

Выдающимся общим праздником является Рождество и Воскресенье, в Советском Союзе с пышностью отмечали дни рождения и смерти вождей.

Церковные праздники отмечаются литургией, обнесением икон вокруг церкви, хождением со стягами и пением псалмов. Сталин говорит: "Праздники есть и у священослужителей, и в это время они воздают хвалу своим обычаям, в то время как трудящиеся погибают в нищете, бездельники утопают в роскоши, свои праздники должны быть и у рабочих и во время этих праздников им должна быть объявлена полная свобода, всеобщее равенство для всех людей, этим праздником является день 1 мая" (Федосеев 1940: 35). В стране Советов проводятся парады с портретами вождя, гербом, флагом и знаменем, вместо прославления слышны марши и гимны;

У церкви есть святые предметы, св. утварь: потир и дискос, пика, звезда, очистительница, стамна и т.д...

коммунизм идеализирует серп, молот, комбайн, трактор...

Христианство проповедует евангелие, учение Христа, а коммунизм – марксизм-ленинизм;

Для христианина главное духовное преображение, как начало новой жизни, а советский человек празднует день победы-утверждение новой жизни и страны.

Святым городом является Иерусалим – исторический памятник и свидетель жизни Христа. Москва-Кремль, как высшая инстанция и абсолютная истина; надежда и прибежище трудящихся находится в Кремле, ему принадлежит успех и радость. Поэт гордится тем, что Москва и Кремль являются надеждой всей планеты, что коммунизм утвердился на нашей родине.

Согласно грузинской иконографии, в центре иконы находится святой, коммунистическая же иконография является следущей: портреты вождя имеют иконообразное изображение, на крупном плане. Ленин – лысый, в галстуке, в белой рубашке и пиджаке, или в величественной позе – оратор, с высоко поднятой рукой, Сталин – с усами, зачесанной назад шевелюрой, с трубкой, низким лбом; широко распространена триада – Маркс, Энгельс и Ленин.

Существует церковная традиция почитания святых, молящиеся спускаются и касаются их святых мощей, останки Ленина находятся в Мавзолее, в хорошую погоду и непогоду не редеют толпы перед мавзолеем, желающих почтить нетленные останки вождя.

Верующий благодарит Бога за милость, следует быть благодарным компратии, она является заботливой, хранящей и милостивой.

Одной из тайнств религии является исповедь, очищение от греха перед священослужителем, в партии – им является

самокритика. Следует признать преступление, ошибку, недостаток перед компартией.

В национальных учреждениях организованы молитвенные уголки, в Советскую эпоху существовали уголок Ленина или Красный уголок.

У церкви есть великие святые, мученики, достойные и блаженные отцы и матери, у компартии есть павшие за революцию, Герои Социалистического Труда, орденоносцы Красного Знамени...

Для христианина рай наступает после смерти, Советская идеология утверждает, что рай, то есть коммунизм, наступит для живых на земле.

Существует христианская этика и коммунистическая мораль.

Христианская литература имела агиографический жанр, отображая жизнь служителей, объявленных церковью святыми, в теологическом и историко-церковном аспекте. В агиографии святые жертвовали собой ради верности высшим идеалам и принципам, любви Христа или всю свою жизнь самоотвержено и верно служили христианским идеалам.

Коммунистическая литература также отличается. агиографическим жанром-к коммунистической агиографии относится Лениниана, Сталиниана, Дзержинсиана (особенно в кино), Хрущовиана, Брежневиана... "Святые" также являются не сдающимися, бесстрашными, самоотверженными за веру и непоколебимыми, верными, способными переносить любые муки и лишения, как христианские святые. Так же как смерть за Христа была наивысшим счастьем и блаженством, также смерть за марксизм-ленинизм считалась наивысшим счастьем" (Бакрадзе 1990: 96), в русской литературе коммунистическая

агиография изучена монографически Юлией Подлюбновой (Подлюбнова 2006:).

Главными и наиболее почитаемыми “положительными героями” в советском культурном пространстве были, разумеется, Ленин и Сталин. Смерть Ленина дала толчок для введения его жизни в литературный дискурс, что, в первую очередь, утвердились в поэзии, так как поэтический жанр упрощал их представление в качестве почти мифических образов (Кизирия 2010: 378).

Для начала проследим как создавался образ вождя в грузинском фольклоре и поэзии, как вождь превращался вmessию в политической лирике.

В целом, толчок для создания Ленинианы дал Сталин. В грузинской политической Лениниане мы читаем: “Советский народ внимательно изучает совет И.В.Сталина:

“Помните, любите и изучайте Ильича, нашего учителя, нашего вождя!

Сражайтесь с врагом, внутренним и внешним, одолевайте врагов, как, учил Ильич!

Стройте новую жизнь, новое бытие, новую культуру по Ильичу!

Никогда не отказывайтесь от малого в труде, так как из малого строится великое - это одно из наиважнейших завещаний Ильича!”(Грузинская поэтическая...1970: 71).

Принято считать, что начало грузинской Лениниане заложил Г.Табидзе стихотворением «Корабль Тень», первое произведение в прозе принадлежит Д.Сулиашвили, который в 1971 г. напечатал книгу “Из Швейцарии в Грузию” (впечатления эмигранта), первым серьезным произведением в драматургии является “Искра” Ш.Дадиани, однако гораздо раньше была напечатана инсценировка “Ленин на нас не похож” С.Церетели-1924 г. и “Ленин на

баррикадах” Д.Чархиашвили-1930 г., более подробно см. (Грузинская художественная литература 1971: 93-133).

Что касается бума Сталинианы, об этом поэт И.Абашидзе вспоминает, что с 1933 г. в Союзе писателей партийные представители заявили, что уже наступило время и необходимость написания о вожде. “Эти слова подействовали на писателей как амнистия...Именно после этого открылся литературный марафон, кто кого” (Абашидзе 2003: 32).

В грузинской политической лирике создается и формируется принятый в христианской литературе образ и символ вождя, как образа мессии, для отображения чего особых комментариев не потребуются к приведенным нами примерам:

Вождь солнце: в народных стихах Ленина часто сравнивают с солнцем-”искре не верим в бессмертие Ленина подобному солнцу”:

“Ты светишь нам только днем,  
А он и ночью является солнцем” (Бенашвили 1939: 11)

В одном стихотворении рождение Ленина сравнивается с появлением на небосклоне яркой звезды....Светило ищет героя (Ленину-С.М.), который освободит народ...Во время этих поисков оно обращает внимание на избушку в снежных горах, в избушке спит мальчик (тамже:10). Здесь нам вспоминается лежащий в яслях Христос и волхвы, пришедшие вслед за блуждающей звездой.

Звезда и солнце часто используются для отображения бессмертия Ленина:

Смерть подобна заходу солнца;  
С неба сорвалась звезда,

Освещая всю страну.

В одном из стихотворений обращаются к солнцу:

Не верю, что между вами двумя,

Ленин может умереть раньше (там же: 36, 43, 47).

Солнцем является также и Сталин, так как он тоже вождь, поэтому использование христианской символики равномерно распределяется на вождя, неважно, будет то Ленин или Сталин, один заменяется другим, как говорит поэт:

“Страна знает,

Даже враг знает,

Что сегодня Ленином

стал Stalin” (грузинские стихи...1937: 138)

или

Когда мы смотрим на него, вспоминаем Ленина

И в сердце загорается твоя клятва”

(Stalin 1944: 31)

Поэтому часто мы встречаем в сборниках, посвященных Сталину, стихи о Ленине и наоборот. В одном стихотворении мы читаем о Сталине:

“Великий вождь, свети нам подобно солнцу,  
как солнце животворящее – ты один во вселенной”  
(Ленин и Stalin...1939: 131)

Ленин является носителем солнца, учредителем света, источником света, его слова бессмертны, как солнечный свет” (Образ Ленина 1957:9). Автор той же книги пишет: “Ленин, вождь – солнце – любимый...В поэтическом эмоциональном слове образ великого Ленина

раскрывается, как любимого массами и близкого к народу вождя, учредителя нового мира, управителя солнцем” (там же, 12).

В 1934 г. Михаил Чиковани написал в Кобулети стих о Ленине: “Два Солнца”, - как только Ленин умер, Солнце стало плакать.

В конце, солнцеподобный образ вождей в народной поэзии утвердился следующим образом: “На небе светит луна, множество звезд, а нашу страну освещают Сталин и Берия” (там же: 108).

Из народной поэзии вождь – солнце, светило-светил, звезда, источник тепла и света..вашел и в грузинскую поэзию:

“Вечная слава твоему имени,  
Имени твоему вечная слава,  
Солнце освещенное тобою,  
Никогда не зайдет”  
(Великий Сталин 1949: 33)

“Светом стал для меня Ленин и сам Ленин превратился в свет” (Образ ленина 1968: 21).

Вождь отец: “Отец трудящихся – Ленин проверил лезвие ножа” (Ленин и Сталин 1939: 92); “ и улыбается в моем прекрасном городе добрый отец всех городов” (Грузинская поэзия...1970 г.); “Его зовут вождем, а еще?-Мудрецом” (там же: 66); “Он излечил мою печаль, он изображен в моих песнях, со страниц которых, прищурив лоб, говорит со мной отец Ленин” (там же: 68).

Сталин также является отцом:  
“Сталин, великий вождь,

Отец трудового народа”  
(Сталин....1949: 19)

“Сталин, великий вождь,  
Тебя называют отцом (там же: 40)

“пусть живет долго Сталин, отец и вождь народов” (Великий Сталин 1949: 15); “В качестве солнца и спасения здесь родился вождь, отец народов” (там же: 88).

Вождь – спаситель, спаситель человечества: “Сталин – спаситель мира, Сталин во всех стихах поэта” (Великий Сталин 1949: 72); “Столица является нашим дыханием... там спит спаситель и надежда Ленин” (Сталин 1944: 67); образ Ленина являлся символом избавителя мира и добра. Он лечащий рукой касался матери, убивающейся у трупа ребенка в стихотворении Г.Качаидзе “Ленин” (Грузинская поэтическая...1970: 45). В балладе О.Челидзе “Несравненный лекарь” Ленин представлен, как преданный народу, заботливый, отзывчивый, простой, близкий и непоколебимый знаток сердец”, - пишет один критик (Грузинская поэтическая 1970: 37-38).

Р.Чичинадзе, который работал в Кремле начальником грузинского сектора отдела опубликования актов Президиума Верховного Совета СССР, вспоминает, что ему было поручено реагировать на жалобы, поступившие из Грузии: “Тысяча разных негодяев писали нам письма. Происходили удивительные события. Некоторые все ещё верили, что Ленин жив и писали: Я не верю новому правительству, ты должен помочь нам!” (Чичинадзе 2010: 125).

Вождь является указывающим путь, направляющим по правильному пути, который призывает нас к вечному, к великой идее коммунизма:

“Он освещает нам молчаливый путь пламенем лучей,  
Мы взираем на него с любовью и рвением”

(Образ Ленина 1957: 117)

Или

“Тепло растило нас, нас взрастило тепло Сталина  
Во времена рассвета родины,  
Мы никогда не сворачивали с ровного пути,  
Шли вперед, под знаменем Сталина”

(Великий Сталин 1949: 82);

Или

“Ты наше развевающееся знамя,  
Если сбьемся с пути, укажешь нам путь”

(Ленин и Сталин 1939: 65)

Вождь является великодушным и всемогущим: к вождю обращаются как ко всемогущему и милостивому Богу, когда тебе придется трудно, упомяни его имя и тебе полегчает:

“Только упомяни его имя - и в засуху пошлет дождь,  
Только упомяни его и путь тебе уступит сильный ураган,  
Только упомяни и согреешься, когда тебе холодно”

(Грузинская поэтическая....)

Или

“Нас всегда защищает  
знамя Великого Ленина”

(образ Ленина.. 1968: 26)

Ленин знал всех. Правда, он не бывал в Грузии, но пожилой школьный сторож говорил поэту:

“Он знал меня, клянусь им,  
Он наизусть знал мою жизнь,  
Из красного знамени, с братской улыбкой,  
Он протянул мне руку помощи”

(там же: 20);

Или

“Великий Сталин,  
Он протянул нам руку”

(Сталин грузинской...1949: 152)

От вождя ждут даже благословения и наставления:

“Вперед прызывает нас ваше имя

В винограднике, в саду, на гумно,

Вновь освети нас на геройство

И благослови любовью” (Великому Сталину 1949: 40)

Или

“Помоги нам Сталин, и нам помоги, и нас спаси,

Глаз стремится к сладкой мечте..

Образ Сталина рисовался ему как утешение”

(Грузинские стихи...1937: 40)

Вождь является повелителем земли и неба, даже планетой управляет он победо-

носной силой любви:

“Этим огромным, широким миром он управляет,

Полностью овладел его сутью, чистой мечтой

Как сказочную книгу открыл он врата неба,

Сегодня управляет земной сферой силой любви”.

(там же: 49)

Вождь сможет невозможное, принесет новую жизнь, весну:

Ты создал нам весну и светлый рассвет  
Отобрал солнце у дракона, вернул народу родину”(там же: 80);

Поэтому, мир изменил цвет, Ленин (или Сталин) изменил даже вращение планеты, земли вокруг оси:

“После него и земля вращается иначе,  
По направлению руки Ленина”  
(Грузинская поэтическая 1970: 56)

Новое летоисчисление начинается от Рождества Христова, но “я начал бы летоисчисление с того великого дня, когда на свет появился великий Ленин” (там же: 65).

Вождь бессмертный: все повествует о бессмертности вождя. Большая часть стихов о Ленине касалась вопроса о его смерти, так как именно ее остро переживал трудящийся народ, автор одного из народных стихов обращается к природе, призывает ее присоединиться к человеческой скорби. Природа как будто слышит голос человека:

“Подул холодный ветер, рассыпал листву,  
В лесу узнали деревья, склонили ветви,  
В горах узнали птицы, перестали петь”  
(Ленин и Stalin 1939: 9).

Повсюду слышится всеобщий плач: “Умерла наша надежда, олицетворение свободы не займет свой трон”. В устном народном творчестве очень широко распространённым способом является призвание тени покойного Ленина и откровенный разговор с ним, как с живым человеком. Ленина призывают все трудящиеся

нашей страны, так что со всех уголков раздаются отголоски песнопения (Портрет Ленина 1957: 22-23). Интересным является также то, что грузинский поэт А.Машавили называет смерть Ленина скорбью человечества:

“Ты покинул нас вождь Ленин и оставил нас сиротами на земле”.

В стихотворении “Ленин” Г.Леонидзе с художественной убедительностью рисует идею бессмертия Ленина:

“Если ты спиши, то бодрствует твое имя,  
Как самый большой ураган,  
Если ты спиши, бодрствует твое дело,  
Как острый, занесённый меч”

Миллионы людей во всем мире говорят о Ленине:  
“Ленин жил, Ленин жив, Ленин будет жить”(там же 28).

Бессмертен и Сталин, особенно остро это чувствовалось в холодные мартовские дни 1953 года: “Он не умрет, он с нами, не покинет нас, как жизнь, гордость и победа” (Мнатоби 1953: 31), или:

“Сталин! Побеждена безжалостная смерть,  
Не смогла осуществить свой злой умысел,  
Стоит у твоего гроба бледная,  
Склонив перед тобой голову”  
(здесь же: 74)

На фоне этой истерии, Сталин предстаёт в качестве светила, героя, отца людей и народов, седоволосым мудрецом, усталым от трудов, только уснувшим и т.д.

“Ты был человеком, а умерев стал солнцем  
Ты опять с нами, не покинул нас!  
Теперь вместо солнца сияешь ты,  
Теперь Солнце следует называть твоим именем!”

(Здесь же: 46)

Вождь является спускающимся с гор водопадом, горным тигром, высокогорным орлом, ястребом, народным гением, олицетворением героизма, непоколебимой сталью, человеком справедливым, шелестом высоких деревьев, искренним другом всех угнетённых и трудящихся, открывателем школ в деревнях, предводителем пролетариата, несравненным борцом, учителем народа, простым и скромным, верой в нашу свободу. “Народ назвал его именем–жизнь, утешением рабочего - вдоль всего океана”, началом и концом нашей жизни, мудрейшим из мудрейших, надеждой, утешением народа, “легендой, рассказанной перед камином”, самым великим, самым любимым (Г. Дзнеладзе), пожертвовавший собой ради свободы, совершенным творением природы, сокровищем всего мира, старейшиной сладкого труда, утешителем трудового народа, героем освободителем, лежащим в колыбели, качнувшейся в Базалетском озере, совестью и правдой, столпом эпохи, строителем, украшающим историю бессмертными делами, человеком вечным, неиссякаемым источником мудрости и света... и множество похожих или иных восхвалений вождя в народной словесности и литературе и в общем, в грузинской политической лирике.

В политической лирике вождь является мифологическим “Вождь наш Ленин, олицетворение героизма”

(Ленин и Сталин, 1939: 89)

Или

“Вождь, твоё имя  
Больше, огромная родина,  
Огромный мир,  
Лежит на твоих плечах.”  
(Сталин в грузинской... 1949: 87);  
Ещё дальше идет автор следующих строк:

“Великий Сталин, твое лицо  
Я видел на небе Кремля” (Там же: 151);

Или

“Великий вождь, герой героев, сильный духом,  
Какой из героев сравнится с тобой мудростью и  
твёрдостью”  
(Великий Сталин 1949: 75)

Один из поэтов следующим образом обращается к  
“Спасителю Человечества”:

“Ты отобрал солнце у дракона,  
Вернул народу Родину” (там же: 80)

Или

“Сталин ты спаситель героя Амирани  
Закованного в Базалети, Сталин это ты”  
(там же: 125);

Или

“Как не упомянуть его имя,  
Который открыл нам врата в небеса обетованные” (там  
же: 138)

Наряду с образами Ленина и Сталина в политической  
лирики выделились также другие образы:

“Верный делу Ленина и Сталина Берия,  
Не забудет человечество твои многочисленные деяния”.

Примеры, которые мы привели, являются лишь малой частью для того, чтобы показать, что вождь является мессией, спасителем, воплощением Бога в безбожном обществе. Так создавала грузинская политическая лирика образ всемогущего важдя, мистифицировала его. Очень трудно сказать, что в необузданном восхвалении, которое в общем является характерным для политической лирики любой эпохи, все писали то, что чувствовали и переживали, однако были и такие, которые действительно верили вождю и в важдя! Что делать, такова психология масс, однако с этой точки зрения, коммунистическая агиография имеет периодический пафос, это бесспорно! Как писал Акаки Бакрадзе: “Христианский агиограф писал с верой, коммунист – агиограф со скрытой иронией” (Бакрадзе 1990: 96).

Абсурдными и пародийны являются комментарии, приведенные в Сталиниане-Ленминиане, например:

“Девушка, провожая любимого на фронт, повязала на шею парню платок и поручила:

“Если падёшь на поле боя, истекут предназначенные тебе дни,

Не сдавайся врагу живым!- так говорил великий Ленин.”

...Когда он героически пал на поле боя, он вспомнил просьбу своей любимой:

“Снял с шеи платок, сохраненный с нежностью

И написал на нём кровью только одно слово – Ленин!”

(Грузинская поэтическая...1970: 144)

В изданиях данного периода можно встретить и следующие аномалии:

“Для порабощенных народов капиталистических стран, Сталин является надеждой, непобедимым знаменем, столпом света, который призывает их к окончательному освобождению” (Грузинские стихи... 1937: 5).

Следует отметить также эстетику книг, изданных о вожде, - их “полиграфия, разумеется, была особенной. Заголовок обязательно выделялся особенным шрифтом и цветом; в основном красным. Темы также не ограничены; пишут о личности, доме Сталина в Гори, книге Сталина, даже о ковре, на котором выткано его лицо... Пытаются использовать различные ракурсы, думаю, что один из факторов является предоставление данной огромной “информации” читателю, которой он “бесспорно” интересовался. Было ли это детство пресонажа, юность, молодость, врожденное качество (если хотите, назовите его страстью) помочь другим людям, особенно незнакомым (Нишнианидзе 2010: 393).

Тот народ, те люди...для которых Ленин и Сталин является спасителем, является массой, безликой, утратившей личность, уравнённых друг с другом людей единством, им нужен вождь, как мессия, спаситель, надежда на будущее. В ту темную и безжалостную эпоху эта масса была не только единством людей, охваченных агрессивной истерией, она является победителем, поэтому очень многое, особенно в фольклоре, сказано от сердца, большая часть грузин действительно так верила и так любила, отголоски этого мы встречаем и по сей день и это ни для кого не новость. Что касается избранного общества, условной элиты, их существование тоталитаризм не допускает, но многие авторы политической лирики всё же были вынуждены с учётом историко-политического контекста так писать и так думать, поэтому эта поэзия является пародией диктаторской системы, псевдогероев и иллюзорного счастья.

Несмотря на такое волнение триумфаторской массы, представление апостолов тьмы в таком качестве,

весь этот маскарад основывается на злобе, насилии и несправедливости. В грузинской Лениниане, изданной в 1957г., мы читаем: “Согласно грузинской народной поэтической истории, Ленин перед смертью склонил голову перед благодарным народом и оставил завещание, породительски поручил: “Жестоко накажите тех, кто осмелится противостоять вам” (Образ Ленина 1957: 22).

22 летний Сталин говорит в память о рабочих, погибших в борьбе с самодержавием: “Честь и хвала Вам, погибшие за правду! Честь и хвала Вам, голову которых украшает венец из колючек и перед часом смерти дрожащими, бледными губами прошептали: Отомстите за нас, кровь за кровь” (Сулава 1940: 18). Этой идеологией вызван восторг в народной поэзии из-за того, что уничтожили, раздавили, расстреляли, задушили достоинство, человека и духовность. Сегодня эти фразы звучат как обвинение этой черной и темной эпохе:

“Вышел приказ, приказ Ленинский  
Уничтожать князей, богачей, дать им попробовать меча”  
(Ленин и Stalin...1939: 93)

“Нет больше старого времени,  
Глашатаев, икон священников (там же: 52);

“Что мне церковь и служения, что мне служение,  
Да здравствует наш коллектив, тяжелая индустрия!” (там же: 142)

Таким кровавым был “Советский Союз -- осуществленный триумф блестящих идеалов человечества. “Желанное, счастливое время, однако оно тоже являются нашей реальностью, зловещей страницей истории.

## Список литературы:

1. Абашидзе 2003: И.Абашидзе, Звонки из тридцатых годов, Тб., Издательство “Интеллект”, 2003;
2. Бакрадзе 1990: А.Бакрадзе, Усмирение литературы, Тб., Издательство “Саранги”, 1990;
3. Бакрадзе 2009: А.Бакрадзе, Сталиниана, Журнал “Арил” №13,2009;
4. Вождю 1939: Вождю грузинские писатели, Тб., Издательство “Федерация”, 1939;
5. Великому Сталину 1949: Великому Сталину, Тбилиси, издательство “Советский писатель”, 1949;
6. Кватая 2010: Кватая М.Концепции вождей в грузинских эмигрантских текстах, материалы международной научной конференции “Тоталитаризм и литературный дискурс” (опыт 20 века), Тб., Издательство Института литературы, 2010;
7. Кизирия 2010: Кизирия Д., Тиран, как мессия (поэма Георгия Леонидзе “Детство и юность Сталина”), материалы международной научной конференции “Тоталитаризм и литературный дискурс” (издательство 20 века), ТБ., Издательство Института Литературы, 2010;
8. Ленин и Сталин 1939 г. Ленин и Сталин в грузинском поэтическом фольклоре, Редакция и Предисловие, Д.Бенашвили, Тб., Издательство “Федера ция”, 1939;
9. Образы Ленина 1957: образ Ленина в грузинской народной поэзии, Г.Сам харадзе, Тб., Грузинская ССР, Общество, распространяющее политические и научные знания, 1957;
10. Образ Ленина, 1968 г.; Образ Ленина в грузинской литературе, Л.Кикнадзе, Тб., Общество “Знание”, 1968;
11. Мнатоби 1953: Журнал “Мнатоби”, № 3, Тб., 1953;
12. Нишнианидзе 2010: Р.Нишнианидзе, от лидера до вождя, материалы международной научной конференции

- “Тоталитаризм и литературный дискурс” (издательство 20 века), Тб., Издательство института Литературы 2010;
13. Сулава 1940: Сулава, Литературные письма, Тб., Литературное Издательство, 1940;
  14. Сулава 1957, Ал.Сулава, Письма, Тб., издательство “Советский писатель” 1957;
  15. Сталин 1949: Сталин в грузинской народной поэзии, Тб., Государственное издательство, 1949;
  16. Сталин 1944: Сталин, Сборник стихов, Тб., Издательство “Сахелгами”, 1944;
  17. Федосеев 1940: П.Федосеев, Сталин о религии и борьбе с ней, Тб.. Центральное Советское Издательство Грузии, 1940;
  18. Грузинские стихи 1937 г. Грузинские стихи и песни о Сталине, издательство “Заря Востока”, 1937;
  19. Грузинская художественная 1971: Лениниана Грузинской Художествен-ной Литературы, Ш.Гозалишвили, Тб., Издательство “Наука”, 1971;
  20. Грузинская поэтическая..1970: Грузинская поэтическая Лениниана, Г. Самхарадзе, Тб., Издательство “Мерани”, 1970;
  21. Сталин о религии 1933: Сталин о религии и борьбе с ней, составлено С.Кубанеишвили, Центральное Советское Издательство Грузии, 1933;
  22. Чичинадзе 2010, Р.Чичинадзе, «Моё сокровенное», Тб., Издательство “Некери”, 2010;
  23. Подлубнова 2006, Подлубнова Ю., Коммунистическая агиография в советской литературе 1920-1940-ых гг., размещено 17.05.06. адрес: <http://www.netslova.ru/podlubnova/comm.html>.

Saba Metreveli

## Communistic Hagoigraphy

### SUMMARY

As it is known, Christian Hagiography existed in Georgian literature including XVIIc. Gradual secularization of literature in XVII-XVIIIc.c.; formation of its civil form couldn't eliminate traditions of descriptions of the lives of saints. For instance, in the depths of Russian Christian culture in XIXc and XXc there were still created hagiographical texts. At the beginning of the XIXc and XXc the civil literature applied to hagiographical law not once (Short story „Father Sergyi“ by L.Tolstoy, chapter about monk Zosime from „The Karamazov Brothers“ by F. Dostoyevsky, stories by N. Leskov in 1860-1879, „Life of Vasilyi Theban“ by L.Andreev and „Honorable Sergi Radonejskii“ etc).

In this word combination - Communistic hagiography, the word „Communistic“carries a meaningful charge which is revealed in different aspects. First of all we speak not about the continuation of the Christian tradition of the lives of saints, but about a specific double of hagiography or pseudo hagiography if you like so. We should consider Communistic hagiography as a meta genre which revived archetypes of Christian Hagiography, though it transformed the nucleus of its world outlook as the Soviet literature, its totalitarian and oppressing philosophy gave hagiography a Communistic ideology and turned it into pseudo hagiography.

Recently in humanitarian sciences there appeared a tendency of studying archaic roots of arts of modern times. For instance, Russian scientists argued that Russian literature typologically is close to mythological, folklore, religious and artistic formations. Such approach offers a different consideration of

Soviet literature which is included within a wide genre system coordinates. This gives us a chance to speak about the actuality of old genres, and also about their renovation (E.Dobrenko, K.Klark, A. Glotov.) In the Soviet literature one of such renovated genres is hagiography.

While defining Communist hagiography we observe artistic events of the Soviet Literature at the background of the aesthetics of socialist realism after we base our opinion on the well known in scientific literature authors, from Russian literature mainly works E.Dobrenko, K.Klark and I.Padlubnova, from Georgian literary criticism works of Davit Andriadze, Shota Iatashvili and mainly Akaki Bakradze. In our reality namely he used the term of Communist hagiography in his book "Taming of the Literature".

As it is known, Georgian hagiography defended and promoted its main principles including the XVIIIc. Georgian Soviet literature applied hagiographical law with great success, realized actualization of the genre of lives and created a whole cycle of Leniniada , Staliniada and Beriada, idealized their contribution and devotion in the matters of defending and strengthening of revolutionary values.

According the law of hagiography there was created an image of a hero devoted to the Party, they praised collectivization, Komsomol, The Greatest Party, Party Leaders etc. Marxism-Leninism created a religion without a god, the masses in its service glorified their saviors, as symbols of all victories, in hope of survival, their messiah etc. A. Bakradze remarked: with the attitude to a "saint" and from the point of view of applied artistic means Christian and Communist hagiographies are quite similar. Communist "saints" are as stoic, fearless, unmistakable, devoted to the faith, unbroken, loyal and able to endeavor any

tortures as Christian saints. Death for Marx and Lenin was as great a happiness and bliss as the death for Christ.

Communist hagiography initially was formed in Russian literary space, later after Sovietisation of Georgia it settled on Georgian soil too. There were created praises and prayers to the Leader. There was not a single Georgian writer who purposefully or not, did not write and glorify the caring Party and its Leader, despite the fact whether they believed in him or not, whatever they wrote revealed principles of Communistic ideology in prose and drama, fidelity to those principles, boundless appraisal and love of the Leader, worship of the Soviets. These and other aspects are to be looked for, revealed and thought over in the creative works of L.Metreveli, S.Talakvadze, K.Lortkipanidze, I.Lisashvili, B.Chkheidze, P.Chkhikvadze, J.Khoperia, R.Korkia, G. Natroshvili, M. Mikadze, Ts. Mestiashvili and others, generally in Georgian Leniniada and Staliniada.

We realize completely well that the term “Communist hagiography” offered by us is somewhat conventional and can be regarded as a working version, but we use it deliberately as in Literature criticism we have several precedents, like Komsomol poetry in its time, or Leniniana and Staliniana which also were conventional terms then. Given nominations do not depict phenomenal essence of historical-literatural objects, but they were little by little established in sciences.

Geneses of Communist hagiography is connected to Leniniana of 1920s (Two basic texts for Leniniana- a poem by V. Maiakovski and an article by M.Gorki, represent nucleus of the genre). Later Leniniana contained hagiographical elements: stories for children by M. Zoshchenko and “The ticket in history” by M.Shaginian, book “Our Lenin” by B. Polevoi and Zhukov, stories by S. Alekseev etc. There were made no changes in Leniniada’s heir Staliniana either. The only innovation is change of

subject of narrative. Lenin was substituted by Stalin the same happened in Georgian reality. In the collections of poems about Lenin one can come across the poems about Stalin and opposite. Georgian writers also create works inspired by Social realism side by side with their “Big Russian brothers”, there were written: “Bolshevik” by L.Metreveli, “Down of Cloches” and “Immortality” by K. Lortkipanidze, “FERO” by B.Chkhikvadze, “A case in old Gori” by S. Kldiashvili, “Unique” by P.Chkhikvadze, “Lenin at the Front line” by T.Jangulashvili, “To Lenin’s portrait” by J.Khoperia

Post revolutionary Soviet art in the conditions of strengthened general atheist wave and ideology could not directly manage hagiographical genre, but actuality of writing “Lives and Acts” of archetype descriptions was realized in that time and in the first place on the level of collective unconsciousness. Non artistic reality in the XIX and XXcc. offered the literature a new type of a worker – revolutionary, who deeply believed in the possibility of social justice in this world and was ready to give his life energy to its establishment. It was not in vain that M. Gorki offered N. Chernishevski to write “A life of honorable Nikoloz Chernishevski”. In the XIX century already there appeared “revolutionary” texts, which were close to hagiography by their essence. (see “Rakhmetov” episodes in Chernishevski’s novel “What should we do”, “Andrei Kozhukhov” by S. Stepnjak-Kravchinski, popular biographies of Russian revolutionaries, 1900). In these texts was clearly seen the origin of Communist hagiography of a later period of the literature. Activity of “Life” archetypes from 1920 was also conditioned by strong determination of Communism to “Heroic reality” and sacramentality of its heroes. A need of myth penetrated Soviet culture. For modeling of a new image of new reality and “canonization” of the heroes they often applied Christian analogies. First paral-

lels between Lenin and Christ were made in post revolutionary rhetoric, and in 1918 attack to the Leader made them see in the Leader a man of “tolerance”, like St Boris and St.Gleb and St Andrei Bogoliubski. In Georgia Gori became covered with mystics, it became something like Bethlehem, childhood and youth of the Leader was represented with thousands of legend (G. Leonidze, K. Gamsaxurdia, D.Shengelaia, etc). There was thoroughly worked out an image of a passionate, devoted to people, thinking about their wellbeing and freedom revolutionary and fighter for freedom, a general model of a positive hero. Urgency of the research is connected with revelation of less known metagenres of Soviet Georgian literature, with the role and place of Georgian writings in Georgian Literature and culture. Innovation of the research can be considered the fact that it will be the first attempt in Georgian literature criticism to discuss entire metagener events of Communist hagiography, their structural specific features, geneses and evolution, ideology of this kind of literature, and simultaneously determine place of Soviet Georgian literature in the cultural space of the epoch.

Goal of the research is to discuss Soviet hagiography, as a meta genre of Georgian Soviet literature. To think over in system seen and evaluated so called party literature, as an atheist religion of the new times and attempt to represent this ideology by the hagiographical law. To achieve the goal it is necessary to:

Identify cultural and esthetical preconditions of Communist hagiography;

Reveal Communist hagiography as a meta genre and the character of given formation, its features, specifics and ideology;

To define the role and place of the Communist hagiography in cultural space of the epoch.

## დამოცვებანი

1. აბაშიძე 1951: აბაშიძე ი., იოსებ სტალინის სახე უცხოეთის მოწინავე პოეზიაში. თბ., კომუნისტი, 1951.
2. აბაშიძე 2003: აბაშიძე ი., ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბ., „ინტელექტი“, 2003.
3. აბაშელი 1939: აბაშელი ალ., მზე და სამშობლო. თბ., ფედერაცია, 1939.
4. ავალიანი 2005: ავალიანი ლ., „გიუი დროის“ ქართული მწერლობა. თბ., თეთრი გიორგი, 2005.
5. ავალიანი 2011: ავალიანი ზ., ნეოლიბერალიზმი და მართლმადიდებლობა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 52, თბ., 2011.
6. ავალიშვილი 2014: ავალიშვილი ნ., ჩემი თავგადასავალი და განცდანი. თბ., „ნეკერი“, 2014.
7. ალიბეგაშვილი... 2008: ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ. ჰაგიოგრაფიული თხრობა. ქართული სიტყვა“, 2, თბ.: 2008.
8. ანდრიაძე 2013: ანდრიაძე გ., მოქანდაკის ხელისუფლება – ელგუჯა ამაშუკელის კულტუროლოგიური მემორიალის მოდელი. ელგუჯა ამაშუკელი (წიგნი ალბომი), თბ., სეზანი, 2013.
9. ანდრიაძე 2012: ანდრიაძე დ., sos! სტალინი მახსოვს ბავშვი. მისამართი: <http://lightgroup.ge/opencart-38941/st-14.html>.
10. ანო 1932: ანო, მღვდელი და უღმერთო. უურნალი „მებრძოლი უღმერთო“, 2, 1932.
11. ანტირელიგიური... 1940: ანტირელიგიური აღზრდისათვის საშუალო სკოლაში (მასნავლებლის დასახმარებლად), თბ., ინსტიტუტის გამოცემლობა, 1940.
12. ახალგაზრდა კომუნისტი 1929: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №518, თბ., 1929.
13. ახალგაზრდა კომუნისტი 1929: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №502, თბ., 1929.

14. ახალგაზრდა კომუნისტი 1929: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №491, 1929.
15. ახალგაზრდა კომუნისტი 1929: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №456, 1929.
16. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., გამომცემლობა „სარანგი“, 1990.
17. ბასილაძე 2012: ბასილაძე მ., ადამიანის სულის ინჟინერები, მისამართი: <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-03-06/4138>.
18. ბაქრაძე 2009: ბაქრაძე ა., სტალინიადა, უურნალი „არილი“ 13, 2009.
19. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., სარანგი, 1990.
20. ბაქრაძე 1999: ბაქრაძე ა., კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი. ელექტრონული ვერსია, მისამართი: <http://www.buki.ge/library-8029.html>.
21. ბახტაძე 1925: ბახტაძე ვ. ცხოვრება და ხელოვნება. უურნალი „მნათობი“, 11-12, 1925.
22. ბახტინი 2010: ბახტინი მ., კარნავალიზებული ლიტერატურა. რუსულიდან თარგმნა თ. ნუცუბიძემ. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, II, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
23. ბელადს 1939: ბელადს ქართველი მწერლები, თბ., გამომცემლობა „ფედერაცია“, 1939.
24. ბექიშვილი 2011: ბექიშვილი ნ., დიდი ტერორი და ქართველი მწერლები. დისკუსია — ქართული მწერლობა საბჭოთა სისტემაში: რეალობის განზომილება. მისამართი: <http://lib.ge/book.php?author=1591&book=9698>.
25. ბუაჩიძე 1927: ბუაჩიძე ბ., ლიტერატურა და თანამე-დროვეობა. ტფ., ზაკენიგა, 1927.
26. ბუაჩიძე 1929: ბუაჩიძე ბ., ჩვენი დროის გმირი. გაზ. „ხუთი მაისი“, 1929.

27. ბუაჩიძე 1930: ბუაჩიძე ბ., ბრძოლა ჰეგემონიისათვის. ტფ., შრომა, 1930.
28. ბუაჩიძე 1931: ბუაჩიძე ბ., მწერლობის მიმდინარე საკითხები. თბ., ქართული წიგნი, 1931.
29. ბუაჩიძე 1934: ბუაჩიძე ბ., თანამედროვე ქართული მწერლობის გზები, ტფ., სახელგამი, 1934.
30. ბუაჩიძე 1960: ბუაჩიძე ბ., კრიტიკული წერილების კრებული, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1960.
31. ბურჭულაძე 1954: ბურჭულაძე ე., კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალა. თბ., თსუ გამომცემლობა, 1954.
32. ბუხარინი 1922: ბუხარინი ნ., ეკლესია და სკოლა საბჭოთა რესპუბლიკაში. ტფ., 1922.
33. გარტვიგი 1929: გარტვიგი თ., რელიგიის წინააღმდეგ. ტფ., სახელგამი, 1929.
34. გაფრინდაშვილი... 2010: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე. წიგნი მეორე, თბ., ნეკერი, 2010.
35. გეგეშიძე 1973: გეგეშიძე დ., ახალგაზრდობა და რელიგია, თბ., ცოდნა, 1973
36. გენძეხაძე 2001: გენძეხაძე ც., ტრაგიკული 30-იანი წლების ექმ ქართულ კრიტიკაში. ელექტრონული ვერსია, მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10----4----4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL4.2&d=HASH0117a23a9948258a0d2422a5.5.7>.
37. გვაზავა 1973: შობა რელიგიური ფანტაზია, გაზ. „განახლებული აბაშა“, №149, 13 დეკემბერი, აბაშა, 1973.
38. გვახარია 2003: გვახარია გ., 50 წელი სტალინის გარდაცვალებიდან, განთავსებულია 03. 03. 2003, მისამართი: <http://www.tavisupleba.org/content/article/1526884.html>.

39. გიორგაძე 1928: გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905. - ტფ., სახელგამი, 1928.
40. გოგიბერიძე 1929: გოგიბერიძე მ., მეცნიერება და რელიგია, თბ., 1929.
41. გოგიბერიძე 1930: გოგიბერიძე გრ., რელიგია და კომუნიზმი, ჟურნალი „რელიგიის წინააღმდეგ“, 1-4, თბ., 1930.
42. გრიგოლაშვილი 2005: გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., თსუ გამომცემლობა, 2005.
43. გრიშაშვილი 1939: გრიშაშვილი ი., ახალი ლექსები. თბ., საბლიუტგამი, 1939.
44. გომართელი 1926: გომართელი ა., კრიტიკული შენიშვნები, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 8, 1926.
45. გუგუტიშვილი 1976: გუგუტიშვილი მ., ახალი ტრადიციები საქართველოში. თბ., მეცნიერება, 1976.
46. გუგუშვილი 1956: გუგუშვილი ბ., კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1956.
47. დიდ სტალინს 1949: დიდ სტალინს, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1949.
48. დონალი 1922: დონალი, პროლეტარიატი და ხელოვნება. ჟურნალი „ხომალდი“, №2, თბ., 1922.
49. დროება, №543, 1874: გაზეთი „დროება“, №543, ტფ., 18874.
50. დროება, №38, 1875: გაზეთი „დროება“, №38, ტფ., 1875.
51. დროება, №86, 1876: გაზეთი „დროება“, №86, ტფ., 1876.
52. დროება, №74, 1880: გაზეთი „დროება“, №74, ტფ., 1880.
53. დროება, №140, 1880: გაზეთი „დროება“, №140, ტფ., 1880.
54. დროება №162, 1880: გაზეთი „დროება“, №162, ტფ., 1880.
55. დროება, №186, 1881: გაზეთი „დროება“, №186, ტფ., 1881.
56. დროება, №204, 1882: გაზეთი „დროება“, №204, ტფ., 1882.
57. დროება, №211, 1882: გაზეთი „დროება“, №211, ტფ., 1882.

58. დროება, №264, 1882: გაზეთი „დროება“, №264, ტფ., 1882.
59. ეკლესიის წინააღმდეგ... 2004: ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ საიდუმლო გეგმა, გაზეთ „**georgian Times**“, 044(307), ობ., 2004.
60. ეული 1939: ეული ს., ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი. ობ., საბლიტგამი, 1939.
61. ვარდოსანიძე 2011: ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში, განახლებულია 2011 წლიდან, მისამართი: [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&id=390:-1921-1932-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka](http://library.church.ge/index.php?option=com_content&id=390:-1921-1932-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka).
62. ვაჟა-ფშაველა 1906: ვაჟა-ფშაველა, მღვდლების ვინაობა, მისამართი: <http://tagiweb.com/mghvdlebis-vinaoba/#.U5n-8qJSSw08>.
63. თევზაძე 1982: თევზაძე დ., ქართული საბჭოთა ლიტ-ერატურული კრიტიკა. ობ., მერანი, 1982.
64. თევზაძე 1999: თევზაძე გ., საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები, ობ., ბაკურ სულაკაურის გამომცემობა, 1999.
65. თევზაძე 2010: თევზაძე გ., ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება, განთავსებულია 2010 წლიდან, მისამართი: <http://burusi.wordpress.com/2010/10/27/guram-tevzadze/>.
66. თოდრია 1931: თოდრია ს., დაბადება ანუ ბიბლია, წიგნი, 1, ტფ., 1931.
67. თოდრია 1935: თოდრია ს., ძველი და ახალი აღთქმანი, ობ., სახელგამი, 1935.
68. თოდრია 1936: თოდრია ს., ქართლის ცხოვრება. ობ., სახელგამი, 1936.
69. თორაძე... 2006: თორაძე ვ., თორაძე ნ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. ობ. ელფი, 2006.
70. თუდროსპირელი 1932: თურდოსპირელი დ., საყდრების ნაცვლად. „მებრძოლი უღმერთო“, №2, 1932.

71. იაროსლავსკი 1933: იაროსლავსკი ე., რას მოითხოვს პარტია კომუნისტებისაგან პირად ცხოვრებაში? ტფ., საქართველოს მუკის გამომცემლობა, 1933.

72. იაროსლავსკი 1937: იაროსლავსკი ე., კომუნიზმი და რელიგია. თბ., 1937.

73. ივერია, №1887: გაზეთი „ივერია“, №270, ტფ., 1887.

74. ივერია, №206, 1894: გაზეთი „ივერია“, №206, ტფ., 1894.

75. ივერია, №37, 1895: გაზეთი „ივერია“, №37, ტფ., 1895.

76. ივერია, №88, 1895: გაზეთი „ივერია“, №88, ტფ., 1895.

77. ივერია, №3, 1900: გაზეთი „ივერია“, №3, ტფ., 1900.

78. ივერია, №57, 1901: გაზეთი „ივერია“, №57, ტფ., 1901.

79. ივერია, №161, 1901: გაზეთი „ივერია“, №161, ტფ., 1901.

80. ივერია, №177, 1901: გაზეთი „ივერია“, №177, ტფ., 1901.

81. ივერია №1903: გაზეთი „ივერია“, №134, ტფ., 1903.

82. ივერია, №79, 1904: გაზეთი „ივერია“, №79, ტფ., 1904.

83. იმედი 1881: ჟურნალი „იმედი“, 1, ტფ., 1881.

84. ივერია 1882: ჟურნალი „ივერია“, ოკტობერი, ტფ., 1882.

85. კალაძე 1928: კალაძე რ. ქართული პრილეტარული მწერლობა, ჟურნალი „მნათობი“, 7, 1928.

86. კაპანაძე 1945: კაპანაძე პ., ბელადის ბავშვობა და ყრმობა (მოგონება), თბ., საბლიუტგამი, 1945.

87. კასრაძე 1944: კასრაძე დ., პატარა სოსო. თბ., საბლიუტგამი, 1944.

88. კაცომიუვარე 2006: ათეისტი და საზოგადოება, განთავსებულია 2006 წლიდან, მისამართი: <http://geoatheism.narod.ru/publications1.htm>.

89. კეკელიძე 2012: კეკელიძე გ., ღმერთი ღმერთისა წილ, ანუ საბჭოთა და სხვ. ბომონების საგა, ჟურნალი „ტაბულა“, 17 ივნისი, თბ., 2012.

90. კეკელიძე 1954: კეკელიძე კ., მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ. თბ., სახელგამი, 1954.

91. კელენჯერიძე 1993: კელენჯერიძე მ., საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, „საღმრთო სჯული“, თბ., 1993.

92. კვალი 1902: უურნალი „კვალი“, 38, თბ., 1902.

93. კვატაია 2010: კვატაია მ., ბელადთა კონცეპტები ქართულ ემიგრანტულ ტექსტებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ (მე-20 საუკუნის გამოცდილება), მასალები, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

94. კვაჭანტირაძე 2013: კვაჭანტირაძე მ., ვექტორები (წერილები, სტატიები). თბ., მერიდიანი, 2013.

95. კვერენჩილაძე 2008: კვერენჩილაძე რ., XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება, თბ., უნივერსალი, 2008.

96. კვერენჩილაძე 2011: კვერენჩილაძე რ., საბუთები დალადებენ. თბ., უნივერსალი, 2011.

97. კვერენჩილაძე 2012: კვერენჩილაძე რ., მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი. თბ., უნივერსალი, 2012.

98. კვერენჩილაძე 2013: კვერენჩილაძე რ., რეპრესირებული პოეზია, თბ., უნივერსალი, 2013.

99. კვესელავა 1979: კვესელავა ი., ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში. უურნალი „მაცნე“ (ისტორიის სერია), №1, თბ., 1979.

100. კიზირია 2010: კიზირია დ., ტირანი, როგორც მესია (გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ (მე-20 საუკუნის გამოცდილება), მასალები, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

101. კოკობი 1923: „კოკობი“, კომკავშირის აღდგომა: გაზეთი „სპარტაკი“, 28, 1923.

102. კომკავშირის... 1924: კომკავშირის მეორე შობა. ტფ., საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის ცეკას გამომცემლობა, 1924.

103. კომუნიზმის დროშა 1923: ჟურნალი „კომუნიზმის დროშა“, №6-7, თბ., 1923.

104. კომუნიზმის დროშა 1923: ჟურნალი „კომუნიზმის დროშა“, №4-5, თბ., 1923.

105. კომუნისტი 1929: გაზეთი „კომუნისტი“, 23 დეკემბერი, 1929

106. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, 20 თებერვალი, თბ., 1923.

107. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, 24 აპრილი, თბ., 1923.

108. კომუნისტი 1920: გაზეთი „კომუნისტი“, 7, 10 ივნისი, ტფ., 1920.

109. კომუნისტი 1922: გაზეთი „კომუნისტი“, №302, 1922.

110. კომუნისტი 1929: გაზეთი „კომუნისტი“, №91, 23 აპრილი, 1929.

111. კომუნისტი 1937: გაზეთი გაზეთი „კომუნისტი“, №115, 1937.

112. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, №70, 29 მარტი, 1923.

113. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, №78, 7 აპრილი, 1923.

114. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“ №62, 20 მარტი, 1923.

115. კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, 20 მარტი, 1923.

116. კომუნისტი 1924: გაზეთი „კომუნისტი“, 28 მაისი, 1924.

117. კომუნისტი 1928: გაზეთი „კომუნისტი“, 15 აპრილი, 1928.

118. ლენინი 1923: ლენინი, კარლ მარქსი, ტფ, ცკ -ის გამომცემლობა, 1923.

119. ლენინი 1935: ლენინი ვ., სოციალიზმი და რელიგია. რჩეული ნაწერები, ტ.6, თბ., პარტგამომცემლობის გამომცემლობა, 1935.

120. ლენინი და სტალინი 1939: ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში, რედაქცია და წინასიტყვაობა დ. ბენაშვილისა, თბ., გამომცემლობა „ფედერაცია“, 1939.

121. ლენინის სახე 1957: ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში. სამხარაძე გ., თბ., საქართველოს სასრ-ის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, 1957.

122. ლენინის სახე 1968: ლენინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, კიკნაძე ლ., თბ., საზოგადოება „ცოდნა“, 1968.

123. ლეონიძე 1920: ლეონიძე გ., ძველ პოეზიაზე. გაზეთი „ნაციონალისტი“, №3 ოქტომბერი, 1920.

124. ლექსები... ბერიაზე 1941: ლექსები და სიმღერები ლავრენტი ბერიაზე. თბ., საბლიუტგამი, 1941.

125. ლომთათიძე 1933: ლომთათიძე გ., სამღვდელოება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, ტფ., 1933.

126. ლორთქიფანიძე 1927: ლორქიფანიძე კ., წინაპრებს. უურნალი „მნათობი“, №1, 1927.

127. ლუარსამიძე 1931: ლუარსამიძე ვ., სტალინი (მოზრდილთათვის). II გამოცემა, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1931.

128. ლუტიძე 1958: ლუტიძე ბ., ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მავნე ხასიათი. თბ., საქართველოს სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, 1958.

129. მაისურაძე 2010: მაისურაძე გ., „გაძლიერებული ლოცვა“ ანუ მართლმადიდებლობა სუბოტექსის ხანის საქართველოში. უურნალი „ცხელი შოკოლადი“, 56, 2010.

130. მარქსი... 1929: მარქსი კ., ენგელსი ფ., თხზ. ტ.5, თბ., 1929

131. მასონობა... 2014: მასონობა საბჭოთა კავშირში. განთავსებულია 2014 წლიდან, მისამართი: [http://www.apocalypse.ge/us\\_masonoba\\_sabchota\\_kavshirshi\\_2014.html](http://www.apocalypse.ge/us_masonoba_sabchota_kavshirshi_2014.html).

132. მაჭარაშვილი 2003: მაჭარაშვილი გ., წმიდა გიორგი ათონელი და კათოლიციზმი. განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი: [http://www.orthodoxy.ge/apologetika/giorgi\\_atoneli.htm](http://www.orthodoxy.ge/apologetika/giorgi_atoneli.htm).

133. მახარაძე 1929: მახარაძე ფ., თხზ. ტ. მე-6, ტფ., 1929.

134. მახარაძე 1926: მახარაძე ფ., სიტყვაკაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა. თხზულებათა კრებული, ტომი V, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1926.

135. მახარაძე 1931: მახარაძე ფ., მდგომარეობა თანამე-დროვე ქართულ მწერლობაში. წინასიტყვაობა კრებულისა „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. თბ., კომუნისტი, 1931.

136. მებრძოლი უღმერთო 1932: გაზეთი „მებრძოლი უღმერთ“, 4, 10 დეკემბერი, თბ., 1932.

137. მებრძოლი უღმერთო 1933: გაზეთი „მებრძოლი უღმერთ“, №12(18), თბ., 1933.

138. მებრძოლი უღმერთო 1934: გაზეთი „მებრძოლი უღმერთ“, №8 (48), თბ., 1934.

139. მებრძოლი უღმერთო 1935: ჟურნალი „მებრძოლ უღმერთო“, №5, თბ., 1932.

140. მეთოდური... 1941: მეთოდური წერილი ანტირელიგი-ური დაუსწრებელი კურსების მსმენელს, თბ., 1941.

141. მთიები 1929: გაზეთი „მთიები“, 505, თბ., 1929.

142. მიქაუტაძე 2008: მიქაუტაძე რ., რელიგიური ცნო-ბიერების ბუნება. ქუთაისი, 2008.

143. მნათობი 1928: ჟურნალი „მნათობი“, №4, თბ., 1928.

144. მნათობი 1953: ჟურნალი „მნათობი“, №3, თბ., 1953.

145. მეტრეველი 1990: მეტრეველი რ., დავით IV ალმაშენე-ბელი. მისამართი: <http://www.bu.org.ge/x2228?page=0&tab=1>

146. მეტრეველი 2010: მეტრეველი ს., ბელადი, როგორც მესია, ქართულ პოლიტიკურ ლირიკაში, ლიტერატურული ძიებანი, XXXI, თბ., 2010.

147. მეფისაშვილი 1967: მეფისაშვილი გ., ძველი და ახალი ტრადიციები. თბ., საბჭოთა საქართველო, 1967.

148. მინინი 1920: მინინი ს., რელიგია და კომუნიზმი. ქუთაისი, წითელი ვარსკვლავი, 1920.

149. მიქაუტაძე 2008: მიქაუტაძე რ., რელიგიური ცნობიერების ბუნება, ქუთაისი, 2008.

150. მშვენიერაძე 1971: მშვენიერაძე ვ., ანტიკომუნიზმი უმომავლო იდეოლოგიაა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1971.

151. მშვენიერაძე 2005: მშვენიერაძე ნ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., ოთახი პეტრიწი, 2005.

152. მომავალი 1923: უურნალი მომავალი, №11, თბ., 1923.

153. მშობლიური... 1960: მშობლიური სახელი, ლექსები ლენინზე. თბ., ნაკადული, 1960.

154. მშრომელი ქალი 1928: უურნალი „მშომელი ქალი“, №22-23, თბ., 1928

155. მწყემსი 1883: უურნალი „მწყემსი“, №14-15-16, 30 აგვისტო, თბ., 1883.

156. მწყემსი, №6, 1885: უურნალი „მწყემსი“, №6, თბ., 1885

157. მწყემსი 1904: უურნალი „მწყემსი“, №23-24, თბ., 1904

158. მწყემსი, №1-2 1907: უურნალი „მწყემსი“, №1-2, თბ., 1907

159. მწყემსი, №5, 1907: უურნალი „მწყემსი“, №5, 15 მარტი, თბ., 1907.

160. მწყემსი, №12, 1907: უურნალი „მწყემსი“, №12, თბ., 1907

161. მწყემსი, №18, 1920: უურნალი „მწყემსი“, №18, თბ., 1920

162. ნავთლუდელი 1928: ნავთლუდელი შ., ბებია და აღდგომა. გაზეთი „კომუნისტი“, 15 აპრილი, 1928.

163. ნაროუშვილი 1931: ნაროუშვილი ფ., პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, თბ., ახალგაზრდა კომუნისტი, 1931.

164. ნიკოლეიშვილი 1994: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, „მონამეთა“, 1994.

165. ნიშნიანიძე 2010: ნიშნიანიძე რ., წინა-მძღვარიდან — ბელადამდე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ (მე-20

საუკუნის გამოცდილება), მასალები, თბ., ლიტერატურის ინ-სტიტუტის გამომცემლობა, 2010.

166. ოდილავაძე 2013: ოდილავაძე ზ., საბჭოურიცხოვრების წესი – მორალი, კულტურა, სექსი. (ნაწილი I), მისამართი: <http://odilavadze.wordpress.com/2013/02/03/%E1%83%A1%E1%-83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%-83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98/>.

167. ორაგველიძე 1928: ორაგველიძე დ., რისთვის გაისმის „ქრისტე აღსდგა“?! გაზეთი „კომუნისტი“, №12 აპრილი, 1928

168. პავლიაშვილი 2000: პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1919-21 წწ. თბ., „გიორგი აფ-რიდონიძე“, 2000.

169. პავლიაშვილი 2009: პავლიაშვილი ქ., მებრძოლი ათ-ეიზმი — „კულტურული რევოლუციის“ იდეოლოგიური საფუძველი (საბჭოთა იმპერიის მაგალითზე). ქრისტიანობის კვლევები II, თბ., უნივერსალი, 2009.

170. პაპუაშვილი 2010: პაპუაშვილი ნ., გიორგი მთან-მინდელი — ეკლესიოლოგი, კულტურტრეგერი და რე-ფორმატორი. მისამართი: <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619730&kat=188>

171. პროლემაფ, I, 1925: უურნალი „პროლემაფ“, I, თბ., 1925.

172. პროლემაფ, II, 1925: უურნალი „პროლემაფ“, II, თბ., 1925.

173. პროლეტარული მწერლობა 1927: უურნალი „პროლე-ტარული მწერლობა“, №1, თბ., 1927.

174. პროლეტარული მწერლობა 1932: უურნალი „პროლე-ტარული მწერლობა“, №1-2, თბ., 1932.

175. პროლეტარული ხელოვნებისათვის 1931: უურნალი „პროლეტარული ხელოვნებისათვის“, თბ., 1931.

176. უღენტი 1957: უღენტი ბ., დიდი ოქტომბრის სოციალ-ისტური რევოლუცია და ქართული მწერლობა, თბ., 1957.

177. უდენტი 1961: უდენტი პ., ქართული საბჭოთა მწერლობა 40 წლის მანძილზე, სოხუმი, საქმთავარპოლიგრაფგა-მომცემლობა, 1961.

178. რადიანი 1925: რადიანი შ., მკვდრების საუბარი. უურნალი „პროლემაფ“, №4, თბ., 1925.

179. რადიანი 1931: რადიანი შ., თანამედროვე ქართული ლიტერატურა. თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1931.

180. რადიანი 1931: რადიანი შ., ქართული მწერლობის ათი წელი. უურნალი „მნათობი“, №1, 1931.

181. რატიანი 2010: რატიანი ი., ანტიტოტალიტარული ტე-ქსტის უანრული თავისებურებანი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ (მე-20 საუკუნის გამოცდილება), მასალები, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

182. რატიანი 1989: რატიანი პ., თბილელი ბერები. თბ., მეცნიერება, 1989.

183. რელიგიის წინააღმდეგ 1930: უურნალი „რელიგიის წინააღმდეგ“ №5, თბ., 1930

184. რელიგიის წინააღმდეგ 1930: უურნალი „რელიგიის წინააღმდეგ“, №6-7, 1930.

185. რელიგიური გადმონაშთების... 1973: რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბ., თსუ გამომცემლობა, 1973.

186. როგავა 1994: როგავა გ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.

187. რუმიანცევი 1923: რუმიანცევი ნ., ქრისტეს შობა, ტფ., ცკ-ის გამომცემლობა, 1923.

188. რუმიანცევი 1931: რუმიანცევი ნ., ალდგომა, მისი მნიშვნელობა და წარმოშობა, ტფ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1931.

189. სააღდგომო ანტირელიგიური... 1929: სააღდგომო ანტირელიგიური კამპანია და სკოლა. ტფ., 1929.

190. სააღდგომო ეპისტოლე 1990: ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 1990.
191. საბჭოთა აფხაზეთი 1940: გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, №97,27 აპრილი, 1940.
192. საბჭოთა აფხაზეთი 1938: გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, №94, 24 აპრილი, 1938.
193. საბჭოთა ოსეთი 1939: გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №40(362), 27 ოქტომბერი, 1939.
194. საქართველოს უღმერთო 1930: ჟურნალი „საქართველოს უღმერთო“, (№2-3), 1930
195. სახაროვი 1953: სახაროვი ს., რელიგიური გადმონაშთების დაძლევის ზოგიერთი საკითხისათვის, თბ., თსუ გამომცემლობა, 1953.
196. სახაძე 1966: სახაძე ა., რელიგიური გადმონაშთების ხასიათი და მათი კვდომის კანონზომიერება, თბ., საბჭოთა საქართველო, 1966.
197. სემაშვილ 1929: სემაშვილ ნ., უკულტურობის გამომხატველი დღესასწაული. გაზეთი „კომუნისტი“, №99, 4 მაისი, 1929.
198. სეფისპირელი 1922: სეფისპირელი, სანდრო ეულის პოეზია. ჟურნალი „ქურა“, №1, 1922.
199. სიმბოლოები... 2011: სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნების. განთავსებულია 2011 წლიდან, მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1--0-10-0---0prompt-10---4-----0-11--11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.1&d=HASH0190736a27535539fdc46828.1>.
200. სიმვოლო სარწმუნოებისა 1997: სიმბოლო სარწმუნოებისა, ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი.. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ნარკვევი დაურთეს აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა. თბ., სამშობლო, 1997.
201. სირაძე 1987: სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია, თბ., ნაკადული, 1987.

202. სირაძე 2005: სირაძე რ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ.: „განათლება“, 2005.

203. სკვპ ყრილობების... 1955: სკვპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენურების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები, ნაწ. II, VII გამოცემა, თბ., 1955.

204. სორდია 2009: სორდია ლ., წერილები, თბ., უნივერსალი, 2009.

205. სოფლის კომუნისტი 1925: ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“, №6, 1925.

206. სოფლის ცხოვრება 1970: გაზ. „სოფლის ცხოვრება“, აგვისტო, 1970.

207. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“ (№ (18), 4 იანვარი, 1923.

208. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“, №23, 18 თებერვალი, 1923.

209. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“, 1 აპრილი, 1923.

210. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“, 11 მარტი, 1923.

211. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“, №30, 1923.

212. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“, №33, 1923.

213. სპარტაკი 1923: გაზეთი „სპარტაკი“ (№37), 1923.

214. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №69, 6 იანვარი, 1924.

215. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“ №88, 1924.

216. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №142, 1924.

217. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №134, 1924.

218. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №88, 25 აპრილი, 1924.

219. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, 3 ივნისი, 1924.

220. სპარტაკი 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №68, 1 იანვარი, 1924.

221. სტალინი რელიგიისა 1933: სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს გამოცემა, 1933.

222. სტალინი... 1941: სტალინი ქართულ პოეზიაში (ბიბლიოგრაფია), თბ., 1941.

223. სტალინი 1949: სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1949.

224. სტალინს 1944: სტალინს, ლექსთა კრებული, თბ., გამომცემლობა „სახელგამი“, 1944.

225. სულავა 1940: სულავა ალ., ლიტერატურული წერილები, თბ., ლიტგამომცემლობა, 1940.

226. სულავა 1957: სულავა ალ., წერილები, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1957.

227. სულავა 2002: სულავა ნ. გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის სახისმეტყველებისათვის, კრებული — ხანძთა სულიერად მშობელი ქართველთა, თბ.: 2002.

228. სჯულის კანონი 2009: დიდი სჯულის კანონი, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, ახალქართული ვერსია მოამზადეს მანანა დოლაქიძემ და გულნარა ნინუამ, თბილისი, 2009, განთავსებულია 2009 წლითან, მისამართი: [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&id=307%25](http://library.church.ge/index.php?option=com_content&id=307%25).

229. ტოროშელიძე 1923: ტოროშელიძე მ., კარლ მარქსი, ტფ., 1933.

230. უზნაძე 1932: უზნაძე მ., ჩვენი ლაშქარი. უურნალი „მებრძოლი ულმერთო“, №6-7, 1932.

231. უზნაძე 1933: უზნაძე მ., ულმერთკორებო, გაზეთი „მებრძოლი ულმერთო“, №14 (20), 1933.

232. ფანჯიკიძე 2003: ფანჯიკიძე თ., რელიგიური პროცესები საქართველოში მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე. განთავსებულია 2003 წლიდან, მისამართი: <http://www.bu.org.ge/x803?lang=geo>.

233. ფედოსეევი 1940: ფედოსეევი პ., სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ, თბ., საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს გამოცემა, 1940.

234. ფეოდოსიშვილი 1924: ფეოდოსიშვილი კ., „მარქსის სურათზე“, გაზეთი „სპარტაკი“ (№104), ტფ., 1924.

235. ფეოდოსიშვილი 1924: ფეოდოსიშვილი კ., სულის ზეიმი, გაზეთი „სპარტაკი“, №69, 1924.

236. ფეოდოსიშვილი 1926: ფეოდოსიშვილი კ., ქალაქის ბაღში, ჟურნალი „მერცხალი“, №4, თბ., 1926.

237. ქართველი მხატვრის: ქართველი მხატვრის „მამულიშვილური“ მოწოდება. მისამართი: <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=88&id=641>.

238. ქართული ლექსები 1937: ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე, თბ., გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, 1937.

239. ქართული ლიტერატურის... 1956: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, ქართული საბჭოთა ლიტერატურა. თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956.

240. ქართული მხატვრული 1971: ქართული მხატვრული ლიტერატურის ლენინიანა, გოზალიშვილი შ., თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.

241. ქართული პოეტური 1970: ქართული პოეტური ლენინიანა, სამხარაძე გ., თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1970.

242. ქიქოძე 1926: ქიქოძე პ., შემოქმედება თუ თვითმკვლელობა, ტფ., 1926.

243. ქრისტეს შობის... 1966: ქრისტეს შობის დღესასწაულის უსაფუძვლობა, გაზ. „ახალი ცხოვრება“, №4, თბ., 1966.

244. ქურა, I, 1922: ჟურნალი „ქურა“, №1, თბ., 1922.

245. ქურა, II, 1922: ჟურნალი „ქურა“, №2, თბ., 1922.

246. ქუჩიშვილი 1962: ქუჩიშვილი გ., თხზულებანი, ტ. I, ლექსები. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1962.

247. ღაღნიძე 2010: ღაღნიძე მ., ტოტალიტარულობა, კარნავალი, კარნავალიზაცია. კრებულში „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემლობა, 2010.

248. ყუბანეიშვილი 1932: ყუბანეიშვილი ს., სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში. ტფ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1932.

249. შახოვი 1933: შახოვი ს., შობა და მისი კლასიური როლი, ტფ., 1933.

250. შენგელია 1975: შენგელია ხ., რელიგიური გადმონაშ-თები და და მათი დაძლევის გზები თანამედროვე პირობებში, სოხუმი, ალაშარა, 1975.

251. შინაური საქმეები 1909: უურნალი „შინაური საქმეები“, №31, ქუთაისი, 1909.

252. შინაური საქმეები, №3, 1910: უურნალი „შინაური საქმეები, №3, ქუთაისი, 1910.

253. შინაური საქმეები, №10, 1910: უურნალი „შინაური საქმეები, №10, ქუთაისი, 1910.

254. შინაური საქმეები, №17, 1910: უურნალი „შინაური საქმეები, №17, ქუთაისი, 1910.

255. შინაური საქმეები 30, 1910: უურნალი „შინაური საქმეები, №30, ქუთაისი, 1910.

256. ჩარხიშვილი 1923: ჩარხიშვილი გ., „ჩვენი აღდგომა“, გაზეთი „სპარტაკი“, №30, 1923.

257. ჩარხიშვილი 1924: ჩარხიშვილი გ., 1 მაისი. გაზეთი „სპარტაკი“, №89, 1924.

258. ჩაფიძე 1962: ჩაფიძე ა., ანტირელიგიური აღზრდისათვის. თბ., ცოდნა, 1962.

259. ჩვენი ეგნატე 1934: გაზეთი „ჩვენი ეგნატე“, ზესტაფონი, 25 მაისი, 1934.

260. ჩუტკერაშვილი 1981: ჩუტკერაშვილი ნ., რელიგიური გადმონაშთების შემორჩენის მიზეზები და მათი დაძლევის გზები“, თბ., ცოდნა, 1981.

261. ჩხარტიშვილი 1982: ჩხარტიშვილი იზ, ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში, თბ., მეცნიერება, 1982.

262. ცისკარი, №7, 1867: უურნალი „ცისკარი“, №7, თბ., 1867.

263. ცხადაია 2009: ცხადაია ზ., პოეტის წერილები, სიტყვები, მოგონებები, უურნალი „ლიტერატურული ძიებანი,“ XXX, თბ., 2009.

264. ცხადაია, ციციშვილი 2013: ცხადაია ზ., ციციშვილი თ., სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა. მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმის (ლიტერატურათმცოდნეობის თანამე-

დროვე პრობლემები) მასალები, თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

265. ძეგლები 1963: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული / ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I., თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

266. ძეგლები 1964: ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურეს ძეგლები. I (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1964.

267. წითელი აფრა: უურნალი „წითელი აფრა“, №4-5, ქუთაისი., 1929.

268. ჭილაია 1946: ჭილაია ს., ლიტერატურული წერილები. თბ., სახელმწიფო, 1946.

269. ჭილაია 1953: ჭილაია ს., ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1953.

270. ჭიჭინაძე 2010: ჭიჭინაძე რ., გულის ქისაში ნადები, თბ., გამომცემლობა „ნეკერი“, 2010.

271. ხათაბალა 1920: უურნალი „ხათაბალა“, №1, 21 მარტი, ტფ., 1920.

272. ხერხეულიძე 1977: ხერხეულიძე გრ., თანამედროვე ქართული პოეზია. თბ., „მეცნიერება“, 1977.

273. ხიდისთაველი 1924: ხიდისთაველი ს., ჩვენი აღდგომა. გაზეთი „კომუნისტი“, 25 აპრილი, 1924.

274. ჯავახაძე 1991: ჯავახაძე ვ., უცნობი, , თბილისი, „ნაკადული“, 1991.

275. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტომი 2, თბ., მეცნიერება, 1983.

276. ჯაფარიძე 2011: მიტრ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. თბ., ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.
277. ჯვარი ვაზისა, №6, 1906: უურნალი „ჯვარი ვაზისა, №6, თბ., 1906.
278. ჯოხაძე 2001: ჯოხაძე ა., სიკვდილი ბიზანტიურად, გაზეთი „რეზონანსი“, 20-21, თბ., 2001.
279. ბარახოვი 1976: Барахов В. С. Искусство литературного портрета. Горький о В. И. Ленине, Л. Н. Толстом, А. П. Чехове. М., 1976.
280. ბერმაბი 1982: Берман Б. И. Читатель Жития. // Художественный язык средневековья. М.: 1982.
281. ებგელსი 1985: Ф. Энгельс. Принципы коммунизма: К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные сочинения. Т. 3, М.: Издательство политической литературы, 1985.
282. ებციკლოპედია: Энциклопедия кругосвет. მისამართი: 666.krugosvet.ru.
283. კოვალჩიკი 1929: Ковальчик Е. Пролетарская социалистическая литература, Москва — Ленинград, 1929. ელექტრონული ვერსია, მისამართი: <http://feb-web.ru/feb/litenc/encyclop/le9/le9-2901.htm>.
284. ლენინი 1931: Ленин, т. VIII, М.: 1931.
285. პადლუბნოვა 2006: Подлубнова Ю., Коммунистическая агиография в советской литературе 1920-1940-х гг., განთავსებულია 17.05.06., მისამართი: <http://www.netslova.ru/podlubnova/comm.html>.
286. ჟივოვი 1994: Живов В. М. Краткий словарь агиографических терминов. М.: 1994.